



2017/8

ყაფულთვიური ლიტერატურული –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანზე –
კირილე ზდანევიჩი:
პაოლო იაშვილი ძალღიბ და
პაოლო იაშვილის პორტრეტი

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მსახურით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

ინტერვიუ		რაც ხსოვნას ზამორჩა	
დაბრუნება ევროპაში	3	რეზო კვესელავა	79
საუბარი		ღვანლი მიხეილ კვესელავასი	
გიორგი ალიბეგაშვილსა და კოტე ჯანდიერთან			
პაოლო იაშვილი – 125		ახალი თარგმანები	
ლალი ავალიანი	12	ივან პერევერზინი	87
პაოლო იაშვილის ფენომენი		ნითელმოცვიანი შემოდგომა	
		<i>თარგმნა</i>	
პოეზია		ბეჟან ნამიჭეიშვილმა	
ბალათერ არაბული	25		
<i>ლექს-ანდრეზები და სხვა</i>		ზღაპარ იყო...	92
		ფრანგული ზღაპრები	
პროზა		<i>თარგმნა ნინო ციმაკურიძემ</i>	
მაია ციციშვილი	38		
მარფის კანონით		ქართვალთ მხარული	
<i>მოთხრობა</i>		ოსურ ენაზე	105-107
		ნიკო ლორთქიფანიძე	
პოეზია		ტრაგედია უგმიროთ	
დებიუტი		<i>ოსურად თარგმნა</i>	
ეკა ქაჯაია	43	რაზიათ ქუმარიტოვმა	
<i>ლექსები</i>			
		წიგნები	
პროზა		ნონა კუპრეიშვილი	
მირიან რჩეულიშვილი	53	ვანტანგ კოტეტიშვილი –	109
კედლები		დიალოგი გრძელდება	
<i>მოთხრობა</i>			
		თეატრი	
ხრიტიკა ასეისტია		გუბაზ მეგრელიძე	
ლევან ბებურიშვილი	67	ფოთის თეატრალური	118
მწერლობის ისტორიული		ფესტივალი	
მისია და თანამედროვეობა			
ანდრო ბუაჩიძე	73		
<i>ცოტა რამ პოეზიის შესახებ</i>			



დაბრუნება ევროპაში

საქართველო უბრუნდება ევროპელ ხალხთა ოჯახს, რისი ნათელი დადასტურებაცაა ევროსაბჭოს ასოცირებული წევრობა და ვიზალიბერალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ევროპაში კი არ შევდივართ, არამედ ვიბრუნებთ ისტორიულად კუთვნილ ადგილს. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას? – ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის მკვლევართან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან, პროფესორ გიორგი ალიბეგაშვილსა და მწერალ კოტე ჯანდიერთან.

გიორგი ალიბეგაშვილი – საქართველო, მოყოლებული ანტიკური ეპოქიდან, ყოველთვის იყო ევროპის ნაწილი. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ მან შეითვისა ბიბლიური და მეზობელი ბიზანტიის კულტურა.

საუკუნეების მანძილზე ისტორიული ძნელბედობა არაერთხელ დასდგომია ჩვენს ქვეყანას, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება 1453 წელს და ბიზანტიის იმპერიის დაცემა; შეიძლება ითქვას, ამ ტრაგედიას ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. თუ 1453 წლამდე საქართველო პირდაპირ უკავშირდებოდა მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს, კონსტანტინოპოლს, ამის შემდეგ იგი დასავლური სამყაროს სულიერსა და მატერიალურ მონაპოვარს, ჩვეულებრივ, უშუალოდ უკვე ვეღარ ითვისებდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველო სულ ცდილობს აღადგინოს ევროპულ ოჯახთან კავშირი. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბოლო წლებში გადაიდგა, რაც, მართლაც, ისტორიულად კუთვნილ ადგილას დაბრუნებაა, მაგრამ მე ასეც ვიტყვოდი: არა მხოლოდ საქართველო უნდა დაუბრუნდეს ევროპას, არამედ ევროპაც უნდა დაბრუნდეს საქართველოში. ჩვენგანაც ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი თანამედროვე ევროპისათვის – ჩვენი კულტურა, ტრადიციები, ჰუმანიზმი...

კოტე ჯანდიერი – რომის იმპერიის მსხვერვის შემდეგ ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი ცივილიზაციური ძალა ქრისტიანობა აღმოჩნდა. ცხადია, ლაპარაკია გარკვეულ მსოფლმხედველობრივ, კულტურულსა და არა მაინცდამაინც სახელმწიფოებრივ ერთობაზე. ევ-

როპული ცივილიზაცია დაეყრდნო ანტიკურ რაციონალურ სიბრძნეს, ბიბლიურიუდეურ მონოთეისტურ მისტიციზმს და მოახერხა ამ ორი მძლავრი დინების გაერთიანება ქრისტიანული ეთიკის კალაპოტში. ეს დიდი მოძრაობა ჩაისახა და განვითარდა ბიზანტიის, უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში და მის ორბიტაში მოქცეულ ქრისტიან ხალხებში. მათ შორის ქართველებიც არიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანული ცივილიზაციის ხერხემაღს სამონასტრო მნიგნობრობა და ცხოვრების წესი წარმოადგენს. ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე წმინდა მიწაზე, სირიასა და ანატოლიაში დაწყებული სამონასტრო მოძრაობა თავიდანვე მრავალეროვნული და მრავალენოვანი იყო. ამ მოძრაობის თვალსაჩინო წარმომად-

და ფილოსოფოსის, წმინდა მიწაზე პირველი ქართული მონასტრების დამფუძნებლის, მაიუმის (ანუ ლაზის) ეპისკოპოსის, პეტრე იბერის სახელითაა ცნობილი. პეტრე იბერი და მისი თანამემამულეები (მაგალითად, მითრიდატე ლაზი და ზაქარია ქართველი) მონაწილეობდნენ იმ საერთო ქრისტიანული საძირკვლის ჩაყრაში, რასაც მოგვიანებით დასავლეთ ევროპული ცივილიზაცია დაეყრდნო. ასე რომ, ქართველები, ბერძენებთან, სირიელებთან, სომხებსა და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიან ხალხებთან ერთად იდგნენ სათავეებთან, იყვნენ საერთო ევროპული ცნობიერების მესაძირკვენი.

პალესტინა, სინას ნახევარკუნძული, ანტიოქია, ათონის მთა – ეს ის ადგილებია, სადაც ქართველთა ნაკვალევია შემორჩე-



გენელია ბიზანტიის იმპერატორის კარზე აღზრდილი ქართველი უფლისწული, რომელიც მსოფლიოსათვის V საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწის, თეოლოგისა

წილი. როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელობა აქვს ამას დღევანდელ დღეს?

გ. ა. – ჩვენი წინაპრების მიერ საზ-

ღვარგარეთ დაარსებული ნებისმიერი ეკლესია-მონასტერი საქართველოს არა მხოლოდ ისტორიის, არამედ თანამედროვეობის ნაწილია. ეს ის წმინდა ადგილებია, რომლებიც ერის იდენტიფიცირების საძირკველს ქმნის. იქ იღვწოდნენ ჩვენი დიდი წმინდა მამები, ქმნიდნენ თხზულებებს, თარგმნიდნენ უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, აყალიბებდნენ ქართულ სალიტურატურო ენას და ამას აკეთებდნენ სამშობლოსთან მუდმივი კავშირით. მათი ნაღვანი ფიზიკურადაც აღიქმება შექმნილი ორიგინალური ნაშრომებითა თუ საგალობლებით, აგებული ეკლესია-მონასტრებით, დაწერილი ხატებითა და ფრესკებით და ა.შ., უფრო მეტად კი სულიერად, რაც თითქოსდა არ ჩანს, მაგრამ ნივთიერ ფასეულობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან მარადიულ, უკვდავ თანამდევობას (ილია ჭავჭავაძე), საღვთო ნათელსა და მადლს გულისხმობს.

კ. ჯ. – ქართველ მოწესეთა, მნიგობართა და განმანათლებელთა მოღვაწეობის კვალი თვალშისაცემია შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთში, საბერძნეთსა თუ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებული პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი სასულიერო ცენტრის რელიგიურ, ინტელექტუალურ და კულტურულ საქმიანობაში, მსოფლიო საეკლესიო კრებებსა და გადამწყვეტ თეოლოგიურ დისპუტებში. მაგალითად, 1438 წელს, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე, სადაც წყდებოდა იმდროინდელი ევროპისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის დოგმატურ უთანხმოებათა აღმოფხვრა და მათ შორის უნიის დადება – ქართული (იბერიის) ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლობას მეხუთე საპატიო ადგილი ეკავა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა შემდეგ. ამ კრებაზე არა მხოლოდ თეოლოგიური

და იერარქიული საკითხები იხილებოდა, არამედ ევროპის მთელი შემდგომი განვითარების ბედ-ილბალი წყდებოდა.

ძალიან ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს ყველაფერი უტყუარი საბუთია ევროპის ისტორიაში ქართველთა აქტიური თანამონაწილეობისა და მყარი ისტორიული არგუმენტი დღევანდელი ევროინტეგრაციისათვის.

საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრების, ამ სავანეებთან არსებული სკრიპტორიუმებისა და წიგნთსაცავების ინტელექტუალური შენატანი ევროპულ აზროვნებასა და კულტურაში მნიშვნელოვანია. კიდევ უფრო გადამწყვეტია ამ სასულიერო ცენტრების ღვაწლი ქართული სულიერი, სახელმწიფოებრივი, ინტელექტუალური ცხოვრების წინაშე. ამ ცენტრების არსებობაა მიზეზი იმისა, რომ IV-V საუკუნეებიდან ბიზანტიის დაცემამდე ქართული კულტურა და აზროვნება არ ყოფილა პროვინციული, პრიმიტიული და კარჩაკეტილი. სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა კულტურებისადმი გახსნილობა, რამაც განაპირობა საქართველოს სამეფოს გადაქცევა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ დანინაურებულ სახელმწიფოდ, დღესაც აქტუალურია.

2010 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თქვენათონის მთაზე იმყოფებოდით. ხომ ვერ გვეტყვით, რა მისიით ბრძანდებოდით?

გ. ა. – გამორჩეულია წმინდა ათონის მთის როლი საქართველოს ისტორიაში. წელან ვახსენეთ ქართული სალიტურატურო ენა; სწორედ აქაც ყალიბდებოდა მისი საფუძვლები, წინარუსთველური ენა.

რაც შეეხება ათონზე სტუმრობას, 2011 წლის გაზაფხულზე მისმა უწმინდესობამ საპატრიარქოში მიგვინვია: ბატონი როინ მეტრეველი, კოტე ჯანდიერი და მე და გაგვანდო სურვილი დიდ ქართველ მხედართმთავარ თორნიკე ერისთავზე

ფილმის შექმნის შესახებ. ბატონი როინის კონსულტაციებით მოვიძიეთ არაერთი როგორც ქართული, ასევე უცხოური ისტორიული თუ ლიტერატურული წყარო; ბატონი კოტე შეუდგა სცენარზე მუშაობას და მისი გარკვეული მონახაზიც გაკეთდა. პატრიარქმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ადგილზეც ჩავსულიყავით და ათონის მთაზე მოგვევლოს ადგილები, სადაც ჩვენმა გამორჩეულმა წინაპარმა დაჰყო სიცოცხლის ბოლო წლები. ამ მხრივ დიდი დახმარება გაგვინია ბიზნესმენმა კლიმენტი კეკუტიამ, რომელმაც, მართლაც, რომ გვიმასპინძლა ათონის მთის სამ მონასტერში: ხილანდარში (სერბების სავანე), ზოგრაფში (ბულგარელების) და ქართველთა ლავრაში. ღმერთს ვუმაღლით, რომ ჩვენს იქ ყოფნას დაემთხვა ბერების მიერ კარის ღვთისმშობლის ხატის გამობრძანება და შემოტარება ივერთა მონასტრის შემოგარენში. ამის ხილვასა და მასში მონაწილეობის მიღებას სიტყვებით ვერ აღწერ...

კ. ჯ. – მისი უწმინდესობის დაინტერესება თორნიკე ერისთავით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში ქართველთა აქტიური მონაწილეობა არ არის ქართულ-ბიზანტიური ისტორიის რიგითი ეპიზოდი. კონსტანტინოპოლს მრავალი შეთქმულება, დინასტიური გადატრიალება და აჯანყება ახსოვს, მაგრამ სკლიაროსის შემთხვევა განსაკუთრებულია.

იღვა 978 წელი. მცირე აზიაში აჯანყებული სარდალი, ბარდა სკლიაროსი ზედიზედ ამარცხებდა ბიზანტიის არმიებს. იმპერია სისხლიან ქაოსში გადავარდნისა და დაშლის პირას აღმოჩნდა. უზურპატორის ურდო ძირითადად მცირე აზიაში არაბული ემირატების, მონოფიზიტური სამთავროებისა და ფანატიკოსი ხატმებრძოლების რაზმებისაგან შედგებოდა.

ცხადია, სკლიაროსის გამარჯვება მხოლოდ იმპერიის ტახტისმპყრობლის

შეცვლას როდი ნიშნავდა; ეს უთუოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურის დეგრადაციას, ეთიკური ფასეულობების მსხვერველასა და სისხლიანი აზიური ტიპის ტირანიის დამკვიდრებას უქადდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის უდიდეს ნაწილს.

მაინც რატომაა ათონის მთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ცივილიზაციისათვის?

გ. ა. – ქრისტიანობისათვის მთაწმინდა იყო, არის და რჩება მართლმადიდებლობის ჭეშმარიტ საგანძურად, სადაც ათას წელზე მეტია დაცულია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ლიტურატურა და ნამდვილი ორთოდოქსული ცხოვრების წესი; ეს არის უძვირფასესი ქრისტიანული საუნჯისა და მართლმადიდებელი ტრადიციების უზარმაზარი მუზეუმი.

ათონის მთა ეკლესიას საუკუნეების მანძილზე ერესებისაგან იცავდა, მტკიცედ ინახავდა ტრადიციებსა და ძველთაძველ წეს-ჩვეულებებს. აქ ხშირდება მრავალი ბიზანტიელი იმპერატორის: მაკედონელების, კომნინების, პალეოლოგებისა თუ ქართველ, სერბ, ბულგარელ, მოლდოველ, რუმინელ და რუს მეფე-დიდებულთა სახელები.

ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრები იყო არა მხოლოდ ღვთის სახლები, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიც, რომელთაც ჩვენი მეფე-დიდებულები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. სწორედ საქართველოს ძნელბედობამ განაპირობა, რომ ხელიდან გამოგვეცალა ჩვენი ლავრა და ბერძნები შევიდნენ იქ, თორემ სერბებმა, ბულგარელებმა და რუსებმა თავიანთი მონასტრები შეინარჩუნეს.

წინათ უძნელესი იყო ათონზე სტუმრობა. ამჟამად იქ ჩასვლა ქართველი სასულიერო პირებისა და მომლოცველები-

სათვის არაა რთული. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ათონზე კვლავ ისმის უფლის სადიდებელი ქართული სიტყვა, რაც იმედს ბადებს, რომ, ღვთის ნებით, ქართველი ბერები ისევ დაიმკვიდრებენ წმინდა მთაზე ღირსეულ ადგილს.

არიან თუ არა დღეს ათონზე ქართველი ბერები და როგორია იქაურთა დამოკიდებულება ზოგადად ქართველებისა და საქართველოსადმი?

გ. ა. – ათონის მთაზე ამჟამად არსებული ოცი მონასტრიდან ქართველი მონაწილეები თითქმის ყველგან არიან, გარდა ივერთა ლავრისა, ეს გახლავთ სამწუხარო ფაქტი, მაგრამ რეალობაა, რასაც თავისი ახსნა აქვს...

პირადად ჩვენ შევხვდით და გავიცანით ხილანდარში მამა ილარიონი და ზოგრაფში – მამა გაბრიელი. რაც შეეხება იქაური მონაწილეების დამოკიდებულებას ქართველი ბერებისადმი, ისინი უდიდეს პატივს სცემენ ჩვენებს; თუმცა უფრო შესაფერისი იქნებოდა უცვლელად მომეყვანა ამონარიდი პახუმ ჯაფარიძის (შემდგომში ნილკნელი ეპისკოპოსი პავლეს) ათონიდან 1907 წელს სამშობლოში გადმოგზავნილი წერილიდან, რომელშიც ნათლად ჩანს ჩვენი თანამემამულეების, მართალია, ძველი, მაგრამ დღევანდლობას მისასადაგებელი შეფასება: „აქაური ბერები ანგელოზებრივ ცხოვრებას ატარებენ; მყუდროება, სიმდაბლე, ერთმანეთის უწყინარობა, ბევრი ლაპარაკი აკრძალულია, მხოლოდ სულიერ საუბრებს ჩამოუგდებენ ერთმანეთს. ქართველებს რუსები და ბერძნები ათონის გვირგვინს უწოდებენ.“

კ. ჯ. – საბედნიეროდ, დღეს ქართულთა მოღვაწეობა ათონის მთაზე სულ უფრო და უფრო შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ხდება. მათ შესაბამის

პატივს მიაგებენ ათონელი ასკეტები: მამა ილარიონი წლების განმავლობაში იყო ხილანდარის სერბული მონასტრის ტიპიკარი (წესისგამრიგე) და მისი უდიდესი ღვაწლის აღსანიშნავად, ამ მონასტერმა მიწის ნაკვეთი გამოყო ახალი სკიტის ასაშენებლად; მამა დიოდოზოსი ვათოპედის ბერძნული მონასტრის წინამძღოლის თანაშემწე და მარჯვენა ხელია; მამა ერმოლაოსს წმინდა პანტელეიმონის რუსული მონასტრის არქივები და მუზეუმი აქვს ჩაბარებული, სადაც იგი დაულალავ სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობას ეწევა და განსაკუთრებული რუდუნებით იკვლევს XVIII, XIX და XX საუკუნეში ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა დღემდე შეუსწავლელ ცხოვრებას: განსაკუთრებული პატივითა და სიყვარულით სარგებლობს ზოგრაფის ბულგარულ მონასტერში მოღვაწე მამა გაბრიელი; ძალზე ნიშანდობლივია, რომ დოქიარის მონასტრის წინამძღოლმა შესასვლელი პორტალისა და შიდა ეზოს კედლის მოზაიკით შემკობა ქართველ ხელოვანს, დათი კაკაბაძეს ანდო და დღეს ქართველი ოსტატის ნამუშევრები ამშვენებს ამ სახელგანთქმულ სავანეს; სიმონ-პეტრას ერთ-ერთ სკიტში მოღვაწეობს ექვსი ქართველი ბერი მამა გრიგოლის წინამძღოლობით და ა.შ. შორი არ უნდა იყოს დრო, როდესაც ათონის მთას ქართული წირვა-ლოცვა და გალობაც დაუბრუნდება.

რა მნიშვნელობა ჰქონდა X საუკუნეში ქართველთა ჯარის გალაშქრებას ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყების ჩახშობაში?

გ. ა. – დავით კურაპალატის მიერ თორნიკე ერისთავის სარდლობით ბიზანტიის დასახმარებლად გაგზავნილმა თორმეტიათასიანმა მხედრობამ უდიდესი როლი ითამაშა იმდროინდელი აღმოსავ-

ლეთის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის დაცემამ თითქმის 5 საუკუნით გადაინია, ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიის სახელმწიფო სახელმწიფოდ დარჩა.

ერთ საინტერესო გარემოებასაც მივაპყრობ თქვენს ყურადღებას: ბერძნული წყაროების მონაცემებით, იოანეთორნიკემ, ივერიის (საქართველოს) მეფე დავითის კარისკაცმა და ბიზანტიელმა დიდებულმა, მიატოვა ყველაფერი და თავდაპირველად მაკედონიის ერთ-ერთ მონასტერში აღიკვეცა ბერად. შემდეგ ის ოლიმპოზე (ძველქართულად ულუმბოზე) წავიდა და ბოლოს ათონზე, ლავრის შემოგარენის უდაბურ ადგილას დამკვიდრდა, სადაც მას წმინდა ათანასეს გაცნობის საშუალება მიეცა; ამ უკანასკნელმა თორნიკეს თავის სიახლოვეს დარჩენა შესთავაზა.

ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მეორემ კონსტანტინოპოლში მიიწვია უკვე აღკვეცილი თორნიკე და სთხოვა დახმარება სხვადასხვა ხასიათის დიპლომატიურსა და სამხედრო საკითხებში, განსაკუთრებით კი სტრატეგოს ბარდა სკლიაროსის ამბოხების ჩასახშობად. თორნიკე დაემორჩილა იმპერატორის თხოვნას, გაიხადა ბერის სამოსი და მეფე დავით კურაპალატთან ერთად სკლიაროსის წინააღმდეგ გაილაშქრა. მან წარმატებით გაართვა თავი ამ მისიას, შემდგომ კი კვლავ ათონზე დაბრუნდა, სადაც ამჟამინდელი მონასტრის მშენებლობას ან, შესაძლოა, უკვე არსებული კლიმენტოსის ლავრის გაფართოებას შეუდგა. ეს საქმე იმპერატორის უხვი შემონირულობებისა და სკლიაროსის დამარცხების შედეგად მოპოვებული აურაცხელი ალაფის წყალობით აღსრულდა.

როგორც ვხედავთ, ეს ბერძნული მონაცემები ქართულ საისტორიო მონაცემებს ძირითად ნაწილში ემთხვევა, ოღონდ თორნიკე ერისთავი ბიზანტიელ დიდებულადაა მოხსენიებული...

კ. ჯ. – ქართველთა მიერ ბიზანტი-

ისთვის განვდილ დახმარების ხელსა და გალაშქრებას ბარდა სკლიაროსის ურდოების წინააღმდეგ ჰქონდა ზოგადცივილიზაციური და, ამავე დროს, საკუთრივ ქართული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. როგორც უკვე ითქვა, სკლიაროსი საფრთხეს უქმნიდა არა მარტო მმართველ დინასტიას, არამედ მთელ ქრისტიანულ ცივილიზაციას მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში. ამას უზურპატორის არმიის რელიგიურ-ეთნიკური შემადგენლობა, ომის წარმოების ბარბაროსული მეთოდები და ვანდალური ქმედებები გვაფიქრებინებს. ეჭვგარეშეა, რომ სკლიაროსისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება მხოლოდ დეგრადაციას, ფასეულობათა ნიველირებასა და სისხლიან ქაოსს მოიტანდა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და საქართველოსაც ეს კარგს არაფერს უქადდა.

978 წელს დადგა კრიტიკული მომენტი, როდესაც ბიზანტიის იმპერიას მთელ მახლობელ აღმოსავლეთში დარჩა მხოლოდ ერთი პოტენციური მოკავშირე – ტაოს სამთავრო და მისი გამგებელი დავით კურაპალატი თავისი სამხედრო ძალითა და ერთადერთი სახელოვანი მხედართმთავრით, თორნიკე ერისთავით, ვისაც სკლიაროსისგან ჯერაც არ ეწვინია დამარცხება. ახლა ამ ორი კაცის არჩევანზე იყო დამოკიდებული ისტორიის შემდგომი მსვლელობა და გეზი. საბედნიეროდ, მათ ცივილიზებული სამყაროსა და ერთიანი ქართული სამეფოს სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი.

979 წელს ანატოლიაში, მდინარე ლალისთან ქართველთა და ბერძენთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გენერალურ ბრძოლაში სკლიაროსის ურდოები სასტიკად დაამარცხა. დაჭრილი სკლიაროსი ბრძოლის ველიდან გაიქცა. ბერძნულ ჯარს იმპერატორ ნიკიფორეს ძმისშვილი, ბარდა ფოკა სარდლობდა, ტაოს მხედრობას კი – ათონის მთიდან სპეციალური მისიით ჩამოსული ბერი

იოანე-თორნიკე (ერისთავი). გადარჩა ბიზანტია, მთლიანად აღმოსავლეთ ქრისტიანული ცივილიზაცია, მაგრამ, გარდა ყველაფრისა, ამ გამარჯვებამ გზა გაუხსნა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, რასაც სხვა შემთხვევაში ბიზანტია არაფრით არ დაუშვებდა. ჩვენს წინაპრებს გაუჩნდათ შანსი და მათ ეს შანსი ბრწყინვალედ გამოიყენეს. ღალისის ომს 5000 ქართველი მხედარი შეეწირა. ეს ის საფასური იყო, რომელიც ქართველებმა ცივილიზაციური მომავლის, სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის გადაიხადეს...

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ სვინგელოზის საპატიო რანგში აყვანილი ბერი იოანე-თორნიკე მშობლიური ტაოდან ათონის მყუდრო ნავსაყუდეღში დაბრუნდა. მისმა უდიდესმა ღვანლმა აღმოსავლეთ რომის იმპერიის წინაშე კიდევ ერთი შედეგი მოიტანა: ათონის მთაზე ქართული სულიერებისა და მწიგნობრობის მძლავრი ცენტრის, ივერონის მონასტრის აშენების უფლება.

ეს ის მონასტერია, საიდანაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე საზრდოობდა ქართული კულტურა, ფილოსოფიური, რელიგიური და სახელმწიფო აზროვნება; განუზომელია ივერონის წმინდა სავანეში მოღვაწე დიდი მამების ღვანლი ქართული სალიტერატურო ენისა და ზოგადად, განათლების წინაშე.

როგორია ქართველ სასულიერო პირთა როლი ათონის მთის სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბების ისტორიაში?

გ. ა. – ამ საკითხზე სამსჯელოდ, ალბათ, ისევ ბერძნული წყაროდან ციტატის მოყვანა გამოდგება: წმ. ათანასე დიდი, ათონზე სამონასტრო მშენებლობის საფუძვლის ჩამყრელი, თავის „წყალობის სიგელსა“ და „ანდერძში“ წერს, რომ იგი რჩეულ მამებთან შეთანხმებით იოანე ქართველს ტოვებდა ბერძენთა ლავრის ეპიტროპად (მზრუნველად): „იოანე მიღებული იყო მეფეთა კარზე (როგორც ბიზანტიის, ასევე ქართველთა), მას პატივით ეპყ-



რობოდნენ, რადგან ახსოვდათ ბრწყინვალე მეფეთაგან მისი დიდი სათნოების დაფასება, ამიტომ ასრულებდნენ მის სათხოვარს და წყალობდნენ ჩვენს მონასტერს... მსურს, ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მან ისევე ჩვენთან ერთად წინანდებურად იცხოვროს აქ, როგორც აქაური ძმობის მფარველმა და წინამძღოლმა... ხოლო სიკვდილის წინ, მანაც ისევე, როგორც მე, ეპიტროპად დატოვოს სულიერი მემკვიდრე უფალი ეფთვიმე – თავისი

მოიგეთ სასოება, სიყვარული, სიმდაბლეთა, სულგრძელობა, მოთმინება, სახიერება; შეიტკბეთ გლახაკთ-მონყალებად, სტუმართ-მოყვარეობად და უცხოთა შეიწყნარებდით და განუსვენებდით...”

კ. ჯ. – ათონის მთის მონასტრებისა და წმინდა სავანეების დღევანდელი ცხოვრების წესი, მონყობა და მართვა მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ათი საუკუნის წინ ათანასე დიდის ინიციატივითა და ტიტანური ძალისხმევით



შვილი სულითაც და ხორციითაც“.

ამასთანავე, გავიხსენებდი დიდი ქართული მოაზროვნისა და თეოლოგის, პეტრე იბერის (V ს.) შეგონებას, ანდერძად რომ უღერს ნებისმიერი ეროვნების ჭეშმარიტი ღვთისმოსავისთვის და ყველაზე ზედმინვნით სწორედ ჩვენი თანამემამულე სასულიერო პირები ასრულებენ: „შვილნო და ძმანო და საყვარელნო ქრისტეს ღმრთისანო! ყოვლისა პირველად დაიცევით წმიდა და მართალნი სარწმუნოებაჲ წმიდისა სამებისაჲ, და

შედგენილ პირველ ტიპიკონს, რომელიც 968 წელს სამეფო ქრიზობულით დაამტკიცა იმპერატორმა იოანე ციმისხოსმა.

ამ ტიპიკონმა ზღვარი დაუდო უთანხმოებას განცალკევებული, მღუმარე მონესეობის მომხრე ისიქასტებსა და სამონასტრო თანაცხოვრების მიმდევარ ბერებს შორის. რომ არა ათანასე და მის მიერ დაარსებული დიდი ლავრა, ათონი დარჩებოდა ტყეებსა და გამოქვაბულებში გაბნეულ წმინდა მამათა

მდუმარე სამყოფელად. სწორედ ლავრა გახდა ათონის მთაზე პირველი, სრულყოფილი მაგალითი სულიერი მოღვაწეობის გზაზე შემდგარი ასკეტების თანაცხოვრებისა, როდესაც ერთად ყოფნა ღმერთთან ყოფნის ხელშემშლელი კი არ არის, არამედ, პირიქით, ადამიანს ეხმარება შედარებით ადვილად გადაიტანოს შინაგანი ბრძოლები და მორჩილებით დაძლიოს სულიერი აღმასვლის რთული საფეხურები.

იმ პირველი დიდი აღმშენებლობისა და წესისგების სათავეებთან ათანასეს მხარში გამორჩეული ადამიანი ედგა – იოანე-ვარაზვაჩე ჩორდვანელი, ქართველი ბერი, წარჩინებული ფეოდალური გვარის ჩამომავალი ტაოდან. ამ დიდებული მოღვაწეების გზები უცნაურად გადააჯაჭვა განგებამ. სულ მალე დიდი ლავრა გახდა არაერთი ქართველი მონესის, პირველ რიგში კი იოანე ივერისა და მისი ვაჟის, ეფთვიმე მთანმინდელის სულიერი თავშესაფარი და ნავსაყუდელი.

ცოტა ხანში ქართველ მონესეთა თემს უერთდება ბერი იოანე-თორნიკე, იოანე ივერისა და ეფთვიმეს ახლო ნათესავი, ჩორდვანელი... ერისკაცობაში თორნიკე ერისთავის სახელით ცნობილმა, სახელგანთქმულმა მხედართმთავარმა ამქვეყნიურ დიდებას იოანე ივერთან, ეფთვიმესა და სხვა ქართველ ბერებთან ერთად ათანასეს ლავრაში განმარტოება და სულიერ სრულყოფაზე ზრუნვა არჩია.

ბერული თანაცხოვრების პრინციპები, რითაც დიდი ლავრის მონესეები ხელმძღვანელობდნენ, სწრაფად გავრცელდა

ათონის სხვა მონასტრებში. იქ, დიდ ლავრაში ქართველთა მონაწილეობით შემუშავდა და განისაზღვრა ლოცვის, ფიზიკური და გონებრივი შრომისათვის გამოყოფილი დროის თანაფარდობა, ტრაპეზისა და მარხვის საერთო ნორმები ყველა ათონელი მონესისათვის, ღვთისმსახურების საყოველთაოდ დადგენილი რიტუალები და მონასტრის წინამძღოლთა არჩევის წესები.

მალე მონასტრის ქართული თემი იმდენად გამრავლდა, რომ ათანასეს კურთხევით, ისინი ცალკე გავიდნენ და ლავრის მახლობლად იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მონასტრიდან გამოიხმეს ბერად შემდგარი თორნიკე ბარდა სკლიაროსის დასამარცხებლად. ლალისთან გამარჯვების შემდგომ თორნიკეს, იოანე იბერისა და ეფთვიმეს მიერ დაარსებულ ივერონის ქართულ ლავრას ათონის მონასტრების იერარქიაში დღემდე მესამე ადგილი უჭირავს, ათანასეს ლავრისა და ვათოპედის შემდეგ.

ივერთა ღვთისმშობლის ხატის გამოჩენა ივერონის სანაპიროსთან და ქართველი ბერის, გაბრიელის ხელით მისი სასწაულებრივი გამობრძანება ზღვიდან არა მარტო ქართველთა, არამედ ათონის ყველა მონესისათვის უდიდეს ღვთიურ მადლად ითვლება და ამ დღეს მთელი ათონი და მასთან ერთად მთელი მართლმადიდებლური სამყარო განსაკუთრებული პატივითა და სიხარულით აღნიშნავს.

მიხეილ ჯავახიშვილი ნუხდა „არსენა მარაბდელში“: „რუსეთი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვგონია – რუსეთი სიკეთეს გვიშვრება“. დადგა დრო, უშუალოდ დაფუკავშირდეთ იმ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეს, რომელიც დასაბამიდანვე ახლობელი იყო ჩვენთვის და, რომლის წინაშეც, როგორც ამ საუბრიდანაც გამოიკვეთა, საქართველოსა და ქართველებსაც მიუძღვით დამსახურება.



ლალი ავალიანი

პაოლო იაშვილის ფენომენი

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი!“ მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი, ტვინი ვერანი!

პაოლო იაშვილი – პოეტი-ნოვატორი, ცისფერყანწელთა ძმობის „გვირგვინი და მშვენება“, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული, ახოვანი, ლამაზი, იშვიათი მჭევრმეტყველი, კონფერანსიე, თამადა, მონადირე; საჭიროებისას – იარაღით ხელში დამოუკიდებელი საქართველოს დამცველი, სხვა შემთხვევაში კვლავ თოფმომარჯვებული, შიშით გათანგულ, მე-11 არმიის მომლოდინე თბილისის წესრიგისათვის, მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად შემართული; მშვენიერ ქალთა მოტრფიალე და უნაზესი მამა და მეგობარი, „ცისფერი ძმებისა“ და მათ ახლობელთა უღალატო ავთანდილი, შემწყნარებელი და ჩხუბისთავი, ამაყი და თავმდაბალი, არტისტი და მისტიფიკაციების დიდოსტატი, ყველას – უბრალოსა და ბრალიანის, ბრუნდისა და მართლის უანგარო შემწე და ხელის გამმართველი; ორდენოსანი და ამიერკავკასიის ცაკის წევრი, გაშინაურებული „ამა ქვეყნის ძლიერებთან“, ყველა მთხოვნელის და თბილისისა თუ პარიზის მათხოვრების დამხმარე და გულშემატ-

კივარი; სიცოცხლით სავსე და სავსე სიცოცხლის მწყურვალი, მარტოობის სევდით, უეცარი კაემნით შეპყრობილი და სამსხვერპლო მოზვერს მინამგვანი... და ვაჟკაცი, ნამდვილი ვაჟკაცი სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც...

„ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“, – დაწერა და შეასრულა კიდეც დანაქადნები.

სიტყვა რომ დავუთმოთ მის თანამედროვეთ, წარმოგვიდგება „ლამაზი, შავგვრემანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული, რიხიანი, ალერსიანი“, „Бронзово-твердый и все же сердечный“, „სულით მეამბოხე და გულგაშლილი“ პოეტი, „მუდამ მოზეიმე სიცოცხლით სავსე, სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი ყველასათვის“.

„დაბადებით მეთაური იყო და ამ მეთაურობას ის კი არ ეძებდა, „მეთაურობა“ მასთან თავად მიდიოდა“.

„ნიჭიერი პოეტი, ღმერთების საყვარელი, მეფე და მათხოვარი, მარადი ჭაბუკი, შვილი მზისა“...

„Большой человек, с кругозором широким, с культурой чувств, сквозь которую видится статья отчеканенной“

выдержки... В нем поэт и общественный деятель слиты“.

პაოლო „სიტყვით როდი იყო პატრიოტი!“ „Трудно... найти поэтов, которые так бы любили свою родину, как они“(იგულისხმებიან პაოლო და ტიცინი).

კაცთმოყვარე, გულითადი და ალერსიანი, გულდია და გულუხვი – ასეთი იყო პაოლო იაშვილი: „ადამიანებისადმი სიყვარულში მან არ იცოდა ზომა: დაივიწყებდა თავის თავს,... ოღონდ განსაცდელსა და გაჭირვებაში მყოფთათვის ხელი გაეწვდინა“.

„ნაღმიანი სიტყვის პოეტს“ თან სდევდა „უცნაური პოეტური ატმოსფერო“; „Когда я думаю о Яшвили, городские положения приходят в голову, комнаты, споры, общественные выступления, искрометное красноречие Яшвили на ночных многолюдных пирушках.“

...Одаренность сквозила из него. Огнем души светились его глаза“... „მის ტალანტს ყოველთვის უხაროდა ახალი პოეტური ნიჭის გამოჩენა და მასთან ახლო კავშირის დამყარებაც იცოდა“. როცა პაოლო იაშვილი თანატოლ პოეტებში გაერეოდა, „ახალგაზრდული დაუდგრომელი ენერგია ამოძრავდებოდა და კალაპოტში დგებოდა“. შემდეგში „რალაც მამობრივ მზრუნველობას „იჩენდა ახალგაზრდა პოეტებისადმი.“

„არავის ის არ დახმარებია მისი დიდი სახელისათვის ან რაიმე სამაგიეროს გადახდის მოლოდინით“.

პაოლოს „რატომღაც უყვარდა ჭკუაშერეკილებთან და მათხოვრებთან საუბარი. ... სევდა რალაც მოუხელავზე მისთვის უცხო როდი იყო“. ხიბლავდა არტისტული პოზა, მრავალი ნიღაბიც მოისინჯა ნიღაბთა თეატრის მსახიობის მსგავსად, ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა, რომ მოხუცება არ ეწერა. “ Жаром испытанного было обожжено... его лицо, так что он казался старше своих лет, человеком потрепанным, пожившим“.

პოეტის თანამედროვე-

ბის: ირაკლი აბაშიძის, შალვა აფხაიძის, გიორგი გამყრელიძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, ნინო ტაბიძის, ანდრეი ბელის, ილია ერენბურგის, ბორის პასტერნაკის მოგონებათა ზემომოყვანილი ფრაგმენტებიც კი გვაფიქრებინებს, რომ პაოლო იაშვილის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ პოეტთან – ლიდერთან, არამედ ფრიად საინტერესო პიროვნებასთან, განსაკუთრებული ინტიმურ-საზოგადოებრივი პროფილით. წარმოდგენილი ავტორები – ბრწყინვალე ქართველი და უცხოელი მწერლები პოეტის მეგობრები და მისი შემოქმედების ჩინებული მცოდნენი იყვნენ. ამიტომაც ახლავს მათ მოგონებებს განუმეორებელი ინტიმიცა და მხატვრული ხიბლიც.

მოგონებები ძირითადად 60-იანი წლების დასაწყისში, ე.წ. „გამოდარების“ წლებში გამოქვეყნდა, მაგრამ დღეს, ფასეულობათა გადაფასების ფაშს, მაინც გასათვალისწინებელია იმდროინდელი მკაცრი ცენზურა. ფაქტებისა და მოვლენების გარკვეული „შელამაზების“ გარეშე, ეგების ეს მოგონებები თავის დროზე არც კი დაბეჭდილიყო.

ახალგაზრდა მკითხველს უთუოდ ეხამუშება, რომ მემუარისტთა ერთი ნაწილი – დახვეწილი გემოვნების პოეტები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პაოლოს ვითომდა შემოქმედებითი აღმავლობის მანიშნებელ ე.წ. „აღმშენებლობით“ ლექსებს, სწორედ ისეთებს, მიუხედავად პოეტის სინოფელიისა, მხატვრული სრულყოფილებით რომ ვერ დაიკვებინან. ესეც, რა თქმა უნდა, სავალალო იდეოლოგიური ხარკია.

მოგონებათა ავტორები, რასაკვირველია, იზიარებენ ლათინურ შეგონებას – „მიცვალებულზე ან არ იუბნო ან მხოლოდ კარგი უნდა თქვა“, – მით უმეტეს, როცა საქმე 1937 წლის სულიერად უზომოდ გვემულ იმ ერთადერთ ზვარაკს ეხება, რომელმაც თავი მოიკლა.

ცისფერყანწელებს არც სარბიელზე გამოსვლისთანავე აკლდათ მგმობელები და მოშურნეები, არც 20-30-იან წლებში, როცა მათ უკვე „პოლიტიკურ-ფორმალისტური“ ნიშნით გავეშებით ესხმოდნენ თავს; რეაბილიტაციის შემდგომაც „ნითელი პროფესურა“, თავის დროზე სისხლი რომ გაუშრო დიდ მწერლებს, აუგად მოიხსენიებდა მათ იდეური „შეცდომებისა“ და „გადაცდომების“ გამო. ჯოხი ძირითადად პაოლოსა და ტიცციანზე ტყდებოდა.

პაოლოს პიროვნების წარმოდგენა შესაძლებელია „ქრესტომათიული პენის“ გარეშეც: იყო ფიცხი, ფეთქებადი, უყვარდა ნაცნობთა მისტიფიცირება, გამასხრება (ამაზე მისი ენამწარე ექსპრომტებიც მეტყველებს). სერგო კლდიაშვილი გადმოგვცემს, როგორ დაიფრინა პაოლომ სახლიდან პოეტი გიონ საგანელი, როცა მან ეიფორიულ საუბარში ილიას გაუტოლა თავი: – ნადი და სანამ რაჭაზე დაწერილ ლექსს არ მომიტან, არ დამენახოო... არადა, ეს ის დროა, როცა ცისფერყანწელები საყვედურობდნენ ილიას „უტილიტა-



რიზმისა“ თუ „ბრუნდე“ ლექსების გამო.

პაოლოს თავდაპირველი ნაცნობობა გიონ საგანელთან ერთ კურობზულ ამბავს უკავშირდება: თბილისში გადმოსახლებულ ცისფერყანწელთა მოთავის ნაქირავებ დიდ ოთახში კარი არასდროს იკეტებოდა; სახლში დაბრუნებულ პოეტს ხშირად ხვდებოდნენ უკვე ჩაძინებული უბინაო ნაცნობები დასავლეთ საქართველოდან. ერთხელაც პაოლოს მისი სანოლი დაკავებული დახვდა: იქ ბავშვივით პატარა უცნობი მოკალათებულიყო. მასპინძელმა არ გააღვიძა იგი და იატაკზე დაიძინა. მეორე დღეს გაირკვა უცნობის ვინაობა, – იგი რაჭიდან ახლად ჩამოსული პოეტი (ტანმორჩილი, თითქმის ჯუჯა) გიონ საგანელი იყო. ცისფერყანწელებმა დაიახლოვეს ახალგააცნობილი ექსცენტრული პოეტი. შემდეგში უბედურ დღეზე გაჩენილი ახალგაზრდა გიონ საგანელი ოპიუმის მსხვერპლი შეიქმნა, რამაც დიდად დაამწუხრა ცისფერყანწელები; დღემდე უცნობია, თავი მოინამლა თუ ნარკოტიკის გადამეტებულ დოზას შეენირა.

პაოლოს, არცთუ იშვიათად, მუშტით მოუპოვებია „პირველობა“ პოეზიაში, მაგალითად, ტერენტი გრანელთან. ამ უკანასკნელის მეგობარ პოეტთა მემუარებში გამოთქმულია საყვედური, რომ ყანწელებმა ვერ „უპატრონეს“ მას, ტერენტის სურვილის მიუხედავად არ მისცეს საშუალება დაახლოებოდა თბილისში მყოფ სერგეი ესენინს. მეორე მხრით, იმასაც აღნიშნავენ, რომ სუსხიან ზამთარში ბლუზით შემოსილი პოეტი პაოლომ ძალით წაიყვანა მწერალთა კავშირში პალტოს ორდერის მოსაპოვებლად, დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ თავისას მიაღწია და თბილი პალტოთი შემოსა გრანელი. რამდენიმე დღეში პოეტი კვლავ ბლუზის ამარა ნახეს, კაცმა არ იცის სიმწრით მოპოვებული პალტოს ბედი.

„თუ პაოლო მშიერისა და სუსტის

დამხმარე იყო, და მასთან თავმდაბალი, სამაგიეროდ ამაყთან, ღონიერთან და ამპარტავანთან, დაუთმოები და შეუპოვარი. თანაც ღვთის მადლით, არც ჯან-ღონე აკლდა და არც გულადობა. არ უყვარდა ვინმეს მიერ ტრაბახი და ტყუილები და თავის დაჩაგვრისა და შეურაცყოფის ცდას არ შეარჩენდა. ამ მხრივ ის ხშირად თავის მეგობრებსაც უწევდა ხოლმე სამსახურს, თუ ისინი მართალნი იყვნენ“ (გიორგი გამყრელიძე).

როცა ოდიოზურმა, საეჭვოდ ნაყოფიერმა (გრაფომანმა?), ლამის განდიდების მანიით შეპყრობილმა პოეტმა ევგენ დვალმა („მე ვარ დიდი ევგენ დვალი, მთელი ქვეყნის სარკე თვალი. მთელ სამყაროს შუა გაკვეთთ თუ ვიშიშვლე ერთი ხმალი“), ამასთან შფოთისთავმა რაჭველმა გოლიათმა ერთ ლექსში უშვერად გამოლანძღა ცისფერყანწელები, ხოლო გრიგოლ რობაქიძეს „ბანრით დასაბამი გიჟი“ უწოდა, პაოლომ ვერ მოითმინა მაესტროს შეურაცხყოფა და ალექსანდრეს ბაღში დაუნიშნა „დეული“, რა თქმა უნდა, ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე. შეღამებულზე იქ მისულ პაოლოს მოულოდნელი სურათი დახვდა: უგონოდ მთვრალ დვალს ბებუთიანი ხულიგნები უპირებდნენ გაძარცვას, ვინ იცის, შემოკვდომოდათ კიდევ, რადგან ევგენი თავგამეტებით, თუმც უშედეგოდ იცავდა თავს. პაოლომ სულზე მიუსწრო და დვალისათვის გამზადებული მუშტები ქურდებს დაუშინა. მოულოდნელი დახმარებით იმედმოცემული დვალიც გამოცოცხლდა, მანაც გამოიღო ხელი და ექვსი თავდამსხმელი მალევე გააქციეს. მადლიერმა ევგენ დვალმა „განსაკუთრებული ბოდიში“ მოუხადა გრიგოლ რობაქიძეს.

პაოლოს სიცოცხლეშიც არ აკლდა „ლიტერატურული“ თუ სხვა ჯურის მტრები (ზოგიერთი გარენარი სწორედ მისი თვითმკვლელობის შემდეგ გააქტიურდა); გასაოცარი უფრო ის არის, რომ კერძოდ პაოლოსა და ზოგადად ცისფერ-

ყანწელთა მიმართ ნაირ-ნაირი ინსინუაციები და უსაფუძვლო ბოროტი ბრალდებები (რაც გარდა ბანალური უმეცრებისა, თავის გამოჩენისა თუ ბოლმის გადმონთხევის სურვილითაა ნაკარნახევი) დღესაც გრძელდება. ამ სამარცხვინო ფენომენის ტირაჟირება კი „ყვითელ“ მედიას მხოლოდ ხელს აძლევს.

ისევე პაოლოს ტაეპს მოვიხმობ: „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი“...

●
პაოლო იაშვილს უღრუბლო და ბედნიერი ბავშვობა არგუნა ბედმა. დაიბადა ზემო იმერეთის სოფელ არგვეთში (ახლანდელი საჩხერის რაიონი), შეძლებული აზნაურის ჯიბრაილ იაშვილისა და ბაბილინა მდივნის მრავალშვილიან ოჯახში. 1892 წლის 2 (ახალი სტილით 15) აგვისტოს. ისევე, როგორც მისი თაობის ბევრ მწერალს, მასაც გადაკეთებული ჰქონდა დაბადების თარიღი (საბუთებში ხან 1894, ხან 1895 იყო მითითებული), ალბათ, პრაგმატული მოსაზრებით, – ჯარში სამსახურის ასაცილებლად ან სხვა მიზეზით. არგვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ნათლობის ჩანაწერი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

პაოლო რვა და-ძმას შორის მეხუთე შვილი იყო. მამამისს, პროვიზორ ჯიბრაილს, ჰქონდა აფთიაქები ქიათურასა და ქუთაისში, მონაწილეობდა ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იყო დევივით ვაჟკაცი, გულუხვი მასპინძელი და უებრო თამადა. როგორც ჩანს, პაოლოს მისგან ერგო ახოვანება, წარმოსადეგობა და ენამჭევრობა. ბავშვობაში სუსტი ყოფილა და განსაკუთრებულად ზრუნავდნენ მასზე. მისი გამზრდელი ივლიტე დავაძე იგონებდა: „ძალიან მიყვარდა ჯიბოს ოჯახი... პაოლო მყავდა ამორჩეული... ძალიან უყვარდა არგვეთი, ხშირად მეტყოდა: ავაყვავებ არგვეთს, ჩემო ივლიტეო. არგვეთის სიყვარული პოეტს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა: მის პოეზიაში მშობლი-

ური კუთხე იდილიურად და სულიერი სიმშვიდის ნავსაყუდელად არის აღქმული („ნასაყდრის გალავნიდან“, 1922; „არგვეთის ღამეები“, 1926; „ორი ნამღევა“, 1933; „ზემოური რთველი“, 1934); ლექსები არგვეთშია დაწერილი, მათში პაოლოს მოდერნისტული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული მსოფლალქმისა და ურბანისტულ განწყობილებათა ნიშანწყალიც კი არ არის.

8 წლის პაოლო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. სწავლა რუსულ ენაზე იყო, რეჟიმიც შესაბამისი – შოვინისტური, ანტიქართული. ეკრძალებოდათ არამცთუ დემონსტრაციაში მონაწილეობა, არამედ ქართულ თეატრში და სალიტერატურო საღამოებზე სიარული. პაოლო გიმნაზიაშივე დაუმეგობრდა ტიციანს და სხვა მომავალ „ცისფერყანწლებს“, მათთან ერთად მალულად ესწრებოდა სპექტაკლებს, გრიგოლ რობაქიძის გახმაურებულ ლექციებს და ბანქოს სათამაშო ადგილებსაც კი. ცნობილია აზარტული აკაკის მუდმივი „უფუფლენცია“ და ისიც, როგორ გაიკრა ხელი ჯიბეზე გიმნაზისტმა პაოლომ, რათა წაგებულ პოეტისათვის მიეცა თამაშის გაგრძელების საშუალება. ამ დროს, როგორც ჩანს, მამამისსაც უჭირდა, რადგან სწავლის ქირის გადახდამდე ვაჟი ორჯერ გაურიცხეს გიმნაზიიდან.

ლიდერის თვისებები, ორგანიზატორული ნიჭი და პოეზიის სიყვარული პაოლომ სასწავლებელშივე გაამჟღავნა, როცა 1911 წელს გიმნაზიის ჟურნალის „Стрелы Колхиды“ რედაქტორად და იქ გამოქვეყნებული რუსული ლექსის „Завет Прометей“ ავტორად მოგვევლინა. გაზეთმა „კოლხიდამ“ დაუზოგავად გააკრიტიკა „ახალ-ახალი გამოჩეკილი მოპარუსკეები“, რომელთა შორის „პოლიკო“ იშვილსაც ასახელებდა (1911, № 41): ამით გაბათილდა ზოგი მემუარისტის აზრი, თითქოს პაოლომ მოგვიანებით შეიცვალა სახელი. პოეტის პირველი ქართული ლექსი „ღმერთო, ღმერთო“... იმავე წელს

„კოლხიდაში“ გამოქვეყნდა (№ 49).

პაოლოს, თავისი მემამბოხე და დაუდგრომელი ხასიათით, გიმნაზიიდან გარიცხვა ელოდა, – 1911 წელს დემონსტრაციაში მონაწილეობისა და რუსული ენის მასწავლებელთან კონფლიქტის გამო. იგი იძულებული გახდა ანაპაში, შეპეტოვის კერძო გიმნაზიაში დაესრულებინა სწავლა.

1912-13 წლებში ანაპიდან დაბრუნებული პაოლო მხოლოდ პოეზიაზე ფიქრობს: ემზადება ჟურნალ „ოქროს ვერძის“ გამოსაცემად, გაზეთ „კოლხიდაში“ კვლავ აქვეყნებს ლექსებს, 1913 წლის გაზაფხულზევე, რუსეთის „ახალი პოეზიის“ ერთ-ერთი ქურუმის ფიოდორ სოლოგუბისა და კუბო-ფუტურისტ იგორ სევერიანინის საღამოს ესწრება, ჩვეული სითამამით იოლად უახლოვდება მათ, „კოლხიდაშივე“ სტამბავს ვრცელ სტატიას სოლოგუბის ლექციაზე, მასთან ინტერვიუს; იგორ სევერიანინს „ოქროს ვერძისათვის“ ლექსს სთხოვს, რომლის საკუთარ თარგმანს ჟურნალის მეორე ნომერში ბეჭდავს.

ამ საღამოს ტიციანი და სერგო კლდიაშვილიც ესწრებიან; გიმნაზიის მესვეურთა შიშით, ქანდარაზე არიან შეყუჟულნი; დიდი ერუდიტი ტიციანი სოლოგუბს „Чёртовы качели“-ს წაკითხვას სთხოვს, რუსი სიმბოლისტი სიამოვნებით უსრულებს თხოვნას.

1911-13 წლებში „ოქროს ვერძი“ იყო ერთადერთი „წმინდა სალიტერატურო და ხელოვნების“ ჟურნალი, რაზეც მიუთითებდა პაოლო ვაჟა-ფშაველასადმი მიწერილ ბარათში. ჩვენამდე მოღწეულია ვაჟასადმი გაგზავნილი ორი წერილი, რომელშიც რედაქტორი ვაჟას, ბაჩანასა და თედოს თანამშრომლობისათვის ინვევდა.

ჟურნალის დამფინანსებელი ჯიბრაილი გახლდათ, ჟურნალის რედაქციაც მის სახლში იყო მოთავსებული. პაოლო, რომელიც მამას გულს ურწყებდა, – შენს შვილებში სამსხვერპლო მოზვერს

ვგავარო, დიდხანს სარგებლობდა მისი დახმარებით: უკვე მოწიფული ვაჟკაცი – ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბით ვცხოვრობო, – ამბობდა მეგობართა წრეში.

პაოლო – რედაქტორი, „ოქროს ვერძში“ ავლენს როგორც უღრმეს პატრიოტიზმს, ასევე დასავლური „ახალი პოეზიის“ ნოვაციათა ათვისებისაკენ სწრაფვას. ამის დასტურია ლ. ანდრეევის, ი. სევერიანინის, დე ლილ ადანის თხზულებათა თარგმანები, ცნობები დ'ანუნციოს, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ი. ბალტრუშაიტისის შესახებ და, რაც მთავარია, იგი წარმოგვიდგენს ახალ თაობას, რომელიც სულ მალე ქართულ მწერლობას დაამშვენებს (გალაკტიონი, ტიციანი, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი და სხვ.); ყურნალს პატივი დასდეს ნიკო ლორთქიფანიძემ და გრიგოლ რობაქიძემ.

სტატიისში „ბარათები „ოქროს ვერძს“ გრ. რობაქიძე ყურნალს გადაჭარბებულ შეფასებას არ აძლევდა („არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონმა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს“...), თუმცადა, ქართული პერიოდიკის იმჟამინდელი სიდეუსეობის პირობებში მაინც ღირსსაცნობ მოვლენად მიაჩნდა. საინტერესოა, რომ „ბარათებში“ პირველად გაიჟღერა საქართველოს რენესანსის იდეამ, რამაც შემდეგში საფუძვლიანი განვითარება პოვა ავტორის ცნობილ წერილში „ქართული რენესანსი“ (1917, გაზ. „საქართველო“).

„ოქროს ვერძის“ მხოლოდ 5 ნომრის (19 მაისი – 30 ივნისი) გამოცემა მოხერხდა, მიზეზი უსახსრობა იყო. რედაქტორმა ხელის მომწერებს პირნათლად აუნაზღაურა ზარალი, განცხადებითაც ამცნო: „მქონდა სურვილი გამომცემლობის განახლებისა, მაგრამ პირადი საჭიროების გამო ევროპისაკენ მიხდება გამგზავრება ხანგრძლივი ვადით“. „პირადი საჭიროება“ კი ერთობ სასიხარულო იყო; 1913 წლის მეორე ნახევარში პაოლო

პარიზში გაემგზავრა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში სასწავლებლად (იგი კარგად ხატავდა, თუმცა, დაუდევრობისა თუ 1937 წელს მისი პირადი არქივის განადგურების გამო მხოლოდ რამდენიმე ჩანახატი შემოგვრჩა).

გაივლის სამიოდე წელი და პაოლო განაცხადებს: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“...

პოეტის პარიზულ პერიოდზე მეტად ძუნწი ცნობები მოგვეპოვება: ერთი რამ ნათელია, პოეტი ოფიციალურ სწავლებას ნაკლებად დაგიდევთ, იგი კვლავ თავის საყვარელ სფეროში ტრიალებს. ეცნობა სხვადასხვა ეროვნების მხატვრებს და პოეტებს, ღრუბელივით იწოვს იქაურ გარემოს, მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის სიტკბოთი და შხამით იჟლინდება.

პაოლო ცხოვრობდა ლათინურ უბანში: მის ფიქრთა მფლობელი ბოდლერი, ვერლენი, რემბო და ვერჰარნი შეიქმნენ. იგი დაუახლოვდა უცხოელ მხატვრებსა და პოეტებს, რადგან ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა (გერონტი ქიქოძე).

ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“ აღწერილია კაფე „როტონდაში“ გატარებული პოეტის უკანასკნელი ღამე აპოლინერთან და ერენბურგთან, მექსიკელ მხატვარ რიბერასა და რუს მხატვარ ქალ მარვენასთან ერთად. მათ გარდა „როტონდის“ ხშირი სტუმრები იყვნენ პოეტები ბლენ სანდრარი და ჟან კოკტო, მხატვრები – ვლამინკი, ლეჟე, პიკასო, მოდილიანი, შაგალი და სხვ. სწორედ „როტონდაში“ ეზიარა ახალგაზრდა პოეტი ბოჰემურ ცხოვრებას, რომელიც მან შემდეგში, შ. აფხაიდის თქმით, „ესთეტიკურ ფენომენამდე“ აიყვანა.

„С Паоло Яшвили я познакомился в Париже, в «Ротонде»; было это в 1914 году. Паоло тогда был худым и порывистым юношей. Он расспрашивал меня: «А в каком кафе сидел Верлен? Когда сюда

придет Пикассо? Правда, что вы пишете в кафе? Я не мог бы, посмотрите, как они целуются! Возмутительно! Это меня через-чур вдохновляет“ (ილია ერენბურგი).

კოლორიტული სამხრეთელი ჭაბუკი გამოურჩევიან ფრანგ მწერალ ფრანსის კარკოს, რომლის მხატვრულ-დოკუმენტური რომანის „მონმარტრის მისადგომთან“ ერთ-ერთი გმირი უთუოდ პაოლო უნდა იყოს (სერგო კლდიაშვილი).

შემდეგში „ცისფერყანელთა“ გააფთრებული მონინააღმდეგენი პაოლოს დაცინვით „პარიზის კაფეების გმირს“ უწოდებდნენ. იმასაც უკიჟინებდნენ, – განა საკმარისია გიმნაზიიდან გამოგდებულია ყმანვილმა სამი თუ ოთხი თვით პარიზში ტროსკიტთ ხელში გაისეირნოს, რომ იქიდან უძირო და უსაზღვრო ცოდნა ჩამოიტანოსო?.. არადა, პარიზული კაფეები მაშინ ერთგვარი ლიტერატურული „უნივერსიტეტის“ ფუნქციითაც იყო ცნობილი. პარიზშივე ჩაისახა რუსი სიმბოლისტი პოეტის კონსტანტინე ბალმონტისა და პაოლო იაშვილის შემოქმედებითი მეგობრობა. 1914 წელს პაოლომ პარიზიდანვე მიაწვდინა ქართველ ხალხს სასიხარულო ცნობა ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის შესახებ (გაზ. „თემი“). იგი პარიზში მყოფ ბალმონტს ქართული ენის შესწავლაშიც ეხმარებოდა. „ბალმონტი ძალიან ნუხს, რომ ქართულის შესასწავლად ვერ იშოვა ვერავითარი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. „აქამდის ვაცოდვილებდით ჩუბინაშვილის ლექსიკონს – გვწერს პაოლო იაშვილი, მაგრამ თქვენც მიხვდებით რა უნდა გამოსულიყო აქედანო“ („თემი“). პარიზშივე თარგმნა მან ბალმონტის ლექსები.

დაიწყო მსოფლიო ომი და პოეტმა სამშობლოს მოაშურა, – ინგლისისა და სკანდინავიის გავლით. 1915 იანვარში პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია, დიდ ნიაღვარში მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“.

(„ევროპა“, 1922)

პაოლოს მოგზაურობის ერთ ეპიზოდს ბორის პასტერნაკი გადმოგვცემს: „На глухой норвежской станции Яшвили зазевался и не заметил, как ушел его поезд. Молодая норвежская чета, сельские хозяева, из глубины края на санях приехавшие на станции за почтой, видели ротозейство жгучего южанина и его последствия. Они пожалели Яшвили и, неизвестно как объяснившись с ним, увезли к себе на ферму до следующего поезда“.

ქუთაისში დაბრუნებული პოეტი კვლავ გატაცებულია ლიტერატურული თუ საზოგადო საქმიანობით. არ არის თითქმის არც ერთი მოვლენა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, რომელთან დაკავშირებით პრესა პაოლო იაშვილის სახელს არ იხსენიებდეს.

1915 წელს „უგვირგვინო მეფის“ აკაკის გარდაცვალება მთელმა საქართველომ იგლოვა. პაოლო აკაკის დამკრძალავი ქუთაისის კომიტეტის აქტიური წევრი იყო. გაზ. „სამშობლოში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი – „ცხედარი გამბრწყინებლისა“. აკაკის პანაშვიდზე საჩხერეში ქუთაისმა აკ. ფაღავა, გრ. ლალიძე და პ. იაშვილი მიაველინა. პაოლოს პანაშვიდზე სიტყვა წარმოუთქვამს.

აკაკის ნეშტი საჩხერიდან თბილისში გადაასვენეს საგანგებო მატარებლით, რომელიც პაოლოს დიდებულად მოურთავს თავისი მხატვრული ნიჭისა და გემოვნების შესაბამისად.

პაოლოსათვის აკაკი მუდამ იყო პოეზიის მშვენება. პარადოქსია, რომ შემდეგში, როცა „ცისფერყანელთა“ ნილაბი მოირგეს, პაოლოც და ტიცციანიც (რომელიც ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად ჯგუფის უპირველესი თეორეტიკოსი იყო), აკაკის უნიჭო ეპიგონების სიმრავლით გაბეზრებულნი, დროებით „დავინწყების ზღვაში გადაისვრიან“ მის პოეზიას (იხ. პაოლოს მანიფესტი „პირველთქმა“, ტიცციანის „ცისფერი ყანნებით“, 1916 წ.).

პარიზში პაოლომ აკადემიური გა-

ნათლების ნაცვლად, სიმბოლისტთა და ავანგარდისტთა მანიფესტების, პოეზიის, მათი პირადი ცხოვრების „ანატომიის“ ცოდნა შეიძინა, ხელოვანის თავისუფლებას ეზიარა; მემამბოხე სული კი მუდამ ჰქონდა. სწორედ ამ შთაბეჭდილებებით შეიქმნა პირველი ურბანისტული ლექსები ქართულ პოეზიაში „ფარშავანგები ქალაქში“ (1916) და „ევროპა“ (1922).

პაოლო უკან მოიჭოვებს „ლიტერატურული შეგირდობის“ ხანმოკლე პერიოდს, თვითდამკვიდრებასა და ნოვატორული პოეზიის პოპულარიზაციას შეუდგება; ცდილობს გადაუხვიოს გაკვალებულ გზას, მისცეს ლექსს ახლებური რიტმი და ხმიერება, როგორც განსხვავებული დეკლამაციის, ისე ბგერნერის მემკვიდრით; წერს სონეტს, ტრიოლეტს, თავისუფალ ლექსს; კითხულობს მოხსენებას ევროპაში მოგზაურობის თაობაზე, ქუთაისის საზოგადოებას აცნობს ბალმონტის ლექსთა საკუთარ თარგმანებს; 1915 წ. სანაქებო მასპინძლობას უწევს ქუთაისსა და თბილისში მეორედ ჩამოსულ ბალმონტს (შემდეგში მისი ორი ლექსის ფაქსიმილეს „ცისფერ ყანებში“ გამოაქვეყნებს). იგი მონანილეობს იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონის სალიტერატურო საღამოებში. მუდამ პრესის ყურადღების ცენტრშია: უმეტესად აკრიტიკებენ, იშვიათად კი აქებენ არტისტული მონაცემების გამო; „მომხსენებელს აქვს მშვენიერი ხმა, ლაპარაკობს ლამაზად და თავისუფლად, ღვთის წინაშე, მოხდენილი ვაჟკაცია“ და მისთანანი.

პაოლო თანამოაზრე პოეტების გარეშე (ტიციანი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, შ. აფხაიძე რუსეთში სწავლობენ, მხოლოდ დროდადრო ახერხებენ ქუთაისში ჩამოსვლას) ენერგიულად ამზადებს ნიადაგს მოდერნისტული ჯგუფის შექმნისათვის; მოსკოვში მყოფი ტიციანი იქვე წერს „ცისფერი ორდენის“ ვრცელ თეორიულ დეკლარაციას – „ცისფერი ყანებით“, გრ. რობაქიძე და სხვანიც

ანვდიან ლექსებსა და სტატიებს მომავალი აღმანახისათვის.

პაოლო მარტოხელა „სტალკერის“ როლში გვევლინება: ნებისმიერ საჯარო გამოსვლაში ეპატაჟურად აანონსებს ცნობას „ცისფერი ყანების“ თაობაზე, ქუთაისისა და თბილისის (აქ გრიშაშვილი ეხმარება) პრესაში ათავსებს ფასიან განცხადებებს „ახალი მიმართულების“ ჟურნალის გამოსვლის შესახებ; დამფინანსებელი კვლავ ჯიბრაილია. მხატვრები, ძმები ჯაფარიძეები უჩვეულოდ აფორმებენ „ცისფერი ყანების“ მიმზიდველ გარეკანს. გალაკტიონის მოწმობით, აღმანახის სახელიც პაოლოს შერჩეულია: „წინასწარ დიდხანს ჰქონდათ მსჯელობა, თუ რა დაერქმიათ აღმანახისათვის... პაოლომ თქვა „ცისფერი ყანები“ და გაიტანა კიდეც, ვინაიდან მის მეტს ფული არავის ჰქონდა აღმანახის გამოსაცემად“.

პაოლოს სურს აღმანახის გამოსვლამდე ისეთი სკანდალი ააგოროს, რაც გააღვივებს „ცისფერი ყანების“ მიმართ ინტერესს და, რა თქმა უნდა, კომერციულ მოგებასაც მოუტანს ჯგუფს.

როგორც ტორეადორის წითელი მოსასხამი, ისე „აუფრიალა“ პაოლომ თანაქალაქელებს ვითომდა „ქართველი პოეტი ქალის ელენე დარიანის“ ეროტიკული ლექსები, მაშინდელმა საზოგადოებამ „ურცხოვობად“ და „გარყვნილების ქადაგებად“ რომ აღიქვა. 1915 წლიდან დაედო სათავე XX საუკუნის ერთადერთ წარმატებულ ქართულ ლიტერატურულ მისტიფიკაციას – პაოლოს „დარიანულ“ ციკლს (1915-1924). შედეგი განსაცვიფრებელი იყო: ინტერესმა „ცისფერყანელი“ პოეტი ქალის მიმართ უკიდურესად გაამძაფრა ახალი აღმანახის მოლოდინი.

მიუხედავად საზოგადოების ერთი ნაწილის წინააღმდეგობისა და ტექნიკური თუ ფინანსური პრობლემებისა, პაოლომ 1916 წლის 28 თებერვალს მოახერხა აღმანახის გამოცემა; მეორე ნომერი გამოქვეყნდა იმავე წლის დეკემბერში.

„ცისფერი ყანების“ გავრცელება

და გაყიდვაც პაოლოს უნდა მოეგვარებინა და მოაგვარა კიდეც: ქუთაისის, თბილისისა და თელავის გარდა, ალმანახის მიწოდებას ითხოვდა მოსკოვისა და პეტერბურგის ქართველი სტუდენტობაც (იქ მყოფი ტ. ტაბიძისა და შ. აფხაიძის ცნობით). „ცისფერი ორდენის“ აღმავლობა იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლიდან, როცა დედაქალაქს მოაშურა დასავლეთ საქართველოს შემოქმედებითმა ინტელიგენციამ; ჯგუფის ძირითადმა ბირთვამაც თბილისში დაიდო საბოლოო ბინა.

წარმატებით ჩატარდა მათი პირველი საღამო თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში; მალევე მტრებიც კი აღიარებენ, რომ „ცისფერყანნელებს“ ხელთ უპყრიათ „ჰეგემონობა“ ქართულ პოეზიაში. პაოლო 1922 წელს გაზ. „ბარრიკადში“ ათ „ცისფერყანნელს“ ასახელებდა: გრიგოლ რობაქიძე, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი... ეს იყო მხოლოდ ბირთვი „ცისფერი ორდენისა“ (გრ. რობაქიძე მათი მამსტრო და უფროსი მეგობარი იყო და არა რიგითი წევრი). „ცისფერყანნელები“ იყვნენ აგრეთვე ს. კლდიაშვილი, რ. გვეტაძე, შ. კარმელი, ი. ყიფიანი, ლ. ჯაფარიძე, გ. საგანელი...

გამორჩეულია პაოლოს როლი: „გაბედული არქიტექტორი ორდენის“, „წინამძღვარი – იალაღზე“, „ცისფერი ყანნების“ დირიჟორი, რომელსაც ატლანტიკით ხელში უჭირავს ალმანახის მთელი სიმძიმე“, – ასე ამკობდნენ „ცისფერყანნელები“ ჯგუფის მოთავეს. „აღნიშნული ჯგუფის ტექნიკური მეთაური უეჭველად პაოლო იაშვილი გახლავთ, თავისი მგზნებარე შემოქმედებით იგი არტურ რემბოს გვაგონებს“ – აღნიშნავდა გრ. რობაქიძე 1918 წ.

პაოლოს არასდროს დაუჩემებია პირველობა: „ცისფერი ყანნები“ ერთი პოეტიკა. ამაშია მისი ძალა. 7 წელიწადი გავძელით ჩვენ გაუძლებელ საქართვე-

ლოში, რადგან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა“ (წერილი „7 წელიწადი“, 1924). მეთაურობას იგი არ ეძიებდა, მეთაურობა თვითონ მიდიოდა მასთანო – შენიშნავდნენ მეგობრები. „ამპარტავანი დენდი“ (მისი სონეტი „ავტოპორტრეტი“, 1917) სულში იძვრენდა მათ, თავმდაბლობისა და სიყვარულის აღსანიშნავად მოულოდნელად ხელზე ჰკოცნიდა, დიდ უხერხულობაშიც გვაგებდაო, – იგონებდა უკვე მხცოვანი კოლაუ ნადირაძე. „ცისფერყანნელთა“, მათ შორის პაოლოს ადრინდელი საუკეთესო ლექსები, ჯგუფის ჟურნალ-გაზეთებში („მეოცნებე ნიამორები“, 1919-24; „ბარრიკადი“, 1920-24; „შვილდოსანი“, 1920; „ბახტრიონი“, 1922-23; „რუბიკონი“, 1923) დაიბეჭდა.

„ცისფერი ორდენი“ სიმბოლისტურ ჯგუფად მიიჩნეოდა, თუმცა, ჯერ კიდევ პაოლოს „პირველთქმაში“ ამკარად იგრძნობოდა ფუტურისტული მანიფესტების ზეგავლენაც. „ცისფერი ყანნების“ პროპაგანდისათვის პაოლო არაფერს ერიდებოდა: 1916 წლის ოქტომბერში ქუთაისში ჩასული მოსკოველი კუბო-ფუტურისტების ვასილი კამენსკისა და ვლადიმერ გოლცმშიდტის საღამოში მიიღო მონაწილეობა მოხსენებით „აინთეთ თავზე ოქროს გვირგვინები“.

ფრანგი სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, რომელნიც სამშობლოს ცნებას ირონიულ ასპექტში მოიხსენიებდნენ, პატრიოტი „ცისფერყანნელების“ უმთავრესი მიზანი იყო საქართველოსა და ქართული მწერლობის განახლება. ამიტომაც ვერ „უერთგულეს“ ორთოდოქსულ სიმბოლიზმს. როცა რუსეთის ავანგარდისტ ხელოვანთა რევოლუციას განრიდებული ჯგუფი დროებით თბილისში დაბინავდა, „ცისფერყანნელები“ დაუახლოვდნენ მათ, მონაწილეობდნენ ლიტერატურულ საღამოებში, თანამშრომლობდნენ ერთობლივ ჟურნალებში.

პაოლო და ტიცციანი ძირითადად კვლავ ქართული ხელოვნების აღორძი-

ნებაზე ოცნებობენ, მათი თაოსნობით, დამოუკიდებლობის პერიოდში ეყრება საფუძველი საქართველოს მწერალთა კავშირს, ტარდება სხდომებიც, თუმც მუდმივი ბინა არა აქვთ; აარსებენ კაფე „ქიმერიონს“, რომლის მოხატვაში ლ. გუდიაშვილთან და დ. კაკაბაძესთან ერთად, მონაწილეობენ კ. ზდანევიჩი, ს. სუდეიკინი, ზ. ვალიშევსკი და სხვ. კაფე უზომოდ პოპულარულია, სახელოვნებო კლუბის ფუნქციას ითავსებს: გარდა პოეტებისა, მათ თბილისის ბომონდიც დიდად წყალობს. ლამაზად მოხატულ დარბაზში განთქმული მონადირის პაოლოს მიერ მთიდან ჩამოყვანილი მოშინაურებული შვლები დადიან; თითქმის უცვლელი კონფერანსიე თავად პაოლო არის; პოეზია და ბოჰემა მშვიდობიანად თანაარსებობენ: „ცისფერყანწელთა“ ისტორია ეს არის ისტორია ბოჰემის – დანერს შემდეგში ტიცციანი.

„ჩემს მეხსიერებაში წარუშლელია პაოლო იაშვილის სახე – მის სულში და გულში ხომ მზე დუღდა, საოცარი მეგობრობა იცოდა, არაფერს დაზოგავდა, მხოლოდ ადამიანს დახმარებოდა გასაჭირში, მხნეობა მიენიჭებია მისთვის, ყოველგვარი შურის გარეშე“ (ლადო გუდიაშვილი). ქუთაისშიც და თბილისშიც პაოლო მუდამ იყო იუმორისტული ყურნალების სამიზნე, შარჟებით, კარიკატურებით თუ პაროდებით. პოეტი ყურადღებას არ აქცევდა მათ, მიაჩნდა, რომ ანტირეკლამაც საუკეთესო რეკლამა იყო „ცისფერი ორდენისათვის“. ერთი კრიტიკულად განწყობილი ავტორი უკიჟინებდა, – პაოლომ ქართულ პოეზიაში „მოკითხვის ბარათების“ სტილი დანერგაო. იგულისხმებოდა მისი „კონსტანტინე ბალმონტს“, ტრიპტიქი „მალარმე, ვერლენ, ვერჰარნ“, „არტურ რემბო“, 1915-1920; აგრეთვე, მიძღვნილი ლექსები – დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გრიგოლ რობაქიძის, ტიცციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ცირეკიძის, კოლაუ ნადირაძის,

გიორგი ლეონიძის, პავლე ინგოროყვას, ალი არსენიშვილის, ოვანეს თუმანიანის, ტანიტ ტაბიძის, ვიქტორ გოგლიძის და სხვათა მიმართ (1919-1932 წწ.). ქართული პოეზიის შედეგრია მისი „წერილი დედას“ (1916) და „აფთიაქარი“ (1933 – ჯიბრაილ იაშვილს).

იარაღთან და ცხენებთან გაშინაურებული პაოლო თავდაუზოგავია: 1918 წ. მოხალისედ მიდის საომრად ბათუმში, ხოლო ავადსახსენებელი 1921 წ. თებერვლის ბოლოს, მთავრობისა და ჯარისაგან მიტოვებულ თბილისში, გენერალ მაზნიაშვილის რჩევით, აყალიბებს შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმს. იცავს პანიკითა და ქაოსით მოცულ ქალაქს ძალადობისა და მოროდორობისაგან; იცის, რომ მისი და ტიცციანის გიმნაზიელი მეგობრები, ან ბოლშევიკები, მალე შემოვლენ ქალაქში, რუსეთის გავრცელებულ ჯართან ერთად და ამჯობინებს თეთრი დროშით გაეშუროს მათთან მოსალაპარაკებლად. ასეც ხდება. პაოლოსა და ტიცციანის როლი თბილისის დაცვაში განუზომელია, ამას აღნიშნავს ყველა მემუარისტტი. მათივე ინიციატივით, თბილისის ხელოვანთა დიდი ჯგუფი შეხვედება ახალ მთავრობას, რომელიც ჯერჯერობით ინტელიგენციასთან დაპირისპირებას ერიდება, სარაჯიშვილისეულ სასახლესაც კი „უბოძებს“ მათ. უბინაო ხელოვანთა ერთი ნაწილი (პაოლო, ტიცციანი, გალაკტიონი, მელიტონ ბალანჩივაძე ოჯახით და სხვ.) იქვე დაიდებს დროებით ბინას. ახლად დაცოლშევილებული ტიცციანი მალევე ნინო მაყაშვილის ნათესავის სახლში გადადის, პაოლო კი დაქორწინებამდე ე. წ. „სპარსულ ოთახში“ განაგრძობს ცხოვრებას. პაოლო მრავალ წარჩინებულ ოჯახშია მიღებული, როგორც სასურველი სტუმარი; დამოუკიდებელ საქართველოში ხშირია საქველმოქმედო საღამოები, – „ქიმერიონში“ იგი ამ შეკრებათა უცვლელი ორგანიზატორია. სწორედ

აქ გაიცნობს ულამაზეს გიმნაზიელ გოგონას, თამარას, რომელიც ცნობილი მეცენატის და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის თანამოსაგრის – ილია ოქრომჭედლიშვილის (ოქრომჭედლოვ-სერებრიაკოვის) შვილიშვილია, უცხოეთში განსწავლული მეტყვევ ინჟინრის გიორგი ოქრომჭედლიშვილის შვილი. პოეტი მოხიბლულია ფერისავეთ გოგონათი, თამარას მშობლები – პაოლოთი. მიუხედავად ასაკის სხვაობისა, თითქმის ერთი წლის ნაცნობობის შემდეგ, 1921 წლის 14 სექტემბერს ისინი შეუღლდებიან; ცხოვრობენ ყოფილი რტიშჩევის, შემდეგ ალ. ჯაფარიძის ქუჩაზე (ამჟამად პაოლო იაშვილის სახელს რომ ატარებს). 1924 წლის 1 მაისს დაიბადება პოეტის საფიცარი ასული მედეა, მისი „სიხარული და ბედნიერება“ (1937 წლის 22 ივლისით დათარიღებული გამოსათხოვარი წერილიდან).

თითქოს ყველაფერი რიგზეა: დაუბრკოლებლივ გამოდის „ცისფერყანწელთა“ ყურნალ-გაზეთები, მწერალთა კავშირში ჯერ კიდევ იმართება თავისუფალი ლიტერატურული დებატები; პაოლო კვლავ თავის სტიქიაშია. მაგრამ 1924 წლის შემდეგ ყველაფერი იცვლება: სასტიკი, სისხლიან რეპრესიებს უამრავი ადამიანი ეწირება, – ბრალიანი და უბრალო. შორაპანში მატარებელში ჩაცხრილეს პაოლოს 20 წლის ძმა ჭუნია (ვასილი). ემიგრაციაში მყოფი გრ. რობაქიძის თქმით, დედას დაუმალეს ეს ამბავი, წლების მანძილზე მას პაოლო უგზავნიდა ბარათებს „ირანში გადახვეწილი“ ძმის სახელით...

პაოლო უმწვავეს პიროვნულ და შემოქმედებით კრიზისს განიცდის, აღარც „ცისფერ ორდენზე“ ზრუნავს, რომელიც მხოლოდ ნომინალურად არსებობს: მათი პერიოდიკა, ფაქტობრივად, აკრძალულია.

ძალას იკრებს „პარტიული“, „პროლეტარული“ მწერლობა, „თანამგზავრის“ საშუალო იარლიყით ამკობენ ყველას, ვინც მათთან არ არის ანუ მათი მტერია; მა-

გრამ როცა მოსკოვთან ან უცხოელებთან ესაჭიროებოდათ თავის გამოჩენა, ისევე პაოლოს და ტიცინანს უხმობენ.

რიონჰესის მშენებელი, პაოლოს ახლო მეგობარი ვლადიმერ ჯიქია, გავლენიანი, „ზედა ემელონებთან“ გაშინაურებული, იმავდროულად პატრიოტი („მოსკოვს იმდენი ფული უნდა გამოვძალო, რომ მთელი ქუთაისი ავაყვავო“ – დაასმენს 1937 წელს ლიდა გასვიანი), ხანგრძლივად მიავლენს ხოლმე პაოლოს მოსკოვში რიონჰესის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ისიც თანახმაა, პოეტის ჰონორარით ოჯახს ვერ შეინახავს, თანაც გულწრფელად უხარია ქუთაისის განათება, კოლხეთის ჭაობების დაშრობა, სამგორის სარწყავი არხის გაყვანა... მოსკოვში საოცარ მარტოობას გრძნობს, მეგობრობს ბორის პასტერნაკთან, ანდრეი ბელისთან, რომელსაც შესჩივის – „В литературной какафонии о трубах, паровозах, индустрии, хочется запеть голосом никогда в себе не слышанном“ (უფრო ადრე პაოლომ, ტიცინამა და სხვა „ცისფერყანწელებმა“ სანაქებოდ უმასპინძლეს სერგეი ესენინს, ანდრეი ბელის, ბორის პასტერნაკს...).

პოეტი იძულებულია ხოტბა შეასხას სოციალისტურ „აღმშენებლობას“. მანაც სხვა „თანამგზავრ“ პოეტთა მსგავსად ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა – ეს იყო სავალალო იდეოლოგიური ხარკი. საბედნიეროდ, ძნელბედობის მიუხედავად, მაინც ახერხებს „გულიდან ხორცად გამონატანი“ ლექსების წერას („ურბი“, „პოეზია“, „მაგიდა – ჩემი პარნასი“, „ბაღის ამბავი“, „როგორც აფრის ტკაცუნი“, „საკუთარ თავს“, „დებედაჩაის ღამე“, „ქუთაისისთვის“, 1924-1934 წწ.).

პაოლოს, სხვა „ცისფერყანწელებისგან“ განსხვავებით, თხზულებათა კრებული არასოდეს გამოუცია („არ შევხვედრივარ მწერალს, რომელიც ეგზომ გულგრილი ყოფილიყო თავისი ლექსების შეკრებისა და ცალკე კრებულად გამოცემისადმი“. აკაკი განერელია). ამას, პაოლოს მეგო-

ბართა მონმობით, განსაზღვრავდა მისი საოცარი მომთხროვნელობა საკუთარი თავისადმი, აგრეთვე, პოეტური დაუდევრობა: წერდა იოლად, თამაშ-თამაშით, – კაფეში, სტამბაში, მეგობრულ სუფრაზე, მეგობრის შვილების, მშვენიერ ქალბატონთა ალბომებში, ლიტერატურულ საღამოებზე... მის ლექსებში, გურამ ასათიანის თქმით, წმინდა შთაგონებას დაკისრებული ჰქონდა მაქსიმუმი.

იმპროვიზაციის ჯადოქარი შადრევანივით აფრქვევდა სრულყოფილებით გამორჩეულ ქართულ და რუსულ ექსპრომტებს. ვინმეს რომ ჩაენერა ისინი, ერთი მოზრდილი კრებული გამოვიდოდა, საოცარი მფანტავი იყო მარგალიტებისაო – დანანებით დანერენ შემდეგ გერონტი ქიქოძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, გოგლა ლეონიძე. მას შეეძლო უეცრად გადაკარგულიყო სანადიროდ, სანადიმოდ, სათევზაოდ, სამოგზაუროდ. აღმერთებდა ერთადერთ ულამაზეს ქალიშვილს მედეას, სინაზით ეპყრობოდა ტიცციანის ტანიტს, გოგლა ლეონიძის ნესტანსა და თინათინს. ყმაწვილი მარო მაცაშვილის უშუალობით გამორჩეული დღიური წარმოგვიჩინს როგორი მიმზიდველი იყო პაოლო: დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა, გულთბილი, ალერსიანი, მუდამ მოზეიმე სიცოცხლით სავსე.

1924 წელს მისი მხატვრულ-დოკუმენტური მცირე მოთხრობა „ფერადი ბუშტები“ გამოიცა, ის პარიზისა და თბილისის მათხოვრების ყოფას და მათდამი ავტორის თანალმობას გამოხატავდა. პაოლოს უყვარდა მათხოვრებთან და ჭკუაშერეკილებთან საუბარი, მათი გულუხვი დასაჩუქრება, დუქანში დაპურება; თუ ჯიბეგაფხეკილი იყო (რაც ხშირად ხდებოდა), ძალიან ნუხდა. ერთხელაც თბილისის ცენტრში შლაპა მოიხადა და გამვლელებს გაუნოდა: პაოლოს ვინ არ იცნობდა, ფული სულ მალე შეგროვდა.

გერონტი ქიქოძე: „მახსოვს, როგორ იდგა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელს ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლად მიღებულ ქალაღდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა დაუთვლელად“. ასევე „დაუთვლელად“ და დაუზოგავად გაფლანგა მან ძვირფასი დრო, რადგან „თავის პოეტურ დროს და ენერგიას სხვისი გულისათვის ძალაუწებრივ ხარჯავდა ათას წერილმანებში. ყველას მზრუნველი, შუამავალი და მოფუსფუსე, ყველა საქმეებზე მორბენალი და შუამდგომელი ხშირად თვეობით ვერ ეკარებოდა საწერ მაგიდას“ (გოგლა ლეონიძე). როცა კრებულის გამოცემა მოინდომა (არც კი ახსოვდა, სად რა ჰქონდა დაბეჭდილი: ამაში დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა შალვა დემეტრაძემ), უკვე გვიანლა იყო: 1937 კარზე მომდგარიყო. მხოლოდ პაოლოს რეაბილიტაციის შემდეგ, 1955 წელს გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული შალვა დემეტრაძის რედაქტორობით.

პაოლოს გამორჩეული ჰყავდა ტიცციანი (ამიტომ უწოდებდნენ „სიამის ტყუპებს“), მან შეარქვა კოლომბინა ნინო მაცაშვილს, რომელმაც მადლიერებით და სიყვარულით აღსავსე მონგონებები მიუძღვნა მათ „გაჭირვების ტალკვესს“, მოზიარეს ჭირსა თუ ლხინში, უღალატო და უანგარო ავთანდილს („ჩვენი ავთანდილი“, „მნათობი“, 1964).

მრავალი წლის შემდეგ („მნათობი“, 1992) დაიბეჭდა ირაკლი აბაშიძის – პაოლოს უმცროსი თანამედროვისა და ნათესავის „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ და, რაც მთავარია, მეუღლის, თამარ იაშვილის „Из воспоминаний о Паоло Яшвили“ – სულისშემძვრელი, ტრაგიკული და შეუღალამაზებელი ამბავი პაოლოს სიცოცხლის უკანასკნელი დღეებისა (1964, ინახებოდა საოჯახო არქივში, გამოქვეყნდა 2004 წელს).

პაოლოს სიცოცხლის ბოლო წლები, ისევე როგორც ტიცციანისა, აბსურდული პარადოქსებით გამოირჩევა; ჩეკას

დანესებული თვალთვალის (20-იანი წლებიდანვე) 30-იან წლებში ძლიერდება, ცნობებს მის შესახებ სისტემატურად აწვდიან უფროსობას (1935, 1936 და 1937 წლებში – უფრო ინტენსიურად). პარალელურად, პოეტს ირჩევენ ამიერკავკასიის ცაკ-ის წევრად (1935), 1934 წელს აგზავნიან მოსკოვში, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, სადაც მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამს; მონაწილეობს საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომებში; 1936 წელს ქართველ მწერალთა და ხელოვანთა დელეგაციასთან ერთად, დიდი პატივით იღებენ კრემლში; არც სტალინის ყურადღება აკლია: აჯილდოებს ორდენით, მოხიბლულია მისი ორატორული ნიჭით, შენიშნავს მხოლოდ, – „პაოლო“ კი არა, „პავლე“ უნდა გერქვასო...

მიუხედავად ზემოთქმულისა, პაოლო გუმანით გრძნობს საფრთხეს, შეშფოთებულია იმით, რაც ქვეყანაში ხდება, ხასიათიც ეცვლება, სადღა არის წინანდებური თავშექცევა, მისთვის უჩვეულო განმარტოებას ამჯობინებს. ამას თან ხელმოკლეობაც ერთვის: თამარ იაშვილის გადმოცემით, 1937 წლის ზაფხულში პაოლოს სურს ცოლ-შვილით არგვეთში ერთი წლით გადასახლება, მეუღლეც თანახმაა, მაგრამ ვერდიქტი წინასწარ არის გამოტანილი. კაენის აღზევებული სული ყველაფერს ნთქავს. მწერალთა კავშირი „იდეოლოგიური მავნებლობის“ მამხილებელ პარტიულ ფორპოსტად არის გადაქცეული. დამამცირებელ რიგში ჩაყენებული ჩვენი სასიქადულო მწერლები იძულებულნი არიან „მოინანიონ“ აბსურდული ბრალდებები. ამას ერთვის ბერიას სასტიკი, არაადამიანური და მზაკვრული გეგმა: ცილისწამებათა ქსელში გაახვიოს პოეტი და სახელი გაუტეხოს მას.

21 ივლისს ღამის ორ საათამდე კიდევ ერთხელ ცდილობდა ბერია პაოლოს „დამუშავებას“. სახლში დაბრუნებულმა ახლობლები როგორღაც დააიმედა, მაგრამ მეუღლეს არაფერი გამოეპარებო-

და: გიჟის თვალეები ჰქონდაო, იგონებს. მთელი ღამე არ უძინიათ. როცა დილის 7 საათზე დამ, პაშამ დაინახა საწერ მაგიდასთან მჯდომი, – ისიც დაამშვიდა, ხელნაწერებს ვანესრიგებო (ზოგის გადმოცემით, – სტალინზე ვწერ ლექსსო, – უთქვამს). პოეტი კი წერდა გამოსათხოვარ წერილებს, – შვილისადმი, ცოლისადმი, ძმისადმი და ბერიასადმი, – სთხოვდა, ხომ იცი, რომ ბრალი არ მიმიძღვის, ოჯახი არ ამინიოკოო.

22 ივლისს, დილიდან, პაოლო მონესრიგებულად, ავტომატივით მოქმედებს: ბარათებს საფოსტო ყუთში აგდებს, შუადღისას სანადირო თოფი მწერალთა კავშირში მიაქვს, – გაყიდვა მიწოდდა და კაპიკები შემადღიესო, მეზუფეტეს ვალს გადაუხდის, სახლში ბრუნდება და საღამოს მწერალთა კრებაზე მიდის. ხვდება ირაკლი აბაშიძეს, ერთიანად ძაგძაგებს, რამდენჯერმე გაუმეორებს, ყველას დაუუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარო... ესწრება სხდომას, ცოტა ხნის შემდეგ მეორე სართულზე ადის, ოთახიდან თოფი გამოაქვს, კორიდორში წაიძრობს ფეხსაცმელს, ლულას პირში იღებს და ფეხის ცერს ჩახმახს გამოკრავს, სახლს ჯოჯოხეთური ქუხილი შეძრავს...

პაოლომ საჯარო თვითმკვლელობა პროტესტის უკიდურეს ფორმად აქცია, ეს იყო ბერიასათვის განწილი სილა. ვაჟკაცი ყოფილაო – ასეთი იყო ჭეშმარიტ მწერალთა თუნდაც ხმადაბლა გამოთქმული აზრი; მთავრობის მიერ თვითმკვლელობას „პროვოკაციული აქტი“ ეწოდა; შინსახკომმა მორგიდან პირდაპირ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მიასვენა, ოჯახის წევრების გარდა, მხოლოდ კოლაუ ნადირაძემ გაბედა პაოლოს დაკრძალვაზე მისვლა. „ჭეშმარიტი ქართველის თავმოყვარეობამ უზიძგა პაოლო იაშვილს ფატალური ნაბიჯისადმი“ (აკაკი განერელია).

1957 წლიდან პაოლოს ნემტი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს.

ბალათერ არაბული



ლექს-ანდრეზები და სხვა
ციკლიდან: „ხევისურეთს ამბად ნათქვამი“

**ქალლიკა ხიმიკაურის ხმალი
და ერეკლე მეფე...**

...ერეკლე მეფეს თავის დაცვაში
შვიდ ხევსურ ჰყვანივ,
ტან-ტომაგით გამორჩეულნი,
ვაჟკაცობით და ერთგულებით
ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები...
ხმალ-ხანჯრის ქნევით,
მშვილდ-ისრის და შუბის ხმარებით,
ცხენ-მხედრობით სახელგანთქმულნი...
ეგენ ყოფილან ყველა ომში მეფის მხრისმჭერნი,
ყველა მომხდურის დამხვედრნი და
მათთვის სამზეოს დამბნელებელნი...
იმათი ხმლების გამონაშუქივ
ბრძოლის ველსავე ელვასავით თავზე უვლიდავ,
მტერს და დუშმანს თვალებს სჭრიდავ,
შიშის ზარს სცემდავ...
იმათში ყოფილ ის გოლიათ ხიმიკაურიც,
პატარა კახს რო გასთამამებოვ:
– შენს დანახვასავე მაინც შენივ სახელ მიჯობდავ, –
რო უთქვამის პირველ ნახვისას,
მისი სიდაბლით შანუხებულს...

ერეკლეს ლაშქრის შემოწმება ჰქონივას წესად:
აბჯარ-ჯავშანს
და ხმალ-ხანჯარს უშინჯავდავ,
ვინ როგორ იყვავ აღჭურვილივ, მომზადებულივ...
ძალლიკასთანაც გაჩერებულ მეფე ერეკლე,
მისი ხმლისთვის დაუდგამ თვალი;
– ყოჩაღ, ძალლიკავ,

კაი ხმალ გქონივ,
რომელ მტრის ბელადს აჰყარ ტანზეით?
იქნებ, გეჩუქნავ შენს მეფისადავ,
ეგეთ ხმალ ხელში ჯერ არ მჭერივავ...

რალას იზამდა ბერავ ძალლიკა –
თავის იარაღი სიცოცხლეს ერჩივნ:
ის ყოფილ იმის მხარში მდგომი,
ძმაც, ბიძაშვილიც,
ის ყოფილ მისი თანამებრძოლი,
მისი სახელის და გმირობის სულისჩამდგმელი,
მისი კაცობის დასტურ-ნიშანი...
მაგრამ ახლა თავის მეფეს
ჩუქებაზე უარს ვერ ეტყოდ...
ტანზეით ჩუმად აუხსნავის
და დაღვრემილს ერეკლესად გადაუცემავ...

გამომხდარ ხანი
და თავის ლაშქარი
ერეკლეს ისევ უხმავ საომრად;
როგორც ყოველთვის,
ჩამაუვლავ მეომრების შასამონმებლად
და ძალლიკას მისდგომივ ბოლოს...
ძალლიკა კი...
თავჩალუნვილ მდგარას ლაშქარში –
თავის მეფეზე გამწყრალსა და
გულჯავრიანს
ხის ხმალ ჰკიდებივ...

მიმხვდარას მეფე ძალლიკას ნაფიქრს:
„ხმალ რო წამართვივ,
მე რით ვიომავ?!“
და ღიმილით უთქვამ იმისად:
– ძალლი ხარ, ძალლი, ძალლიკაო,
კარგად ვიცოდივ, არ შამარჩენდივ
და მსახურისად უბრძანებავ:
– გამაუტანეთ ხიმიკაურს თავისი ხმალი,
ვაჟკაც უხმლოდ სად გაგონილას!..

ვაჟკაცობის უმომოწმებელი

...ხონდას, ურჯუკას და კოკოშას
მანმაოს ძირს,
ქაჩის მაღალთან,
არაგვის კლდოვან ვინროებში,

ხევსურების ვაჟკაცობის შესამონმებლად
ჯებირ-„კარანტინ“ გაუკეთებავ...

ხევსურეთიდან ამვლელ-ჩამვლელი
იქ გადებულ ხის ძელის ქვეშ
ხალხთ სანახავად
წელში მოხრილ,
ხოხვა-ხოხვით უნდა გამძვრალიყვ
ან გულმოსულს
ის „კარანტინ“ შულლით დაენგრივ,
იქ დამხვედრთად თავ არ დაეხარ
და ხმალდახმალ შალბრძოლებიყვ...

– ხალხ დაბეჩავდავ,
კაცურკაცობა ბევრს აღარ შერჩავ,
თუნდაც სახალხოდ პატივ აჰყარევ,
ყველა ყველაფრის მამთმენ გახდავ,
თავის ღირსება,
თავის კაცობა დაივიწყავ,
აღარც ცოცხლებში სწერავისავ,
აღარც მკვდრებშიავ,
არც მაკეთისად უქნავავ ღმერთსავ,
აღარც მტრისადავ,
არც ჯვარ-სალოცავთ შიში აქვავ,
არცავ კიდევ თემ-სოფლისაივ,
თავის სახელ,
თავის ჯილაგ არად უღირსავ,
არც წინაპრების ეხათრებავ,
არც შვილ-ბოლოსივ...
არავ, ჩვენ ესრე უმოქმედოდ ვერ ვიქნებითავ,
რალაცა უნდა მოვიფიქრათავ,
ხალხ ჭკვაზე უნდა მავიყვანათავ,
საკუთარ გულში ჩავახედათავ,
თავის ბეჩავ თავ დავანახათავ!..
აქ მავანყვათავ „კარანტინივ“
და ამვლელ-ჩამვლელი
ამ „კარანტინით“ გამავცადათავ:
ვინც ამ ძელების ქვეშ გაძვრებავ, შაშინებულივ,
ვაჟკაცებშიით ჩამავსწერათავ,
ხევსურეთში შავარცხვინათავ,
ხოლო, ვინც საცდელ „კარანტინში“
ქვეშ არ გაძვრებავ,
მამაცურად წინ დაგვიხვდებავ,
შაგვებრძოლებავ,
ძმა-მეგობრად გავეფიცათავ,
ფიც-ვერცხლ ვჭამათავ

და პატივად იმას სუფრაც გავუშალათავ,
ჩვენ მატანილ ლუდ-არაყით ვუმასპინძლათავ,
მტრებთან მეზრძოლთა რაზმის ნევრად მავინიშნათავ, –
უთქვამთ მანმავლებს
და თავის ნათქვამ შაუსრულებავ:
მანმავს ძირს,
ქაჩის მალალთან,
არაგვის კლდოვან ვინროებში,
ხევსურების ვაჟკაცობის შასამონმებლად
საყარაულო ჯებირ-„კარანტინ“ გაუმართავის...

არაყის გამომგონებელი...

...როგორც ხევსურეთ ძველებ ამბობდეს:
– არაყ ეშმაკს გამოუგონავ...
ეგ ყოფილას მაგის პირველი გამამხდელი,
მაგის პირველი შამსმელიც და გამვრცელებელიც,
რო ხალხისად გონ აერივ
და ყველა თავის ჭკუაზე ჰყვანიყვ,
თავის გზა-კვალზე ეტარებოვ,
თავის თავისად დაემსგავსებოვ...

ეშმაკის ვერავ ეშმაკობა გაუგავ ღმერთს და
ხევში არაყის გამომხდის დროს
დასდგომივ თავზე:
– მანდ ჩამალულ რას აკეთებავ?
სავერაგოდ,
სახიმანოდ რა მაიფიქრევ? –
უკითხავ უფალს...
– მობრძანდივ, ღმერთო,
ადამიანის გასაკურნად,
მისი დარდების გასაქარვებლად
დასალევ რაიმ გამოვიგონევ, –
უპასუხებავ ეშმაკურად ეშმას ღმერთისად,
თან სასმელის გასასინჯად
ყანწით არაყ მიუწოდებავ...
ღმერთს პირველ სასმის ნელა შაუსვამ,
მეორეზედაც არ უთქვამ უარი,
ხოლო მესამის დაგემოვნება
უფალს თვითონ მოუთხოვავის
და ამის მერე...
კარგ გუნება-განწყობილებით ნასულას ცისკე,
თან შეშინებულ ეშმაკისად დაუბარებავ:
– სამს ვინც დალევსავ,
ის მე მგავდესავ,
სამზე მეტის დამლევ კი შენავ!..

არვი, იმ თქმისგან თუ რაისგან,
უფლის სიტყვა ეგრე კი ხდების:
სამის შამსმელ ღმერთს ემსგავსების,
მეტისა კი... უფრო ხშირად – იმ არაყის გამომგონებელს...

წეს-ადათის ღაგვიწყებელი და სასჯელი...

...დათვისის თავში,
სოფლის ზემოთ ცხოვრობდ ბაჭყია –
ვაჟკაცობით,
პურადობით სახელგანთქმული,
მტერმოყვრობის საზღვრის დამდები,
ჯვარ-სალოცავთა მადიდებელი,
რჯულ-მერჯულის,
წეს-ადათის
დამცველი და გამმტკიცებელი,
ქუდოსანთა და მანდილოსანთა დამფასებელი,
თემ-სოფლისთვის კითხული კაცი...

ზენა ხევსურეთს ჰყვანივას სიძე –
თავის დის ქმარი,
და აის სიძე
ზამთრის პირზე სწვევისას სტუმრად...
სიძე-ცოლისძმას გახარებივ
ერთურთის ნახვა,
ერთმანეთისთვის მონატრებით უკითხავ ამბავი...
მემრე კი სიძეს
არაყიან ქინთ ჩამაუხსნავ უნაგირიდან...

არ მოსვლივ თვალში სავსე ქინთის ნახვა ბაჭყიას:
– როგორ იარევ ამ თოვლ-ქარშიავ?
ხვარ გაგიჭირდავ?
ამვლელ-ჩამვლელ არვინ შაგხვდაევ? –
დაეჭვებით უკითხავის თავის სიძისად...
– როგორ არავ,
მასახვევთან
მანმავლელებ შამეყარნესავ...
– მემრ რა უთხარივ?
ვისთან მიოლავ?
არაყ მაინც თუ შესთავაზევ შასასმელადავ?
– ის კი ვუთხარივ, სად მივდიოდივ,
არაყ კი არა შამისმევაავ! – უპასუხებავ დაბნეულ
სტუმარს...

არ მასწონებოვ სიძის საქციელ თორელთ ბაჭყიას:
– რას იტყოდესავ მანმავლებოვ,
ეს რანაირ სიძე ჰყვანიავ?
სად გაგონილავ გზად შამხვედრის ეგრ გაშვებოვ?
სასტუმრო ქინთის არდალოცვაოვ
და ხევსურულ ადათ-წესის დავინწყებოვ?..
რაისად მინდავ შენ არაყოვ,
არაყის მეტ სახლში რა მაქვავ!
სირცხვილიან და დაულოცავ სასმლის დამლევ
აქ ვინ გგონავავ?!
აჰკიდევ ცხენსავ ეგ არაყოვ
და შინ წაილივ,
შენნაირებს დაალევიწევ! –
უთქვამ ბაჭყიას თავის სიძისად
და სახლშიით ზამთრის პირზე,
თოვლ-ყინვაში გამაუგდავის...

მკვდარს ჩაყოლებული მღვდელი...

...იმ წელს პირველად
ხევსურეთში ეკლესიის მსახურნ მასულან –
ეს ძველ დროს ყოფილ,
რომელ წელს იყვ, არავის ახსოვს...
ქრისტიანობის შამატანა სდომებოვ მეფეს
და ხევსურების მასაქცევად
მღვდელმსახურებ გამაუგზავნავ:
– ქრისტეს რჯულ უნდა მიილათავ,
სუყველან უნდა მაინათლნათავ,
ეგრე ყოფნა არ ივარგებსავ,
ეშმა-მაცილ მაგერევისთავ,
მოუნათლავებ ჯოჯოხეთში ჩასცვივდებოთავ,
ურწმუნოებს და უღმერთოებს
ჯვარ-სალოცავივ ვერ გიშველისთავ,
კუპრის მორევი ჩაცვენილებს კი
თავის ფრთებით
ვერც მთავარანგელოზ მიქაელი ამოგიყვანსთავ,
ბალებივ უნდა მღვდელმ მანათლასავ,
მრონით უფალს მიაბარასავ,
მართლმადიდებლად დასწერასავ...

ხოლო მკვდარივ
მღვდელის გარეშე არ დაღმარხათავ,
თორე ცხონება არ ექნებავ,
საიქიოში გაიტანჯებავ...

ეხლა ერთ მღვდელს დაგიტოვებთავ,
დილა-სალამოს წირვა-ლოცვას ჩაგიტარებთავ,

ყველაფერში გაგარკვევსთავ,
გაგანათლებსთავ,
ხელმწიფეს ეგრე უბრძანებავავ,
თან კიდევ, თქვენი ერთგულების აღსანიშნადავ,
სიყვარულით მოკითხვაიც შამაუთვლავავ...

რალას იზამდეს ხევსურები,
მეფის ნათქვამ იმათად ხო კანონ ყოფილას
და მღვდელ თავისთან დაუტოვებავ...

გამომხდარ ხანი,
არვი, იმ წელს თუ მეორე წელს
ხევსურებ ბარში
ეკლესიის მსახურთ სწვევიან...
გახარებოვ მღვდელმსახურებს სტუმრების მოსვლა:
– როგორ ხართთავ,
ხო ყველაფერ კარგად მიდისთავ? –
უკითხავ იმათ...

– კიავ, კიავ, თქვენს ნათქვამს ისე ვასრულებთთავ,
როგორაც სთქვითთავ:
წირვა-ლოცვასაც ვესწრებთთავ,
ბალებს ვნათლავთთავ,
ჩვენაც თანდათან ვინათლებთთავ,
ოღონდავ ახლა სათხოვარზე ჩამავედითთავ:
მღვდელ აღარ გვყავავ,
გვინდავ, ხევსურეთ
ერთ მღვდელ კიდევ გაგვატანათავ...

– კი, მაგრამ ის მღვდელ რა უყავითთავ? –
გაკვირვებით უკითხავ დამხვედრთ...
– რო გვითხარითთავ, თქვენი მკვდარივ
მღვდლის გარეშე არ დაღმარხათთავ,
ეგრე ვქენითთავ:
გასულ კვირას
ბეჩავ ბენინას სამარეში ჩავაყოლებთთავ...

მონუცი ხევსური და ქისტების დაღვრილი სისხლი...

მექა ხანგოშვილს

...თავის კუთვნილი სახლებიდან
და მამ-პაპათა მიწებიდან
იძულებით განდევნილ და

გასახლებულ ღიღღველთ სოფელში
არხოტივნებ ჩასახლებულან
და დროებით
ეგენ ყოფილან იმათ სოფლის ბატონ-პატრონნი,
იმათ სახლ-კარის,
იმათ საფლავთა და სალოცავთა
შემნახველნიც, მადიდებელნიც...
ერთხელაც, როცა
იქ საცხოვრებლად ჩასახლებულ
მოხუც ხვთისო
სოფელ ხამხის
გაშლილ მინდორს ქვა-ღორღით ღობევდ,
მის გამაგრება-შემორავას
გულდაგულ ცდილობდ,
მეზობელ ხევსურ დასდგომივ თავზე:
– რას სჩადივ მანდავ?
რად ღობავავ მაგ მინდორსავ?
ან შალობვით რა განიზრახევ? –
დაეჭვებით უკითხავ იმას...

– ამ ადგილას,
როგორც ამბობენ,
წლების წინათ ცუდ ამბავ მამხდარ –
მომხდურ რუსებს
ღიღღოს მცხოვრებნი
სახლებიდან ძალით გაუყრავ,
არვინ დაუნდვავ –
ბაღ-ბუღლებიც და ქაღდედროვანიც
დაუნანებლად ჩაუცხრილავ,
ცეცხლში ჩაუნვავ...
თუმცა მზემ სისხლი გამოაშრო
და ქარმაც მტვერით გადაფარა
ფერფლად ქცეული მათი სისხლის
და ცრემლების ნანვეთურები,
მე კარგად ვიცი,
ადრე თუ გვიან,
ქისტებ სახლში დაბრუნდებიან
და არ მინდა
ხევსურებს რო გვისაყვედურან,
ფეხის დადგმით რო ვთელავდით
მათ დაღვრილ სისხლს
და დაღვრილ ცრემლებს, –
უთქვამ ხვთისოს
ცნობისმოყვარე მეზობლისად
და თავის საქმე გაუგრძელებავ...

ციკლიდან „ელეგიები“

ტივილი

ბაბუა ალუდაურს

აღარც მანშაო, აღარც დათვისი,
აღარც ბისო და აღარც ხახმატი,
მე კი მეგონა, ახალუხლებით
გახალისებულ
ფეხონს ვნახავდი...

აღარც აჭეხა, აღარც ქობულო,
აღარც ჭიე და აღარც მალრანი,
მალრანში აღარც ციხის პატრონი
და აღარც მისი ციხე მაღალი...

აღარც არჭილო, აღარც ანდაქი,
აღარც გურო და აღარც კისტანი,
სტუმრისთვის აღარც სუფრის გამშლელი
და არც საფლავზე ტაბლის მიმტანი...

აღარც თორღვა და
აღარც მამუკა
და აღარც ხირჩლა ბაბურაული
აღარ მხვდებიან საარაგვოზე,
როცა გორშელმის ქალებს ავუვლი...

დადუმებულან სალოცავები,
წაშლილა თემის საზღვარ-სამანი
და შამბით მოცულ ნასახლარებში
გამეფებულა სევდა სამარის...

აღარც ის გმირი სამასი მოყმე,
მტერს შელენილი თავის ფარ-შუბით,
აღარსად მათი ხაფი ყიჟინა,
არც მათი ხმლების გამონაშუქი...

მხოლოდ ჩაშლილი ნაფუძნარები,
მარტო ჭინჭარი, მარტო შალანი,
არც ქალ-დიაცნი, აღარც ყმანვილნი,
აღარც მოხუცნი – მათუსალანი...

კვლავ დუმან მთები გულჯავრიანნი,
კვლავ მიმოდიან ცაზე ღრუბლებიც,
თქვენც კვლავ ჩემთან ხართ, თქვენ ჩემში ცხოვრობთ,
საფლავებიდან მესაუბრებით...

ისევ ის ნისლი, ისევ ის წვიმა
და მწვერვალებზე – ქარი – ლემადე –
ჩემამდე გრძელი გზაა სავალი,
მოკლე გზა დარჩა უკვე თქვენამდე...

ცა, მოქუფრული, ღამის წყვიდადში
შიგდაშიგ ელვის ღიმილს გაურევს
და საბრძოლველად კვლავ გზას უნათებს
ძალლიკას ჯიშის ხიმიკაურებს...

თქვენი ფიქრით და თქვენი წუხილით
ჩემში არსებობთ სამარადჟამოდ,
დრო კი, მედინი, მიედინება
და ყველაფერი ნაშალოს, ლამობს...

...

აღარც მანმაო, აღარც დათვისი,
აღარც ბისო და აღარც ხახმატი,
მე კი მეგონა, ახალუხლებით
გახალისებულ ფეხონს ვნახავდი...

პარიაცია ხალხურ მოტივზე

...ცაზე მავალნი ვარსკვლავნი
დილისპირს სად ჩადიან?
კვლავ თუ ნახვენ მთაგორებს, –
ბოროლას, საჩალიას?..

კვლავ თუ ნახვენ მანმაოს,
დათვისს, გველეთს და ლიქოკს?
რა სიხარულსაც იგრძნობენ,
იმათთვის ალალ იყოს!..

შენც კვლავ თუ გნახავ, ლამაზო,
ყელბროლს და თმაგიშრიანს,
„ხშირ-ხშირ თვალეებში ნუ დამკვლევ“,
სიყვარულს დაგვიშლიან...
დაგვაშორებენ ერთმანეთს,
ტბასავით დაგვაშრობენ,
ავვიკრძალავენ შეხვედრებს –
სწორფრობის თამაშობებს:

ერთურთის ჩუმად ფერებას,
ღამეთა თეთრად ტეხას;
ნეტავი, ახლა სადა ხარ?
ანდა ვის მკლავზე ნევხარ?!.

ნეტავი, ბალებს ვის უზრდი?
ანდა ამრავლებ ვის ჯიშს?
თუმცა რა ჩემი საქმეა?
ვინ მეკითხება? ვინ მრჯის?...

...ცაზე მავალნი ვარსკვლავნი
დილისპირს სად ჩადიან?
კვლავ თუ ნახვენ მთაგორებს, –
ბოროლას, საჩალიას?..

ბადრი ჭოხონელიძის გახსენება მისი ბიჭების – ბიორგის და ლევანის ნახვის შემდეგ...

...გუშინ მეგობრის შვილები ვნახე
და იგი ჩემთვის გაცოცხლდა თითქოს;
იგივე მზერა,
იგივე სახე,
იგივე ხმა და იგივე სიტბო...

ის, თითქოს ოდნავ ნაფერმკრთალები,
ამაყად ჩანდა თავის ბიჭებთან
და სიყვარულით სავსე თვალებით
ჩემკენ ღიმილით მოაბიჯებდა...

გუშინ მე ჩემი ძმაკაცი ვნახე –
შვილების სახით გაცოცხლდა თითქოს;
იგივე მზერა,
იგივე სახე,
იგივე ხმა და იგივე სიტბო...

ქრისტის გამოცხადება

...ნავები ზღვაში ჩუმად ჩავუშვით
და გავემგზავრეთ კაპერნაუმში...

ოდეს საკმაოდ დავმორდით ნაპირს,
ტალღებმა ტანზე აისხეს ქაფი
და ნავს მოაწყდნენ გუგუნით, ხაფით.
ამ დროს საშველად გამოჩნდა იგი
და ჩვენ მივმართეთ: ეს თქვენ ხართ, რაბი?..

მან კი ხელები აღაპყრო ცისკენ
და გვიპასუხა: – ჰო, მე ვარ, ქრისტე!..



ბ.პ-ს

დროის გრიგალი ავად გნისაობს
და შემოდგომის გზად გვიფენს ნისლებს
და გეუბნები, ალბათ, მეთქვამს:
როგორც მიყვარდი, მიყვარხარ ისევ!

ამ სიყვარულით, იქნებ, დაგსაჯე,
იქნებ, სხვა მრავალ საფიქრალს გისევ
და მაინც გეტყვი: ასჯერ, ათასჯერ:
როგორც მიყვარდი, მიყვარხარ ისევ!.

შენ მიადვილებ და მიიოლებ
სანუთროს – ვერაგს, ცხოვრებას – მგლისებრს
და გიმეორებ მემილიონედ:
როგორც მიყვარდი, მიყვარხარ ისევ!..



N-ს

გზაზე სიბერე მგელივით მოგვდევს,
მხრებზე მძიმდება სიზიფეს ლოდიც;
არ მინდა, ჩემში ოდესმე მოკვდეს
ქალი, რომელიც მიყვარდა ოდით...

უცხო ბურუსით ივსება სივრცე
და მოჟამული საღამო მოდის;
არ მინდა, ჩემში ტკივილად იქცეს,
რაც სიყვარული მეგონა ოდით...

მახვილი კვლავაც ელის დამოკლეს,
კვლავ იღვენთება ნალველი გულში;
არ მინდა, ჩემში ოდესმე მოკვდეს
ქალი, რომელიც მიყვარდა გუშინ...

მარტოხე

...სოფლის გაღმა ქარისგან
გაძარცული ხე მოჩანს,
ის დეკემბრის ველ-მინდვრებს
მარტოდმარტო შემორჩა...

შიშით უნდა გალიოს
მოსაწყენი ზამთარი –
ზოგჯერ თუ მოაკითხავს
ავი ყვავი ყრანტალით...

ზოგჯერ კიდეც ჩიტების
გუნდი თუ ინახულებს –
გაახსენებს გარდასულ
გაზაფხულებს, ზაფხულებს...

არ ილევა ყოველდღე
წუხილი და ტანჯვა ხის –
იცის, მოადგებიან
მასაც მალე ნაჯახით...

ჯერ კი... ქარებისაგან
გაძარცული ხე მოჩანს;
ის დეკემბრის ველ-მინდვრებს
მარტოდმარტო შემორჩა...



უკვე ხუნდება მინდვრების ნოხი
და მოაქვთ სევდა ქარებს არეთა;
ცოდვილ მინაზე შემთხვევით მოვხვდი,
მე დავეძებდი სულ სხვა პლანეტას...

ერთად მოდიან პავლე და სავლე
და ულიმიან ჩუმად შემხვედრებს;
მე შემეშალა გზები სავალი
და აქ დროებით შემოვხეტიე...



მაია ციციშვილი

მარჯის კანონი

ადამს ბრეიდი თავისი სახლის ვერანდაზე იჯდა და ცოლს, მერის ესაუბრებოდა.

შემოდგომა ბრეიდების საყვარელი სეზონია. ამ პერიოდში ვაშინგტონის მიდამოებში ბუნება ნამდვილ სანახაობას, ფერთა შოუს მართავს, რომლის მცირე ნაწილს მათი ეზოც ეკუთვნის.

– როგორც ჩანს, მადლიერების დღემდე ვერც ერთი ვერ შეძლებს ჩამოსვლას, მე კი იმედი მქონდა, რომელიმე მაინც მოახერხებდა. ყველას გადატვირთული გრაფიკი აქვს, – სევდანარევი ხმით თქვა მერიმ.

ადამსმა მობილურს დახედა.

– კარლია, – უთხრა ცოლს, – უნდა დავურეკო.

ადამსი, ჩვეულებრივ, მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ქალს ქმრის ინტონაციაში რაღაც არ მოეწონა და მოუთმენლად ელოდა, როდის დაამთავრებდა ლაპარაკს.

– კარლ, დამელოდე, 15 წუთში მანდ ვიქნები! – თქვა ადამსმა და წამოდგა.

– მოხდა რამე?! – გაიფიქრა შეშინებული ადამსმა.

წიგნების პატარა მაღაზიის “Adam’s books” შესასვლელთან კარლი ელოდებოდა, გვერდით გამყიდველი გოგონა, მარგარეტი იდგა, მოშორებით კი ხელოსანი ალექსი, რომელიც ცდილობდა,

ადამსის გამოხედვას არ შეფეთებოდა.

– რომელ ჰოსპიტალში წაიყვანეს? – იკითხა ადამსმა.

– აქვე, ქალაქისაში.

– წავიდეთ, – უთხრა კარლს.

მაღაზიის უკანა ოთახში ისხდნენ, ცდილობდნენ, წინა დღის მოვლენები დეტალურად აღედგინათ.

– გუშინ დღის ბოლოს შემოვიარე. გასვლისას წიგნის ზედა თაროების წყობა თვალში მომხვდა, წინ წამოწეული მეჩვენა. კარლ, მახსოვს, გთხოვე, გუშინვე მიგეხედა ამ საქმისთვის. მაგაზე არ ინერვიულოთო, მითხარი და ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

– დიახ, – დაეთანხმა კარლი, – როგორც კი მაღაზიიდან გახვედით, ალექსს დავუკავშირდი. მითხრა, რომ ორმოც წუთზე ადრე ვერ მოახერხებდა მოსვლას. რვა საათზე ცოლთან ერთად კენედის ცენტრში კონცერტზე მივდიოდი. მოგეხსენებათ პარასკევს საღამოს ვაშინგტონის საცობების შესახებ, ამიტომ მარგარეტს ვთხოვე დარჩენა, დავუბარე, ალექსი მუშაობას რომ მორჩებოდა, ჩემთვის შეტყობინება გამოეგზავნა. გუშინ მარგარეტისაგან აღარაფერი მსმენია, აღარც მე მომიკითხავს. დარწმუნებული ვიყავი, ალექსი გუშინვე მოამთავრებდა თავის საქმეს, თანაც, სიმართლე გითხრათ, საგანგაშოც არაფერი შემიმჩნევია.

დილით კი მარგარეტმა დამირეკა და ეს ამბავი მამცნო.

– სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა ალექსი მოვიდა, – განაგრძო მარგარეტმა. – ამ დროისათვის მალაზია უკვე ცარიელი იყო და ისიც მამინვე საქმეს შეუდგა. კედელზე თაროების მისამაგრებლად საჭირო ლურსმნები საწყობში არ აღმოჩნდა. საყიდლად Home Depot-ში მოუწევდა წასვლა. პარასკევი სალამო იყო, კლივლენდიდან ჩემი მშობლების ჩამოსვლას ველოდი, ვჩქარობდი, მინდოდა, სახლში დავხვედროდი. ალექსიც დაღლილი იყო, შევთანხმდით, ორთავე დილით ადრიანად მოვიდოდით და თაროებს მალაზიის გახსნამდე მივხედავდით. დილით ალექსს მოსვლა შეაგვიანდა. მე ჩვეულებრივ გავხსენი მალაზია და დახლთაღრიცხვას ვაწარმოებდი. დედა და სამიოდე წლის ბიჭუნა შემოვიდნენ. დედამ რაღაც მკითხა. ხმაური იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, წინა ღამით ჩვენი და გვერდითა მალაზიის საერთო კედელში მილი გამსკდარა და ხელოსნები მუშაობდნენ. ხმაურში ვერ გავიგე, რას მეკითხებოდა, მათთან მისვლა დავაპირე და სწორედ ამ დროს ორი ზედა თარო გადმოვარდა...

– ბატონო ადამს, – განაგრძო ალექსმა, – როგორც მარგარეტმა გითხრათ, დილით ადრე უნდა მოვსულიყავი. ღამე ჩემი უფროსი შვილის საავადმყოფოში წაყვანა მომიწია. სიცხე ვერაფრით დავუწიეთ, ჩემი ცოლი ძალიან ნერვიულობდა. მადლობა ღმერთს, სერიოზული არაფერი აღმოჩნდა და მიმღები განყოფილებიდან მალევე გამოგვიშვეს. მთელი ღამის უძილოს მკვდარივით ჩამეძინა. დილით ცოლმა გამაღვიძა, წამოვხტი და სასწრაფოდ წამოვედი, მაგრამ, სანამ მოვალნიე, ეს ამბავი უკვე მომხდარი დამხვდა.

– ბატონო ადამს, – ჩაერია ლაპარაკში მარგარეტი, – როგორც გითხარით, დილით რომ მოვედი, გვერდითა მალა-

ზიაში მუშები კედელს ბურღავდნენ, ვიბრაციამ ხომ არ გამოიწვია თაროების გადმოვარდნა?

– არა მგონია, ეგ ყოფილიყო მიზეზი, მაგრამ, წესით, უნდა გავეფრთხილებინეთ, – ჩამოართვა სიტყვა კარლმა, – დიდხანს რომ არ გავაგრძელოთ, ყველაფერი ცუდად აენყო, თუმცა, რაც მთავარია, კარგად დამთავრდა.

– რას გულისხმობ კარგად დამთავრებაში? – გაღიზიანებული ტონით ჰკითხა ადამსმა.

– როგორ თუ რას? – გაიკვირვა კარლმა, – იმას, რომ სერიოზულად არავინ დაშავებულა. ბავშვს სახეზე და თვალთან მცირე ნაკანრები ჰქონდა. ასეთ უმნიშვნელო დაზიანებებს ბავშვები თითქმის ყოველდღე იღებენ. მთავარია, არავინ გვიჩვიოს. ბავშვის მშობლებს საავადმყოფოს ხარჯის კომპენსაცია შევთავაზე, რაზეც უარი თქვენს – დაზღვევამ ყველაფერი დაფარაო. მისამართი გამოვართვი, ლამაზ წიგნებს გავუგზავნით, წიგნის შიში რომ არ დაენყოს, – გაიხუმრა კარლმა. – რაც ჩვენ გვევალებოდა, ყველაფერს პაუსისმგებლობით მოვეკიდეთ.

– პასუხისმგებელი მარტო ჩვენს ქმედებებზე კი არა, ფიქრებზეც უნდა ვიყოთ.

გუშინ ხომ ვიფიქრეთ, რომ მცირედი, მაგრამ თაროების გადმოვარდნის რისკი მაინც არსებობდა, ამიტომ გუშინვე უნდა მოგვეგვარებინა ეს საქმე.

– მართალი ხართ, – უთხრა კარლმა, – ჩვენი წილი პასუხისმგებლობების ერთმანეთისთვის გადაბარება სწორი არ იყო, მაგრამ ისეთიც არაფერი გაგვიკეთებია, ჩვენი არასწორი ქმედებით რომ ვინმე დაგვეზიანებინა.

– ადამიანებმა ერთმანეთს შეიძლება ავნონ არა მარტო ქმედებით, არამედ უმოქმედობითაც, – შენიშნა ადამსმა, – ზოგჯერ უსიამოვნება გარდაუვალი ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ჩვენივე დაუდევრობის ბრა-

ლია. რა თქმა უნდა, შეიძლება, უარესი რამეც მომხდარიყო, მაგრამ არც იმის თქმაა სწორი, რომ დიდი არაფერი მომხდარა. დიახ, მოხდა, სიამოვნებისათვის მოსულმა ადამიანებმა საავადმყოფოში ამოყვეს თავი. მათ უსაფრთხოებაზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი.

– მარგარეტმა მითხრა, რომ დედა და შვილი მაღაზიაში ცოტათი ადრე შემოსულან, ოფიციალურად ჯერ გახსნილი არც იყო. შაბათობით დღის 10 საათზე

ვალბეთ, მართალია, არავინ გვიჩივის, მაგრამ ისე, ცნობისთვის, ჩვენ განსაზღვრულ საათებზე ვართ პასუხისმგებელი, – თქვა კარლმა.

– ალბათ, ახლა აზრი არა აქვს თავის გასამართლებელი მიზეზების ძებნას. როცა მომხდარს სხვა ვინმეს ან რაიმე სიტუაციას ვაბრალებთ და პასიურ-აგრესიული ირიბი ტაქტიკით ვინცებთ მიზეზთა მოძიებას, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას ვერ ვაცნობიერებთ, – დაამატა ადამსმა, – ისე არ გამიგოთ, თითქოს თქვენზე მინდოდეს მომხდარის გადაბრალება. გუშინდელი საღამოს მერე თაროები მეც არ გამხსენებია, არადა, როგორც მაღაზიის მეპატრონეს, მეტი ყურადღება მომეთხოვებოდა, თუმცა ამ კოლექტიური შეცდომის აღიარებით, თითოეული ჩვენგანის უპასუხისმგებლობა მომხდარის მიმართ არ იკლებს.

– მესმის, – თქვა კარლმა, – ძალიან უსიამოვნოა ეს ყველაფერი, მაგრამ ეს არ არის დანაშაული.

– უპასუხისმგებლობა თავისთავად დანაშაულია, – წყნარად თქვა ადამსმა.

– ზოგჯერ უბედური შემთხვევისგან იღბალი გვიხსნის, მაგრამ ამის იმედად ხომ ვერ ვიქნებით. ხომ იცით, ცხოვრებაში მარფის კანონი ბატონობს: „თუ არსებობს შესაძლებლობა, რაიმე უსიამოვნება მოხდეს, ის მოხდება“.

– ამ კანონს პესიმისტების კანონს

ეძახიან, – გაეცინა ალექსს.

– აი, ოპტიმისტები ჩვენ აღმოვჩნდით, ცუდ რამეზე არც ერთს არ გვიფიქრია. თუ პესიმისტი რაიმე უსიამოვნების მოხდენის შიშით საქმეში არსებულ რისკ-ფაქტორებს მინიმუმამდე დაიყვანს, მაშინ ყველა ხელმძღვანელის ოცნება თავისი უწყების პესიმისტებით დაკომპლექტება იქნება, – გაეცინა ადამსს.

– თუმცა ყველა პესიმისტი ასეთი კეთილსინდისიერი როდია! ზოგი მოსალოდნელ უსიამოვნებაზე იფიქრებს, მაგრამ გამოსასწორებლად არაფერს იღონებს, მძიმე ფიქრებით წავა სახლში ამიტომ სამსახურში აყვანისას გასაუბრებაზე მისულს უფროსმა ასეთი კითხვა უნდა დაუსვას: „მიიჩნევთ თუ არა თავს კეთილსინდისიერ პესიმისტად?!“ – აპყვა ადამსს ხუმრობაში კარლი.

ყველას გაეცინა.

– მსგავსი უსიამოვნო ინციდენტი ზაფხულშიც ორჯერ მოხდა, – თქვა ადამსმა ცოტა ხნის დუმულის შემდეგ. – ვგრძნობ, ჩვენს მექანიზმში რალაც მოიშალა. მეც ველარ ვუთმობ მაღაზიას საკმარის დროს. არ ვიცი, რამდენად შევძლებ ამ ბიზნესის გაგრძელებას.

– შეიძლება სიგნალივით იყო, უფრო ფრთხილად რომ ვიყოთ, – შენიშნა კარლმა, – ისე, იმასთან შედარებით, რაც გარშემო ხდება, ეს არაფერია. ხომ გახსოვთ, ახლახან ნუშის კომპანიაში დაშვებული შეცდომების გამო 30 კაცი მოინამლა, ორი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ წარმოება გამოძიების დამთავრებისა და დამნაშავის გამოაშკარავების შემდეგ არ შეუწყვეტიათ, ხარისხი კი გააუმჯობესეს.

– კარლ, მომხდარი არასდროს არ უნდა შევადაროთ უარესს. შეგვიძლია, უკეთესისთვის გვყავდეს მოდელი, მისაბაძი, მაგრამ უარესისთვის არა, რადგან მაშინ ყოველთვის ყველაფერი „დიდი არაფერი“ იქნება.

– ასეთი პატარა შეცდომის გამო

ყველამ რომ თავისი საქმე მიატოვოს, მაშინ ბიზნესი აღარ იარსებებს. სამ-ნუხაროდ, შეცდომებზე იმუნიტეტი არ არსებობს, ვის არ მოსვლია?! მაგრამ შეიძლება შეცდომის გაანალიზება, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ, გამოსწორება, გაუმჯობესება. აი, რას მოაქვს შედეგი. მე ასე მესმის, – თქვა კარლმა.

– როცა ერთი და იმავე ტიპის შეცდომა რამდენჯერმე მეორდება, – მიუგო ადამსმა, – ეს უკვე შეცდომა კი არა, საქმესთან დამოკიდებულებაა, მაჩვენებელია, რომ არასწორი გზით წავედით. – ბატონო ადამს, სწორ გზაზე დაბრუნებაც ხომ ჩვენს მონდომებაზეა დამოკიდებული ვალდებულიც ვართ, ასე მოვიქცეთ. დღევანდელ დღეს ინტერნეტგამოწერებს მთელ ამერიკაში ცნობილი წიგნის ქსელის მაღაზიები: “Borders bookstore” და “Barnes & Noble” ვეღარ უწევს კონკურენციას, ბევრ ადგილას იხურება. რამდენჯერ გვითქვამს, გამონერილი ელექტრონული წიგნი ბავშვს ვერ შეუქმნის იმ სამყაროს, ვერასდროს ჩამოუყალიბებს წიგნის მიმართ იმგვარ დამოკიდებულებას, რაც მაღაზიაში ერთად თავმოყრილ წიგნს შეუძლია. კარგად ვაცნობიერებთ, რომ ცვლილებების ეპოქაში უკან ვერ დავბრუნდებით, მაგრამ როგორ ვცდილობდით, ბავშვებისათვის წიგნის კლასიკური მაღაზიაც შეგვენარჩუნებინა! და ახლა ამ უსიამოვნო ინციდენტს ეს მთავარი იდეა არ უნდა გადავწყლოთ! ჩვენი კლიენტებისთვისაც, ვინც ამ საქმეში მხარს გვიჭერს, მაღაზიის დახურვა დიდი იმედგაცრუება იქნება.

– თქვენ ყველამ იცით, ეს იდეა ჩემთვის რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრი კარგი იდეა გაუფასურებულა ცუდი შესრულებით, საშიშიც კი გამხდარა. მთავარი უსაფრთხოებაა, ამის გარეშე სხვა რამეზე ლაპარაკსა და გეგმების დაწყობას აზრი ეკარგება. ეს მაღაზია ჩემი ოჯახის საგვარეულო ბიზნესია და ამ მხრივაც ძვირფასია

ჩემთვის. ძალიან მინდა ეს საქმიანობა გაგრძელდეს, მაგრამ ჩემი ქალიშვილები შორეულ შტატებში ცხოვრობენ, ვაჟს სხვა ინტერესები აქვს. ბოლოდროინდელმა ინციდენტებმა მაგრძნობინა, რომ რალაც შესაცვლელია. ვიფიქრებ ამის შესახებ. მაღაზიის დახურვას თუ გადავწყვეტ, უახლოეს მომავალში შეგატყობინებთ, სამსახურის საძებრად დრო რომ გქონდეთ – არ მინდა გაზარალოთ. ახლა კი, ალბათ, ჯობს დავიშალოთ, მძიმე დღე იყო და ყველა დაღლილია.

– დრამა დრამის გარეშე. ცუდი პიესის მონაწილეებივით ვართ, – ჩაილაპარაკა კარლმა ადამსის გასვლისთანავე, – თვითონ რომელიღაც პაროდის რაინდივით მოახტა ცხენს და გააჭენა. გაუგებარია, ასეთ უმნიშვნელო რალაცაზე მაღაზია რატომ უნდა დაკეტოს. ისეთი შთბეჭდილება დამრჩა, დაილალა, ასაკშია, ფულის პრობლემა არა აქვს, მაღაზიას დიდი მოგება არ მოაქვს, მობეზრდა და დახურვის მიზეზად ეს უმნიშვნელო ინციდენტი აქცია, – გაღიზიანებით დაამატა კარლმა.

– მობეზრდა?! არაა, – თავი გააქნია მარგარეტმა, – რალაც არა მგონია!

წიგნების მაღაზია “Adam’s books” ადამსის დიდმა ბაბუამ, ირლანდიიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა, ადამს ბრეიდმა გახსნა. პატარაობისას ადამსი და მისი დები მაღაზიაში მამას დაჰყავდა, მერე უკვე ადამსს დაჰყავდა იქ თავისი შვილები.

მაღაზიაში შაბათ-კვირას ხალხმრავლობა იყო, მთელი სამეზობლოს ბავშვები იქ იკრიბებოდნენ. მცირეწლოვანთა განყოფილებაში ხის გრძელი სათამაშო მატარებელი დადიოდა. საახალწლოდ დიდ ნაძვისხეს დგამდნენ, ტრადიციის მიხედვით, ბავშვებს „სამობაო ზღაპრებსა“ და ტკბილეულობას ურიგებდნენ. წელიწადში რამდენჯერმე პატარების საყვარელ ავტორებს ინვევდნენ.

ბავშვები უსვამდნენ მათთვის საინტერესო კითხვებს და პასუხებთან ერთად საჩუქრად წიგნსაც იღებდნენ ავტორის ხელმოწერით. ხოლო 4 ივლისს, დამოუკიდებლობის დღეს, ყველა სტუმარს აშშ-ის დროშის ფერებით გაფორმებული ნაყინით უმასპინძლებოდნენ... 90-იანი წლების ბოლოს ეკონომიკა აღმავალი იყო და მცირე ბიზნესიც ყვაოდა.

ამჟამად მალაზიას სულ უფრო და უფრო ნაკლები ხალხი სტუმრობდა, თუმცა ჰყავდა ერთგული მომხმარებელიც, ვისთვისაც აქ სიარული, თაობიდან თაობამდე, ტრადიციად ქცეულიყო. ადამისათვის თავისი წიგნის მალაზია მარტო ბიზნესი არ იყო, ის საოჯახო საცავიც იყო, მოგონებათა საცავი, უხილავი ჯაჭვით გაბმული დიდი ბაბუის დროიდან დღემდე, რომლის განყვეტაც წარსულისაგან მოგლეჯას ნიშნავდა. მალაზიის კარზე ჩამოკიდებული პატარა ქანქარა, რომელიც ბავშვობიდან ახსოვს, შეღებისას მუსიკას უკრავდა. მელოდიას განვლილი წლე-

ბის სევდანარევი სიხარული მოჰქონდა, შიგ შესული კი წიგნების ნაცნობ სურნელს, „რელიკვიურ არომატს“ შეიყნოსავდა და ისევ იმ პატარა ბიჭად გადაიქცეოდა, მშვიდსა და, ამავე დროს, თავგადასავლებით სავსე სამყაროში რომ ხვდებოდა.

ქარიან ზამთრის საღამოს ადამს თავისი მალაზიის ქუჩაზე მანქანით გავლა მოუნია. ბოლო ხანებში ცდილობდა, ამ ქუჩისთვის გვერდი აეველო, ამჯერად, ფიქრებში ნასულმა, ნაცნობ მოსახვევეში ავტომატურად ჩაუხვია. ქუჩის გაყოლებაზე პატარ-პატარა მალაზიები ჩამწკრივებულიყო. საშობაოდ ლამაზად მორთულ ვიტრინებს შორის მისი ჩაბნელებული მალაზია ობლად გამოიყურებოდა. დაცარიელებული მალაზიის შეხედვისას ადამსმა იგრძნო, ტკივილმა გულთან ახლოს რომ გაუარა და სასწრაფოდ მოაშორა თვალი.

ვაშინგტონი, 2017 წელი

ეკა ქაჯაია



●
ზექართულია ცა ამ ქალაქში
და ამ ქალაქის იქითაც ასე
წევს მსხმოიარე მზე თეთრ
ცარგვალზე
და დღის ტალები აყრია ტანზე...

ზექართულია ცა ამ ქალაქში,
ამ თვალუნვდენელ მთების იქითაც,
თვალს ვხუჭავ –
მომდევს სხვა ქვეყანაშიც
პირაქეთაცა და პირიქითაც...

იმ საზღვარს იქით,
წილხვედრი მიწა
რომ იქცა უცხო ფეხთა ჭილოფად –
ვინ მოგიზომა საზღვარი იმ ცის!
რამ დაგიამა მიწის ჭრილობა!

იმ საზღვარს იქით
ლუკმა-ლუკმებად
რომ ჩამოგაჭრეს კილომეტრები,
შენ შენს სხეულში
მას მერე როგორ
არ იხუთები ?!
როგორ ეტევი ?!

რა დაცინვაა,
სად გვეცხოვრება,
გვიკანონებდეს ვილაც მესრიდან,
რაც უნდა იყოს,

იმ საზღვარს იქით,
იმ მიწის ზევით
ცას რა შეცვლიდა!?

იმ მიწის ზევით ცას რა
შეცვლიდა
(ნისლის და ღრუბლის
ახალუხებით) –
ის, რაც მიწაზე გამიუცხოვდა,
შემოუნახავს ცას ხელუხლები...

დრო იდგა,
მიწა მუჭით გაგვექონდა,
არ ეკიდება ახლა თვალს რული –
დღეს მზერით მიმაქვს საქართველოდან
სულ ერთი მუჭა ზეცა ქართული...

ეპილოგამდე

თუ მე ვარ წიგნი,
ხელისგულზე გყავარ გაშლილი,
მკითხულობ, ტირი, იღიმები, გკარგავ,
მეძებ და...
ეპილოგამდე რამდენია, ღმერთო,
მანძილი,
რომელ გვერდზე ხარ?..

თუმცა სიტყვას და სიტყვას შორის
უფრო მეტი ვარ
(სიტყვით მკვდარს
მანც სიტყვა მწამლობს,
არა გუმანი),
შენ შეგიძლია გადაშალო
ბოლო გვერდი და
გააუვნებლყო ყველა ტვირთი და
საზრუნავი...

ყოველი დილა, უპირობოდ
გასათენები,
მზით მოსასწრები საქმეები,
უქმე საველე
დღეები, დროში უთარილოდ
გაფანტულები,

ჰგვანან ერთამანეთს და კარგავენ
თავის სახელებს...
იქ, სადაც განცდილ ტკივილების
არის მარაგი
და ან ბედნიერ მოგონებით არის
მძინარე,
ჩემი ყოველი გადაშლილი
გვერდი – არაკი
უერთდებიან
მასხოვრობის დამშრალ მდინარეს...

თუ დანერვილ ვარ
გაგრძელებად მრავალი გვერდის
და ყველა უწყი,
რაც იქნება ან დამარხულა,
უფალო, თუკი ჩემი ხვედრის
ვარ შემოქმედი,
გთხოვ, შუა გზაზე არ ინებო წიგნის
დახურვა...

●

იუდას ხევ,
ასე რამ აგაყვავილა,
ვნების კვირას ტანს რა ვნება გამოისხი,
ისე ბრწყინავ,
დაემსგავსა ნაყვავილარს
გაზაფხულის დანარჩენი სამზადისი...

მენამული
უფრო როგორ გაგანითლო,
დაცემულთა ცოდვა-ბრალით მოგებარო,
გაქცეული ასი ათას გამცემისგან
შენგან მონვდილ ჩეროს
როგორ შევეფარო?..

ვინც პირქუში მიწისაგან აგამაღლა,
ცოდვის თანაზიარება
რალად გარგო?
იუდას ხე ვინ დაგარქვა,
არღავანავ,
ქრისტესისხლას სიახლოვეს
ვილამ დაგრგო?

ცხოვრებაშიც შენი მგვანი
ყვავილს უცებს

მწირი თვალის საამებელს მრავლად ისხამს,
შემოვედი,
დაგინახე,
მოვინუსხე
და ძირს ფეხი დავაბიჯე ქრისტესისხლას...

სხვასთან

კვლავ,
გამუდმებით
სხვასთან და სხვასთან,
ზედმეტი წუთიც
შენთვის არ გრჩება,
რა ბავშობაა!
ვინ გაპატიებს
საკუთარ თავთან მარტო დარჩენას?..

კვლავ,
გამუდმებით
სხვისთვის და სხვისთვის,
აღარც მოთავდნენ ქვეყნად
კენტები...
და სამზეოზე არავის, ირგვლივ,
შენი თავისთვის არ ემეტები...

უუცხოვდები
თავს ისე სწრაფად,
გისაკუთრებენ სხვებიც ისე, რომ
ფეხისწვერებზე დგახარ
შენს თავში
ერთხელ მაინც რომ შემოიხედო...

●

მოულოდნელად გაავდა თოვლი
(არ მახსოვს
სხვა დროს თოვა ამგვარი)
ყოველი სახლის კუთხე-კუნჭული
გამოყინულა, როგორც
სანგარი...

ამოგმანულში, საფიქრებელი,
დარჩა ცის თმენა და
გამძლეობა
და დგას ქალაქი,
როგორც საყდარი,

როგორც სიჩუმის თეთრი
ტყვეობა...
თოვს განუწყვეტლივ და
ცივი რული
სველ აფთარივით გზაზე
მიხობავს,
შეძრა სამყარო სიმშვიდით
მტრულით,
ვერ იქნა,
გული ვერ მოიხსა...

დის ქაფიანი ცის მარათონი
და ხელუხლებელ-
ფერმეუცვლელი
ჩამოთოვლილი მიწის ფართობი
აგდია, როგორც თეთრი
ფურცელი...

ცრემლი

რა წმინდა რამე ყოფილა ცრემლი –
უცნაურია, სულ უფრო შრები,
რაც გადის წლები...

დრო იმდენ მზეს და სინათლეს
მართმევს,
ვსვამ შესქელებულ წყვილადს
ხელადით
და რაზეც ასე ვტიროდი ადრე,
ვეღარ ვიტყვებ ახლა ვერაფრით...

თუ ავარიდებ სმენას ქილიკებს
და არ მისწვდება ტკივილი
ურანს,
მეც ჩვეულებრივ გამოვიტირებ
ხვალ ატირების
დაკარგულ უნარს..

●

გამოვიარეთ ჩვენ ქარიშხლები
ხეთა სიმტკიცით და ერთგულებით,
თითები იყო ჩვენი ფესვები,
გვემოსა მინად ხელისგულები...

ჩაჭიდებულებს – ხელიდან ხელში
გვცდიდა ქარიშხლის შიში და განცდა,

რა ადვილია, მსგავს ქარიშხლებში,
მსგავს ქარიშხლებში გადარჩეს, რაც გნამს...

და არ გაქვს შიში ბედთან ჭიდილის,
თუმც გაკრთებოდნენ ცრუ გაელვებით
დღეები ჭიქის წყალივით მშვიდი,
გარეშე შფოთვის და გრიგალების...

და როგორც ბავშვი ნანატრ სახსოვარს
იხუტებს გულში, ძილშიც არ იშლის,
ვთლემდით, მაგრამ ჩვენს თვლემას ახსოვდა
მოახლოება ყველა ქარიშხლის...

გვცდიდა ყოველი უერთმანეთო
დღე – თვალნასული დროის ქსოვილში
და გვაბრუნებდა შიში საერთო
ჩვენი ხელების სიმჭიდროვეში...

და როგორც მწერის გაბმით ზუზუნი,
როგორც ამინდი ძილის მომგვრელი,
ვერ მივხვდით, დადგა როდის ნამდვილი
სიმშვიდე ქარიშხლისოდენი...

როდის შეეხსნათ ხელებს თითები
და უფესვებოდ ყოფნა ეამათ,
მრავალ ქარიშხალგამოვლილები
ნიავმა როგორ გაგვანიავა...

აივანი

აიხედავ და თითქოს მზის არის,
წვიმს და წვიმიან ამინდს ამშვენებს,
მაგრამ ცის სახლი – ის აივანი
ერთ დღეს უეცრად ამოაშენეს.

იყო ზღაპრიდან ამონარიდი,
უცებ ქუჩაზე ჩამოწვა ღამე
და ყველა დროის ყველა ამინდიც
მოულოდნელად დატოვეს გარეთ...

დათმეს კამკამა ათინათები,
ქარში ერთმანეთს როგორ იჭერენ,

ვერც ნაბიჯ-ნაბიჯ ასკინკილათი
იხტუნავებენ წვიმის ბიჭები...

რალაც უსაზღვრო და მისანვდომიც
კედლების წყვდიადს გაუნანილეს
და ფარატინა, თბილი ნიავიც
ოთხ კედელს შორის გამოამწყვდიეს...

არავინ გრძნობდა მაინც სინანულს
ოთხი კვადრატის მტკიცე საბაბით,
ცის საქანელა ერთ დროს მხიარულ
სახლს დაეკიდა, როგორც ლაბაბი...

როგორც უსულო მკერდზე კარატი,
ჩაქრა ძვირფასი ქვა და ჩანავლდა,
სახლს მოემატა ოთხი კვადრატი,
ქურა ათასით დაპატარავდა...

თითქოს განწყვიტეს გრძელი ამბავი
საპნის ბუშტების ცაში გაშვების
და დიდობისგან მიუსაფარნი
გაიზრდებიან ჩქარა ბავშვებიც...

ადამიანი-სახლი

მე გადავდივარ
სახლიდან სახლში,
როგორც მედუზა ვხაზავ რვიანებს
და ხმამალალი ფიქრების
არშინს
სახლიდან სახლში დავაფრიალებ...

მე ჩემს სახელზე
თავიდან ვგზავნი
ადრინდელსა თუ ახალ ბარათებს...
ხანდახან ხდება,
მეშლება სახლი
და მეც მივდივარ ძველ მისამართზე...
ვბრუნდები ისევ ძველ
მისამართზე,
როგორც სამერცხლეს ნაჩვევი კატა
და ვით სნეული, საზარ

სარეცელს
ვერც მე ვცილდები კედლების ხაფანგს...
დავხეტილობ
სახლიდან სახლში,
ხელთათმანივით ვიცვლი მეზობლებს
და ჩემს სილუეტს,
ათასად დაშლილს,
ვტოვებ ნაცხოვრებ სახლის შეზღონგზე...

განა ვინ შექმნა
უსასრულობა,
რომ ვერასოდეს ვიხილო
ბოლო...
მე მხოლოდ ვშიშობ,
რომ არც ერთ სახლში,
რომ არც ერთ სახლში
არავინ ცხოვრობს...

თქვენ – ქალბატონო

თქვენთვის არ უთქვამთ, ქალბატონო,
რომ ჰგავხართ აპრილს,
რომ გაზაფხულმა ღია რძისფერ
ნისლში გარწიათ,
კარგა ხანია, მყვირალობა დაიწყო მთაში
და ამიტომაც შვლებიანი კაბა გაცვიათ...

არც ის არ უთქვამთ, რომ თქვენა ხართ
აპრილის ქარი,
ნაფერები და ღიმილივით ოდნავ
დამთბარი,
ო, ქალბატონო,
მე ნამდვილად ვაღმერთებ აპრილს,
თუ ნებას დამრთავთ, მე ვიქნები
თქვენი ზამთარი...

ჩემი გუგუნიერი ღრო

მარად შელამებულ თოვლის
სველი სურნელება მახლდა,
ღმერთო,
მიმატოვე მგონი,
გაქრა მწუხარება რახან...

მე მქრქალ დაზამთრების ქართა
და ზღვის მდუმარება მერგო,
მწამდა სიხარული,
რადგან
მქონდა მწუხარებაც, ღმერთო..
ღროში –
ავისა და მრუშის,
ჩემად ვპოულობ და მიკვირს –
შემთხვევითობისგან სულში
უცებ გადარჩენილ ტკივილს –

ხანი გასრულდება ვიდრე
უსიხარულობის,
ომის,
ღმერთო, მწუხარება იხსენ,
ჩემი მშვენიერი დროის..

მივიწყებული სახლი

ოდის კიბეებზე ბალახმა იძალა,
ძველი აღტაცებით ყვავის
კამელია,
სურათზე მტვრის თოვლი
ბაბუას მიმაღავს,
ბაბუას ისევ ლურჯი
თვალეები აქვს...

თაგვების ფართხუნით შეძრული
კედლიდან
შორეულ დღეების უცხო
ხორხოცია,
რა სასწაულია,
რადა არ შეცვლილა –
ბაბუა სურათზე ისევ მოხუცია...

ოთახში სუნია მტვრის და
ნიშადურის,
ეზოში ჭრიჭინი გაუბამთ კალიებს
და ძველი პალტო,
ჩრჩილით დალაშქრული
ჩამომხრჩვალ კაცივით ჰკიდია
საკიდზე...



ფერეიდნელ ქართველებს

ხდება,
შენს თვალებს წაანყდები სადმე
უეცრად,
ბედს მინდობილი,
ცხრა მთას იქით გადაკარგული
და გაოცდები,
უსაშველოდ შენეულია
მის თვალებიდან გამომკრთალი
სხივი ქართული...

მიუხედავად
(ყველაფრისდა მიუხედავად),
მხოლოდ თვალები ქართულ გენის
როდი გეცნობა...
შენ შეჩერდები,
გააყოლებ თვალს გზად მიმავალს,
იმ კაცს,
რომელსაც შენს მინაზე
უნდა ეცხოვრა...

მირიან რჩეულიშვილი



კედლები

ციხეში ბნელა. აგურის კედლებში ჩამოდვრემილი უკუნი სინათლის ჭამით ვერ ძლება. გავარვარებული მზის სხივები ძლივს იკვლევენ გზას გისოსებით დაგმანულ სარკმელებში. ბოლო სართულზე, სადაც მხურვალეა დუღილის ნერტილს უკაკუნებს, საკნები ცარიელია. დროით გაცვეთილ დერეფანში ყარაულიც კი არ დგას. თითო საკანს ჭერის სიმაღლიდან თითო სარკმელი დაჰყურებს. ოკეანიდან მოდენილი ნესტი სიციხის ნისლთან ერთად კედლებზე ილექება და ჟანგის სუნით აყროლებს კედლებს. დამსკდარ აგურებს მძალე ჟატი ზიგზაგებად გასდევს. სანაპიროს სველ ქვიშასა და ალისფერ ვარსკვლავებს შორის გამოკიდებული სინათლე კი ციხიდან ძალიან შორს, ჰორიზონტზეა დამწყვდეული. ოკეანის ქარი შხუილით ასკდება კედლებს და საგულდაგულოდ ეზიდება იატაკზე ატალახებული სილის ნამცეცებს.

კუთხეში ყოფილი ყაჩაღი, ყოფილი ვეტერანი, ყოფილი დამნაშავე, ყოფილი გმირი და კვლავაც ყოფილი ყაჩაღი – კოლტონ უაითია დამწყვდეული. ორივე მკლავზე სქელი ჯაჭვი აქვს დახვეული და თითო ბოლო თითო კედელზეა მიდუღებული. ერთ ადგილას გაკოჭილი, ძალიანაც რომ მოინდომოს, საკნის დანარჩენ კუთხეებსაც კი ვერ მისწვდება.

ციხის ჟანგითა და ოხშივარით გაეჟღინთა ჭალარაშეპარული, გაბურძღნული თმა, ასეთივე წვერი ჩამოსდის მოღვლილ მკერდზე. სქელი, დაფლეთილი შარვალი და ძონძის პერანგი ლამის სხეულზე ადნება. უკვე წლებია თავჩალუნული ზის კუთხეში, ჩუმად. რაც აქ ჩასვებს, კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ მთავარ ინსპექტორ ლუთერს თუ შეუბღვერდა ხოლმე რამეს, მაგრამ ის ძალზე იშვიათად მიდიოდა კოლტონის სანახავად. ციხის კედლებით დახშულს, ძვლები ნესტით ჰქონდა განყალწყალებული, თითქოს მისი სხეული ყოველდღე პატარ-პატარა ნაწილებად იშლებოდა. არაერთი პატიმრის სიკვდილს შეესწრო მოპირდაპირე საკანში. ბევრი შლეგი და შემლილი მიუჩინეს მეზობლად, თითქოს მეციხოვნე ასე ანიშნებდა: შენც ერთერთი მათგანი ხარო, მაგრამ კოლტონის კლდეში ნაკვეთი ფიგურა კუთხიდან არ იძვროდა, უსიტყვოდ მორჩილებდა აგურის კედლებს.

ერთ დღესაც მის სართულზე ბნელი დერეფნიდან რკინის კარის ღრჭიალი გაისმა და ფეხის ხმა კოლტონის საკანთან შეწყდა. მთავარი ინსპექტორი ლუთერი კოლტონს ამყადა დაჰყურებდა. ცოტა ხანში ღიმილი უფრო გაებადრა და სიცილში გადაეზარდა:

– რაო?.. – ნამიერად შეწყვიტა

ლუთერმა ტკბობა, კოლტონი გაუნძრევლად იდო კუთხეში. – სამაგიეროდ ცოცხალი ხარ! – უსაყვედურა პატიმარს. – ერთი კარგი საქმისთვის ათი ცუდი არ გეპატიება! მაგიტომ ხარ აქ! თანაც ცოცხალი! ...შენი ჭიქა ჯერ კიდევ ნახევრად სავსეა, კოლტონ!

– მე სანახევრო კაცი არ ვარ, – ნახველივით ამოიღო კოლტონმა. – ჩემი ძმისა რა ისმის?

– ჰო, შენი ძმა... – ლუთერმა პირზე ხელი მოისვა, მაგრამ სიცილი ვერ დამალა. – შენი ძმა, ამ რამდენიმე დღის წინ დავიჭირეთ, გავკოჭეთ, და როგორც შეეფერებოდა, კოცონზე დავწვით!

– მატყუებ!

– ამ ამბის სათქმელად მოვედი, – სერიოზული სახის მიღება სცადა ლუთერმა, როდესაც მისი ძმის გარდაცვალების თარიღი პატაკივით ჩააბარა უაითს.

კოლტონი შეიჭმუნხა, შეიმშუშნა, შეიკვეცა, უფრო მოიხარა და დაპატარავდა თავის ბნელ კუთხეში. თითქოს არემარე გაყრუვდა მისთვის, ლუთერი აგრძელებდა ლაპარაკს: რალაცას დანაშაულზე მიედო, რალაცას წესრიგზე მოედო. კოლტონისთვის ეს უკვე გაუგებარი ბუზღუნნი იყო. ციხის კედლებზე მონოლილ ქარს მხოლოდ სანაპიროს ტალღების თხლაშუნი მოჰქონდა, ლუთერის ხმა კი სადღაც ფსკერზე ჰყავდა მოგუდული. ქარის ზუზუნნი კოლტონს წვრილად უსერავდა ყურებს. მხრები და კისერი გაეყინა. ხერხემალში ჟრუანტელმა დაუარა, აცახცახდა. მკლავები მიგრინ-მოგრინა, მძიმედ მოსინჯა ჯაჭვები. გასაქცევი არ იყო. კედლებმა ყორნებივით უფრო ზევით აიწიეს, ჯაჭვები კლანჭებად ჩაასეს მკლავებში, ჭერის შავბნელი კუთხეები ცივი წყვდიადით შეგუბდა. საკანი შეიცვალა. კოლტონი შეიცვალა. თითქოს უკანასკნელი იმედი გადაეწურა. ერთი სიცოცხლე გალია ციხეში, მაგრამ მხ-

ოლოდ ახლა დაემსგავსა მარტოსულს. ლუთერი არ წყვეტდა თავის მონოლოგს და როცა კოლტონი გონს მოვიდა, უკვე უკანასკნელ ხმაზე ყვიროდა:

– შენი გარეთ ყოფნის დროს ყველა ბინძურ და გაიძვერა ადამიანს ეგონა, ვისაც რა გვინდა, გაგვივაო! ვერ გაგივიდათ! შენ და შენნაირები კუთხეში მიგიმწყვდიეთ და ველარსად წამიხვალთ! – შეკრული მუშტი უჩვენა კოლტონს.

ბნელი დერეფნის ბოლოდან ისევ გაისმა კარის ღრჭიალი და ფეხის ხმამ სინათლეზე ორი მცველისა და პატიმრის გამოსახულება გამოაცილა. მცველებმა კოლტონის მოპირდაპირე საკანი გახსნეს და ხელებშეკრული პატიმარი ტომარასავით ისროლეს შიგ. ლუთერმა ტკბობის ნუთები ნელან დახარჯა, ეს სცენა ისე ვერ შეირგო, როგორც გეგმავდა. ახალ პატიმარს ამრეზით გადახედა, კოლტონს თავი დაუკრა და უჩუმრად გაჰყვა მცველებს იმავე ბნელ დერეფანში, რომლიდანაც სამივენი შემოვიდნენ.

პატიმარი სწრაფადვე წამოდგა, თვალებით საკნის ხან ერთ კუთხეს ეცა, ხან მეორეს. სარკმელი დაინახა, აინია, მაგრამ ვერ შესწვდა. მერე გისოსებს მიანყდა და აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება. ცოტა ხანში შენიშნა, რომ მის მოპირდაპირედ, კუთხეში, რალაც ფიგურა იჯდა და ცალი თვალი თითქოს ალისფრად უელავდა.

– ჰეი!.. ეეი! ვინ ხარ? – ისევ აქეთ-იქით იხედებოდა შეშინებული. – ხმა ამოიღე!.. ვინ ხარ?

ახალ პატიმარს ეჭვიც კი შეეპარა, პასუხს განგებ არ სცემდნენ თუ მასპინძელი ცოცხლებში აღარ ეწერა. წრეზე სიარული დაიწყო, ბოლთასა სცემდა, ქოშინებდა, ღელავდა, რალაცას ბუტბუტებდა, ზმუოდა, ერთი ორჯერ დაიყვირა კიდევ. კიდევ რამდენჯერმე სცადა სარკმელს შესწვდომოდა. მერე კრუსუნნი დაიწყო, თითქოს

ატირდა, კედელთან ჩაიკეცა და თავი მუხლებში ჩარგო.

– მე კოლტონ უაითი ვარ! – გაისმა ბნელი კუთხიდან.

ამის გაგონებაზე პატიმარს ძვლებში გასცრა. თავი ნელა აიღო, დაჭყეტილი თვალებით კოლტონის ფიგურას დაუნყო ძებნა ბნელში. წინ წანევისა შეეშინდა, ცნობისმოყვარეობითა და შიშით გაშეშებული კისერი ოდნავ წაიგრძელა. ისევ უკან დაინია, უნდოდა, რამეს მოჰფარებოდა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. მერე გაახსენდა, რომ ცალ-ცალკე საკნებში ისხდნენ და მათ შორის ორი წყება რკინის გისოსები იყო ჩარიგებული. ნელ-ნელა მიხობდა რკინის კარებთან.

– შენ ვინ ხარ, აქ რატომ ჩაგადგეს? – ყველა მხრიდან დაძრულმა კოლტონის ხმამ შიშით აიტანა ახალი პატიმარი.

– მე რიჩარდ პარკერი ვარ, – უპასუხა თავჩაღუნულმა, თითქოს სასიკვდილო განაჩენს მოელოდა.

- რატომ ჩაგსვეს?
- რალაცა დავწერე...
- რა დანერე ამისთანა?

რიჩარდი დაეჭვდა, თვალებზე გაუგებრობა გაუშტერდა, მერე გათამამდა, თითქოს ლოდი ჩამოხსნეს კისრიდანო.

– კი, კი. სტატიებს ვწერდი, – დაარწმუნა კოლტონი. – ჰოდა, ლუთერზეც დავწერე ორიოდ სიტყვა!.. ან იქნებ ცოტა მეტიც.

კოლტონი ისევ გაჩუმდა, თითქოს ბნელეთმა შთანთქა ან მართლაც უსულ საგნად გადაიქცა. მისი თვალის მხრჩოლავი ფერიც საკნის სიღრმეში ჩაინავლა. რიჩარდი მარტო დარჩა, ცივი ნემსები იგრძნო მთელ ტანზე. საკანში სუნთქვა სულ უფრო უძნელდებოდა. მოიხარა, მიიკრუნჩხა კუთხეში. შუბლზე აწვერილი წარბები თვალბზე აღარ უბრუნდებოდა. მიხვდა, რომ უცხო თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევი იყო, თუ მთელი გზა რა შიში ჰქონ-

და ნაჭამი, სანამ აქ მოიყვანდნენ. ციხე, საკანი, კედლები და გისოსები მის ბამბის კანში მწარედ ატანდა. დიდი დღე ჩამოწვა სიჩუმეში. რიჩარდს თითქოს სმენაც შეუგუბდა. ქარისა და ოკეანის ტალღები ჯერაც სადღაც შორს ეხეთქებოდნენ ერთმანეთს.

– ლუთერი საშიში ადამიანია, – კოლტონის ხმამ აამღვრია შეგუბებული სიჩუმე. – მაგრად ვყავართ გამოჭერილები. მე კიდევ სიმდიდრით გაღარიბებული ხალხის სიძულვილმა ისე დამიბნელა გონება, რომ ცხვირწინ ნამდვილი მტრის აღზევება ვერ შევამჩნიე. „ახალი შერიფი? დიდი ამბავი. ახლა ინსპექტორს ეძახიან? ეძახონ რაც უნდათ. ვეტერანია? მეც ვეტერანი ვარ, მერე რა...“ – კოლტონმა ამოიხვნეშა. – ტყუილად ნავუყრუე ქუჩებს. ...რა ხდება მართლა ქალაქში?

– რა ხდება ქალაქში... რაც ყოველთვის ხდებოდა, – მხრები აიჩჩა რიჩარდმა. – ბევრი არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, რაც შენ აქ ჩაგსვეს. ყაჩაღები და ჯიბგირები ფერადი ფორმით შეიმოსნენ და გვიმტკიცებენ, რომ თურმე გვიცავენ და იქით მადლობები უნდა ვუხადოთ. მდიდრები ურთიერთობის მავთულხლართებს კვანძვენ ერთმანეთში, ოქროს ძაფებით მოირთეს თვალები და არავინ მიჯერებს, რომ ლუთერი ოკეანგალმა სახელმწიფომ შემოგვიგდო და მალე ჩვენს ქალაქსაც ხელში ჩაიგდებენ. სანაპიროს სამხრეთი უკვე მთლიანად დაიკავეს.

– სანაპირო დიდი ხანია აიღეს – იყიდეს. ჩვენი მიწების სისხლით დაპყრობა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ფულით ყიდვა. ლუთერი კი სწორედ ისეთი კაცი გამოდგა, როგორც მათ სჭირდებოდათ. მგონი, თვითონაც არ იცის, რა შარში გაყო თავი.

– ლუთერს დიდი ხანია ვიცნობ, თითქმის ბავშვობიდან. სამხრეთში წითელფორმიანები რომ გამოჩნდნენ, ჯერაც მოზარდი იყო და საომრად

წავიდა. შავკანიანს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მხოლოდ გამოქცეული და ყოფილი მონა კი არა, მართლაც ღირსეული მოქალაქე იყო და მართლაც ეკუთვნოდა ამ ქალაქში ცხოვრება. მშობლებს სიცოცხლე გაუნახევრდათ, სანამ ლუთერი დაბრუნდებოდა. ერთადერთი შვილის ომში გაშვება როგორია? მაგრამ, საოცარი ისაა, რომ ბრძოლა წავაგეთ და ლუთერი ცოცხალი დაბრუნდა, თუმცა ლუთერი არც დაბრუნებულა. ომში რომ გაიქცა, ისევ ის ბიჭი რომ ყოფილიყო, უკან ცოცხალი არ დაბრუნდებოდა. მეც ჩავედი ამ საქმეს და აღმოვაჩინე, რომ ინტუიცია არ მლაღატობდა. სანამ დავამტკიცებდი, რომ მოლაღატე იყო, მომასწრეს და ჩამაყუდეს აქ.

– ომი სულს ასახიჩრებს, – სიტყვები თითქოს უნებართვოდ ამოჰყვინენ კოლტონის სუნთქვას.

– შენც ხომ იყავი ომში. შენ მაინც იბრძოდი ჩვენი თავისუფლებისთვის. ლუთერის თავისუფლებისთვის, მაშინ ეგ ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ალბათ.

– შენ რა გალაპარაკებს? მე თვითონაც არ ვიცი, რისთვის ვიბრძოდი. ომში მშვიდობის გამო არასოდეს წავსულვარ, – ჯაჭვებით დახუნძლული ხელი ჩხარუნით ასწია და კეფა მოიფხანა – ...მართალია, აქაური ხალხი მეცოდებოდა.

– ჰო... ხალხი, დიდი ხანია აღარავის ვენდობი. შენ, ალბათ, მითუმეტეს. ომის ვეტერანი ციხეში გამოგკეტეს.

– ცოცხალი ჯარისკაცი, დავინყებულნი ჯარისკაცია, – კოლტონის სიტყვები შავი გუდრონივით იღვრებოდა საკნის იატაკზე. – მე საკუთარი თავის ნდობა დავკარგე, როდესაც ხალხთან დაახლოება ვცაადე.

– მე მაინც მგონია, რომ მათი ბრალია.

– თუ ასე ძაან ვერ იტან ამ ხალხს, რაღას იკლავ თავს სტატიების წერით?

– რა ვიცი... – რიჩარდმა კენჭი ეს-

როლა საკნის კედელს. – სხვა არაფერი გამომდის.

– ვერ ვიტან იმედს, – კოლტონის ხმა უზარმაზარი კბილანებევით ზრიალებდა.

საკანში ჩამოჟამდა. რიჩარდი ისევ დაფეთებული იყურებოდა აქეთ-იქით. ვერ გაეგო, მართლა ახლა ჩამობნელდა თუ თვითონ შეამჩნია გვიან. დრო შედედდა, ერთ დიდ მსუყე ნაჭრად გაეჩხირა სასაში. თავი კედელს მიადო, სიცხისაგან შუბლი უდუღდა... გაითანგა... ჩასთვლიმა... ცოტა ხანში ისევ გამოეღვიძა. რამდენჯერმე გაუმეორდა ასე, სანამ მთლიანად არ დაიკარგა უდროობაში. სარკმლიდან კვლავაც მკვეთრად იჭრებოდა სინათლე, თითქოს სილურჯეში შეზავდა. „იქნებ მთვარეა... მთვარე უნდა იყოს ნამდვილად“, – გაიფიქრა შეცბუნებულმა.

– კოლტონ!.. – ცრემლები წასკდა, როდესაც მეორე საკანში გასძახა.

– რა არის? – კოლტონმა ისე უპასუხა, თითქოს მათი ბოლო საუბრიდან დიდი დრო არ გასულიყო.

– ვერ... ვერ ვიძინებ, – რიჩარდს საკნის სილა გაოფლილ ხელებზე აუტალახდა. როცა ცრემლების მოწმენდა სცადა, უარესად დაიბრმავა თვალები. მაგრამ აღარ შეიმჩნია. თითქოს დანებდა ბედს და უკეთესს აღარც არაფერს ელოდა. – რამე მოყვივი, ვერ ვიძინებ.

– კარგი, – დათანხმდა კოლტონი. – ეს ერთი ძველი ზღაპარია... ან აღარცაა, იმდენჯერ გადავაკეთე, – კოლტონმა ხმის შემზადება სცადა, მაგრამ ჩახველებამ ფილტვები ჩაუხანია, ყელი გაუზზარა და ხახა თითქოს კბილებზე მოაწვა. ხმადებლა ლაპარაკისგან დაძაბულ ყელზე ვენები გამოეფოფრა. როგორც იქნა, მოითქვა სული, ცივად ჩაისუნთქა სილასა და ნესტში არეული ჰაერი და დაიწყო:

– გულადი მეომარი ბრუნდება სახლში. ომში არ ყოფილა, ოღონდ, მაგრამ თვითონ იცოდა, რომ მამაცი იყო

და კეთილი საქმისთვის თავდადებული. ქვეყნად გასული, თავგადასავალს ეძებდა, სამშობლოსთვის თავდადებას, სახელის მოხვეჭას, მეგობრების შექმნას, მაგრამ იმედგაცრუების მეტი არაფერი შერჩა. სამშობლო არეული იყო, სახელს კი ერთგან თუ მოიხვეჭდა, მეორეგან კარგავდა ყველასთან სურდა მეგობრობა, და ამის გამო ყველამ ერთბაშად გარიყა. იხტიბარს არ იტყებდა მაინც. სახლში დაბრუნებული მიხვდა, რომ, სანამ სამშობლოს ან რაიმე დიდს შეეჭიდებოდა, ჯერ თავისი მშობლები-სა და ოჯახისთვის უნდა მიეხედა. ასეც მოიქცა.

არ გასულა დიდი დრო და სამშობლო შინაომებში გაეხვა. ჩვენი გმირი დარწმუნებული იყო, რომ ერთი მხარე ტყუოდა, მეორე კი მართალი იყო. ამიტომაც ადგა და წავიდა, ბევრი იბრძოლა სამართლიანობის მხარეს და გაიმარჯვა კიდევ. არეულ სამშობლოში გაბატონებული უღირსი ხალხის ამბიციები სასტიკად ჩაახშო, მაგრამ ეს ისეთი ომი არ იყო, როგორზეც წიგნებში წაეკითხა ან ამბები მოესმინა. ორივე მხარეს, ძირითადად, გამოუცდელი და სახელდახელოდ შეიარაღებული კაცები იბრძოდნენ, ძირითადად ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც უმოწყალოდ და უღირსად ხოცავდნენ თავიანთზე სუსტებს: ჩასაფრებით, ზურგიდან მიპრავით, ხაფანგის დაგებით, ლამაზი ქალების სატყუარად გამოყენებით... მოკლედ, ყველაზე ბინძური ბრძოლა გამოიარა. გამარჯვება კი დარჩა, მაგრამ სახლისაკენ მიმავალს, მედლებთან ერთად, დიდი სიცარიელის, შიშისა თუ სირცხვილის გრძნობა მიჰყვებოდა. შიშისა, რომ თვითონაც ასეთ ხაფანგში გაეხებებოდა ერთ დღეს, სირცხვილი კი... თითქოს საკუთარ თავს დააბრალა ასეთი არაადამიანური სისხლისღვრა, რამაც სულში უზარმაზარი ჭრილობა დაუტოვა, შუაზე გაგლიჯა. ვენებში თითქოს სისხლი აღარ დაუდიოდა,

ყველაფერი გაშრა, არემარე გადანაცრისფრდა. ამაზე ოცნებობდა მთელი ცხოვრება? არა, მაგრამ მისი მეომარი გული მაინც ვერ ისვენებდა.

ომიდან დაბრუნებულს მეზობლებმა ორი საფლავი დაახვედრეს ეზოში: დედისა და მამისა. თავზარდაცემული დიდი ხანი სახლიდან არ გასულა. მისი სანუკვარი ოცნება ორგზის დამახინჯებული გამოდგა, საშინელი საქმეები ჩაადენინა და სანაცვლოდ მშობლების დროც შთანთქა. გულადი მეომარი გამარჯვებული იყო, ოღონდ თავისი გამარჯვების გამზიარებელიც არავინ დარჩენოდა. სახლიდან წავიდა. იქ აღარასოდეს დაბრუნებულა. დაეხეტებოდა ქალაქსა და სოფლებში, ლოთობდა, შფოთობდა, თავდავინწყებას ეძლეოდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ თავდავინწყებაც სანუკვარ ოცნებასავით დიდი მახინჯი რალაცა იყო და გონებაზე გადაკრული ეს ბინდი დიდხანს ვერ გაძლებდა. აღარ იცოდა, რა ერწმუნა, რა ეფიქრა ანდა რისთვის ეცხოვრა.

არ გასულა დიდი დრო და ბედმა ისეთ ქალს შეახვედრა, როგორიც აქამდე არ ენახა. ძალიან შეუყვარდა. მათ შორის გაჩენილი უჩვეულო კავშირი ჩვენს გმირს იმედით ავსებდა. ქალის სიყვარულმა საკუთარ თავზე უფრო მეტად დააფიქრა, თითქოს მის თვალებში სულის სარკეს ჩაჰყურებდა. სრულიად გამოტყდა თავის უმწეობასა და მიუსაფრობაში – გათავისუფლდა, მაგრამ ქალს ეს სულაც არ ხიბლავდა. მას გულადი მეომარი სურდა, ძლიერი, უდრეკი და არა ცხოვრებით ნატანჯი და დროით გახუნებული. ჰოდა, ერთ დღესაც, ქალმა მიატოვა.

მეომარმა აღარ იცოდა, რა ექნა. ვერა და ვერ გაეგო რა ხდებოდა მის თავს. აღარც ლოთობა შველოდა, აღარც სამშობლოს სამსახურში დგომა. გულადი მეომარი გულის სიღრმემ შთანთქა, სადღაც გამოკეტა, იქნებ ბავშვობის მოგონებებში, თავად ჩვენი

გმირი კი ამ მოგონებებიდან შორს, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით გადაისროლა. ბევრი იცხოვრა ამის შემდეგაც, ბევრი იომა კიდევ, როგორი ომი არ გამოიარა, მაგრამ ისეთი მაინც არცერთი არ გამოდგა, თვითონ რომ წარმოედგინა ოდესღაც. ბოლოს თავის ოცნებასაც აღარაფრად აგდებდა. საგმირო საქმეზე აღარც უფიქრია. აღარ სჯეროდა გმირობისა, არც თავგანწირვისა, პირიქით, ცხოვრება სანახაობად გადაიქცა: ვინ იქნებოდა მორიგი მონინალმდეგე, კიდევ რამდენის დამარცხებას შეძლებდა, რომელი ბრძოლა გასტანდა ყველაზე დიდხანს?

ისევ ქალმა შეძლო მის ცხოვრებაში ყველაფრის თავდაყირა დაყენება. თანაც რა ქალმა – სწორედ ის იყო ნამდვილი მეომარი და სხვა არავინ. ქალის სიმამაცითა და გამბედაობით მონუსხული, თვალს ვერ წყვეტდა მის ულამაზეს სახეზე დაფენილ სიმშვიდეს. თითქოს იპოვა იმ სანუკვარი ოცნების განცდა, რომელსაც ოდესღაც ეძებდა. ამჯერად აღარ დაუშვებდა შეცდომებს. ამჯერად ყველაზე გულადი იქნებოდა მეომრებს შორის. ვერცერთი სულიერი ვერ მოჰკრავდა თვალს რაიმე მერყევს მის ხასიათში. ხალხის უზარმაზარი ტალღაც კი მოაწყდა, როდესაც ქალისთვის შეუფერებლად ჩათვალეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ, მეომარი კლდესავით იდგა. უზარმაზარი ლოდით გაშეშებული, მაგრამ ქალმა უღალატა... აღმოჩნდა, რომ მას არ შეეძლო ნდობოდა კაცს, რომელიც სიყვარულს საკუთარ თავში გააქვავებდა, კლდედ გამოთლიდა და ღრმად ჩარგავდა მინაში. კაცს, რომელიც თავისივე ხელით გამოიქანდაკებდა არაადამიანურ სახეს.

გულადი მეომარი ერთხელ და სამუდამოდ გაცამტვერდა.

რიჩარდს თავი ჩაელუნა, სიცხისგან გათანგული სილაში ჩაიკეცა და გაითიშა იატაკზე. მთვარის შუქი მჭახედ აირეკლა

საკნის ნესტიან კედლებზე და მისი ყავისფერი თმა გაანათა. კოლტონმა ახლალა შეძლო მისი შეთვალეირება: გამხდარი, მომცრო ტანის, ოციოდე წლისა თუ იქნებოდა. ხასხასა ყავისფერი თმა მოკაუჭებული ბოლოებით ჩამოსდიოდა მხრებზე, გრძელი ცხვირი, მართკუთხა თვალის ჭრილი და პატარა ნიკაპი, დაფრენილი პირიდან ერთმანეთისგან დაშორებული ნაფოტა კბილები მოუჩანდა თეთრად. „ასეთი რა დააშავა ამ ლანირაკმა, აქ რომ შემოაგდეს“, – გაიფიქრა კოლტონმა. მთვარის შუქი რიჩარდის საკანთან მთავრდებოდა, თითქოს მხოლოდ მისთვის ემეტებოდა სხივები.

მცხუნვარე ლამეში დრო ოკეანის ტალღებივით ირწეოდა. გათიშული რიჩარდისთვის შედეგებული დრო ფეხს აღარ იცვლიდა, მაგრამ კოლტონმა უკვე დიდი ხანია დაკარგა დროის ისეთი მჩქეფარე განცდა, როგორიც ახალგაზრდებს აქვთ. ცოტა ხნით თითქოს დაავიწყდა კიდევ, რომ მის მოპირდაპირედ ვინმე სულიერი იყო, ერთი ჩაისუნთქა ღრმად, ოდნავ შეირწა კედელზე მიჯაჭვული და ჩასთვლიმა.

რიჩარდს რომ გაეღვიძა, ისევ დაფეთიანებულმა დაიწყო აქეთ-იქით ყურება. სხვანაირი სინათლე დახვდა საკანში, ვერ გაეგო, თენდებოდა თუ ლამდებოდა. თავზე ხელი რომ მოიკიდა, თმა სილით ჰქონდა სავსე. დაიწყო ბერტყვა და ხველება.

– რამდენ ხანს მეძინა? – გასძახა კოლტონს. პასუხი არ მიუღია. გისოსებს მიუახლოვდა, ჟანგიან რკინებს ჩასჭიდა ხელები და სახე ახლოს მიიტანა, თვალეებით დაუნყო პატიმარს ძებნა. როცა თვალის სიბნელეს მიაჩვია, კუთხეში დალანდა კოლტონი. თვალს თუ უსწორებდა, ვერ ხედავდა, მაგრამ სარკმელს რომ ახედავდა, ფონზე აშკარად ილანდებოდა კუთხეში დამწყვდეულის აჩრდილი.

– რა მნიშვნელობა აქვს? – უპასუხა კოლტონმა.

- ლამდება თუ უკვე გათენდა, ვერ გამიგია, - ახლალა მიხვდა რიჩარდი, რომ კოლტონმაც არ იცოდა, რა დრო იყო გასული.

- არც მაგას აქვს მნიშვნელობა, - დაუდასტურა კოლტონმა.

- ის მაინც იცი, რამდენი წელია რაც აქ ზიხარ? - რიჩარდი ისევ კუთხეში ჩამოჯდა. პასუხად სიჩუმე მიიღო. - არ იცი?.. მე მგონი ათი წელი მაინც უნდა იყოს. შეიძლება ცოტა მეტი. მახსოვს ბავშვი ვიყავი, როცა გავიგე, კოლტონი დაიჭირესო. დიდხანს არ სჯეროდა არავის, - რიჩარდი ისევ დაელოდა კოლტონის პასუხს, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია. უნდოდა ეთქვა, რალა აზრი აქვს შენს ცხოვრებასო, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. რალაც წაიბურტყუნა, მაგრამ ვერ ამოთქვა.

- თქვი თუ რამე გაქვს სათქმელი - მიუხვდა კოლტონი.

- ...არ გგონია ხანდახან, რომ... ვინ იცის, მე რამდენი ხანი მომიწევს აქ ჯდომა. როგორ ძლებ? არ ფიქრობ

ხოლმე, რალა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებასო?

- სიკვდილს აქვს რაიმე აზრი? - კოლტონის სიტყვები უხეშად სერავდა საკანში დაგუბებულ სიჩუმეს.

პარკერმა უკვე იგრძნო, როგორ ჩამოწვა ჟამი მათ საკნებში, ახლალა შეამჩნია, რომ ქარს სილასთან ერთად ხმაურიც მოჰქონდა. თითქოს ქალაქში ისევ ჩქეფდა სიცოცხლე, დრო: იქ იბადებოდნენ, ცხოვრობდნენ, კვდებოდნენ, მაგრამ აქ არა. აქ ყოველთვის ეს ორნი იყვნენ და იქნებოდნენ კიდევ სამარადისოდ.

- თავს ბედნიერი ხალხი იკლავს, მაშინ, როცა ბედნიერება ელევათ, - ჩაილაპარაკა კოლტონმა.

- ამ კედლებში ეგ ძალიან ადვილი საქმეა, - რიჩარდს ნიკაპი მუხლებზე დაედო და ნერვიულად ირწეოდა წინ და უკან. - გუშინ ქალაქის ამბებზე მკითხე...

- ჰო, მერე?

- შენი ძმის ამბავი გაიგე? - რი-



ჩარდი ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ თვითონ ძლივს ესმოდა საკუთარი სიტყვები.

– კი, ლუთერმა მითხრა.

– ის გითხრეს, როგორ დაიჭირეს?

– ჩაეკითხა პარკერი.

– არა. როგორ დაიჭირეს? – ახლავა გაიკვირვა კოლტონმა.

– ...მეც ეგ არ მიკვირს? არ გითხრა ლუთერმა? დაიტრაბახებდა, ეგოს მოიფხანდა.

– ლუთერს ტრაბახი არ უყვარს. სხვების ტაში და დიდება არ სჭირდება, – კოლტონმა ტონი შეცვალა, ნელა მარცვლიდა სიტყვებს თავისთვის. – რალაც არ მჯერა ეგ ამბავი. ჩემი ძმის მოკვლავის აღარ უცდია, რა აღარ სცადეს...

– არა, ნამდვილად მოკლეს. მეც იქ ვიყავი. დიაკონი ალექსანდროც კი მოიყვანეს ლოცვის წასაკითხად. ყველანი განაბული შევცქეროდით. ჩვენ თვალწინ მოხდა ყველაფერი. საკუთარი თვალთ ვხედავდი, როგორ ინვოდა სანაპიროს წარსული და როგორი ღიმილი ავსებდა ლუთერის სახეს, – რიჩარდი ჩაჩუმდა და გაყურდა. ცოტა ხანს უხმოდ იყვნენ. – ...მიკვირს, მართლა რომ დაგიჭირა ამ ციხეში. შენზე რა ლეგენდა აღარ დადიოდა. ზოგს არც კი სჯერა, რომ მართლა ციხეში ზიხარ. ამბობენ, ლუთერი გვატყუებს, რომ შეგვაპინოსო. არადა, აქა ხარ.

– მე მარტო ლუთერს არ დავუჭერივარ... სანაპიროს ხალხმა დამიჭირა. მათ გამომამწყვდიეს აქ. იქნებ მართლებიც არიან და ჩემი ადგილი აქაა.

– ...ბავშვობაში ზღაპრებს გვიყვებოდნენ ეზოში შეკრებილი მოხუცები, როგორ დაამარცხეთ შენ და შენმა ძმამ ბოროტი ურჩხული, რომელიც სანაპიროს უნდა დაპატრონებოდა. ურჩხული ჯადოქარი იყო, ყველას თვალი აუხვია, მარტო თქვენ ორნი ხედავდით მის ბოროტებას. ...გუშინ რომ ზღაპარი მომიყვი, ეგ შენი ამბავი იყო?

– ...ხომ გითხარი, ბევრი რალაც

შევცვალე-მეთქი.

– ეგ კარგია. რაც დრო გადის, ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტ სისულელეზე იჭერ საკუთარ თავს. სისულელეებზე, რისიც მწარედ გჯეროდა. მონაყოლს თუ ხშირად ცვლი, გამოდის რომ ყოველ ჯერზე უფრო მეტ სიმართლეს ამბობ, უფრო მეტ სიმართლეს ხედავ.

– ახლა უკვე მჯერა, რომ რალაც ისეთს დანერდი, რის გამოც აქ გიკრეს თავი.

– ჰო. ლუთერმა ყველა დააჯერა, რომ თავისუფლები არიან. შეყარა ერთ მატარებელში და მიაქანებს საითლაც. შენ კი ეს მატარებელი რელსებიდან გადაგყავდა. სანაპიროზე ერთადერთი თავისუფალი ადამიანი იყავი, ეს თავისუფლება თვითნებობად გაასალა, მერე კი – დანარჩენების თავისუფლების საფრთხედ. ძველი კაცი ხარ, შენ დროს საქციელი იყო მთავარი, დღეს სხვა დროა – ხალხს აძულებენ ან აყვარებენ პიროვნებას. აღარ აქვს მნიშვნელობა, რას აკეთებ, შენი პიროვნება თუ კარგად გაასალეს, ყველაფრის უფლება გეძლევა.

ორივე გაყურდა, პატარა სარკმლიდან შემომავალი სინათლე გადასხვაფერდა. აგურის კედლებიც გადაასხვაფერა. ძველი ბზარები წაშალა და ახლები გამოსახა. რიჩარდს ოფლი ეწვოდა მთელ ტანზე, უშედეგოდ იწმენდა ნესტიანი პერანგით. დერეფნის ბოლოდან კარის ხრჭიალი გაისმა. მძიმე ნაბიჯები მალევე მოახლოვდნენ. ყარაულს ხელში ორი ჯამი ეჭირა. ერთი რიჩარდს გაუნოდა, მეორე კი იატაკზე დადო და კოლტონს მიუცურა მუშკეტით.

– რამდენი ხანია, რაც აქა ვარ? – შეეკითხა რიჩარდი.

ყარაულს ჩამოლამებულ სახეზე გაჯაგრული წარბი არც კი შეუხრია, მსხვილი უპეებით დამძიმებული თვალები რიჩარდს მიაპყრო, მერე გაბრუნდა და წავიდა.

– ვერ გაიგე?! შენ გეკითხები!..

როცა მიხვდა, ვერაფერს გაანყობდა, ისევ ჯამს ჩახედა. შიოდა. ჯამში რაღაც ყვითელი ფერის მსუყე მასა ჩაესხათ. თითით ენაზე დაიდო, მხრები აიჩეჩა.

– არაფრის გემო არ აქვს, – გამოსძახა კოლტონმა. – ამ კედლებში გემო დაივიწყე. საჭმელი არც ცუდია, არც კარგი. უბრალოდ აიღე და ჩაისხი მუცელში.

– გაგვიმარჯოს! – რიჩარდი მითითების მიხედვით მოიქცა. მერე ისევ კედელთან ჩაიკეცა, ხელში ჯამი შერჩა, ცდილობდა მის ფსკერზე სარკმლიდან შემოზღაზნილი სინათლე დაეჭირა, მაგრამ არ გამოსდიოდა. მერე გაბრაზდა, გახელდა, კედლები თითქოს სულ უფრო ვიწროვდებოდა, იხრებოდა და ზევიდან დაჰყურებდა, მასში მოთავსებულ სიცოცხლეს კუმშავდნენ. ჯამი კედელს მიახეთქა და ყვირილი დაიწყო:

– სიგიჟეა ეს ყველაფერი! როგორ შეიძლება აქ გამოკეტო ადამიანი! – მუშტები დაუშინა დამსკდარ კედლებს. – არაფრის გამო გამომანყვდიეს! არაფერი არ დამიშავებია! ვის რა დავუშავე?! არავის არაფერი! ღმერთმა დასწყევლოს ეს ქალაქი და ლუთერიც! რაო, ღმერთო, განსაცდელი მომივლინე?! – ცინიკურად შეჰყურებდა რიჩარდი ჭერს, – ჩამოდი, აბა, შენ დაჯექი აქ, ჩემთან ერთად!

– დაწყნარდი, ლუთერს სწორედ ეგ უნდა.

– რა? ღმერთი რომ გამოკეტოს ჩვენთან ერთად? – გახელებული რიჩარდი გისოსებს მიანყდა, რომ ისევ დაელანდა კუთხეში დაბმული კოლტონის აჩრდილი.

– ჭკუიდან რომ გადახვიდე.

– მე მგონი, მშვენივრად გამოსდის. იმიტომ, რომ ძალიან მალე გადავალ ჭკუიდან! მიკვირს, შენ როგორ გაძელი?! წლებია ამ კედლებს უყურებ!

რიჩარდმა კიდევ დიდხანს იარაწრეზე, ხან ყვრიოდა, ხან ბუზღუნებდა, ხან მუშტებს იცემდა თავში, ხან კედლებს უშენდა. გისოსებს აჯანჯლარებდა. სიცხეც თითქოს მატულობდა, სინათლე იკლებდა, ის-ის იყო უნდა ჩამქრალიყო, მაგრამ არ ქრებოდა. ქარი კი ყრიდა და ყრიდა სილას სარკმლიდან. გულამოვარდნილი რიჩარდი საკნის შუაგულში წამოწვა და ხელები გაშალა.

– ალბათ, ღირსები ვართ, – ხელები გულზე დაილაგა და მოიხარა. ჩათვლიმა. დრო დუნედ მიიკლაკნებოდა ატალახებულ სილაში. ცოტა ხნით ჩაეძინა კიდევ. მერე თავი წამოყო:

– სიზმარი იყო? – წამოდგა, მიმოიხედა. – გუშინაც ვნახე ეს სიზმარი. ვითომ სანაპიროზე ვიყავი, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ჰორიზონტზე ყველგან გისოსები ჩანდა. ციდან ჩამოსული გისოსები, მაგრამ არავინ არ ძრწოდა, არავინ არ იმჩნევდა, თითქოს კაი ხნის ამბავი ყოფილიყოს. ყველანი ზღვაზე ვიყავით, ზოგი სილაში წამოწოლილი. მე... მე რაღაცას ვსვამდი და ვფიქრობდი, ნეტავ როდის აიღებენ გისოსებს-მეთქი. თითქოს ადამიანის ხელს აღემართოს ზეცას შეყუდებული გისოსები. მერე გავრბოდით. მთები აიშალნენ, წამოდგნენ, სანაპირო ცოცხალი გახდა და ის ურჩხულიც გაცოცხლდა, ყველანი გამოვრბოდით, მარტო კოლტონი იდგა და იბრძოდა. შენ თუ იცოდი, რომ ურჩხულთან დამარცხდებოდი, რატომ ებრძოდი?! – გასძახა კოლტონს, მაგრამ ის ხმას არ იღებდა. – ...მაგრამ მერე ისიც დამესიზმრა, რომ შენთან ერთად ვიყავი ციხეში. მახსოვს ჩემს მეგობრებს ვუყვებოდი... გამოდის, რომ ისიც სიზმარი იყო? ან იქნებ ახლა ვარ სიზმარში?.. – საკნის შუაგულში იდგა რიჩარდი, თავჩაღუნული საკუთარ ხელებს დაშტერებოდა და სახეგაყინული ბოდავდა. – მოიცა, მოიცა... იფიქრე,

უნდა მოვიფიქრო, აუცილებლად უნდა მოვიფიქრო... სიზმარში შორს ვერ ხედავ! – წამოიძახა რიჩარდმა, კედელს ეცა და ცდილობდა საკნის სარკმელს მისწვდომოდა, მაგრამ ვერ შესწვდა. – ნყეულიმც იყავ ლუთერ!!! – ისევ განვა საკნის შუაგულში, თითქოს იცინოდა, ბოდავდა. – შიგნით თუ გარეთ, ზევით თუ ქვევით... საკანი შთანთქამს. საკანია ურჩხული. შთანთქამს ყველაფერს, რაც გაგაჩნია: დრო, სამყარო, საკუთარი თავი. თუ ოდესმე აქედან გავაღწევ, საკანს უკვე კაი ხნის განვრთნილი, დაღეჭილი, დაბეგვილი და დაშინებული ვეყოლები...

– ნუ ფიქრობ, რომ ამ კედლებში გამომწყვდეული ხარ, – ჩაესმა კოლტონის ხმა. – ეს უბრალოდ ადგილია, სადაც ცოტა ხნით მოხვდი. ყველანი ცოტა ხნით ვართ აქ. რიჩარდ პარკერი სულ სხვა ადამიანი იქნებოდა, დღეს ციხეში რომ არ მჯდარიყო.

იატაკზე გაშოტილმა რიჩარდმა თავი წამოყო.

– ამ კედლებში ისევე ხარ გამომწყვდეული, როგორც შენს სხეულში, შენს ქალაქში, შენს ქვეყანაში ან საერთოდ დედამიწაზე, – აგრძელებდა კოლტონი. – ნამდვილი თავისუფლება შენი გონებით იწყება. ქვეყნიერებისგან განსხვავებით, შენი გონება უსასრულოა. სადაც გინდა გამომკეტონ, თავისუფლებას მე ვერავინ წამართმევს, რადგანაც ჩემი გონება ბევრად უფრო დიდი მოედანია, ვიდრე ქვეყნიერება.

– დავჯდე და ვიმკითხო? თუ რას მეუბნები?.. – წამოჯდა რიჩარდი.

– დაახლოებით, თუ გინდა რომ ჭკუიდან არ გადახვიდე.

– როგორ?

– შენს საკანში უამრავი პატიმარია წამყოფი.

– მერე?

– ყველამ თავისი კვალი დატოვა. კედლებს დააკვირდი.

რიჩარდი კედლებს მიუახლოვდა,

თვალიერება დაუწყო. შეამჩნია: ზოგი ნაკანრი, ზოგი ნახაზი, მაგრამ ბზარებისგან მაინც რთული გასარჩევი იყო. მერე მიმოიხედა, თავისი ჯამი იპოვა. ოდნავ მალლა ასნია, სარკმლიდან შემოსული შუქი დაიჭირა და მკრთალმა სინათლემ საკნის კუთხეში გაანათა. ცოტა ხანს ატარა სინათლე ზევით ქვევით, უჭირდა ფორმების გარჩევა. მერე ერთ კუთხეზე შეჩერდა. აქ უკვე გარკვევით ჩანდა მცირე ნაფხაჭნები. ერთგან წარწერაც კი ამოიკითხა „რინ“.

– ვილაცა წვიმაზე ოცნებობდა... – გასძახა კოლტონს. – მაგრამ „რ“ დიდი ასოთი დაუწერია... იქნებ სახელია!

– აქ წერა-კითხვა ბევრმა არ იცის, – უპასუხა კოლტონმა.

– არა, ამან აშკარად იცოდა. დანარჩენი პატარა ასოებია. როგორ ფიქრობ, აქ გამომწყვდეული მკვლელები შეყვარებული იყო?

– შეიძლება ან იქნებ შვილი იყო. კიდეც რაიმე ხომ არა აქვს მიწერილი?

– არაა... რაღაც ოთხკუთხედიან მოხაზული, იქნებ სახლს ნიშნავს. აქეთ მხარეს „რ“ მიუწერია და დანარჩენი ბზარებშია მოყოლილი. ვინმე ხომ არ იჯდა აქ, ვისი სახელიც „რ“-თი იწყებოდა?

– არ მახსენდება...

– რობერტი, რიჩარდი...! იქნებ რიჩარდი ერქვა ჩემსავით!

– შეიძლება, – კოლტონს ოდნავ დაეძაბა ბაგეები, თვითონ ეგონა, რომ ილიმოდა, მაგრამ ლოყები უწინდელივით გაშეშებული ჰქონდა.

– რიჩარდს ჰყავდა შვილი, რეინი, – დაასკვნა პარკერმა. – სავარაუდოდ, ძალიან ენატრებოდა. ...შენ თუ არ გახსოვს, გამოდის, რომ კაი დიდი ხნის წინანდელი ამბავი უნდა იყოს. ხედავ, თურმე მკვლელებსაც უყვართ.

– რა იცი, იქნებ შენსავით ტყუილად ჩასვეს?

– ოცი წლის წინ?.. არა მგონია, მაშინდელ ვიგინდარა შერიფებს მაგდენი

ჭკუა ჰქონოდათ, – რიჩარდმა წარწერის ყურება შეწყვიტა და კოლტონის მხარეს გაიხედა. – ...ის იცი, ლუთერი რომ ამბობს კოლტონს ბევრად უფრო ადრეც დავიჭერდიო?

– ვიცი. ადამიანი მარტივი ცხოველია.

– ეგ როგორ?

– შურიანია. ყოველთვის ჰგონია, რომ სხვისი ცხოვრება უკეთესია. ამიტომ, საკუთარი თავის ძებნის მაგივრად, უნდა, რომ ისე იცხოვროს, როგორც სხვამ. თუ სხვა იპარავს და მდიდრდება, ისიც ქურდობას იწყებს, ოღონდ იმაზე აღარ ფიქრობს, ასეთი ცხოვრება შემეფერება თუ არაო.

– ვინც ყაჩაღობასა და ბანდიციზაზე იყო წამსვლელი, შენი შემხედვარე, ყველა გამოაშკარავდა, ლუთერი ადგა და ყველა ერთიანად გახვეტა ქუჩებიდან. მათ შორის შენც. სანაპიროს მოსახლეობის მეზობლი და მეამბოხე ხალხი ჩამოახრჩო, დანვა, ციხეში გამოკეტა, სადაცაა მთელ ქალაქს სახელმწიფოს მიართმევს ლანგარზე. მორჩა ჩვენი თავისუფლება.

– კიდეც არის რაიმე კედლებზე?

– კი, ბევრი...

რიჩარდი ამასობაში კედლებს სწავლობდა. დამსკდარი აგურები სავსე იყო სანაპიროს ისტორიებით, თქმულებებით, კოლტონი უხსნიდა, როგორ წაეკითხა და გაეცოცხლებინა ამბები. მათი ამოცნობაც უფრო და უფრო მარტივდებოდა. პატიმრები, ოჯახები, მეგობრები. ფრაზები, რჩევები... ყოფილი პატიმრების ოცნებები და სიზმრები... – ყველაფერი ერთმანეთში გადახლართულიყო. პარკერის თვალნინ უამრავი ადამიანის ცხოვრება გადაიშალა. ერთი პატიმრის ამბავს მეორე მოჰყვა, მეორისას მესამის... მათი სიცოცხლე არც არსად იწყებოდა და არც არსად მთავრდებოდა, მხოლოდ რამდენიმე სიმბოლოთი ცოცხლობდა საკნის კედელზე.

– თუ ოდესმე აქედან გავალ, ამ ყველაფერზე ძალიან ბევრს დავწერ, ყველას მოვუყვები... – ალტაცებით აგრძელებდა კედლის თვალიერებას რიჩარდი.

– ჩემზეც მოუყევი რამე... – ხმა გაუწყდა კოლტონს.

– აქ რალაცაა, – რიჩარდი საკნის კუთხეს სინჯავდა ხელით. კედელში ჩაფშვნილი აგურის ნატეხები სილაში გადმოყარა. კიდეც რამდენიმე აგური გამოაცურა და თითები კედელში შეყო. – ნიგნი უნდა იყოს! – დაუძახა კოლტონს.

ხელი ნელა გამოიღო, ფრთხილად გამოაცურა ნიგნი, მტვერი დაფერთხა. მერე მალლა ასწია და სინათლეს მიუშვირა.

– ბიბლიაა!.. – დაიყვირა ალტაცებულმა, – ხედავ, კოლტონ, ღმერთს არ მივუტოვებიათ!

– ჰო, აბა რა.

– რაო? – საკნის შუაგულში დაჯდა რიჩარდი, კოლტონს ზურგი შეაქცია და ფურცლებით სინათლის რტოები დაიჭირა. – ...არ გწამს ღმერთის?

– არ მომწონს.

– ღმერთი არ მოგწონს? – პარკერმა უკან მოიხედა, მაგრამ სიბნელეში მაინც ვერაფერს ხედავდა.

– ჰო, – დაეთანხმა კოლტონი. – ლაჩარია. კაცის ეშინია.

– ეშინია? კაცმა ღმერთს რა უნდა დააკლოს? – გაეცინა რიჩარდს.

– კაცმა შექმნა ქრისტეს ხატი, კაცმა მოკლა ქრისტე. ეს ორი რამ არ დაგავინყდეს, როცა კაცზე ლაპარაკობ, – შეშინებულ რიჩარდს ცივმა ოფლმა ჩამოურეცხა ღმილი.

– ...ახალი აღთქმაა, – პარკერმა ისე გააგრძელა, ვითომ არაფერი გაეგონოს. – სახელმწიფოში უნდა იყოს დაბეჭდილი. მიკვირს, როგორ გაძლო აქ. წარწერა აქვს პირველ გვერდზე „გამომიძიეთ მე და მპოვებდეთ, თუკი მიძიოთ ნრფელი გულით“. კუთხეში

კი აწერია „მამა გუსტავო.“ მღვდელი იჯდა ამ საკანში? არ მითხრა, რომ ეგეც არ გახსოვს.

– არ მჯდარა. მამა გუსტავოს ეგონა, რომ ჩემს დახმარებას შეძლებდა, მიუხედავად იმისა, რაც მე და ჩემმა ძმამ ვუჩვენეთ.

– რა უჩვენეთ? – დაინტერესდა რიჩარდი, გისოსებთან მიჩოჩდა და სცადა კოლტონის ფიგურა დაეღანდა ბნელში.

– ქარიშხალი გინახავს ოდესმე?

– არა, არასოდეს.

– სანაპიროზე ძალიან იშვიათად იცის, მაგრამ თუ ატყდა, როგორც გინდა ეცადო, ვერსად გაექცევი. მაინც დაგენწევა და წაგლეკს. გახსენებს, თუ რა უმწეო ხარ ადამიანი. ჩვენ გუსტავოს ისეთი ქარიშხალი დავატეხეთ, როგორსაც ვერც თვითონ და ვერც მისი ღმერთი ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ რწმენა არ დაუკარგავს, პირიქით, უფრო განმტკიცდა.

რიჩარდი შეტრიალდა და ცხვირი ბიბლიაში ჩარგო.

– ვწუხვარ, – მიუსამძიმრა კოლტონს.

– რაზე?

– შენი ძმა რომ გარდაიცვალა, – შეახსენა რიჩარდმა.

– გმადლობ.

– წაკითხული გაქვს ბიბლია? – შეეკითხა კოლტონს.

– მხოლოდ ის ნაწილი, რომელზეც გუსტავომ მიმითითა, არ წაკითხე.

– კარგი მეგობრები იყავით?

– იცი რა შეარქვეს გუსტავოს, მას მერე, რაც ჩვენ დაგვიმეგობრდა?

– არა.

– „ავი მღვდელი“.

– ავი მღვდელი? კი ვიცი! მშობლები გვაშინებდნენ ხოლმე, ნათების გორაზე არ ახვიდეთ, ავი მღვდელი ცხოვრობსო! ნამდვილი ადამიანი ყოფილა?

პარკერი ისევ ფურცლავდა ბიბლიას.

ზოგი გვერდი მთლიანად წაკითხა, ზოგიც გამოტოვა. ვერა ლეჭავდა წაკითხულს. ბოლოს დახურა, წამოწვა და თავქვეშ ამოიღო:

– თითქოს განზრახ დაწერეს ისე, რომ კაცს კითხვის სურვილი დაგეკარგოს.

– შენნაირი ღლაპებისთვის არ არის ეგ წიგნი, – უპასუხა კოლტონმა.

– აბა, ვისთვისაა... – რიჩარდმა დაამთქნარა და თვალები მილულა.

მოგვიანებით კოლტონმა დამაჯვრებელი პასუხი მოიფიქრა, მაგრამ დასიცხულ რიჩარდს ჩასთვლიმა, მხოლოდ რაღაც ბუზღუნის მოედო ყურებზე და ისიც უმაღვე გაიწოვეს კედლის ბზარებმა. ვინრო საკნის მაღალი სივრცე ყურებში ჩაუგუბდა, თითქოს სილით ამოუღეს სმენა. ციხის სიჩუმე გაქრა, ქარის წუილი სარკმელმა შეკუმშა, სანაპიროდან მოტანილი სილა უხმოდ ეკრობოდა რიჩარდის სახეს.

სიზმარში არაფერი ახსოვდა, მაგრამ ყველაფერი კარგად იყო. პირველად სიზმარში შეეგუა საკანს და უკვე მშვიდად გრძნობდა თავს: ისევ ისე იწვა იატაკზე, მაღლა აზიდული კედლები ქორებივით დასტრიალებდნენ თავზე. კუთხეები თითქოს ნაზად იზნიქებოდა აქეთ-იქით. კედლები სულ უფრო ძლიერად აწვებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის მომწყვდეული ჭერი კი უხილავი საყრდენით სრესდა რიჩარდს. ცოტა ხანში კოლტონი წამოადგა თავს, მის მკლავებზე დახვეულ ჯაჭვებს ზოგი ბოლო იატაკზე დასტრევდა, ზოგიც ზურგსუკან ჰქონდა ერთმანეთში გადახლართული, მაგრამ თავისი კუთხისთვის აშკარად დაეღწია თავი. რიჩარდს არაფერი უთქვამს. კედლებიდან ახსნილი კოლტონი სიზმარში ჩვეულებრივი ამბავი იყო.

– ადექი! – ჯაჭვებით დახუნძლული ხელი გაუშვირა კოლტონმა, რიჩარდმაც ჩასჭიდა და წამოადგა.

– სად მივდივართ?

– გავიაროთ ცოტა... – კოლტონი არ ილიმოდა, მაგრამ დანაოჭებული თვალის ქრილი ხალისით უცქერდა მეგობარს.

– ნიგნი? – ორიოდ ნაბიჯი რომ გადადგეს, მერელა გაახსენდა რიჩარდს.

– რა ნიგნია გახსოვს? – შეეკითხა კოლტონი.

– ამ... – დაბნეული პარკერი ვერ იხსენებდა. ნიგნი შავი და ძველი იყო, – არა, არ ვიცი.

კოლტონმა კედელს ორივე ხელი მიადო, მიანვა, ჯაჭვებმა ზრიალი დაიწყეს, თითქოს მინაც იძრა და ნესტით გამომპალი აგურები ჯერ განზე გაინივინენ, შემდეგ ერთმანეთში შეიკვეცნენ და წინ დიდი დერეფანი გაიხსნა. ორნი ნელა მიუყვებოდნენ დერეფანს, სხვა საკნებს ათვალთვლებდნენ. ზოგში ვინ იჯდა, ზოგში – ვინ. სადღაც შორს დიდი სარკმელი იყო ამოჭრილი, იქიდან ლურჯი ზღვა და ცაზე აციალებული რამდენიმე ალისფერი ვარსკვლავი მოჩანდა, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო შორს მიდიოდა სარკმელი. კოლტონმა ახლა სხვა დერეფნები გახსნა, ერთის მაგივრად – სამი, სამის შემდეგ – ათი. მთელი ციხე გრძელი დერეფნებისა და შორეული სარკმლების სამყაროდ იქცა. მაღალ კედლებზე გატოტილი ბზარები თითქოს ლამაზადაც კი მოეჩვენა რიჩარდს. ზოგიერთიდან ხავსი ამოზრდილიყო, მლაშედ ედებოდა ქერს და იატაკს, შიშველ ფეხზე ულიტინებდა პარკერს. ამასობაში კოლტონი რალაცას ლაპარაკობდა, საინტერესო მოსასმენი იყო, მაგრამ რიჩარდს აზრის გამოტანა უჭირდა.

– ...შენ რა გგონია? ქალაქიც ციხეა! ...არცერთი არაა ნამდვილი, ორივე კაცმა ააშენა, – ახლა უკვე მართლა ილიმოდა კოლტონი, მაგრამ რიჩარდს მხოლოდ ღიმილი დაამახსოვრდა. სიტყვები მისი გონების ანკესს ვერ გამოედო. ბევრი დერეფანი მეორედებო-

და, ბევრიც სულ სხვანაირი იყო. ზოგი დერეფანი ადვილად იხსნებოდა, ზოგს კი მთელი ძალ-ღონით აწვებოდა ორივე. პარკერი მიხვდა, რომ საკუთარი ცნობიერი ხშირად შენთვისაც დაკეტილია, მაგრამ კოლტონს გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეეძლო. ვერც ვერსად გარბოდა. რიჩარდს შეეცოდა კიდეც. ციხე, რომელიც ნელან ასე პატარა ჩანდა, კოლტონმა უზარმაზარ სასახლედ აქცია. უკიდევანო დერეფნები მწვანე ფესვებით მოირთო, ნაპრალებიდან ყვავილები გამოიზარდნენ მორცხვად, ჰაერში მუქი ფერები მიმოდიოდა. თუმცა, რიჩარდი მაინც ვერ ეგუებოდა აქაურობას, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ორივენი კვლავაც ციხეში იხსდნენ. ჰორიზონტზე მეოცნებე სარკმელი კი სულ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა. რიჩარდი ამას ვერ აიტანდა. მისი ცხოვრება გამუდმებით ერთი ადგილიდან მეორემდე დულდა, მეორე ამბიდან – მესამემდე, მესამე თავგადასავლიდან – მეოთხემდე, ოღონდ ქალაქის კედლები არ ეგრძნო და რას არ გააკეთებდა. კოლტონი კი პირიქით, თითქოს სწორედ ამ კედლებით საზრდოობდა ყოველდღე. თვითონვე აშენებდა, თვითონვე ანგრევდა – ხსნიდა და იზლუდავდა გზებს.

რიჩარდს გაეღვიძა. ცოტა ხანს თვალი გაუშტერა ქერს. მერე ისე, რომ არც გატოკებულა, კოლტონს გასძახა:

– შენი ძმა მე გავეცი!

უკვე მიჩვეული იყო, რომ პასუხს მაშინვე ვერ მიიღებდა. კოლტონიც ცოტა შეყოვნდა და ჩუმად იკითხა:

– რა თქვი?

– შენი ძმა მე ჩავაბარე ლუთერს. მე ვუთხარი სადაც იყო! – თითქოს ხმა გაუწყდა რიჩარდს, მაგრამ კოლტონის პასუხს აღარ დაელოდა, – მეგონა, ლუთერი დამინდობდა და აქ აღარ ჩამაგდებდა. მწარედ მოვტყუვდი.

კოლტონს მთელი დღე ხმა აღარ ამოუღია. თითქოს ვილაცამ უფრო

მაგრად მოუჭირა მკლავებზე დახვეული ჯაჭვები. უფრო მჭიდროდ მიაჭედეს კედლს. სადღაც შიგნიდან დაეწყო რღვევა, კიდევ უფრო დაპატარავდა თავის კუთხეში. ფიგურიდან აჩრდილად იქცა. მის ლანდსაც ველარ ხედავდა რიჩარდი. სინათლე ხანდახან მხოლოდ ჯაჭვებს თუ ირეკლავდა. რიჩარდიც ხმას აღარ იღებდა, ჩუმად იყო. უკვე იცოდა, როგორ უნდა ყოფილიყო ჩუმად. როგორ მჯდარიყო ციხეში. როგორ წაეკითხა კედლები, როგორ მოესმინა ნიავის ზუზუნი, როგორ გათავისუფლებულიყო გონებით. კოლტონის ნათქვამი გაახსენდა სიზმრიდან: უაითმა ძლივს დაძრა ჯაჭვებით შებორკილი ხელი, თითი შუბლზე მიიღო და რიჩარდს უთხრა: – ჩემს გასაკავებლად, კედლები საკმარისი არასოდეს იქნებაო. ახლა გონებაშიც კი ეჯდა კოლტონი, მოპირდაპირე საკანში გამომწყვდეულის სიჩუმე დიდი დანაკარგი აღარ იყო ანდა, ადრე თუ გვიან, აპატიებდა როგორმე. რიჩარდს სინდისი მოედო ბორკილებად.

დღის ბოლოს ბნელი დერეფნიდან რკინის კარის განწირული ღრჭიალი მოესმა. მძიმე ფეხის ხმას ორ საკანს შორის მდგარი ლუთერის გამოსახულება მოჰყვა. ხელში ნავთქურა ეჭირა და შავი ალმური ნაზად ასდიოდა მრისხანე თვალებზე, თუმცა მთავარი ინსპექტორის კლდესავით სახე სინანულსა და ბოლმას ძლივს იკავებდა. ჟანგიანი გასაღები ძლივს მოარგო რიჩარდის საკანს, ღონივრად გადასწია და გადაატრიალა. კარი გააღო.

– დღეიდან თავისუფალი ხარ, – რიჩარდმა თვალები ჭყიტა. – შეგიძლია ნახვიდე... – რიჩარდს სახე ბედნიერებით ევსებოდა. – დაბრუნდე ქალაქში, – რიჩარდი უკვე იცინოდა. – იარო შენს ბარებში, ქალებში... – პარკერს აღტაცებისგან ლამის ცრემლი წასკდომოდა. – ნერო რაც გინდა, რამდენიც გინდა და ვისზეც გინდა.

პარკერი ყურებს არ უჯერებდა, საკნის ჭერში ღმერთსაც კი დაუწყო ძებნა. მერე ლამის ლუთერს ჩაეხუტა და საკნიდან დერეფანში ისკუპა. მოპირდაპირე საკანში აღარავის ძებნა აღარ დაუწყია. ისევ მთავარ ინსპექტორს შეხედა და მისი თანხმობის შემდეგ დერეფნის ბოლოსაკენ გაემართა. ლუთერი კოლტონის საკანს მიუახლოვდა:

– ხედავ, კოლტონ? ხალხის დახმარება ცალმხრივი გზაა. როგორც რიჩარდს, ისე მთელ ქალაქს, შენ უკვე დიდი ხანია აღარაფერში სჭირდები. იმედია, ამას ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრებ.

ლუთერი ცოტა ხანს დაელოდა პასუხს, მაგრამ კოლტონი ხმას არ იღებდა. როცა დარწმუნდა, რომ პატიმარი საშინლად გაამწარა, აიმრიზა და გაბრუნდა, რკინის კარის ღრჭიალმა მალევე შეკუმშა ორი ფიგურა ბნელი დერეფნის ჩრდილში. საკანში დამამუნჯებელი სიჩუმე ჩამოწვა. დრო გაქვავდა, მზე გადახუნდა, კედლებზე ამოკანრული ყველა ამბავი მოკვდა.

– ...ნუ დამტოვებთ აქ მარტოს! – უხმოდ აყვირდა კოლტონი

ლევან ბებურიშვილი



ქართული მწერლობის ისტორიული მისია და თანამედროვეობა

ქართულ მწერლობას განგებამ განსაკუთრებული ისტორიული მისია დააკისრა — ქართველი ერის ჭირისუფლობა. მშობლიური ლიტერატურა ქართველი მკითხველისათვის არასოდეს ყოფილა ოდენ ესთეტიკური ტკბობის ნყარო, გართობისა და თავშექცევის საშუალება. ქართველი მკითხველი მშობლიურ მწერლობაში ყოველთვის ეძებდა პასუხებს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ზნეობრივ, ეროვნულ და სოციალურ საკითხებზე. საუკუნეთა განმავლობაში სწორედ ლიტერატურაში ვლინდებოდა ქართველი კაცის ჩახშული ტკივილი, მისი სულიერი მისწრაფება. მწერლობა ოდითგანვე ზნეობრივ დარაჯად ედგა ერს, აყურადებდა ერის გულისცემას და მისი გულის ერთი მოძრაობაც არ გამოჰპარვია. ქართული კულტურის გაცნობისას უცხოელი მკვლევრებიც უმალ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ „საქართველოში ღირებულებები... ზნეობრივ-მხატვრულ მახსოვრობაში ძევს“ (გ. გაჩევი).

მწერლობის ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის თანმიმდევრული თეორიული გააზრება ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსებმა წარმოადგინეს. XIX საუკუნეში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და-

კარგვისა და საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ერის სულიერი წინამძღოლობის მისია ქართულმა ლიტერატურამ იტვირთა. არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ დიდწილად განსაზღვრა ქართველი მწერლის განსაკუთრებული სტატუსი და გამორჩეული პასუხისმგებლობა დააკისრა მას. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, — უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის“. დიდი ერისკაცი ნათლად განმარტავდა ქართველი მწერლის ასეთი საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის ობიექტურ საფუძვლებს: „ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას, სრულიად უგულო ეგოისტი უნდა იყოს ქართველი მწერალი, რომ მისდევდეს პრინციპსა: კაცია და გუნებაო, ხელოვნება ხელოვნებისთვისაო. ამ პრინციპს ადგილი შეიძლება მიეცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშვიდობით გავალწევთ აწინდელს,

მეტად საშიშარს ხანას ჩვენის ცხოვრებისას. იქამდინ კი ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველი ცოდნით, სულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნეებს და... ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში“.

ამ ზნეობრივ-მოქალაქეობრივი სულისკვეთებით სუნთქავს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობაც. უახლესი ლიტერატურის კლასიკოსებს ბრწყინვალედ ჰქონდათ გათავისებული ქართველი მწერლის განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნება. „ქართული კალამი ორეულია გოლგოთის ჯვრისა, ხოლო მისი პატრონი ყოველთვის ჰგავდა იმ მთაზე აღმავალ მაცხოვარს“, – ბრძანებდა მიხეილ ჯავახიშვილი. კომუნისტური ტოტალიტარიზმის, არნახული სულიერი კრიზისის ეპოქაში სწორედ ლიტერატურამ მოახერხა, განეცხოველებინა ჰუმანისტური იდეალები და ზნეობრივი სახე შეენარჩუნებინა ადამიანისათვის.

პოსტსაბჭოთა ეპოქაში თანდათან დაიწყო მწერლობის დესაკრალიზაციის პროცესი. თანამედროვე ტელემწერლებმა და მომწერლო ლიბერტარიანელებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ როგორმე საბჭოთა კლიშედ გამოეცხადებინათ მწერლის, როგორც გამორჩეული სოციალური და ეროვნული სტატუსის მქონე პიროვნების, კონცეფცია. ყოველივე ამის შემხედვარე, გულისტკივილს ვერ ფარავდა ოთარ ჭილაძე: „ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნანამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე... უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მი-

ბაძვით, უალრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის. დღეს კი, მეტ-ნაკლებად თავისუფალ საქართველოში მონობისათვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერლის სოციალური სტატუსის დაკნინებას ხელი შეუწყევს არა მხოლოდ ახალგაზრდებმა, არამედ უფროსი თაობის ავტორებმაც, რომელთაც თავიანთი კონფორმიზმის გამო გაიტყუეს სახელი. 90-იან წლებში არაერთი სახელმწიფე-ქილი მწერალი შავს თეთრად ასაღებდა და არ იშლიდა ქვეყნის კატასტროფის პირას მიმყვანი ხელისუფლის მეხოტბეობას. ამ პერიოდში მწერალთა კავშირი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ერთ-ერთ დეპარტამენტს წარმოადგენდა და როდესაც ამ ორგანიზაციის იმჟამინდელი ხელმძღვანელი მთელი კავშირის სახელით ქვემეგრდომულ ერთგულებას ეფიცებოდა პოლიტიკურად გაკოტრებულ, საკუთარ ქვეყანაში წარუმატებელ „მსოფლიო დონის პოლიტიკოსს“, უფროსი თაობის მწერალთაგან, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, არავის შეუწუხებია თავი, რომ გამიჯვნოდა საკუთარი თავმჯდომარის პოზიციას. არადა, ამ ურთულესი ვითარების ჟამს სწორედ მწერლისაგან მოელოდა ხალხი მართალი სიტყვის თქმას. ქართველი მკითხველი თანდათან დარწმუნდა, რომ, სამწუხაროდ, ბევრ სახელმწიფე-ქილ შემოქმედს მხოლოდ ქალაღღზე შეეძლო ერისკაცობა და პლურალისტულ გარემოშიც კი ვერ ახერხებდა კონფორმიზმისაგან თავის დაღწევას. ამ გარემოებამ დიდად დასცა საზოგა-

დოებაში მწერლისა და მწერლობის ავტორიტეტი.

დგას თუ არა დღეისათვის იმის საჭიროება, რომ ლიტერატურა ასრულებდეს ერისათვის სულიერი საზრდოს მიმწოდებლის ფუნქციას? ეკისრება თუ არა ქართველ მწერალს რაიმე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თანამედროვეობაში? საინტერესოა, რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი ახალი თაობის მწერლებს, როგორ აფასებენ ისინი საკუთარ მოღვაწეობას ამ თვალსაზრისით და, საზოგადოდ, გრძნობენ თუ არა ქართველი მწერლის კალმის სიმძიმეს.

თანამედროვე პოპულარული ახალგაზრდა ავტორების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მწერალი მხოლოდ ესთეტიკურ ფასეულობებზე უნდა იყოს ორიენტირებული, მას არაფერი ესაქმება ერის წინამძღოლობასთან, ლიტერატურის დანიშნულების ტრადიციული გაგება კი დროს გაჰყვა თან. მათი აზრით, ერის ბედზე ზრუნვა სახელმწიფოს პრეროგატივაა და არა ლიტერატურისა. მწერლის მოვალეობა მხოლოდ ისაა, რომ მკითხველისათვის თავშესაქცევი ნაწარმოებები თხზას, ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მას.

ამგვარად განმსჯელთ ტყუილად ჰგონიათ, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამ ეროვნული პრობლემა თავისთავად გადაჭრა. თანამედროვეობამ ბევრად უფრო მწვავედ, სრულიად ახალ ჭრილში დააყენა ერის წინაშე ნაციონალური იდენტობის შენარჩუნების საკითხი. ეპოქის პარადოქსია ის, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ ახერხებს ეროვნულ საფუძველზე წარმართოს საშინაო პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში ქართველ მწერალს ვერ ექნება იმის ფუფუნება, რომ არ აღელვებდეს ერისა და სამშობლოს ბედი. „ვით დაიძინოს... მშვიდი ძილი არ უწერია... იმას საფლავში, ვისი ერიც

მცირე ერია!“ (გივი გეგჭკორი). ქვეყანას მწერლის მხრიდან თანადგომა და მართალი სიტყვის შეშველება სჭირდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გარე ძალის მიერაა ოკუპირებული, არამედ მაშინაც, როცა იგი დამოუკიდებელია, მაგრამ არცთუ სახარბიელო პოლიტიკური ელიტა ჰყავს. რუსზე დიდი მტერი ქვეყნის მწამვლელი თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსია, — ათასპარტიაგამოვლილი, უპრინციპო, გაიძვერა, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, მთავარი წილის დამდები ქვეყნის გაჩანაგებასა და გაუბედურებაში.

როგორ შეიძლება, რომ თანამედროვე ეპოქაში მწერალი ასრულებდეს ეროვნულ ფუნქციას? ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ხელოვანი აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მით უმეტეს მიზანშეწონილი არაა ეს იმის გათვალისწინებით, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მწერალთაგან ვინც კი პოლიტიკაში გაერია, თითქმის ყველამ მარცხი იწვნია და ის ზნეობრივი უპირატესობაც გაფლანგა, რაც თანამემამულეთა თვალში პოლიტიკაში წასვლამდე ჰქონდა. სამწუხაროდ ფაქტია, რომ თანამედროვე ქართველ მწერალთა უმეტესობა ცუდად ერკვევა პოლიტიკაში და ამიტომ უმჯობესიც იქნება, თუ მწერალი ამგვარი აქტივობისაგან თავს შეიკავებს. სავსებით შესაძლებელია, მწერალი არ ერეოდეს პოლიტიკურ პროცესებში, მაგრამ იყოს ნამდვილი მოქალაქე და ზნეობრივი ავტორიტეტი. უახლოეს წარსულში ასეთი მწერლის ერთ-ერთი მაგალითი იყო ოთარ ჭილაძე.

მწერლის მოღვაწეობისათვის ეროვნული მნიშვნელობის მინიჭება არც იმას გულისხმობს, რომ მას ვინმე ავალდებულებს, თავის შემოქმედებაში მხოლოდ აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკას დაუთმოს

ყურადღება. მშვენივრად ამბობს თამაზ ვასაძე: „მწერალი ასრულებს საზოგადოებრივ და ეროვნულ ფუნქციას ამის საგანგებო მცდელობის, დეკლარირებისა და სავალდებულო ნორმად დაწესების გარეშე, როცა იგი ნამდვილი მწერალია, ანუ... სამყაროს ღრმა მჭვრეტელი და ჭეშმარიტების წრფელი მაძიებელია, რომელიც ახალ, სიმართლის ნათელმყოფელ სინამდვილეს ქმნის. ამ სინამდვილის უშუალო და ძალდაუტანებელი, სიღრმისეული ზეგავლენა მკითხველის ქვეცნობიერებაზე და ცნობიერებაზე ეხმარება მას, იქცეს თვითმყოფად პიროვნებად — მოსწყდეს მასობრივ ცნობიერებას, მოიპოვოს ავტონომიური თვლთახედვა, თვითშეგნება სულიერი სამყარო. საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით ამაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ კი ძნელი წარმოსადგენია“.

ნებისმიერი ადამიანის (მათ შორის მწერლის) მოღვაწეობას ეროვნული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც იგი, კეთილსინდისიერად, მაღალპროფესიულ დონეზე იღვწის საკუთარ სფეროში. პრობლემის თავი და თავი კი სწორედ ისაა, რომ **თანამედროვე ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება თავის საქმიანობას.**

ჯერ კიდევ საუკუნის წინ წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი: „მთელი ჩვენი ყურადღება იქით უნდა იყვეს მიპყრობილი, რომ ქართველ მწერალს შევანებინოთ შემოქმედებისათვის ესთეტიკურად დიდი პასუხისმგებლობა“. თუ შემოქმედებითი პასუხისმგებლობის დეფიციტზე მიდგა საქმე, ჩვენი დრო ამ თვალსაზრისით, ალბათ, სრულიად გამორჩეულია.

მწერალი არსებობს ენობრივ სამყაროში, ამდენად მისი შემოქმედებითი უპასუხისმგებლობის უპირველესი ნი-

შანია ზერელე მოპყრობა მშობლიური ენისადმი. ზოგი რამ შეიძლება ეპატიოს მწერალს, მაგრამ ენისადმი გულგრილობა მისთვის მიუტევებელი დანაშაულია. თანამედროვე მწერალთა დიდ ნაწილს არ აქვს წერის ელემენტარული კულტურა, მშობლიური ენის ბუნებრივი გრძნობა, რომ აღარაფერი ვთქვათ გრამატიკის სრულ უცოდინრობაზე. მათ ტექსტებს ნაკლებად ემჩნევა შრომის, გარჯის კვალი. ისევე როგორც ყველა ამ ქვეყანაში, თანამედროვე მწერალიც ხალტურაზეა გადასული და თავს ნაკლებად იწუხებს ორიგინალური სტილის ძიებით, ენის დახვეწით, ტექსტის მხატვრული სრულყოფით, რადგან მიეჩნია, რომ მისი ნაწერი ამის გარეშეც იოლად სალდება და არავითარი დაბრკოლება არ ხვდება ჟურნალსა თუ გამომცემლობაში.

თანამედროვე ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებების კითხვისას აშკარად იგრძნობა ეროვნული სულის დეფიციტი, გულგრილობა აქტუალური ზნეობრივი და სამოქალაქო პრობლემებისადმი. არადა, შეუძლებელია, ეს საკითხები პირდაპირ თვალში არ ეჩხირებოდეს მას, ვისაც თანამედროვეობის თემატიკაზე წერა განუზრახავს. რაც შეეხება მათ, ვინც ცდილობს ამ განხრით რაიმე სიტყვა თქვას, ისინი აშკარად მოიკოჭლებენ საკითხის მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით. ისევ ოთარ ჭილაძის სიტყვებს გავიხსენებთ: „ჩვენ გვყავს მწერლები, რომლებიც ქართულად წერენ, მაგრამ ქართული ეროვნული სულისკვეთება არ გააჩნიათ. მხატვრულად რომ ვთქვათ, ჰემინგუეის ნაბიჭვრებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ყაზბეგის კანონიერ მემკვიდრეებს“.

ეროვნული სული ვერ ექნება მას, ვინც საფუძვლიანად არ იცნობს და პატივს არ სცემს საკუთარი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს. თანამედროვე, ლიბერალური ფრთის

მწერალთა თვალში კი ქართული კულტურა არსებითად პროვინციალიზმის გამოვლინებაა და, შესაბამისად, განსაკუთრებულ პატივისცემას არ იმსახურებს („აკაკი რა პოეტია“, „ილია როგორ შეედრება თომას მანს“, – ხშირად გაიგონებთ მსგავს გამონათქვამებს ამ ჭკუის კოლოფთა წრეში). ამგვარ „ინტელექტუალთა“ ევროპეიზმი მხოლოდ ეროვნული თვითკრიტიკითა და უმცირესობების უფლებებზე განუწყვეტელი ღალადისით შემოიფარგლება. სწორედ ამიტომაცაა მათი შემოქმედება მოკლებული ცხოველმყოფელ ძალას და სულიერი სიბერნის ნიშნითაა აღბეჭდილი.

თანამედროვე ახალგაზრდა მწერლებს აკლიათ თეორიული მომზადება, თვალთახედვის სიფართოვე და აზროვნების სიღრმე. ამის გამო არ ძალუძთ, რომ სათანადო დონეზე შეეჭიდონ აქტუალურ ეთიკურ პრობლემებს, ზოგად ფილოსოფიურ საკითხებს. თანამედროვე ავტორები გატაცებულნი არიან წერილთემიანობით. შეიძლება ზოგიერთ მათგანს ნიჭი არც აკლია, მაგრამ არ მოეპოვება მთავარი – გულის სიმბურვალე, გულის ცეცხლი, რის გარეშეც დიდი ლიტერატურა არ იქმნება. ახლანდელი მწერლები ცდილობენ წარმტაცი სიუჟეტით, ჭრელაჭრულა ამბებით დაატყვევონ მკითხველი, მაგრამ ვერ აღწევენ მხატვრულ ეფექტს, რადგან **არ აქვთ მნიშვნელოვანი სათქმელი**. საპირისპიროდ ამისა, შეიძლება მწერალმა სრულიად უფერული სიუჟეტი შემოგვთავაზოს (ამის ნიმუშია ილიას „კაცია-ადამიანი?!“, სადაც, ფაქტობრივად, არაფერი არ ხდება), მაგრამ ნაწარმოები სულმოუთქმელად იკითხებოდეს და ჰქონდეს ესთეტიკური ზემოქმედების საოცარი ძალა სწორედ იმის გამო, რომ სავსეა უდიდესი ზნეობრივი წყურვილით, მნიშვნელოვანი სათქმელით. როდესაც ვკითხულობთ ილიას, ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილის

თხზულებებს, ვგრძნობთ, რომ ამ მწერალთა თითოეული ფრაზა უდიდესი ენერგიითაა დამუხტული, თითოეული სიტყვა გულის სისხლითაა ნაწერი. „ჯაკოს... ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული სისხლში მქონდა ამოვლებული“, – იგონებდა მიხეილ ჯავახიშვილი. სწორედ ასეთი შინაგანი წვა ბადებს დიდ მხატვრულ ქმნილებას. გულგრილი ადამიანი ვერასოდეს შექმნის რაიმე ღირებულს.

თანამედროვე მწერალთა შემოქმედებითი უპასუხისმგებლობა უმთავრესად იმითაა განპირობებული, რომ ჩვენში სათანადოდ აღარ ფასდება მწერლის შრომა. ამის გამო თავად მწერალსაც გაუცივდა გული ლიტერატურისადმი. თუ საბჭოთა ეპოქაში მწერალს სახელმწიფოსაგან ჰქონდა სოციალური მხარდაჭერა, დღეს მას ესეც აღარ მოეპოვება. საბჭოთა რეჟიმს საზოგადოებრივი აზროვნების სამართავად ესაჭიროებოდა საკუთარი მწერალთა ორგანიზაცია და სწორედ ამიტომაც დაუყვედრებლად ინახავდა მას. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს, მას არ აქვს ეროვნული იდეოლოგია და, შესაბამისად, არც არაფერში სჭირდება მწერლობა; ხოლო თუ მაინცდამაინც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მიდგა საქმე, დღეს სახელმწიფო ამას მწერლობის დახმარების გარეშე, სხვა საშუალებებითაც შესანიშნავად მოახერხებს.

თანამედროვე საქართველოში მწერალი ვერ იარსებებს სოციალური მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ საკუთარი შრომით, გაყიდული ნიგნებიდან მიღებული შემოსავლით. ქართული წიგნის ბაზარი ძალიან მცირეა, ხალხის კულტურული და მატერიალური დონე კი – დაბალი, რაც აისახება წიგნის ტირაჟსა და რეალიზაციაზე. კულტურის სამინისტროს ერთჯერადი ღონისძიე-

ბები და აქციები არსებითად ვერ ცვლის არსებულ სიტუაციას.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები: „პატარა ერში მწერლობა თავის განწირვას ნიშნავს“. დღეს, ისე როგორც არასდროს, ლიტერატურის სფეროში პირნათლად მოღვაწეობა შემოქმედისაგან მოითხოვს დიდი მსხვერპლის გაღებას. ლიტერატურისათვის თავგადადებულ თანამედროვე ავტორს მრავალი სირთულე მოეწივს: მატერიალური გაჭირვება, თანამოკლამეთა მხრიდან იგნორირება, შრომის დაუ-

ფასებლობა. ამ ყოველივეს სულგრძელობით ატანას კი ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ იცის ფასი შემოქმედებითი პროცესის თანამდევნი სიხარულისა, თუ მწერლობა მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება, მისი არსებობის ფორმაა.

მხოლოდ დიდი გულის მქონე შემოქმედი, ვინც საკუთარ სულში გამოატარებს ერის ტკივილებს, შეძლებს სადღეისოდ თვითმყოფადი მწერლური სიტყვის თქმას. სწორედ ასეთი ავტორის გამოჩენას ელის თანამედროვე ლიტერატურის ასპარეზი.

ანდრო ბუაჩიძე



ცოტა რამ პოეზიის შესახებ

ჩემმა პირადმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ პოეზიის გამგები ადამიანების რიცხვი ძალზე მცირეა, საამისო პრეტენზია კი თითქმის ყველას გააჩნია. იმას კი, ვისაც პოეზია ესმის, ამ სფეროში ერთგვარი სუბიექტურობა ახასიათებს. იოსიფ ბროდსკიმ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ პოეტად მარინა ცვეტაევა დაასახელა, როდესაც ჰკითხეს მას, რილკეზე რაღას იტყვი-თო, პასუხი აღარ გაუცია.

ასე რომ, ადამიანთა უმრავლესობას პოეზია ნაკლებად ესმის, ვისაც ესმის, მისი გაგება სუბიექტურია. ალბათ ეს ასეც უნდა იყოს, სინამდვილეს ვერ გავექცევით, მაგრამ როდესაც ზოგადად პოეზიაზე ვსაუბრობთ და პოეზიის განსაზღვრას ვცდილობთ, ისეთი ნიშნები უნდა წარმოვაჩინოთ, რომლებიც მეტნაკლებად ყველასთვის (ვგულისხმობ მაინც პოეზიის გამგებ ადამიანებს) მისაღები იქნება. ამ წერილს რომ ვწერ, რა თქმა უნდა, აქაც ჩემი აზრი მინდა გამოვთქვა, აქაც ვერ ავცდები გარკვეულწილად სუბიექტურ მიდგომას, მაგრამ შევეცდები ჩემი შეხედულებები უკვე არსებულ გამოცდილებას შევუჯერო და შევუთანადო.

ვინ ქმნის პოეზიას? პოეზიას ქმნის ადამიანი. ერთი ნაბიჯიც წავდგათ ნინ და ვიკითხოთ: ვინ არის ადამიანი? ადამიანის მრავალი განსაზღვრება

არსებობს, მაგრამ ძნელია რომელიმე მოიცვას მისი მრავალმხრივი არსება. არისტოტელე ამბობდა, რომ ადამიანი „ძონ პოლიტიკონია“ („საზოგადოებრივი ცხოველი“), სხვათათვის ის „ჰომო საპიენსია“, იარაღის მკეთებელი არსებაა, „ჰომო ფაბერია“ და ა. შ.

ერთ-ერთი განსაზღვრების თანახმად, ადამიანი თავისი თავდაპირველი ბუნებით შემოქმედი არსებაა. რას ქმნის ის? ის ქმნის მატერიალურ და სულიერ კულტურას. მატერიალური კულტურა რომ არ შეექმნა, ვიტალობას, სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებდა. სულიერი კულტურის (ეთიკა, რელიგია, ხელოვნება...) შექმნამ კი მას სრულფასოვნება მიანიჭა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სულიერ კულტურასთან ერთად ადამიანი ძველთაგანვე ქმნიდა სიტყვიერ ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას, რომელსაც ძველი ბერძნები პოეზიად ნათლავდნენ. პოეზიის ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შექმნა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. ის თავის ჭირსა და ლხინს სიმღერით გამოთქვამდა, სიტყვიერ „ტიქსტს“ მუსიკალური ინსტრუმენტების (ლირა, კითარა, ფლეიტა) თანხლებით აჟღერებდა. ასე დაიბადა პირველი ლირიკული ნაწარმოებები. ეს ლექსები ამოოხვრასავით ამოთქვა ძველ დროში პოეტმა, ლალად და ძალდაუტანებლად. მოსწრებულად

ამბობს ილია ჭავჭავაძე: „მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისგან და არც ვარჯიშობისთვის, იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“. პირველი ლირიკული ლექსებიც ცხოვრებამ უკარნახა ადამიანს.

მხატვრული ტექსტი, ზეპირი იყო ის თუ წერილობითი, არ გახლდათ მსჯელობა, თუნდაც ღრმაზროვანი ტრაქტატი. ის იყო სახეობრივი აზროვნების ნიმუში, ეს კი მას აღმატებით მნიშვნელობას სძენდა. სახეს ხომ მხატვრის ჭვრეტა წარმოშობს, ეს უკანასკნელი კი თანდაყოლილი ნიჭის ნიშანია. მეცნიერული აზროვნება ცნებითია, მხატვრული აზროვნება – სახეობრივი. სახე სიტყვაკაზმული მწერლობის ყველაზე მცირე უჯრედია, რომელშიც აზრი და ემოცია ერწყმის ერთმანეთს ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეში ორი კომპონენტია განზავებული – აზრი და ემოცია, მხოლოდ აქ მთლიანობაზეა ლაპარაკი და არა კომპონენტების შენებაზე ან შეერთებაზე. სახეში წარმოჩენილი აზრი ემოციური შეფერილობისაა. და, აი, ეს არის სწორედ არსებითი – ემოცია. მხატვრული ტექსტი ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. აქ არის სწორედ მთავარი მომენტი: პოეტის შეხება ენასთან და გრძნობის გაჩენა. პოეტი ის ადამიანია, ვინც სიტყვაში გრძნობას აქსოვს. პოეტს განსაკუთრებული შეგრძნება აქვს ენისა, სიტყვისა, ის განსაკუთრებული მადლით ამეტყველებს ენას. აქ უნდა იყოს საუბარი არა ენის ცოდნაზე, „ქონაზე“ (გავისხენოთ ერის ფრომი) არამედ ენის ფლობაზე. აკი ამბობს კიდევ პოლ ვალერი: მწერლობა სიტყვიერი ხელოვნებაა, უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას“. მაგრამ ენის ფლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს პოეტობას და არ არის პოეზიის გაჩენის წინაპირობა. ნამდვილი პოეტის ხელში ენა, მეტაფორულად

რომ ვთქვათ, მანათობლად იქცევა. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ლირიკულ პოეზიაში ვლინდება. ამის შესახებ თქვა აკაკი წერეთელმა, რაც არ იწვის, არ ანათებსო. ასე იწვის აკაკი და ასე ანათებს მისი ბრწყინვალე ლექსის „განთიადის“ მეტაფორა – „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“ და არა მარტო ეს მეტაფორა, მთელი ეს ლექსი, მკაცრი სისადავით მოსილი ამ ლექსის ყოველი სტრიქონი. ლირიკულ პოეზიაში მთავარი სწორედ ეს ნათებაა, ეს ემანაცია, რომელიც სულ უბრალოდ ამოთქმულ სიტყვებში შეიძლება გამოსჭვიოდეს:

*გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.*

აქ არ არის არც აზრით გამოხატული ფილოსოფიური სიბრძნე და არც მეტაფორა, მაგრამ არის პოეზია. უმეტაფორო პოეზიის ცნობილი ნიმუშებია ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ და პუშკინის „მე თქვენ მიყვარდით“. ჰერდერს უთქვამს, პოეზია ენის თვისებააო, მეტაფორასაც ენა ბადებს, უფრო სწორად, პოეტი ბადებს ენის მეშვეობით, მხოლოდ არა ცნობიერად, არამედ სპონტანურად. მეტაფორა ენის კონვულსიაა, ენობრივი ექსცესია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ უმთავრესს: პოეტი არის ადამიანი, რომელიც ენაში გრძნობას აქსოვს, ენაში, მას გრძნობად მასალაში სიცოცხლე შეაქვს. ძალიან ხშირად ისმის სამართლიანი შეკითხვა: ლექსებს კი წერს მავანი, მაგრამ არის კი პოეტი? რას ნიშნავს ეს შეკითხვა? ეს ნიშნავს ზუსტად იმას, რაც ჩვენ უკვე ვთქვით; ადამიანი შეიძლება წერდეს ვერსიფიკაციულად უნაკლოდ გამართულ ლექსს, მაგრამ არ იყოს პოეტი, არ იყოს პოეტი იმის გამო, რომ არ ჰქონდეს უნარი მხატვრულ სახეში ემოციური მუხტის შეტანისა. ეს უნარი ნიჭია, ანუ არა შეძენილი რამ, არამედ თანდაყოლილი.

ვფიქრობ, ზოგიერთი მაგალითი უფრო ნათლად წარმოაჩენს სათქმელს.

აქ დროული იქნება მოვიყვანო მცირე ფრაგმენტი უალრესად საინტერესო პეტერბურგელი პოეტის ალექსანდრე კუშნერის ერთი წერილიდან, სადაც ის საუბრობს 10-იანი და 20-იანი წლების ბრწყინვალე ერუდიტის, დიდი მეცნიერის ვიაჩესლავ ივანოვის ლექსებზე. ვ. ივანოვი რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი მამამთავარი გახლდათ, მაგრამ უშუალოდ მისი პოეზიის შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობდა: ერთნი მიიჩნევენ მას პოეტად, მეორენი კი არ იზიარებდნენ ამ აზრს. ვიაჩესლავ ივანოვის ლექსებს ბოლო დრომდე იკვლევდა ასევე დიდი სწავლული სერგეი ავერინცევი. კუშნერი წერს: „რაც შეეხება ვიაჩესლავ ივანოვს, მისი პოეზია, „რომაული სონეტების“ და ზოგიერთი ბოლოდროინდელი ლექსების გამოკლებით, თაბაშირის ტალღებს, შეღებილ მულაიყებს, მუყაოს ბუტაფორიებს ჩამოჰგავს. ს. ავერინცევი მის პოეზიას იკვლევს და ამით კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერუდიტით არ იქმნება პოეზია და აქაც გადამწყვეტ სიტყვას პოეტის ნიჭიერება ამბობს“.

მაშასადამე, ერუდიტია და ვერსიფიკაციული კულტურა პოეტის ნიჭიერების ადგილს ვერ დაიკავენ. გალაკტიონს აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი: „ვინც არ დაბადებულა პოეტად, იგი ვერც გახდება პოეტი, რაც არ უნდა ეცადოს, რანაირი შრომა და ჯაფაც არ უნდა გასწიოს. მაგრამ დიდი მუშაობის შემდეგ ყველას შეუძლია ისწავლოს ლექსთწიობა და ასე თუ ისე ლამაზი ლექსი დაწეროს... ნიჭი პოეტისა, ნამდვილი ოქრო პოეზიის შეიძლება გამოსჭვიოდეს გარეგნულად დაუნყოფელ ლექსში, მაგალითად, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ლექსებში“.

აქ თითქმის იგივეა გამეორებული, რაც უკვე ვთქვით, მაგრამ იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ წარმოთქვამს ამ სიტყვებს.

უნაკლო ვერსიფიკაციული ტექნიკა

არაერთ პოეტს ჰქონია, მაგრამ ეს არ არის საკუთრივ პოეტურობის მაღალხარისხოვნების ნიშანი, ეს მხოლოდ მისი ერთი მხარეა. ისეც კი მომხდარა, რომ ეს ტექნიკური უნაკლობა ემოციური ზემოქმედების ნიშნით მეტად მწირი ყოფილა. ასეთ დროს პოეზია სანთლითაა საძებარი.

შემოქმედება ახლისქმნაა, გრძნობადი მასალის გაცოცხლებაა, სულის შთაბერვაა და არა ტექნიკური, გარეგანი შეკავშირება, კონსტრუირება. ეს ეხება არა მხოლოდ პოეზიას, არამედ ხელოვნების ნებისმიერ დარგს. ახალი ნაწარმოების შექმნა ყველგან დიდი თავისუფლების ნიშნით არის აღბეჭდილი.

და ისევ ლირიკა.

ლირიკაში ჩანს ყოველივე ის, რაც პოეზიისთვის უმთავრესია, რის გამოც პოეზია პოეზიად იწოდება. მთავარი, თვისობრივი, სუბსტანციური, მუდმივი ნიშანი პოეტისა და პოეზიისა, როგორც უკვე ვთქვი, ემანაციაა, ნათებაა, მაგნეტიზმია, სუგესტიურობაა. ყოველივე ამას კი პოეტურ სახეში ჩადებული ემოციური მუხტი წარმოშობს. ძველბერძნული ლირიკის ნათება აღწევს ჩვენამდე არქილოქეს პატარა ქრესტომათიული ლექსიდან, სადაც ის შუბზე დაყრდნობილი სვამს ღვინოს. ჰომეროსის „ილიადა“ იმ მიზნით დაინერა, რომ უკვდავეყო და განედიდებინა ტროას ომში მონაწილე აქილევის სახელი. მაგრამ ამ მიზანს და დანიშნულებას მომდევნო ეპოქების მსმენელისთვის და მკითხველისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. სამაგიეროდ მნიშვნელობა აქვს ამ პოემის მაღალმხატვრულობას, მნიშვნელობა აქვს, ვთქვათ, მეექვსე სიმღერას, სადაც ანდრომაქე ეთხოვება ტროას ომში მიმავალ ჰექტორს. ეს ეპიკაში ჩართული ლირიკული პასაჟის უიშვიათესი ნიმუშია.

მხატვრულ სახეში გრძნობის ჩადება, რაც ბადებს ნამდვილ პოეზიას, ირაციონალური აქტია და არ არის პოე-

ტის ნება-სურვილზე დამოკიდებული. ეს კარგად იცოდნენ ძველმა ბერძნებმა, იცოდა, ცხადია, ჰომეროსმაც და ამიტომაც მოუხმობდა მუზებს თავისი პოემების, – „ილიადას“ და „ოდისეას“ დასაწყისში. „ილიადა“ ასე იწყება: „რისხვას, ღმერთქალო, უგალობე აქილევსისა, აქაველთ თავს რომ დაატეხა ვნება ულევო“. გავიხსენოთ „ოდისეას“ დასაწყისიც: „მუზავ, უმღერე მრავლისმზილველ ვაჟკაცს, რომელმაც ტროას დანგრევის შემდეგ ბევრი იხეტიალა“. მუზები აშკარად სწყალობდნენ ძველბერძენ უსინათლო აედს და მისი გამოსხმობა უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. უმღერე და უგალობეო, რომ მიმართავს ჰომეროსი ეპიკური პოეზიის მუზას, ქალღმერთ კალიოპეს, ამით იმას შესთხოვს უზენაესს, გრძნობად მასალაში სიცოცხლის შეტანის ძალა, მსმენელზე ემოციური ზემოქმედების უნარი მომანიჭეო. პოეტმა თუ არ დაატყვევა

მსმენელი, მთლიანად თუ არ დაიპყრო მისი არსება, მისსავე სიმღერას აზრი არ ექნება.

ეს იყო და არის ყოველთვის მთავარი პოეზიაში, ანუ პოეზიაში მთავარია პოეზია, ის ძალა, რომელმაც სულიერად უნდა შეძრას ადამიანი.

სხვათაშორის, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში შოთა რუსთაველიც იმას სთხოვს ღმერთს, რასაც ჰომეროსი:

ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება.

გრძნობად მასალაში, ენაში სიცოცხლის შეტანა, რაც ნამდვილ პოეზიას ბადებს, ჩვეულებრივ ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, ამიტომაც სთხოვს პოეტი ამ უნარს განგებას. ასე იყო ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში, როცა პოეტი ქურუმად, მოძღვრად, მეხოტბედ, წინასწარმეტყველად იყო შერაცხილი, ასე დარჩა მერეც, რენე-

სანსის ეპოქაში, როცა ლიტერატურა უკვე საშუალება კი აღარ იყო, არამედ თვითმიზანი, მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი ფენომენი. ლიტერატურის თვითკმარობა აღორძინების ხანაში ნიშნავდა იმას, რომ საგანგებოდ უნდა დახვეწილიყო ფორმა. ეს დახვეწა კი შინაარსთან სრულ თანხვედრას მოასწავებდა.

მამასადამე, პოეტურ სახეში აზრთან ერთად გრძნობის ჩადება ირაციონალური აქტია და თვით პოეტისთვისაც აუხსნელია. ეს აქტი, როგორც უკვე ითქვა, პოეტის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. პოეტს შეუძლია მხოლოდ თვითდაკვირვება და ამ თვითდაკვირვების შემდეგ საკუთარი შთაბეჭდილების ამოთქმა: „რაც არ იწვის, არ ანათებს“ (აკაკი), „ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“ (გალაკტიონი), „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“ (ნიკო სამადაშვილი). ყოველ ამ სიტყვების წარმომთქმელთ თვითონვე უკვირთ ის, რაც მათ არსებაში ხდება.

მაგრამ პოეზიის შექმნის გარდა, არსებობს პოეზიის გაგება. და თუ არ იქნა გამგები, არ იარსებებს თვით ეს პოეზიაც. ვინ იცის, ასეთი ვერგაგების გამო რამდენი ლექსი თუ პოემა მისცემია დავიწყებას და დაკარგულა. ზოგჯერ არ დაკარგულა, მაგრამ თავის დროზე ვერ გაუგიათ. ვთქვათ, დიდი ინგლისელი პოეტი-მეტაფიზიკოსი ჯონ დონი (1572-1631) უცდომლად ტომას სტერნზ ელიოტმა შეაფასა და წარმოაჩინა. ეს მოხდა XX საუკუნეში. ვერაფერს ვიზამთ, ასეც ხდება.

დილთაისეული გაგების თეორიის თანახმად, პოეზია შინაგანის, განცდის-მიერის გარეგამოსახულებაა. ეს გარეგამოსახულება პოეტური ტექსტია. ამ ტექსტის მეშვეობით უნდა ჩანვდეს გამგები პოეტის განცდის შინაარსს. ამგვარი წვდომა ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს, ვინაიდან პოეტის გან-

ცდა უნიკალურია, უაღრესად ინდივიდუალურია. დილთაის მიხედვით, იმისათვის, რომ გამგებმა სხვისი განცდა გაიგოს, ჯერ საკუთარ თავს, საკუთარ განცდას უნდა ჩაუღრმავდეს. გამგები სხვისი გარეგამოსახულების მიერ აღძრულ განცდას საკუთარ თავში უღრმავდება. ეს არის კვლავშექმნა და კვლავგანცდა (ან იქნებ თანაგანცდა), რის შემდეგაც ის მიმართავს ტრანსპოზიციას ანუ გაცოცხლებული, აღდგენილი განცდის გადატანას სხვის შინაგან სამყაროში. ეს არ არის ბოლომდე რაციონალური პროცესი. თვითონ დილთაი ამბობს: „ყოველ გაგებაში არის რაღაც ირაციონალური ისევე, როგორც თვითონ სიცოცხლე არის ასეთი. გაგება არასოდეს არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ლოგიკისმიერი ფორმულებით“.

ე. ი. არც პოეტური შემოქმედებაა მეტნაკლებად რაციონალური მომენტი და არც მისი გაგება. პოეტი კონკრეტული პიროვნებაა, კონკრეტულ სოციალურ გარემოში ცხოვრობს, ასევე კონკრეტული და პიროვნულ-ინდივიდუალურია, უნიკალურია მისი განცდა, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს შემოქმედების ნაყოფს, მაგრამ ამ ნაყოფში, ლექსში ეს უნიკალობა ზოგად ხასიათს იძენს, ამიტომაც იქცევა ის სხვებისთვის გასაგებად. თავის წერილში „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“ ელიოტი ამბობს: „პოეტი სრულიადაც არ არის საინტერესო თავისი სუბიექტური ემოციებით, რომლებსაც მის ცხოვრებაში მომხდარი კონკრეტული მოვლენები იწვევს. პოეტის პირადი ემოციები შეიძლება გულბრყვილო, პრიმიტიული და უსახურიც კი იყოს. სამაგიეროდ შთამბეჭდავია მის შემოქმედებაში გამოვლენილი უაღრესად რთული ემოციური განცდები“. აქ ალბათ გარკვეული სიზუსტეა საჭირო. არასუბიექტური ემოციები არ არსებობს, არ არსებობს არც ზოგადი განცდა. ბიოგრაფიული ფაქტები სტიმულის მომცემი ბიძგებია, რომლებიც წარმოშობენ სა-

პასუხო განცდებს მხატვრულ ქმნილებაში, კერძოდ, ლექსში გასაგებელი ეს განცდები, როგორც უკვე ვთქვით, მეტ ზოგადობას იძენენ. როგორი უსახური და პრიმიტიულიც არ უნდა იყოს განცდა, პოეტის რთულ არსებასთან შეხებისას ის შეიძლება მხატვრული ნაწარმოების, ლექსის დაბადების სტიმულად იქცეს და ის, რაც მერე ზოგადობას შეიძენს, განცდის სირთულედაც აღიქმება.

ელიოტი ინტელექტისა და ემოციის ინტეგრაციას მიესწრაფვის და არსად არ ამბობს იმას, რომ თვითონ შემოქმედებით პროცესში, ლირიკული ლექსის დაბადებისას პრიორიტეტი ემოციურ სტიმულს ეკუთვნის. არადა, ეს აქტი სპონტანურია, ამ ქმნადობის მომენტში აქსოვს პოეტი გრძნობად მასალაში ემოციას, რომლის გარეშეც არ იარსებებს ზოგადად ლირიზმი და არც ლირიკული ლექსი.

იქნებ თანამედროვე პოეზიამ იცვალა სახე?

იოსიფ ბროდსკი XX საუკუნის მინურულს გარდაიცვალა. ის XXI საუკუნის პოეტია. „პოეზია უნდა გაოცებდეს“ – თქვა ერთმა პოეტმა. არ ვიცი, პოეზიის ეს განსაზღვრება რამდენად ესადაგება ბროდსკის ლექსებს. ბროდსკიმ კარგად ათვისებული რუსული პოეტური ტრადიცია ანგლო-ამერიკულ პოეზიას (ჯონ დონი, ოდენი, ელიოტი და სხვ.) განუზავა და ამ სინთეზმა თანამედროვე სახე შესძინა მის ლექსებს. რა თქმა უნდა, ეს ნაზავი მისმა პიროვნულმა უნიკალობამ განაპირობა. ბროდსკი მეგაპოლისების პოეტია. ეს უბრალოდ ურბანიზმი არ არის, ეს არის ყოველგვარი ტრადიციული პოეზიისგან განსხვავებული პოეზია როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. პირველყოვლისა, თვალშისაცემია ლირიზმის ნაკლებობა. ზოგიერთი რუსი ემიგრანტი პოეტი ამბობს, რომ ლირიკული სტიქია საერთოდ უცხოა ბროდსკისთვის. იქნებ ირონია ამცრობს და ზღუ-

დავს მისი ლექსების ლირიკულ ჟღერადობას, თუ ეს ლირიზმის სიმცირე რუსი აკმეისტებისაგან აითვისა პოეტმა? ემიგრანტი მწერალი ბორის ხაზანოვი ამბობს, რომ ბროდსკი პოეტი-ესეისტია და ეს მსოფლმხედველობის განსაკუთრებული ნაირსახეობაა.

ბროდსკის ლირიკული სუბიექტი რთული ადამიანია, რომელიც ასევე რთულ სამყაროში ცხოვრობს. მისი პოეტური სამყაროს სტრუქტურა ისეთია, რომ აქ ლირიზმი შეუძლებელია არ იყოს შევინროებული და „ხმადანული“. მარჯვედ შენიშნავს ბორის ხაზანოვი: „ის, რაც ყოველთვის იყო პროზის პრივილეგია, ბროდსკისთან უმთავრეს პოეტურ ნიშნად წარმოჩნდა“. ხაზანოვის აზრით, ბროდსკის პოსტმოდერნისტულ თავისებურებას მისი ლირიკული სუბიექტის აზროვნება გამომხატავს. ამ

სირთულეს ამჟღავნებს სინამდვილის ერთდროულად სხვადასხვა რაკურსით ხედვა, რომელიც თავის მხრივ რთული სინტაქსის და უაღრესად ჭრელი ლექსიკის მეშვეობით ვლინდება. პოეტის ლექსიკა მოიცავს ჟარგონს, ისტორიულ, მნიგნობრულ და სხვა სახის სიტყვიერ ასოციაციებს. სამყაროს რთული აღქმა ბროდსკის მთავარი მონაპოვარია. ამას ერთხმად აღნიშნავენ რუსი ემიგრანტი მწერლები და საინტერესოა ის, რომ ბროდსკისეულ პოეზიაში ოსტატურად განზავებული პროზა არც შეიძლება იყოს და არც არის ტრადიციულ-ლირიკული ჟღერადობის, თუმცა მაინც ლირიკულია და სკეპსისთან ერთად ცივ, გამჭოლ ნათებას ასხივებს. ამიტომაც არის მისი პოეზია ნამდვილი პოეზია და არა პროზა.

რეზო კვესელავა



ღვაწლი მიხეილ კვესელავასი

ერთ დროს მიხეილი ძალზე პოპულარული პიროვნება გახლდათ თბილისში. ეს ომის შემდგომი პერიოდი. ვინ არ მეკითხებოდა კვესელავასი რა ხარო? პარიკმახერმაც მკითხა და სამართებელი ჩემს კისერზე გააჩერა. ნამიერი შიში მოვიგერიე და ვუპასუხე: ახლობელია-მეთქი. – ომზე წიგნი რომ დაუნერია, იმ წიგნს ვერ მიშოვნისო? – სიამოვნებით-მეთქი და იმ დღესვე მივუტანე...

ასეთი შემთხვევაც მქონდა: პოლიციის ინსპექტორმა „მართვის უფლება“ ჩამომართვა. იმასაც მიხეილის წიგნი ვაჩუქე. „უფლება“ დამიბრუნა და ასი მაღლობაც მითხრა. მაშინ წიგნს ჰქონდა ავტორიტეტი და კარგ საჩუქრად ითვლებოდა!

სოფლიდან ჩამოსული ყმანვილი, ვიდრე მიხეილ კვესელავასს გავიცნობდი, აკაკი განერელიას დაყვებოდი თბილისის ქუჩებში. ლიტერატურის ინსტიტუტის წინ სიმპათიურ მოხუცს შევხვდით. თედო სახოკია აღმოჩნდა. აკაკიმ ჩემზე უთხრა: ეს ყმანვილი მარტვილელია, მიხეილ კვესელავასს ნათესავიაო. ბატონმა თედომ ზევიდან დამხედა (მაღალი კაცი იყო) და თქვა:

– ო, მიხეილი!

ვიგრძენი მისი კეთილი განწყობა და გამიხარდა. ვიცოდი, რომ ბატონმა თედომ მარტვილში დაამთავრა დანყებითი სასწავლებელი. მისი მშვენიერი მოგონებებიც წაკითხული მქონდა. იმ დღეს კიდევ რამდენიმე ცნობილ პიროვნებას შევხვდით (კოტე მიქაბერიძე, ხარიტონ ვარდოშვილი და მერაბ გეგეჭკორი). აკაკი ყველას ერთნაირად აცნობდა ჩემ თავს:

– ეს ყმანვილი კვესელავაა, მარტვილიდან, მიხეილ კვესელავასს ნათესავია! ყველანი რალაცნაირი კრძალვით წარმოთქვამდნენ: ო, ბატონი მიხეილი! მიხეილი! გული უცნაური გრძნობით მეყვებოდა, რადგან იმ მომენტისთვის არ ვიცნობდი მიხეილს და მისი ფოტოც არ მენახა.

ბატონი პავლე ინგოროყვა აკაკის ბინაში გავიცანი. აკაკიმ უთხრა ჩემზე:

– ეს ყმანვილი სოფელ ნახარებაოდა-ნაა, ჩემი მეზობელია! მიხეილ კვესელავასს ნათესავია.

გამიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ინგოროყვას სოფელი ნახარებაო!

ნუ გიკვირს, თურმე ყველა სოფელი და დასახლება იცის!

ბატონი პავლე პირდაპირ შეუდგა მიხეილის ქებას: – კვესელავას დაავალეს ჩემი „მერჩულეს“ შესწავლა და განხილვა. ფიქრობდნენ, განათლებული კაცია და მის სიტყვას უფრო დაუჯერებენო. კვესელავამ დაიცვა ჩემი შრომა და მოწინააღმდეგეებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ...

– მოწინააღმდეგე ვინ იყო? – გაანყვეტინა აკაკიმ.

პავლემ ამაზე არ უპასუხა და განაგრძო: ერთი სიტყვით, კვესელავამ გადამარჩინა, სიტყვით გამოსვლა არ დამჭირდა...

როგორი კმაყოფილი იყო ბატონი პავლე მიხეილისა, ვიცით, რეჟისორ გუგული მგელაძის მოგონებიდანაც, რომელიც გაზეთ „ქართულ ფილმში“ დაიბეჭდა. ამ მოგონებიდან ერთი სცენა უნდა გავიხსენო: ქართველ რეჟისორთა ერთი ჯგუფი ახალი ფილმების ჩასაბარებლად მოსკოვს გაემგზავრა. მიხეილი, როგორც დირექტორი, თან გაჰყვა ამ ჯგუფს. გუგულის ჩასაბარებლად კინოკომედია „ბურთი და მოედანი“ მიჰქონდა.

თავისუფალი დრო ჰქონდათ. საღამოობით რესტორანში დადიოდნენ.

„მიხეილის დაპატიჟება შეუძლებელი გახდა, – იგონებს გუგული. – ყველა ხარჯს მიხეილი იხდიდა“. ერთ საღამოს შემთვრალ გუგულის სასტუმროს დერეფანში გაუვლია. ხედავს, მიხეილის ოთახის კარი ღიაა. უფიქრია, ქურდი ხომ არ შეიპარაო და ნომერში შესულა. მიხეილს მოუშვია თურმე ონკანი და პერანგს რეცხავს. „მიშამ დამინახა თუ არა, შეცბა... განა იმის საშუალება არ ჰქონდა პერანგი მომვლელი ქალისთვის გაერეცხვინებინა, მაგრამ მეტად მორიდებული იყო. სხვისი შენუხება არ უნდოდა“.

ნამდვილად ასეთი იყო. რა არ გა-

დახდა თავს, ამაღლება, დამცირება, დაკნინება... მაგრამ დარჩა იმად, რაც თავიდან იყო, სულიერად ფაქიზ ადამიანად. აკაკი წერეთელი მართალი ყოფილა: მარტო აღზრდა ვერ შველის ადამიანს, თუ ბუნებამ არ უშველა!

●

თბილისში რომ ჩამოვედი სასწავლებლად (1951 წ.), მიხეილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კულტურისა და მეცნიერების განყოფილებას განაგებდა. როგორც უკვე აღვნიშნე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ამ ავტორიტეტს მხოლოდ კეთილი საქმეებისთვის იყენებდა. სხვა მიზანი მას არ ჰქონია. განა მხოლოდ მიხეილი იყო ასეთი შეურყენელი მრწამსისა? სხვებიც იყვნენ. მე ვფიქრობ, ეს იყო პატიოსანი მოქალაქეთა უკანასკნელი თაობა, რომელთაც ვერ წარმოედგინათ, რომ სახელმწიფო სახსრებით შეიძლება გამდიდრება, რომ შეიძლება სახელმწიფო გამოცდებს რალაცას გამოჩენი, რომ შეიძლება სახელმწიფო მოღვაწემ სისხამ დილით ყანაში იაროს საბრალო მიწის მუშის მოსაჩვენებლად. იმ სასტიკ რეჟიმში მეტი იყო წესიერი ადამიანი, ვიდრე დღეს არის, ლიბერალიზმის პირობებში. ეს აღიარა ჭაბუა ამირეჯიბმა, აღიარა ოთარ ჭილაძემ თავის ჩანაწერებში, რომელიც ჟურნალმა „ცისკარმა“ გამოაქვეყნა. აღიარა ოთარ ჩხეიძემაც, მიუხედავად თავისი მსოფლმხედველობისა.

●

მიხეილმა გიორგი გეგეშიძე წააქეზა და ერთ ბნელ ღამეს ქაშუეთის ეკლესიის წინ და გასწვრივ მდებარე უშნო ნეგებობები ააღებინა და ქაშუეთიც გამოჩნდა მთელი თავისი მშვენიერებით!

მიხეილი იბრძოდა დ. კაკაბაძისა და

ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების ფართო ექსპოზიციისათვის. მიაღწია მიზანს! სათქმელად ადვილია, მაგრამ ამის განხორციელებას ბევრი ენერგია და ნერვი შეეწირა... მიხეილი იბრძოდა ყურნალების „ცისკრისა“ და „ხელოვნების“ დაფუძნებისათვის. ვახტანგ ჭელიძემ – „ცისკრის“ რედაქტორმა, მაღალი შეფასება მისცა მიხეილის ღვაწლს ამ მიმართულებით. ვახტანგის შეხედულებას პატივს სცემდნენ ე. წ. პროგრესულად მოაზროვნენი. ის ორგანულად ვერ იტანდა უსამართლობას.

•

ყველაზე ძნელი ობიექტი კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გახლდათ. ამბობდნენ, ვინც კინოსტუდიას გაუძღვება, ის სახელმწიფოსაც გაუძღვებაო.

მიხეილი კინოსტუდიაში პირველად 1946 წელს მიავლინეს. მაშინვე, ჯარიდან რომ დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხანი დაჰყო კინოსტუდიაში... მალე კვლავ გერმანიაში მიიწვიეს სამუშაოდ. სტუდიაში მუშაობის ის ცოტა ხანიც დასამახსოვრებელია, რადგან, სწორედ მაშინ მიხეილის ხელშეწყობით გამოვიდა მუსიკალური ფილმი „ქეთო და კოტე“.

რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა არაერთგზის აღნიშნა კვესელავას დამსახურება. მიხეილს პირველად მაშინ მოუწია მოსკოვში წასვლა სტუდიის საქმეების მოსაგვარებლად. თათბირზე გულმოდგინედ უსმენდნენ „გოსკინოს“ თანამშრომლები მიხეილის გამოსვლას. ისე მოხიბლულან მისი ლოგიკით და ერუდიციით, რომ ყველა მოთხოვნაზე დათანხმებულან.

მიხეილი ხშირად იცვლიდა თანამდებობას. ცხადია, არა თავისი სურვილით. ნოდარ კაკაბაძემ დაწერა: „ბატონ მისას ყოველთვის იმ უბანში აგზავნიან,

სადაც ჩავარდნაა, იქ მდგომარეობას გამოასწორებს თუ არა, სხვაგან გადაჰყავთ“.

რა იყო მისი წარმატების საფუძველი?

გრიგოლ აბაშიძემ აღნიშნა: – მიხეილ კვესელავას ავტორიტეტს მისი დიდბუნებოვნება და მოკრძალებულობა განაპირობებდაო.

მისი სამუშაო ოთახის, ე. წ. კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იყო მთხოვნელისათვის. ტყუილად არც არავინ შეაწუხებდა. იჯდა სინყნარეში და თავის მომავალ წიგნზე ფიქრობდა. წერა არასოდეს შეუწყვეტია, წერდა და თან ჩიქობავას განმარტებით ლექსიკონს ჩაჰკირკიტებდა... კიდევაც მიაღწია შესაშურ სისადავეს. თითქმის ისე წერდა, როგორც მეტყველებდა.

•

უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გამგეობის თავმჯდომარედ რომ გადაიყვანეს, უმალ შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნის საკითხის მოგვარებას. გაიხსენა ომის დროს ავსტრიაში გაცნობილი პოეტი ჰუგო ჰუპერტი და მასთან კავშირი დაამყარა. ერთ მშვენიერ დღეს ჰუპერტი თბილისში ჩამოვიდა, სასტუმროში ნომერი აიღო, მაგრამ იქ ვერ გაძლო. მიხეილმა თავის ბინაში გადმოიყვანა და ცალკე ოთახი დაუთმო. ჰუგო ჰუპერტი ოჯახის წევრი გახდა. როგორც იტყვიან, მას ჩიტის რძეს არ აკლებდნენ, ოღონდ კარგად ეგრძნო თავი და ნაყოფიერად ემუშავა.

•

ჰუპერტის „ვეფხისტყაოსანი“ ცალკე წიგნად რომ გამოვიდა, მისი განხილვა აკადემიის შენობაში გაიმართა. მეც ვესწრებოდი. ზოგი აქებდა თარგმანს,

ზოგი აკრიტიკებდა. დასაცავად შალვა ნუცუბიძე გამოვიდა. მშვიდად დაიწყო, თანდათან გაცხარდა, ხმას აუწია და დაიქუხა: – კრიტიკასაც აქვს საზღვარი! კრიტიციზმი ზოგჯერ კრეტინიზმში გადადის!

დარბაზი გაისუსა. ნუცუბიძე შეუდგა თავისი არგუმენტების ჩამოყალიბებას...

•

მიხეილი უცხო ენების ინსტიტუტში რომ გადაიყვანეს, მე იქ დავხვდი, როგორც სტუდენტი. ინსტიტუტი მალე იდეალურ ოჯახს დაემგვანა. სანიმუშო ნესრიგი დამყარდა. ჩამოყალიბდა მომღერალთა და სპორტსმენტთა გუნდებიც. წარმოდგენაც დადგეს ინგლისურ ენაზე. ინსტიტუტის სცენაზე გამოჩნდა პირველად მშვენიერი ინოლა გურგულია თავისი გიტარითა და მეგრული მელიოდიებით. აქ აიდგა ფეხი რობერტ ბარძიმაშვილმა და „ორერამ“. აქვე გაითქვეს სახელი ცნობილმა ხელობურთელებმა ცერცვაძემ და იაშვილმა. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აქ გავიცანი ანზორ სალუქვაძე, კარლო კობერიძე, კარლო კალანდაძე, მომავალი კინომცოდნე გოგი დოლიძე... აქ ეწყობოდა შეხვედრები ცნობილ ქართველ პოეტებთან, პროზის ოსტატებთან... აქ გავიცანით ნაზიმ ჰიქმეთი, ცნობილი მოჭადრაკეები: სალო აფლორი, მიხეილ ტალი, ნონა გაფრინდაშვილი...

აქ ასწავლიდა რუსული ენის გრამატიკას ალექსანდრე ნაიმანი. მიხეილი მას დაეხმარა თავისი ცნობილი „სინონიმთა ლექსიკონის“ გამოცემაში.

ბატონმა ნეიმანმა „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ მიხეილს უსახსოვრა წარწერით:

„კეთილმოსაგონებლად ძვირფას ბატონ მიხეილს.

უდიდესი მადლობით(თქვენი ჩემდამი ყურადღება არასდროს არ დამავიწყდება)

ულრმესი პატივისცემით, უზომო სიმპატიით, საუკეთესო სურვილებით
15. VII – 1961

ავტორი

მაშინ წიგნის გამოცემა ძალიან ძნელი იყო, ტექნიკა არ ჰყოფნიდათ და ქალაქიდან ძალიან ჭირდა. ის გარემოებაც აღსანიშნავია, რომ წიგნს სახელმწიფო სცემდა და ჰონორარიც მას უნდა გადაეხადა. ახლანდელი გამოცემლობები ჰონორარს არ იძლევიან ან იძლევიან შედარებით უმნიშვნელოს. წავიდა ის დრო, მსახიობი სტუდიაში დუბლირებული ფილმების გახმოვანებისთვის მიღებული (დაგროვილი) ჰონორარით მანქანას რომ ყიდულობდა... აფსუს?! „რა არა აფსუს!“ – ამბობს ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთი პერსონაჟი.

ინსტიტუტი თითქოს უხილავად იმართებოდა. მმართველი არ ჩანდა. მისაღები გამოცდებიც მშვიდად ტარდებოდა. არავითარი ცრემლის ღვრა და დრამატიზაცია. მიხეილის სულგრძელობა დაუვინყარია. ფაკულტეტზე ყოველთვის მეტ სტუდენტს იღებდა, ვიდრე კანონით იყო დადგენილი. არ ეპუებოდა ზემოდან საყვედურებს. ცილსაც ვერავინ დასწამებდა. იცოდნენ, მისი უანგარობის ამბავი! თუ ვინმე საპროტექციოდ მოაკითხავდა, მაგალითად: სერგო ზაქარიაძე, შოთა სალუქვაძე, დოდო აბაშიძე, თხოვნას უსათუოდ შეუსრულებდა, რადგან უყვარდა ისინი.

ერთი სიტყვით, დიდი გამოცოცხლება იყო ინსტიტუტში!

...მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია,

გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენ-
დარული.

ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გვსურ-
და რამე ქართული,

რითმა-ნიუანსები, რიტმიული ლან-
დები.

სად არიან ყველა ამ მორევებში ჩარ-
თული

მენადები-გედები და ფრთები-ინფან-
ტები?

ეხლა კი გზა ეკალზე უფრო უეკლე-
სია...

(გ. ტ.)

•

მიხეილი კვლავ „ქართულ ფილ-
მში“ გადაისროლეს. დაიწყო კინოს
ახალი რენესანსი. მიხეილი ახალ თა-
ობას ჩაუდგა სათავეში, ძველმა თაო-
ბამ ჯერ დუმილი არჩია, შემდეგ ოპო-
ზიციაში გადავიდა. დავით რონდელი
მიემხრო მათ. მიხეილი ხუმრობდა:
„примкнувши к ним Рондели!“ ანალო-
გიით – примкнувши к ним Шепилов!

ძველ თაობას თავისი სიმართლე
ჰქონდა. მათ იცოდნენ სიუჟეტის აგება
და მელოდრამის კანონებიც. მათ ფილ-
მებს დღესაც ჰყავს მაყურებელი. მეც
სიამოვნებით ვუყურებ. ფილმი რაც
უფრო ძველდება, უფრო სიმპატიური
ხდება. იქ ხომ ჩვენი საყვარელი მსა-
ხიობები თამაშობენ. ბევრი მათგანი
ცოცხალი არ არის...

რა თქმა უნდა ახალ თაობასაც ჰქონ-
და სიმართლე: მობეზრდათ გამუდმე-
ბული იგივეობა. ომის შემდეგ მთელ
ევროპას გადაუარა მონოდებამ: მოგვე-
ცით რამე ახალი! ახალი! ახალი!!!

ბატონმა სიკო დოლიძემ თავის ერთ
გამოსვლაში თქვა: – შემობრუნება ჩხე-
იძისა და აბულაძის „მაგდანას ლურჯა-
თი“ დაიწყო.

ნანილობრივ ეს მართალია. ნამდვი-

ლი შემობრუნება ოთარ იოსელიანით
იწყება. ოთარ იოსელიანმა შექმნა საგ-
ნების ახალი იერარქია. დეტალს მიანი-
ჭა მნიშვნელობა. შექმნა ახალი რიტმი
და მეტყველებაც; მიაჯაჭვა მაყურებე-
ლი ეკრანს...

იოსელიანი, უპირველეს ყოვლისა,
პოეტია და არა კრიტიკოსი. ეს ვერ და-
ინახეს „გოსკინოს“ უფროსებმა. ვერც
„ვედრების“ პოეზია იგრძნეს და ფილ-
მიც არ დაუშვეს საკავშირო ეკრანზე.
სამაგიეროდ ფილმის პოეზია იგრძნო
მისმა რუსულად გამხმოვანებელმა ქ-მა
გარინამ და დიდი მომავალიც უნინას-
ნარმეტყველა. წინასწარმეტყველება
გამართლდა: „ვედრებამ“ სან-რემოში
მიღებული პირველი პრიზით დაიწყო
მოგზაურობა ევროპაში!

•

ყველაფერი მიედინება, ყველაფერი
იცვლება, მაგრამ ძველ ქართულ ფილ-
მებს, მუნჯებსაც და ხმოვანებსაც, ჟამ-
თა ცვლა არ ეხებათ...

ვაჟას ნანარმოებების მიხედვით
ფილმის შექმნის იდეა მიხეილ კვესე-
ლავას ეკუთვნის. მან მიგვანიშნა ვა-
ჟას ნოველებზე, რომლებიც სხვადსხვა
დროსაა დანერილი, მაგრამ ერთი თე-
მა და იდეა აერთიანებთ. ყველა ნოვე-
ლა უკიდურესად დაძაბულია, ყველა
ნოველაში საქართველოს (და არ მხო-
ლოდ საქართველოს) ბედი წყდება. ფა-
უსტური პარადიგმაა: ეშმაკი ებრძვის
ღმერთს და ბრძოლოს ველი ვაჟა-ფშა-
ველას გულია!

მიხეილმა სცენარზე სამუშაოდ ოთა-
ხი გამოგვიყო ძველ სტუდიაში. უყუ-
რადღებოდ არ გვტოვებდა. კახეთშიც
გვამოგზაურა თავისი სახსრებით, რა-
თა გვენახა ისტორიული ადგილები და
ნამდვილი კახელები!

სარეჟისორო სცენარზე რომ ვმუშაობდით, გაგრძელება ჩამოგვაკითხა. ჩვენი შეხვედრა კინოოპერატორმა ალექსანდრე ანტიპენკომ ფოტოზე აღბეჭდა.

ახლოვდებოდა ქარიშხალი!

კომპარტიას ასეთი მეთოდი ჰქონდა: დროდადრო უნდა გამოველინა სხვაგვარად მოაზროვნე და უნდა გაემართახებინა. აუტოდაფე მოსკოვში იწყებოდა და რესპუბლიკებში ვრცელდებოდა. მოსკოვში ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა გააკრიტიკეს, შემდეგ პოეტებს და კინემატოგრაფისტებს მიადგინენ. ლონისძიებას საქართველოს ხელისუფლებაც უნდა გამოხმაურებოდა, და გამოეხმაურა! უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საგანგებო სხდომა გაიმართა. მოხსენებას ვასილ მჟავანაძე კითხულობდა. ჯერ ეკონომიკის მიღწევებს შეეხო. ეს არავის აინტერესებდა. კულტურის მდგომარეობაზე რომ გადავიდა, დარბაზი გამოცოცხლდა. ახსენა ოთარ იოსელიანის „გიორგობის თვე“. ვილაცამ მოისურვა იოსელიანი დარბაზს ჩვენებოდა. დაღვრემილი იოსელიანი კედელთან აიტუზა. მჟავანაძემ კითხვა განაგრძო, გადაეყარა უმიძიმეს ფრაზას: – ბუნტარიზმია ქართულ ფილმში, ბუნტის თავია მ. კვესელავა! მჟავანაძემ კითხვა შეწყვიტა... თქვა: – მე ეს არ დამინერია... დანერილი გადმომცეს. მე მხოლოდ ვკითხულობ... (დარბაზი ახმაურდა) მჟავანაძემ განაგრძო: კვესელავას კარგად ვიცნობ, ნესიერი და განათლებული კაცია. გამოირიცხებულია მან პარტიას უღალატოს...

მიხეილს მისცეს საპასუხო სიტყვის უფლება. თავისი პოზიცია გაამართლა და დამაჯერებლადაც, მაგრამ ამან ვერ უშველა. მეორე დღეს კინოსტუდიაში გაიმართა კრება. ცენტრალური კომი-

ტეტის წარმომადგენელი დროულად გამოცხადდა. მიხეილის კრიტიკა გაგრძელდა. შეშინებულმა კოკოჩაშვილმა მიხეილს მიმართა: – იმედია, არჩეულ გზას არ გადაუხვევო. – არავითარ შემთხვევაშიო! – მიუგო მიხეილმა. მისმა კატეგორიულობამ უფრო დაძაბა მდგომარეობა. ყოველივე ეს მწარედ განიცადა მიხეილმა. ძალადობა აუტანელია. თუმცა დრო შეიცვალა, დღეს შეგვიძლია თავი ვიმართლოთ პრესით, ტელევიზიით, საჯაროდაც, მაგრამ ეს არც ისე იოლია. ძალის ჰყევს, ქარავანი მიდის. ინგლისელი მწერლის გოლდინგის მოთხრობის „საგანგებო ელჩის“ პერსონაჟი ასე არიგებს შვილს: – ძალმომრეობა ყოველთვის იქნება, ფორმები შეიცვლება, არსი კი დარჩება! ეს ითქვა ნახევარი საუკუნის წინ და დღემდე ქეშმარიტებად რჩება. ჩვენი მწერლებიც ფიქრობდნენ ამ მიმართულებით: ჩხეიძე, ქილაძე, ქეიშვილი, ამირეჯიბი, ინანიშვილი... ქარავანი შეყოვნდა? ვერც შეყოვნდება. ქარავანს სხვა ბედისწერა მიერეკება!

სიმაართლე მაინც დიდი ძალაა. ის სინდისზეა დამოკიდებული. სინდისიერი ადამიანები მუდამ იქნებიან. – კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადაო. – ამბობს ვაჟა.

„გოსკინო“ გადაუდგა იოსელიანს, მაგრამ კვესელავას უკან არ დაუხევია, ბოლომდე ერთგულებდა ახალგაზრდებს, ფული არ ენანებოდა, ოღონდ კარგი ფილმი შეექმნათ... გიორგი შენგელიას გამოუძებნა დამატებითი ხარჯები და ფილმი დაამთავრებინა. რისკმა გაამართლა. გიორგიმ შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი – „ალავერდობა“.

ხმა ვრცელდებოდა სტუდიაში, კვესელავამ სტუდიის ბიუჯეტი გაანიავა და მისი დღეები დათვლილიაო. მიხეილი გაათავისუფლეს.

•

მიხეილი სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბარეს და ფრანგული ენისა და ლიტერატურის კათედრა ჩააბარეს. უნივერსიტეტის რექტორს ევგენი ხარაძეს უთქვამს: – არ ვიცი, რა დაკარგა კინოსტუდიამ კვესელავას იქიდან წასვლით, მაგრამ ის კარგად ვიცი, უნივერსიტეტმა რა შეიძინა მისი აქ მოსვლითო (ნოდარ კაკაბაძე).

მიხეილი დაილაღა. ბედის წაღმა უკუღმა ტრიალმა შეარყია მისი ჯანმრთელობა. ვისაც მისი სამხედრო მემუარები წაუკითხავს, დამეთანხმება, რაც მას გადახდა, სიკვდილზე მეტია. ე. წ. მშვიდობიანობამაც ასვა შხამი. ერთგული მეუღლე ქ-ნი მერცია უხანგრძლივებდა სიცოცხლეს, ასე ვთქვათ, სულს უბერავდა მის იარებს. მერციამ მეც მიშველა: როცა კრიტიკულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მოსკოვში წამიყვანა და საუკეთესო კლინიკაში მომათავსა.

მიხეილი 66 წლისა გარდაიცვალა!

რ. კ. მარტივილი

P. S. მთავარი გამომრჩენია: მიხეილის ლექციები! ახლაც მხვდებიან მისი ყოფილი სტუდენტები, რომელთაც მისი ლექციები მოუსმენიათ და ამაყობენ ამით.

ერთხელ თამარ ერისთავი შემხვდა, განსაკუთრებული სიხარული გამოხატა ჩემი დანახვით. რა მოხდა?! მითხრა, მე ყველა მიყვარს, ვისაც ბატონ მიშასთან რამე ურთიერთობა ჰქონია. – და ცრემლი მოადგა თვალებზე.

მისი ლექციები იყო ლოგიკური და თანმიმდევრული. ლექციას წარმტაც სიუჟეტად აყალიბებდა.. ფლობდა ორატორულ ხელოვნებას. ხმაც სასიამოვნო ჰქონდა და სახიერებაც. უნივერსიტეტში ყველაზე დიდ აუდიტორიას უთმობდნენ, მაინც არ ეტეოდნენ მსმენელე-

ბი. ვისაც აგვიანდებოდა, ღია კარებში იდგა, ცერებზე იწევდა, რათა უკეთ დაენახა ლექტორი და უკეთ მოესმინა. ისე თავისუფლად საუბრობდა, თითქოს ცენზურა არც არსებობდა. დისიდენტური რევერანსები მისთვის სრულიად უცხო იყო. ის მიჰყვებოდა შთაგონებას... შინაგანი ხმა მას უფლებას არ აძლევდა, მაიაკოვსკი დაემცირებინა და მანდელშტამი აემალლებინა... მისი ლექციით ისინიც იხიბლებოდნენ, ვინც მრწამსით სხვა პლატფორმაზე იდგა ან უნდა მდგარიყო – პარტიულები!

•

დაუფიქრია ის დღე, როცა მიხეილმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა („პარადიგმები“ I-II ტ.). დაიცვა იმ აუდიტორიაში, სადაც ლექციებს კითხულობდა. ცხარე კამათი გაიმართა. ძალიან ნერვიულობდა ოპონენტი გრიგოლ ხავთასი. მან ვერ მიიღო ფაუსტური იდეების დეზინტეგრაციის მიხეილისეული თვალსაზრისი და დისერტანტს რალაც გადახრაში დასდო ბრალი. ამ დროს დარბაზში შემოიყვანეს მეორე ოპონენტი შალვა ნუცუბიძე. ავად იყო, უჭირდა სიარული და მაინც მოვიდა. ნუცუბიძემ დანვრილებით გააანალიზა კვესელავას ნაშრომის ფილოსოფიური ნაწილი: ფილოსოფოსების – ჰაიდეგერის, იუპერსის, სარტრის, კამიუს და სხვათა შეხედულებები. ლიტერატურულ მოვლენად აღიარა „პარადიგმები“. ორიგინალიდან მოჰყავდა ციტატები. ჟღერდა გერმანული და ფრანგული ენა!

იმ დღეს ვინერვიულე და ცუდადაც გავხდი, მაგრამ ის დღე დაუფიქრია ჩემთვისაც. ვის არ ნახავდი დარბაზში, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მეცნიერებს, სტუდენტებს...

- ამაგი არ იკარგება. ორი დიდი უწყების: „ქართული ფილმისა“ და კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელებმა რეზო ჩხეიძემ და ელდარ შენგელაიამ ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნები გამოაქვეყნეს, სადაც საპატიო ადგილი დაუთმეს მიხეილ კვესელავას როლის შეფასებას ქართული კინოს ისტორიაში...

- ვიგონებ იმ დღეებსაც, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის რეალობა ვირწმუნეთ. ვისხედით სასცენაროში და ეროვნული მთავრობის წევრების სიას ვადგენდით. სიას წარამარა ვაახლებდით, მაგრამ მიხეილ კვესელავასა და

ზურაბ კაკაბაძეს ყველა სიაში ვტოვებდით, რადგან მათი განსწავლულობა, გამოცდილება და ზომიერება ეჭვს არ იწვევდა. რაც მთავარია, მათ პატივმოყვარეობის დამლუპველი ილუზია არ აწუხებდათ. სხვა წევრებსაც ამ ნიშნით ვარჩევდით.

- აი, დღეს (18 ივლისი) თბილისიდან ჩამომიტანეს ძვირფასი საჩუქარი: ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ეგზემპლარი. დიდი მადლობა ამ სიკეთისათვის. მადლობელი ვარ ბ-ნ ბალათერ არაბულისა მშვენიერი ლექსებისათვის და რედაქციისა იმისათვის, რომ საჭიროდ მიიჩნიეს მიხეილ კვესელავაზე ჩემი მოგონება გამოექვეყნებინათ.



მარცხნიდან: მიხეილ კვესელავა, ანზორ სალუქვაძე, რეზო კვესელავა, თენგიზ მირზაშვილი, თენგიზ აბულაძე.

გაგრა, 1966წ. ა. ანტიპენკოს ფოტო

ივან პერევერზინი



წითელმოცვიანი შემოდგომა

საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით და ისე, უბრალოდ, რომ იტყვიან, დასასვენებლად, უკანასკნელ ხანებში დედამინის ზურგზე უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული ადგილი მოვიარე, მაგრამ არსად არსად მინახავს, ისე ჰარმონიულად ერწყმოდეს ერთმანეთს ბუნება და ამინდი, როგორც ჩემს მშობლიურ იაკუტიაში.

ბევრისთვის ჯერ კიდევ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან არის ცნობილი, რომ ჩრდილოეთის ჰავა მკვეთრად კონტინენტურია, განსხვავება ზაფხულისა და ზამთრის ტემპერატურათა შორის, ცელსიუსით, 100 გრადუსს (!) შეადგენს (ზაფხულში – პლუს 50, ზამთარში – მინუს 50. მთარგმნ.). სიტყვა „ვცხოვრობ“ ასეთ კლიმატურ პირობებს დიდად არ შეესაბამება, აი, მისი სინონიმი კი – „თავი გამაქვს“ – უფრო სადაგია. შესაძლოა, ამის გამოცაა, რომ ადგილობრივი იაკუტები, საუკუნეთა განმავლობაში დედა-ბუნებასთან ადაპტირებულნი, გამძლე ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან!

წლის ყველა დროთაგან ამინდის მოულოდნელი და უეცარი, მკვეთრი ცვლილების ყველაზე დამახასიათებელ მაგალითად გამოდგება შემოდგომა – უსაშველოდ გაგრძელებული, გადაბმული წვიმიანი დღეებით, ჩახუთული,

თითქოსდა თავზე ჩამომხობილი სან-ვიმარი ღრუბლებით, ადრიანი სექტემბრის წაყინვებითა და, რა თქმა უნდა, ხანდახან, შიგადაშიგ, ალისფერ-წითელი მზით! არადა, ამინდის ასეთი მოულოდნელი და უეცარი სახეცვლილება ხდება კალეიდოსკოპური სისწრაფით.

აი, გუშინ, იმით გახარებულმა, როგორ იქნა, მზიანი, თბილი ამინდები დადგა-მეთქი, ჩემში გაიღვიძა მშობლებისაგან გადმოცემულმა, ტყეში კენკრის შეგროვების მიდრეკილებამ. დილასვე, ისე, რომ მომზადებისთვის არც ერთი ზედმეტი წუთი არ დამიკარგავს, დავავლე ხელი ორ ცარიელ ვედროს, რალაც ბუტერბროდებსა და თერმოსით ცხელ ჩაის, მივაშურე ჩემს ძველთაძველ „უაზიკს“ და გავუყევი ზაფხულის გაუთავებელი წვიმებისაგან გადათხრილ-გადმოთხრილ, ოღოროლო, ატალახებულ, არასდროს რომ არ შრება, ისეთ ტლაპოიან გზას, რომელიც უკვე გაჩეხილი ტყის შუაგულს მიუყება და მოცვით სავსე ადგილებისაკენ მიემართება.

ამ ძნელად გასავლელი გზით მივალწიე სასურველ ადგილამდე, მანქანა სავალი გზის ნაპირზე გავაჩერე და მოცვის შესაგროვებლად გავქანდი. იმ წელიწადს ისე უხვად შემოსულიყო, როგორც არასდროს – უზღვავად. თან როგორი ტკბილ-მყავე გემოსი! თითებს

რომ ჩაიკვნეტ! თან რა მარგებელია! წნევა აგინევს – დალევ შაქარგარეულ მოცვის წვენს და იქვე დარეგულირდება, თვალსა და ხელსშუა გაქრება მალაღლი წნევა! გაცივებულზე ხომ ვერანაირი წამალი ვერ შეცვლის!

გაჩეხილი ტყის ადგილას რომ მიხვალ, ცოტას დაიხრები და ირგვლივ მიმოიხედავ, თვალს არ დაუჯერებ: თითქოს ყველაფერს წითელი ხალიჩა გადააფარესო! გეჩვენება, რომ თვითონ უფალს უვლია დიდი ჩამჩით და ნატყეურში მთელი სულითა და გულით მიმოუბნევია და მიმოუფანტავს ფრჩხილის ოდენა წითელ-ალისფერი ნაყოფის ტკბილი და სასიამოვნოდ მომწარო კაკლები! ამ დროს აღარ იცი, როგორ მოწყვიტო თვალი მოცვით გაჯერებულ და მისგანვე წითლად მოხატულ მინდვრებს და როგორ განახორციელო ის, რისთვისაც მოხვედი – შეუდგე შეგროვებას. ერთ რამედ ღირს ხელისგულზე დაყრილი მოცვის კაკლებისგან მოგვრილი სასიამოვნო ჟრჟოლის შეგროვებაც. მაგრამ დრო მიდის და მეც სინაზითა და სიყვარულით ვინყებ მოცვის კრეფა-შეგროვებას.

გადავდივარ ველიდან ველზე, თვალსანიერის გარე არ ვტოვებ პატარ-პატარა ორმოებსა და ხის ძირებს, საიდანაც მოცვი უფრო დიდ და ლამაზ მტევნებად ილანდება, მით უფრო ახლა, როცა მზის სხივებდაკრული ალისფრად აბრიალებულა და კუნწულები მიწამდე დაუშვია. დაუფიქრებლად სულ უფრო შორს და შორს შევდივარ ტყეში, სანამ არ შევამჩნევ, რომ ვედრო ნაყოფით გადამივსია და მიწაზე იბნევა. მაგრამ მეორე ვედროც აქ არა მაქვს? ისიც ხომ პირთამდე უნდა ავაკსო. და ვავსებ კიდეც, რის გამოც ნელ-ნელა, თანდათანობით აღმოვჩნდი უღრანში.

მოცვის კრეფის დრო მაშინაა, როდესაც მოცვად დაღვრილი მინდვრები სუფთაა და არყის, ვერხვისა და ალვის ხეებიდან ჩამოცვენილ ფოთლებს ნაყო-

ფი ჯერ არ დაუფარავს. ფოთლები ხეებზე ჯერ კიდევ მყარად მიმაგრებულა, წარმოუდგენელი სიჯიუტით, და როცა ქარი წამოუბერავს, მათი შრიალილა თუ ისმის მხოლოდ. ეს ფოთლები კი ღია ყვითელ ფერებად ანთებულა, ალივით.

აქვე, მეორე ავსებულ ვედროს შემეყურე, დანანებით ვფიქრობ: „მე გამოშტერებულმა სულ ტყუილად ვიჩქარე, არ ჯობდა, ნახევარი საათი დამეკარგა ზურგზე მოსაკიდებელი კარზინის შესაკეთებლად, მაშინ კიდევ ორი ვედროს ავსებას შევძლებდი ტყის ამ საჩუქრით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ, ყველანი, ხომ ასეთი ქკვიანები მხოლოდ მას მერე ვხდებით, როცა ყველაფერი უკვე მომხდარია!“ და მაინც, ღმერთს ლოცვით მაღლობას ვწირავ აშკარა წარმატებისათვის და გადაწყვეტილებას ვიღებ, ცოტათი შევისვენო და მივირთვა ცხელი ჩაი ბუტერბროდებთან ერთად. მხიარულ სიმღრებში, ზარივით რომ გაისმის და ფრინველთა გუნდი გამოსცემს, სუფთა ჰაერზე დასვენება ერთი დიდი სიამოვნებაა!

წახემსების შემდეგ ჩემი ახალგაზრდა სხეული ძალების მოზღვავებას გრძნობს, წინასწარ გამზადებული სუფთა ჩითის გადასაფარებლით – ღმერთმა ნუ ქნას და დამებნეს, დაიკარგოს ერთი მარცვალიც კი – თავს ვუკრავ ვედროებს. მზე მარჯვენა მხრიდან მანათებს და მე მანქანისკენ მივდივარ. მაგრამ აქვე ამინდი ერთბაშად ფუჭდება – გაუგებარია, საიდან გაჩნდა ასეთი ძლიერი ქარი, ცაზე რომ შავ ღრუბლებს მოერეკება, რომლებიც წამიერად სანვიმრად გარდაიქმნებიან. ირგვლივ უეცრად ჩამოლამდა, დაბინდდა. მთავარი და ერთგული ორიენტირი – მზე – თვალთაგან დამეკარგა. უეცარი შიშით ატანილი ვჩერდები. ვიხედები მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ, მივიხედე უკანაც, ვცდილობ გავიგო: საით უნდა წავიდე? მაგრამ ფოთლების ზღვაში ჩაკარგული ხეების მიღმა სადღაც ათ

მეტრში აღარაფერი ჩანს. რახან ასეა, იყოს ასე. თუ გინდა აყვირდი და დარაჯი იხმე! მხოლოდ ვისთვის ყვირი, ვის უხმობ, დათვებს? ან მის თანამოძმეთ? სხვას აქ ვის გააგონებ! და ამ დროს, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მახსენდება საკუთარი მაგნიტ-კომპასი, ჩემთვის ბუნებას რომ უბოძებია და ჩემსავე კეფაში რომ ჩაუშალავს, დიახ, სახელდობრ იქ! არ ვიცი, როგორ არის სხვა ადამიანებთან, მაგრამ მე ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ვამჩნევდი საკუთარ თავს ერთ ძალიან განსაცვიფრებელ დამახასიათებელ თვისებას – თავის უკანა ნაწილით ამოვიცნო და განვიცადო (მოვტვიინო) საგნები: ავტომანქანები, სახლები და, უბრალოდ, ის ადგილები, საიდანაც წავედი ტყეში – ოღონდაც, არცთუ ისე დიდ მანძილზე. ამისათვის კი საჭიროა კეფის „იმ ტალღებზე გადაწყობა“, რომლებიც იქიდან მოდიან, საიდანაც უღრანისკენ გავნიე. და კიდევ, რამდენ ხანსაც უნდა ვიხეტილო ტყე-ღრესა და მიტოვებულ ადგილებში, ყოველთვის შეუმცდარად ამოვიცნობ იმ ადგილს, სადაც უნდა დავბრუნდე. ამიტომ მზე ანათებდა თუ გადაუღებლად წვიმდა, მე, რაც თავი მახსოვს, ტყეში გზა არასდროს ამრევია. არც მის შემოგარენში. და ეს მაშინ, როცა ცხოვრების დიდი ნაწილი ტაიგაში მაქვს გატარებული. როცა მინდოდა და მარჯვე შემთხვევას ვიპოვნიდი, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, განსაკუთრებით ზაფხულობით, დავხეტილებდი ტყეში, ვკრეფდი კენკრას და სოკოს ან ვნადირობდი ცხოველსა თუ ფრინველზე, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ანდა, როცა სატყეო მრეწველობის მეურნეობაში ვმუშაობდი, მომავალი ჭრისათვის დავიგულებდი ასეულობით ჰექტარ ტყის მასივს. ყველაზე ხშირად ტყეს მაშინ ვსტუმრობდი, მის ირგვლივ მდელოებზე ბალახს რომ ვთიბავდით. როცა მთელი ბრიგადა განვიზრახავდით მო-

ცელილი ბალახის ზვინებად დადგმას, გაუგებარია საიდან, ამოვარდებოდა ქარი, ნამორეკავდა ცაზე ტყვიისფერ სანვიმარ ღრუბლებს, დაინწყებოდა და გაისმოდა ყურებში გრუხუნის, ბუნება ამ დროს რამდენიმე დღის სამყოფ სანვიმარ ღრუბლებს იმარაგებდა და მუშაობასაც ჩაგვიშლიდა. ასეთ შემთხვევაში ერთ ძველ მთიბავს უყვარდა თქმა: „პატარა წვიმა ზარმაცი მთიბავისათვის მისწრებაა – დაისვენებს“. ზარმაცისთვის, კი ბატონო, მაგრამ ჩემთვის რეალური შესაძლებლობაა, მოვიცვა სანვიმარი, გამოვიძახო მეძებარი სახელად „ერთგულია“ და იარაღით ხელში მიმოვიარო დიდი და მდიდარი – ხე-ტყით, ნადირით, ფრინველით, სოკოთი და კენკრათი, კედრის ნიგვზით გადაჭედული იაკუტიური ტაიგა.

მანამ, სანამ ტყეში ღრმად შევიდოდი, მიუხედავად სექტემბრის ნათელი მზიანი დღისა, ლურჯ ცაზე რომ ანათებდა, მე ის ორიენტირად არ ამიღია, იმიტომ, რომ არ მინდოდა, ჩვეულება შემეცვალა და ახლა, სრულიად დამშვიდებულმა, დავინყე ადგილზე ბრუნვა იქამდე, სანამ კეფაზე მსუბუქი წვა არ ვიგრძენი. გავინაბე და ასე ვამონმებდი, უეცრად ხომ არ შემცირებულა ან საერთოდ ხომ არ გამქრალა შეგრძნების ეს უნარი. არა, ყველაფერი რიგზეა, – ისევ მწვავს ჩვეული შეგრძნება! შემდეგ ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნებული – თან თავი იმ ტალღების მიმართულებით მეჭირა, რომლებიც ქუჩის ნაპირზე დატოვებული ავტომანქანიდან მოდიოდა – დარწმუნებით წავედი არცთუ ისე მჩატე ვედროებით, დაძაბულობისაგან ოდნავ მოკანკალებული ხელებით, ოღოროღორო გზით, სადაც კურდღლებს თავისი, დათვს კიდევ მისთვის დამახასიათებელი ფეხის ანაბეჭდები დაეტოვებინათ. სულს ძლივს ვითქვამდი, სანამ დაღლილ-დაქანცული არ მივედი იმ ადგილამდე, სადაც გზის განაპირას ჩემი მშობლიური „უა-

ზიკი“ იდგა. სულზე მოვასწარი აქამდე ისეთ ჩამობნელებას, როცა ირგვლივ ვერაფერს დაინახავ. სახლში ანთებული ფარებით დავბრუნდი, რომელთა შუქიც სიბნელიდან იწოვდა გზას, გაჩირალდნებულ მონაკვეთზე კი ამ გზის გაყოლებაზე ამაყად იდგნენ წითელყვითელი ფოთლების სამოსელში გახვეული ნაძვის, ფიჭვისა და არყის ხეთა მწკრივები, რომლებიც მეტად მიმზიდველი ჩანდნენ. და, რა თქმა უნდა, მე ვიყავი სავსებით დარწმუნებული იმაში, რომ ხვალ დილით, როგორც კი ავდგები, ადრინადად ისევ გავუდგები გზას ტყის ხილის შესაგროვებლად. როგორ არ ნახვალ, ეს ხომ ღვთიური საქმეა, რომლის კეთებითაც მაღალ ღმერთს სიამოვნებას მოჰგვრი. ქვეშაგებში დიდხანს ვერ დავიძინე. სულ თვალწინ მედგა წითელი მოცვი, მხიბლავდა მისი ჩამოუღვეელი კონვეიერი, ელვარებდა მისი მუქი წითელი ფერი, თითქოსდა მოცვი მოცვიოდა ჩემს თვალწინ... თქვენ წარმოიდგინეთ და, ძილშიაც კი ჩემი ხელები თითქოს შეიგრძნობდა მაგარ, ცივ ნაყოფს მოცვისას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, ანდა ცოტა სხვანაირად: ადამიანი გეგმებს აწყობს, ღმერთი მას ურევსო, ისე გამოვიდა...

გავიღვიძე თუ არა, ეზოში გავიხედე და რას ვხედავ: ყველა ხე ფოთლებისგან სრულიად გაძარცვული, შიშველტიტველი დგას. მთელი მათი მორთულობა ფოთლებისა ყვითელ, ოქროსფერ ნოხებად მიმოფენილიყო მათსავე ფერხით. სასწრაფოდ ქურთუკი მოვიცივი, სახლიდან სირბილით გამოვვარდი და ირგვლივ ჩამოწოლილ ვარდისფერ დილის კვამლში დავინახე ფოთლებისგან დაცლილი ტყე – სურათი იყო ზუსტად ისეთი, როგორიც ჩემს ეზოში. ისე ჩანდა, თითქოს ეს ტყე აქამდე ჯერ არც მენახა. სულ რაღაც ერთ ღამეში ბუნებამ ისე იცვალა სახე, რომ ვერ იც-

ნობდი. ეს არის საქმე?! აი, ესეც შენ! როგორ იქნება კენკრის მოსაკრეფად ჩემი წასვლის საქმე? არაფერიც არ იქნება! ფოთლების სქელი ფენის ქვეშ, რა თქმა უნდა, მოახერხებ, მოძებნო კენკრის რაღაც რაოდენობა, ოღონდ პატარა ქვების ასავსები და მეტი არა. დროის უქმად დაკარგვა! ოი, რა დასანანია, რომ ტყის ასეთი ბარაქა სულ მალე, საერთოდ, თოვლის ქვეშ აღმოჩნდება, ერთი მეტრი სისქის თოვლის საბნის ქვეშ მოექცევა თითოეული ბუჩქი, ხის ძირი, ბილიკი და ზამთრის ყინვა ისეთი სიძლიერით დაარტყამს, რომ მოცვის თითოეულ მარცვალს ყინულის ბურთულაკად გადააქცევს. ჩაყრი ცარიელ ვედროში ასეთ მარცვლებს და მის ფსკერზე ისე დარეკავს, როგორც ქვის კენჭები, გაბზარული სიხარულის ხმით! ცხოვრებამ მიმაჩვია, რომ მოწყენილობაშიც ვიპოვო სიხარული და ერთხელ ამ თემაზე ლექსიც კი დავწერე: „გახევებული მარტოდმარტო ვდგავარ გორაკზე... / სიცივე ისე ატანს ძვალსა და რბილში, თითქოსდა ლურსმნებს მაჭედებდნენ... / მაგრამ ალისფრად ბრიალებს პირდაპირ ტყის ბილიკთან / თოვლის ქვემოდან მოცვის კუნწულა, / უცბადვე ძალამოცემულმა გავნიე მსუბუქად, / მიუხედავად იმისა, რომ გზა მიხვეულ-მოხვეული და ოღროჩოლოა, / თითქოსდა ფრთები გამომესხა, / ხელში აყვანილი მიყავარ ვილაცას...“

და გავუდექი გზას ტყისკენ. ტყე სოფლის გარშემო ჩამუქებულიყო. მივდიოდი ბილიკზე და მის ირგვლივ ხეებიდან ჩამოყრილ წითელ-ყვითელი ფოთლების გროვებს ვხედავდი. ერთგან შევჩერდი. ჩასაცემელ-დასახურისგან განძარცვული ტყე ახლა ყველა მხრიდან გამჭოლი ჩანდა. ქარი დაჰქროდა მასში უხმაუროდ, აღარ უსტვენდა. მხოლოდ სუფთა ჰაერიღა ეხებოდა ჩემს განითლებულ ლოყებსა და სახეს. ჩიტების ხმა საერთოდ არ ისმოდა, თითქოსდა ყველა ისინი ერთად გაფრენილიყო თბილ

ქვეყნებში, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ასე არ იყო. ისინი, უბრალოდ, როგორც მე, თავიანთი პატარა სხეულებით გამთბარ ბუდეებში შეყუყულებულნი დარდობდნენ და მსუბუქად შოკირებული ბუნების გაუთვალისწინებელ, უეცარ სახეცვლილებას განიცდიდნენ.

მხოლოდ ერთი, კოდალა – აი, მებრძოლი! – სადღაც ახლოს, ტყის განაპირას განაგრძობდა, როგორც გუშინ, დილაადრინადვე კაკაკუეს. ხიდან ხეზე გადადიოდა ზაფხულში დასუქებული მატლების მოსაძებნად და მოსაძიებლად;

ფრთებგაშლილი, ჩრდილოეთის ქარით გაყინული და ორჯერ დაპატარავებული შავი ყორანი, თითქოს ეზარებაო, ზანტად ურტყამდა წრეებს იმაზე ფიქრში გართული, როგორ მოეწყოს თავისი მომავალი მკაცრი ზამთრის პირობებში არცთუ ისე იოლი ცხოვრება.

ჩემ გარშემო ყველაფერი მეუბნებოდა: „შეჩერდი, მოუსმინე გულისთქმას და მოუხმე აზროვნებას, სანამ მიიღებდე გადაწყვეტილებას მომავალზე... და არ დაივიწყო, ჩემო კარგო, შეაჯამო შედეგები გარდასულისა და შენ მიერ ჩადენილი საქციელისა წარსულში.“

ასე განსაჯე და დაიხიე ერთი ნაბიჯით უკან, მომავალში წინ გადასადგმელი ორი ანდა, სულაც, სამი ნაბიჯის სანაცვლოდ!“ და მოულოდნელად, გუშინდელი გაშმაგებული სიხარული ჩემს სულში შეცვალა ღრმა, წყლით ავსებულმა ჭამ; და მენვია სუფთა, ყველაფრის ჩამრეცხავი გარინდება. თქვენ წარმოიდგინეთ, აღთქმული ლექსის წერა კი არა და, უბრალოდ, ლაპარაკიც კი აღარ მინდოდა.

სადა ხარ ახლა შენ, ჩემო მოცვით აღვსილო შემოდგომავ? ნუთუ აღარასოდეს განმეორდები?

*რუსულიდან თარგმნა
ბეჟან ნამიჭეიშვილმა.*



მარსელ ემე

ბედები

ფრანგულ ლიტერატურულ, საავტორო ზღაპარს ხანგრძლივი ისტორია აქვს – იგი სათავეს შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში იღებს და დღემდე ინარჩუნებს პოპულარობას. „ცისკრის“ ამ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ მეოცე საუკუნის სამი შესანიშნავი მწერლის – მარსელ ემეს (1902-1967), კრისტიან პინოსა (1904-1995) და რემონ კენოს (1903-1976) ზღაპრებს. ეს ზღაპრები ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდება: აქ ვხვდებით ხალხური ზღაპრის მოტივებსაც, პაროდისა და ექსპერიმენტსაც. ზღაპრული, ფანტასტიკური ელემენტები მარსელ ემეს მთელ შემოქმედებას ახასიათებს ისევე, როგორც თამაში და ექსპერიმენტი აუცილებელი ნაწილია დიდი გამომგონებლის, რემონ კენოს შემოქმედებისა. რაც შეეხება მწერალსა და პოლიტიკოსს, კრისტიან პინოს, მისი ზღაპრების ნაწილი დიდი ხანია ცნობილია ქართველი მკითხველისთვის მაია ნათაძის შესანიშნავი თარგმანის წყალობით.

ამ თარგმანს ჩემს პატარა დისშვილს, საბა პაპავას ვუძღვნი.

მთარგმნელი

მშობლები დილაუთენია გაემგზავრნენ ქალაქს და ფერმას რომ სტოვებდნენ, გოგონებს დაუბარეს:

– ჩვენ დალამებამდე ვერ დავბრუნდებით შინ. ჭკუით იყავით და სახლს არასგზით არ მოშორდეთ. ითამაშეთ ეზოში, ითამაშეთ მდელოზე, ბაღში, ოღონდაც გზაზე არ გადახვიდეთ. აჰ! გზაზე თუ გადახვედით, თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ!

თქვენს და პატარებს თვალები დაუბრიალეს.

– არ ილევოთ, – უპასუხეს დელფინმა და მარინეტმა. – გზაზე არ გადავალთ.

– ამასაც ვნახავთ, – ჩაიბურღლუნეს მშობლებმა. – ამასაც ვნახავთ.

ერთი კიდევ შეავლეს გოგონებს მკაცრი და უნდობი მზერა და ნაბიჯს მოუჩქარეს. გოგონებს გული მოენურათ, მაგრამ მდელოზე ერთხანს რომ წაითამაშეს, ამ საკითხზე მეტი აღარც უფიქრიათ. დილის ცხრა საათისკენ შემთხვევით გზის პირას აღმოჩნდნენ, არც ერთს და არც მეორეს სურვილიც არ გასჩენიათ, გადასულიყვნენ. უცებ მარინეტმა თვალი მოჰკრა თეთრ ციკანს, რომელიც მინდორში მიბაკუნებდა. დელფინმა ვერც კი მოასწრო, შეეჩერებინა თავისი და, რომ ის სამი ნახტომით გადაეწყო გზას და ციკნისაკენ გაქანდა.

– გამარჯობა, – უთხრა მარინეტმა.

– გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, – უპა-

სუხა ციკანმა ისე, რომ არც შეჩერებულა.

– რა სწრაფად დადიხარ! საით მიხვალ?

– დაკარგული ბავშვების შეკრებაზე მივდივარ. გასართობად არა მცალია.

თეთრმა ციკანმა აყელყელავებულ ხორბლის ყანაში შეაბიჯა და სულ ჩაიკარგა მასში. მარინეტი და დელფინი, რომელიც ამასობაში დასწამოენია, საგონებელში ჩაცვივდნენ. ის იყო, გზისკენ მიბრუნება დააპირეს, რომ ორმოცდაათიოდე მეტრში შეამჩნიეს ფაციფუცით მიმავალი, ყვითელი ღინღლით შემოსილი ორი იხვის ჭუჭული.

– გამარჯობა, ჭუჭულებო, – უთხრეს დებმა, როდესაც მათ მიუახლოვდნენ.

იხვის ჭუჭულები შეჩერდნენ და მუცლები მიწაზე ჩამოდეს. დასვენება არ აწყენდათ.

– გამარჯობა, პატარებო, – თქვა ერთმა მათგანმა. – მშენიერი დღეა, არა? მაგრამ როგორ ცხელა! ჩემი ძმა უკვე ძალიან დაიღალა.

– მართლაც. მაშ, შორიდან მოდიხართ?

– ნუ იტყვით! და კიდევ უფრო შორს მივდივართ.

– კი მაგრამ, საით მიხვალთ?

– დაკარგული ბავშვების შეკრებაზე. ახლა კი გვეყოფა დასვენება, გზას გავუდგეთ! დაგვიანებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

დელფინსა და მარინეტს სურდათ გაეგოთ, რა ხდებოდა, მაგრამ იხვის ჭუჭულებმა ყურიც არ ათხოვეს და ცუხცუხით შეერივნენ ხორბლის ყანას. გოგონები ერთი წამით შეეცდნენ, ჭუჭულებს გავყვით თუ არაო, მაგრამ მშობლები და მათი აკრძალვა გაახსენდათ და სურვილი დაძლიეს. სიმართლე რომ ვთქვათ, ნაგვიანებიც იყო ეს გახსენება, ვინაიდან გზა უკვე შორს მორჩათ. უკან დაბრუნება გადანყვეტილი საქმე იყო, როდესაც დელფინმა დასტყის პირზე, მდელიოზე მოძრავი თეთ-

რი ლაქა დაანახა. ახლოდან რომ არ ენახათ, რა გული გაუძლებდათ? ეს ლაქა პანანინა თეთრი ლეკვი აღმოჩნდა, ტანად კატის ნახევარი თუ იქნებოდა. ბალახში ისე სწრაფად მიდიოდა, როგორც შეეძლო, მაგრამ თათები ჯერ არ გამკვრივებოდა და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა. ლეკვი შეჩერდა და გოგონების შეკითხვას უპასუხა:

– დაკარგული ბავშვების შეკრებაზე მივდივარ, მაგრამ ძალიან ვშიშობ, რომ დროულად ვერ მივალ. ეს საქმეა? შუადღემდე იქ უნდა ვიყო და მე კი ამ პატარა თათებით დიდ მანძილს ვერ გავდივარ, მალე ვიღლები.

– რა უნდა გააკეთო ამ დაკარგული ბავშვების შეხვედრაზე?

– ახლავე აგისნით. როდესაც, ჩემსავით, მშობლები აღარა ჰყავთ, დაკარგული ბავშვების შეკრებაზე მიდიან და ცდილობენ, ოჯახი იპოვონ. სწორედ გუშინ მიაშვს, რომ ერთი ლეკვი მელისას უშვილებია შარშანდელ შეკრებაზე. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ძალიან ვშიშობ, რომ დავიგვიანებ.

თეთრი ლეკვი უცებ წამოიმართა, თურმე ნემსიყლაპიას ჰკიდა თვალი, ხტუნვა დაიწყო და ყეფა ატეხა, ერთი სამჯერ დაბზრიალდა და ბალახში გაიშოტა, ბოლოს აქასქასდა და ენა გადმოაგდო.

– ხომ ხედავთ, – თქვა მან, როცა სული მოითქვა. – ვერთობი კიდევ. ჩემდა უნებურად მომდის, თავს ვერ ვიკავებ. პატარა ვარ, ხომ გესმით. განგებ არ ვაკეთებ, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვთამაშობ. ეს კი წინ ვერ წამიყვანს. აჰ! მართლაც აღარა მაქვს დიდი იმედი, რომ მივუსწრებ. უფრო სწორად, სულაც აღარა მაქვს. თქვენსავით დიდი ფეხები რომ მქონდეს, რა თქმა უნდა...

თეთრი ლეკვი სულ დანალვლიანდა. დელფინი და მარინეტი ხან ერთმანეთს შესცქეროდნენ, ხანაც გზას გახედავდნენ ხოლმე, რომელიც ახლა კარგა მანძილზე მოეტოვებინათ უკან.

– პატარა ლეკვო, ხელში რომ აგიყვანო, როგორ ფიქრობ, მალე მისვალთ დაკარგული ბავშვების შეკრებაზე?

– ოჰ! დიახ, – თქვა თეთრმა ლეკვმა.

– ხომ წარმოგიდგენიათ, თქვენი დიდი ფეხებით!

– მაშინ, ახლავე წავიდეთ. თუ კარგად ვივლით, მალე დავბრუნდებით. სად არის ეს შენი შეკრება?

– არ ვიცი, იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ხომ ხედავთ იმ კაჭკაჭს, ჩვენს წინ რომ მიფრინავს, იქით? ის მიჩვენებს გზას. შეგიძლიათ, უშიშრად გაჰყვეთ. სადაც საჭიროა, იქ მიგვიყვანს.

დელფინი და მარინეტი გზას გაუდგნენ, თეთრი ლეკვი რიგრიგობით ეჭირათ ხელში. კაჭკაჭი გოგონების წინ მიფრინავდა, დროდადრო შუა მდელიზე ან ბილიკზე ჩამოჯდებოდა თვალსაჩინო სამზერზე და მერე ისევ განაგრძობდა ფრენას. თეთრ ლეკვს მაშინვე ჩაეძინა დელფინის მკლავებში. თვალეზი მხოლოდ ორი საათის შემდეგ გაახილა, როდესაც ერთ დიდ გუბურას მიადგნენ. კაჭკაჭი მარინეტს ჩამოაჯდა მხარზე და გოგონებს უთხრა:

– აქ მოეწყვეთ, ლელიანთან, და დაელოდეთ, ვიდრე თქვენს წასაყვანად მოვიდოდნენ. აბა, იღბლიანად და მშვიდობით.

კაჭკაჭი რომ გაფრინდა, გოგონებმა ირგვლივ მიმოიხედეს და ნახეს, რომ მარტონი არ იყვნენ. ნაპირზე პატარა ცხოველები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ ბალახში და ახლებიც ყოველ ნუთში ემატებოდნენ. ბატკნები, ციკნები, გარეული გოჭები, კნუტები, წინილები, ფინიები, ბაჭიები და კიდევ სხვა ჯურისანი. ხანგრძლივი სიარულისგან დაღლილებმა, ამათაც, თავის მხრივ, ჩაიმუხლეს. დელფინს თვლელმა მოერიო. უცებ მარინეტმა დაიძახა:

– იქით გაიხედე, გედები!

დელფინმა თვალეზი გაახილა და ლელიანიდან ორი დიდი გედი დაინახა,

რომლებიც გუბურაში მიცურავდნენ კუნძულის მიმართულებით. კუნძულს სხვა გედებიც მიადგნენ, თითოეულს ზურგით თითო ბაჭია მიჰყავდა. უფრო შორს კიდევ ორი გედი ტოტებისა და ლერწმისაგან შეკრულ ტივს მიეზიდებოდა, რომელზეც პატარა ხბო იჯდა და შეშინებული ბლაოდა. გუბურის მთელ ზედაპირზე გამუდმებით მიდიმოდიოდნენ დიდი თეთრი ფრინველები. ალტაცებული გოგონები ცქერით ვერ ძლებოდნენ. უცებ იმ ბუჩქნარის გვერდით, სადაც დები ჩამომსხდარიყვნენ, ლერწმებიდან ერთმა გედმა გამოჰყო კისერი და მათკენ გამოემართა. მკაცრად გამოიხედა და მშრალი ხმით იკითხა:

– დაკარგული ბავშვები?

– დიახ, – უპასუხა მარინეტმა და კალთაში ჩასმული თეთრი ლეკვი აჩვენა.

გედმა თავი მიაბრუნა და გაბმით დაუსტვინა. თითქმის მაშინვე დაიძრა ორი გედი, რომლებიც ტივს ეზიდებოდნენ.

– ამოდით, – უბრძანა ერთმა მათგანმა, რომელსაც, ეტყობა, ტივზე ჩასხდომის ზედამხედველობა ევალებოდა.

– მოიცადეთ, – გააპროტესტა დელფინმა. – მე უნდა ავიხსნათ...

– ახსნა-განმარტების მოსმენას არ ვაპირებ, – მოუჭრა გედმა, – კუნძულზე აუხსენით, თუ გინდათ. აბა, სწრაფად.

– მათქმევინეთ...

– ჩუმად!

გედს თვალი ავად აენთო, დიდი კისერი დაუგრძელდა, ხოლო ნისკარტით კინალამ გოგონების კანჭებს მისწვდა.

– წავედით, – თქვა ტივში შებმულმა მეორე გედმა, – გონივრულად მოიქეცით. აქ დასაკარგი დრო არა გვაქვს.

შეშინებულმა გოგონებმა მეტად ველარ გაბედეს, შეწინააღმდეგებოდნენ და ტივზე ავიდნენ. გედები მაშინვე დაიძრნენ და გუბურის შუაგულს რომ მიაღწიეს, კუნძულის მიმართუ-

ლებით გაცურეს. გასეირნება სასიამოვნო გამოდგა და პატარებს გულიც აღარ წყდებოდათ. გზად კუნძულიდან გამობრუნებული გედები ხვდებოდათ, რომელთაც იქ, ალბათ, მგზავრები დაეცვირთულემა, კნუტი ან ძუძუთა გოჭი რომ მიჰყავდათ მხოლოდ, ტივს გადაასწრეს და მალე მიადგნენ ნაპირს. თეთრი ლეკვი ისე გაახარა ნაოსნობამ, რომ რამდენჯერმე კინაღამ დაუსხლტა მარინეტის მკლავებს, რათა წყალში სათამაშოდ გადაშვებულიყო.

მგზავრობამ თხუთმეტ წუთზე ცოტა მეტხანს გასტანა. გადასხდომისას ერთი გედი მოვიდა, რომ ორივე გოგონა და ლეკვი ჩაებარებინა, მერე ისინი არყის ხის ჩრდილში დატოვა და უნებართვოდ იქაურობას მოშორება აუკრძალა. მათ გარშემო მყოფ ცხოველთა გუნდში დელფინმა და მარინეტმა ციკანი და ორი იხვის ჭუჭული ამოიცნეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ახლახან გუბურის პირას თვალმოკრულ ზოგიერთ სხვა ცხოველზე. მარინეტმა ორმოცამდე ობოლი დაითვალა, რაგინდარა ბალნისა და რაგინდარა ბუმბულისანი, გედს კი სულ მოჰყავდა და მოჰყავდა ახლები. ისინი ფიქრობდნენ ოჯახებზე, რომლებსაც მალე იპოვიდნენ და მღელვარებისაგან ხმას ვერ იღებდნენ.

კუნძულის მეორე მხარეს სხვა გუნდი შექუჩებულიყო. ბუჩქების მწკრივი ეფარებოდათ, მაგრამ იმის გარჩევა კი შეუძლებოდა, რომ იქ მხოლოდ ზრდასრული ცხოველები იყვნენ. ენაწყლიანები ჩანდნენ და მათი ხმა პატარებამდეც აღწევდა.

თხუთმეტი წუთის მოლოდინის შემდეგ დელფინმა შეამჩნია ერთი ბებერი გედი, რომელიც ბოლთას სცემდა ობლების წინ და რომელსაც უეჭველად მათთვის თვალყურის დევნება ევალებოდა. დაინახა თუ არა, რომ დელფინი ხელით უხმობდა, გედი მოვიდა და თავაზიანად თქვა:

– გამარჯობა, ბავშვებო. გაზაფხულის მშვენიერი დღეა, არა?.. რა ბრძანეთ? იცით, ცოტა ყურთ მაკლია.

– მე მინდა გითხრათ, რომ მე და ჩემს დას შინ დაბრუნება გვსურს.

– დიახ, გმადლობთ, ჩემი ასაკისათვის საკმაოდ კარგ ჯანზე ვარ, – უპასუხა ბებერმა გედმა, რომელსაც მართლა ცუდად ესმოდა.

– შინ დაბრუნება გვჭირდება, – ხმას აუწია დელფინმა.

– მართლაც სიცხეები დაიჭირა.

დელფინი ლამის ყურზე აეკრა ბებერ გედს და ისე ჩაჰყვირა, ფილტვები დაეებრა:

– ლოდინის დრო არა გვაქვს! შინ დაბრუნება გვჭირდება!

ყვირილი არც დაემთავრებინა, რომ ერთმა გედმა, სწორედ იმან, ტივზე რომ აიყვანა ისინი, ბუჩქიდან კისერი გამოჰყო და დაიღრიალა:

– კიდევ ეს გოგოები! სულ ამათი ხმა ისმის, ღმერთმანი! უკვე ყელში ამომივიდა!

– ჩემი და თქვენ გიხსნიდათ... – ნა-მოიწყო მარინეტმა.

– გაჩუმდი, უზრდელო, თორემ თქვენს თავს გუბურის თევზებს შევაჭმევინებ! თქვენს ადგილებს დაუბრუნდით! ორივე!

ეს თქვა და გედი იქაურობას მოშორდა, თუმცა დროდადრო უკან იხედებოდა, რათა გოგონებისთვის მრისხანე მზერა შეეველო. პატარებმა თავი ანებეს ყურადღების მიქცევის მცდელობას და სიცხისგან მოთენთილებმა არყის ხის ძირში დაიძინეს.

რომ გამოეღვიძათ, გოგონები ძალზე გაოცდნენ. მათგან რამდენიმე ნაბიჯზე, ობლების გუნდისგან ზურგშექცევით, სცენის ფორმის შემადლებაზე, ექვსი გედი ჩამომსხდარიყო, სამი – მარჯვენა მხარეს, სამი – მარცხენა მხარეს. მათ წინ მონესრიგებულად ჩამწკრივებულიყვნენ ის ცხოველები, ახლახან რომ ლაქლაქებდნენ კუნძულის მეორე

მხარეს: ღორები, კურდღლები, იხვები, ტახები, ირმები, ცხვრები, თხები, მელიები, ერთი წერო და ერთი კუც კი. ყველანი სცენისკენ იყურებოდნენ, ჩანდა, ვილაცას ელოდებოდნენ. მალე მემვიდე გედი გამოჩნდა, ძმებს შუა ჩადგა, ცხოველთა თავყრილობას რევერანსით მიესალმა და ბრძანა:

– ძვირფასო მეგობრებო, აი, დაკარგული ბავშვების შეკრება კვლავ გაიმართა. მადლობას გიხდით, რომ არ დაგვიწყებიათ იგი და გთხოვთ, აირჩიოთ თქვენი გულის კარნახისა და ასევე თქვენი შესაძლებლობების მიხედვით. სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

პირველი ობოლი, რომელიც სცენაზე ავიდა, ბატკანი იყო და იგი მაშინვე იშვილა ერთმა მსხვილმა ცხვარმა. შემდეგი გარეული გოჭი იყო, რომელიც ტახების ოჯახმა მოითხოვა და ასე, შეუფერხებლად გაგრძელდა ობოლთა მსვლელობა, სანამ ერთმა ბებერმა მელიამ არ მოინდომა, ეშვილებინა ის ორი იხვის ჭუჭული, რომლებიც ამ დილას გოგონებს შემოხვდნენ.

– ჩემზე უკეთეს მამას ვერ იპოვიან, – ამტკიცებდა მელია, – და თქვენ შეგიძლიათ იმედი გქონდეთ, რომ ზრუნვა არ მოაკლდებათ.

გედი, რომელმაც სხდომა გახსნა, ხმადაბლა მოეთათბირა თავის ძმებს და მერე უპასუხა:

– მელიავ, არ მსურს, ეჭვი შევიტანო შენს განზრახვებში ამ ობლებთან დაკავშირებით. ის კი არა, დარწმუნებულიც ვარ, რომ საუკეთესოდ იზრუნებ მათზე, მაგრამ ვშიშობ, მათი ბედნიერება ხანმოკლე იქნება. ორი იხვის ჭუჭული მელიასთვის ნამდვილად დიდი ცდუნებაა.

დელფინი და მარინეტი ამ ამბავმა გაახარა, ვინაიდან, თუ ვერავინ გადაწყვეტდა მათ შვილად აყვანას, საჭირო გახდებოდა, მათთვის თავისუფლება დაებრუნებინათ. ბოლო რიგში თეთრი ლეკვი შეამჩნიეს, რომელსაც თავისი

ახალი ოჯახის წევრებს შორის ჩასძინებოდა. გაგვიმართლა, რომ დაეძინაო, გაიფიქრეს დებმა, თორემ აუცილებლად ხვეწნას დაუწყებდა თავის ბულოდოგ მშობლებს, ჩემი მეგობარი გოგონები იშვილეთო.

– ვერავინ გადაწყვიტა, გოგონები იშვილოს? – იკითხა გედმა, – როგორ შეიძლება მათი უოჯახოდ დატოვება? მელიავ, ასე რომ ჩქარობდი, იხვის ჭუჭულები ნაგეყვანა, ამ ბავშვებისათვის არაფერს მოიმოქმედებ?

– სანინააღმდეგო რა მექნებოდა? – თქვა მელიამ, – მაგრამ, იცით რა? მე ძალიან კეთილი ვარ, მეტისმეტად კეთილი ვარ. სიმტკიცე არ მეყოფა, რომ სათანადოდ აღვზარდო ასეთი თავნება გოგონები. არა, მართლა არ შემიძლია მათი ნაყვანა. ვწუხვარ, მაგრამ ასე ჯობს მათივე კეთილდღეობისათვის.

გედმა მერე ირემს მიმართა, რომელსაც, ეს იყო, ირმის ნუკრი ეშვილებინა.

– ნამდვილად ვიფიქრე, ისინი ნამეყვანა, – უპასუხა ირემმა, – მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა. აბა, დაფიქრდით, მთელ დროს სირბილში ვატარებ, ადამიანების, ძაღლებისა და თოფების მუქარას ვემალები. არა, არა, ეს გონივრული არ იქნებოდა. მენანება კია. გოგონები ძალიან ლამაზები არიან.

გედმა სხვა ცხოველებსაც შესთავაზა, მაგრამ გოგონებზე მზრუნველობა არავის უნდოდა, ეტვირთა. როდესაც, თავის მხრივ, ტახმაც მოიბოდიშა, თავყრილობის წინა რიგში მჯდომმა კუმ ბაკნიდან კისერი გამოჰყო და დარბაისლურად ბრძანა:

– ვინაიდან არავის სურს, მე წავიყვან ბავშვებს.

ამ გასაოცარმა შემოთავაზებამ ცხოველებში სიცილ-ხარხარი გამოიწვია. გოგონებმაც ვერ შეიკავეს ღიმილი იმის წარმოდგენისას, რომ ისინი შესაძლოა, კუს ქალიშვილები გამხდარიყვნენ. მას შემდეგ, რაც გედმა მოხარხარეები დაანყნარა, კუს თავაზიანად გადაუხადა

მადლობა, კეთილშობილებისათვის შეაქო და, დიდი სიფრთხილით, რათა არაფერი ეწყენინებინა, მიახვედრა: ძალიან პატარა იყო საიმისოდ, ასეთი დიდი გოგონები რომ ემართა, თანაც მეტისმეტად ნელა დადიოდა. კუს პასუხად არაფერი დაუხვედრებია, მაგრამ იმგვარად შემალა თავი ბაკნის ქვეშ, რომ აგრძნობინა, შეურაცხყოფილი ვარო. იქ დამსწრეთაგან აღარავის ამოულია ხმა, გოგონების შვილად აყვანა რომ მოეთხოვა, ამიტომ გედმა ისევ მიიღო გადანწყვიტლება, ხმადაბლა მოთათბირებოდა თავის ძმებს. დელფინმა და მარინეტმა უკვე თავისუფლად დაიგულეს თავი და გედის გასაჭირზე ხალისობდნენ. გედი თავის ადგილს დაუბრუნდა და ხმამაღლა განაცხადა:

– მე და ჩემმა ძმებმა გადავწყვიტეთ, ორივე გოგონა ვიშვილოთ. მთელ ჩვენს ძალისხმევასა და სიმკაცრეს გამოვიყენებთ, რათა ეს უზრდელი და აუტანელი ბავშვები გაწვრთნათ. გაისად, როცა კვლავ მოხვალთ დაკარგული ბავშვების შეკრებაზე, ვფიქრობ, გაგაოცებთ ის ნინსვლა, რასაც გოგონები მიაღწევენ.

გოგონები წამოდგნენ, რათა კიდევ ერთხელ ეცადათ, აეხსნათ თავიანთი თავგადასავალი, მაგრამ არ აცადეს, სცენიდან გააძევეს და კუნძულის ერთ კუთხეში მიიყვანეს, სადაც დარაჯად ბებერი ყრუ გედი მიუჩინეს. შორიდან შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ თუ როგორ გადაჰყავდათ გედებს ცხოველები გუბურაზე.

– როდესაც გადაყვანას მორჩებიან, – ამშვიდებდა დელფინი თავის დას, – გედები კუნძულზე მობრუნდებიან და მოგვისმენენ. ხომ არ შეიძლება, სულ გვაჩუმებდნენ?

– ამასობაში, – პასუხობდა მარინეტი, – დრო გადის. ჩვენი მშობლები მალე გზას გაუდგებიან და სახლში თუ მიგვასწრეს... როგორ აგვიკრძალებს გზაზე გადასვლა! აჰ! მირჩევნია, ამაზე არც კი ვიფიქრო.

ოთხი საათისთვის ყველა ცხოველმა მიაღწია გუბურის ნაპირს, მაგრამ გედები დაბრუნებას არ ჩქარობდნენ. კარგა შორს თევზაობა გააჩაღეს. კუნძული გაუკაცრიელდა. დელფინი და მარინეტი სულ მეტად და მეტად წუხდნენ და სახეებიც კი ჩამოუგრძელდათ. ასე დანალვლიანებულებს რომ ხედავდა, ბებერი გედი ცდილობდა, გოგონები გაემხნეებინა.

– ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ, აქ რომ გვყავხართ, – ამბობდა იგი, – უკვე ვგრძნობ, რომ უთქვენოდ ველარ გავძლებ. დღეს დიდი მხიარულება არა გვაქვს. კუნძულზე დაგტოვეთ, რათა დაისვენოთ, აი, ხვალ კი ცურვასა და თევზის დაჭერას ისწავლით. ნახავთ, რა სასიამოვნოა აქ ცხოვრება. აჰ, გამახსენდა, ხომ არ მოგშივდათ?

პატარებს მართლაც ძალიან მოშიებოდათ. გედმა სთხოვა, მოითმინეთო, რამდენიმე წუთით მიატოვა ისინი და რომ დაბრუნდა, ნისკარტით თევზი მოიტანა.

– დაიჭირეთ, – თქვა მან და თევზი ფეხებთან დაუგდო გოგონებს, – მალე შეჭამეთ, სანამ ცოცხალია და სხმარტალებს. სხვებსაც მოგიტანთ.

პატარებმა თავის ქნევით უკან დაიხიეს. მარინეტმა აიღო და თევზი გუბურაში დააბრუნა. ბებერი გედი გაოგნდა.

– როგორ შეიძლება, თევზი არ გიყვარდეს? – თქვა მან, – რა სასიამოვნო შესაგრძნობია, თევზი რომ გისხმარტალებს ხახაში. ასეა თუ ისე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა საკვები მოგცეთ. მე ვფიქრობ...

მაგრამ გოგონები ისე შფოთავდნენ, შიმშილი სულ დაავიწყდათ. მალე დაინახეს, როგორ დაეშვა მზე ტყის თავზე, გუბურის გადაღმა. საღამოს ექვსი საათი მაინც იქნებოდა და შესაძლოა, მშობლები უკვე გზაში ყოფილიყვნენ. შეშინებულმა დელფინმა და მარინეტმა ტირილი მორთეს. ცრემლები რომ და-

ინახა, ბებერი გედი დაიბნა და აწრი-
აღდა.

– რა დაგემართათ? კი მაგრამ, რა
მოხდა? აჰ! რა უბედურებაა, ბებერი
რომ ვარ და აღარ მეყურება! ასეთი ლა-
მაზი გოგონების! მაგრამ ერთი კარგი
აზრი მომივიდა. გამომყევით. როცა
წყალში ვარ, ყველაფერი მესმის, რასაც
მეუბნებიან.

ბებერი გედი გუბურაში შეცურდა
და ნისკარტი წყალში ჩაჰყო. სანამ ამ
მდგომარეობაში იმყოფებოდა, დელ-
ფინმა უამბო, თუ როგორ გადავიდა
გზაზე მარინეტთან ერთად, მშობლე-
ბის აკრძალვის მიუხედავად და რაც
შეემთხვათ ამის მერე. როცა გოგონამ
ყველაფერი თქვა, გედმა გუბურის შუ-
აგულისკენ გასწია, თან, რაც შეეძლო,
ხმამალლა უსტვენდა. ახლომახლო მო-
თევზავე გედები მაშინვე მოვიდნენ და
მის წინ ნახევარწრიულად მოირკალნენ.

– თქვე უვარგისებო! – დაუღრიალა
მათ სიბრაზისაგან ერთიანად აცახცა-
ხებულმა ბებერმა გედმა, – არ ვიცი,
რა მაკავებს, ამ გუბურიდან რომ არ
გყრით ყველას! ტომის შემარცხვენლე-
ბო! აი, ორი გოგონა, რომლთაც სიკეთე
ჰქნეს და აქ მოგვიყვანეს ობოლი თეთ-
რი ლეკვი, თქვენ კი იმით დააჯილ-
დოვეთ, რომ ტყვეებად აქციეთ ისინი!
იმასაც უკრძალავთ, ხმა ამოიღონ და
თქვენი სისულელე გაგაგებინონ!

გედებს გუნება დაუმიძიდათ და თა-
ვები ჩაქინდრეს.

– ერთი არ მინდა, პატარები მშობ-
ლებმა დატუქსონ, – განაგრძო ბებერ-
მა გედმა და კუნძულისაკენ ნააჩაქჩაქა
ყველა, – ველარც გადამირჩებით!

პატარებთან რომ მივიდნენ, ბრძანე-
ბა გასცა:

– ბოდიში მოუხადეთ სრული კის-
რით!

ნაპირზე ასული გედები პატარების
წინ დანვნენ და ყველამ ერთდროულად
მინაზე განართხა თავიანთი გრძელი
კისერი, დელფინი და მარინეტი ამ სა-

ნახაობამ შეაცბუნა კიდეც.

– ახლა კი ტივი მოამზადეთ, ხუთნი
შეებით და წუთიც აღარ დაგვარგოთ!
მდინარემდე მიმავალ ღარს დაფუყვით,
მდინარით კი იმ ადგილამდე ავალთ,
რომელიც გზასთან ყველაზე ახლოა.

„რასაკვირველია, სახლამდე მივაცი-
ლებთ. აბა, მოუჩქარეთ, უქნარებო!“

გედები დაფაცურდნენ და ტივი
სწრაფად მოამზადეს.

დელფინი და მარინეტი ავიდნენ ტივ-
ზე, რომელშიც მწკრივად იყო შებმული
ხუთი გედი, სხვა ექვსი წინ მიუძლო-
დათ, გზას უკვალავდნენ, ტოტებს გან-
ზე სწევდნენ, რომ სვლა არ შეფერხე-
ბულიყო. ბებერი გედი ტივთან ახლოს
მიცურავდა და ყველაფერზე ეჭირა
თვალი. ღარში რომ შედიოდნენ, მის-
მა თანამგზავრებმა, იმის შიშით, რომ
ძალიან დაიღლებოდა, გზის გაგრძე-
ლება დაუშალეს. ამ ასაკში, ამბობდნენ
ისინი, ასეთი ხანგრძლივი მგზავრობა
ფრიად სახიფათოაო. დელფინმა და მა-
რინეტმაც სთხოვეს, კუნძულზე დაბ-
რუნებულიყო.

– ნუ წუხხართ, – პასუხობდა იგი, –
ერთი ბებერი გედის სიცოცხლე სათვა-
ლავში ჩასაგდები არაა, როცა საჭიროა,
ხელი შევუშალოთ პატარების დატუქ-
სვას. აბა, სწრაფად, მოუჩქაროთ! სა-
დაცაა, დაღამდება.

მართლაც, მზე თვალს მიეფარა და
გუბურაზე უკვე ბინდი წვებოდა. დინე-
ბამ ხელი რომ შეუწყო, ტივი სწრაფად
გაქანდა ღარში. ხუთივე გედი ძალ-ლო-
ნეს არ ზოგავდა. ბებერი გედი აქო-
შინებული მისდევდა მათ, მაგრამ, თუ
შეატყობდა, შენელებას აპირებენო, მა-
შინვე შესძახებდა:

– უფრო სწრაფად, ზოზინების ხრო-
ვავ! თორემ გოგონებს დატუქსავენ.

მდინარეს რომ მიაღწიეს, უკვე და-
ღამდა. ძლიერ დინებას უნდა შებრძო-
ლებოდნენ და სიბნელეც დიდ დაბრკო-
ლებას უქმნიდათ. საბედნიეროდ, მალე
მთვარე ამოვიდა და მოგზაურებს საქმე

გაუიოლა. ბოლოს და ბოლოს, ბებერ-მა გედმა გადმოსხდომის ბრძანება გას-ცა. დელფინი და მარინეტი დაჟინებით სთხოვდნენ, დაესვენა, მაგრამ არაფ-რის გაგონება არ ისურვა და ჯერ გო-გონები მიიყვანა გზამდე.

– დროს ნუ დავკარგავთ, მეშინია, არ დავიგვიანოთ, – თქვა მან, – აჰ! დიახ, ძალიან მეშინია.

გზაზე რომ გავიდნენ თეთრი გუნდის ამალის თანხლებით, პატარებს კინალამ ყვირილი აღმოხდათ. ასიოდე მეტრით წინ მათკენ ზურგმიქცეული მშობლები სახლისაკენ მიაბიჯებდნენ. თითო-თი-თო კალათა ეჭირათ ხელში.

ბებერი გედი მიხვდა. ორივე გოგო-ნა სასწრაფოდ გზის მეორე მხარეს გა-დაიყვანა, რომელსაც ტყრუშული ლობე მიუყვებოდა და ჩურჩულით უთხრა:

– ამ ლობეს მოფარებულები სირბი-ლით თუ ივლით, მშობლებს მალე გა-დაასწრებთ. სახლს რომ გაუსწორდე-ბით და ისევ გზის გადაჭრა დაგჭირდე-ბათ, ჩვენ ისე ვიზამთ, რომ მშობლებს სხვაგან გადავატანინებთ ყურადღებას. მთავარია, ისე მიხვიდეთ სახლამდე, რომ საკმაო ფორა გქონდეთ.

გოგონებმა კი მოინდომეს, ამ რჩე-ვებს მიჰყოლოდნენ, მაგრამ დაღლილე-ბი იყვნენ, თან დიდიდან ლუკმა არ ჩა-ედოთ პირში და ამიტომ ძლივს მიჰქონ-დათ ფეხები. სიარულს დასჯერდნენ, მაგრამ მშობლებზე ნელა მიდიოდნენ და მანძილი მათ შორის მხოლოდ იზ-რდებოდა.

– აი, ეს კი ძალიან ართულებს საქ-მეს, – ჩაილაპარაკა ბებერმა გედმა, – დრო უნდა მოვიგოთ. მიმიშვით.

გზაზე გადავიდა და ყვირილით გა-მოეკიდა მშობლებს:

– კეთილო ხალხო, გზაში ხომ არა-ფერი დაგიკარგავთ?

მშობლები შეჩერდნენ და მთვარის შუქზე თავიანთი კალათები დაათვალი-ერეს, ხომ არაფერი გვაკლიაო. გედმა სირბილი შეწყვიტა და რაც შეეძლო,

ნელა გამოემართა, რათა პატარების-თვის წინ გაჭრის საშუალება მიეცა. მშობლები მოუსვენრად ელოდნენ.

– არაფერი დაგიკარგავთ? – თქვა მან, როცა ახლოს მოვიდა, – გზაზე ლამაზი თეთრი ბუმბული ვიპოვე და ვინაიდან ის მე არ მეკუთვნის, ვიფიქ-რე, თქვენი იქნებოდა.

– თქვენნაირი სულელი ხომ არ გგო-ნივართ, ბუმბულები რომ ვატაროთ? – დაუტატანეს გაბრაზებულმა მშობლებ-მა და გზა განაგრძეს.

ბებერი გედი ლობის მეორე მხარეს გადავიდა. პატარებს მოეხერხებინათ და ცოტათი დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ მშობლები სწრაფად მიაბი-ჯებდნენ და სულ მალე წამოენეოდნენ და გადაასწრებდნენ კიდეც. იმ ბებერ გედს ქანცი განყდომოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც დელფინი და მარინეტი კეთილი სიტყვებით გაამხნევა, მონა-ხა ძალა და სირბილით გაუძღვა თავის თანამგზავრებს. პატარები ხედავდნენ, როგორ მირბოდა მათ წინ დიდი თეთ-რი ფრინველების მდუმარე გუნდი და როგორ გაუჩინარდა იგი გამორღვეულ ლობეში. მშობლები კი ამასობაში ისევ გზას მიუყვებოდნენ და პატარებზე ლა-პარაკობდნენ, რომლებიც სახლში ეგუ-ლებოდათ.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ჭკუით იქ-ცეოდნენ და გზაზე არ გადასულან. აჰ! ერთი არ მინდა, გზაზე გადასულიყ-ვნენ!

დელფინს და მარინეტს ყველაფერი ესმოდათ და შიშისგან მუხლები ეკვე-თებოდათ. უცებ მშობლები შეჩერდნენ და თვალები დააჭყიტეს. მათ წინ, შუა გზაზე, თორმეტი დიდი გედი ჩამწკრივ-და და მთვარის შუქზე ცეკვა დაიწყო. წყვილ-წყვილად ტრიალებდნენ, ხან ერთ ფეხზე ცეკვავდნენ, ხან მეორეზე, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ფერხულს კრავდნენ, მერე გრძელ კისრებს წა-მომართავდნენ და ნისკარტებით ეხე-ბოდნენ ერთმანეთს, თან ისე სწრაფად

ბზრიალებდნენ, რომ ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი. თოვლის ნამქერს მოჭ-გავდნენ.

– ძალიან ლამაზია, – თქვეს მშობ-ლებმა ცოტა ხნის შემდეგ, – მაგრამ ახლა ამის ყურებისთვის არ გვცალია, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

მოცეკვავეებს შუაში გაუარეს, უკან მოიტოვეს ისინი და ისე განაგრძეს გზა, აღარც მოუხედავთ. ღობის მეორე მხარეს პატარები დანინაურებულებიყვნენ, მაგრამ მალე მშობლების ნაბიჯების ხმა შემოესმათ და სულ დაკარგეს იმედი, რომ შინ მისწვებდნენ მათ. ბებერი გედი თანამგზავრებთან ერთად გზიდან გადავიდა და ცდილობდა, ჩაქჩაქით გაჰყოლოდა გოგონებს, მაგრამ ისეთი დაღლილი იყო, ყოველ წამს ბორძი-კობდა და ლამის ძირს დაცემულიყო. ხანგრძლივ სიარულს ცეკვაც რომ და-ერთო, ამან სულ გაასავათა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, გოგონებს წამოეწია მთლად ღონემიხდილი, მშობლებს სახ-ლამდე ასიოდე მეტრილა აშორებდათ.

– ნურაფრის გეშინიათ, – თქვა ბე-ბერმა გედმა, – თქვენ არ დაგტუქსა-ვენ, ოღონდ ახლა უნდა დაგტოვოთ, ჩემი მეგობრები მოგხედავენ. შემპირ-დით, რომ დაუჯერებთ მათ. ისინი გზა-ზე გადაგიყვანენ, როდესაც ამის დრო მოვა.

ბებერი გედი ღობეს მოსცილდა,

უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მინ-დვრებისკენ გაქანდა. თანდათან ნაბი-ჯი შეუწუნდა, იგრძნო, როგორ უშეშ-დებოდა თათები და, მდელის რომ მი-აღწია, ფერდით დაეცა, რათა აღარა-სოდეს ამდგარიყო. შემდეგ კი სიმღერა წამოიწყო, როგორც ამას აკეთებენ გე-დები სიკვდილის წინ. ისე დიდებულად მღეროდა, მისი მოსმენისას თვალზე ცრემლი მოგადგებოდათ. გზაზე მი-მავალმა მშობლებმა ერთმანეთს ხე-ლი ჩასჭიდეს, არც უნალვლიათ, სახლს რომ ზურგი აქციეს და მინდვრებისკენ გამოემართნენ ამ ხმის შესახვედრად. დიდხანს, დიდხანს მას შემდეგაც, რაც გედმა სიმღერა შეწყვიტა, ცვრიან მი-წაზე მიაბიჯებდნენ და შინ დაბრუნებას არ ფიქრობდნენ.

სამზარეულოში დელფინი და მარი-ნეტი ლამპის შუქზე კერავდნენ. სუფრა გაშლილი იყო, ცეცხლი – დანთებული. ოთახში რომ შემოვიდნენ, მშობლები ისეთი ნაზი ხმით მიესალმნენ შვილებს, პატარებს რომ არასოდეს გაეგონათ. თვალეში ცრემლები ედგათ და, რაც არასოდეს მოსვლიათ, გაუთავებლად შესცქეროდნენ ჭერს.

– რა დასანანია, – უთხრეს გოგო-ნებს, – რა დასანანია, გზაზე რომ არ გადახვედით ცოტა ხნის წინ. მდელზე გედმა იმღერა.

კრისტიან პინო



პატარა მგლის ამბავი

მას კაროლინი ერქვა ისევე, როგორც ყველა პატარა გოგონას იმ დროებაში და თითქმის ყოველდღე ალისფერი სელის კაბა ემოსა, რის გამოც, სხვა დროება რომ ყოფილიყო, წითელქუდას დაუძახებდნენ.

იგი ახალგაზრდა მგელი გახლდათ, დროსა და ტყეში დაკარგული, მაგრამ ჭეშმარიტი შთამომავალი იმ მხეცისა, ერთ დღეს ისე რომ შესანსლა პატარა გოგონა და მისი ბებია, კვალაც არ დაუტოვებია.

სწორედ მათი ამბავი მინდა, გიამბოთ.

ერთ კვირა დილას კაროლინის დედამ უხმო გოგონას, რომელიც სახლის კარწინ დედოფალათი თამაშობდა. „აი, უთხრა მან, ქილა ერბო და ფუნთუშა; წაუღე ბებიას, რომელიც ტყის გადაღმა ცხოვრობს, ოღონდ გზად არ იხეტილო და სადილზე არ დაიგვიანო“.

კაროლინმა ნობათი პატარა კალათაში ჩააწყო და გზას გაუდგა. სულაც არ ეშინოდა, ვინაიდან იცოდა, რომ მგლები წარმოსახვითი ცხოველები არიან, რომლებიც მშობლებმა გამოიგონეს, რათა ბავშვები ცოტათი მაინც დაეშომინებინათ, თანაც ტყე არაერთხელ გადაუვლია და ავად არც არავინ შემოხვდომია.

თავის მხრივ, პატარა მგელი, რო-

მელსაც, არავინ უწყის, თუ რატომ, ტყის ფრინველები „გონტრანს“ უწოდებდნენ, თავის ჩვეულ ბუნაგს მოშორებულიყო უფრო ყუათიანი სადილის ძიებაში, ვიდრე ამ გაჭირვებულ დროებას ჩვეულებისამებრ შეეძლო მისთვის შეეთავაზებინა.

და აი, ერთი ბილიკის მოსახვევში, კაროლინი და გონტრანი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

„ლამაზი ძაღლია“, გაიფიქრა გოგონამ, მაგრამ ვერ გაბედა, ხელი გაეწვდინა და მოფერებოდა.

„ლამაზი გოგონაა“, გაიფიქრა პატარა მგელმა, მაგრამ ის ამ სიტყვას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით იყენებდა, ვიდრე ბიჭები.

მუსაიფი გააბეს და მალე კაროლინმა თავის ახალ ნაცნობს სეირნობის მიზანი გაუმხილა.

გონტრანისთვის ეს იყო გასხივოსნების წამი. პირველ წუთებში მან იფიქრა, გოგონას ვეცემი და შევჭამო, მაგრამ ეს ქმედება ბანალური იქნებოდა, ნებისმიერი მგლის შესაფერი, და დიდებას ვერ მოუტანდა. ის ხომ, ნუ დავავინყდება, სახელგანთქმული მგლის შთამომავალი გახლდათ. ისე მოხდა, რომ საუკუნეების შემდეგ თავი მოიყარა ერთი და იმავე გარემოებებმა: წითელკაბიანი პატარა გოგონა, ქილა ერ-

ბო, ტყის გადაღმა მცხოვრები ბებია; მხოლოდ ფუნთუშამ ჩაანაცვლა კვერები, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი დეტალი იყო, თანაც მგელს ტკბილეული არ უყვარდა.

გონტრანი თავისი წინაპრის ღირსეული მემკვიდრე არ იქნებოდა, პირველ გულის ნადილს თუ დაჰყვებოდა. პირიქით, მან გადანყვიტა, ცნობილი გმირობა გაემეორებინა.

„დაგტოვებ, უთხრა მან პატარა გოგონას, რადგან ბევრი საქმე მაქვს, დღეები კი მოკლეა; მაგრამ ვინაიდან წილად მხვდა ბედნიერება, გამეცანი, ისე მოვანყობ, რომ კიდევ გნახო“.

მგელი, მოხიბლული ამ ბოლო ფრაზით, რომლის ორმაგ აზრსაც მხოლოდ თვითონ აფასებდა, ტყეში გაეშურა, რათა კაროლინისთვის ბებიასთან მიესწრო.

სახლის კარზე, სადაც მოხუცი ქალბატონი ცხოვრობდა, ღონივრად ჩამოკრა ზარს.

„ეს ტლანქი თოკს ჩამომიწყვეტს“, გაიფიქრა ბებიამ და კარი გააღო მტკიცე გადანყვიტებით, რომ დაუფარავად ეთქვა, რასაც ფიქრობდა.

აქ კი ჩვენი ამბის მეორე ეპიზოდს მივადექით, სადაც პირისპირ ბებია და პატარა მგელი აღმოჩნდნენ.

მაგრამ დროება შეიცვალა. პატარა მგელი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა და თავისი წინაპარივით ახოვანი ვერ არის. ბებია კი საშიში მოხუცი ქალბატონია, რომელსაც ვეებერთელა ხელები და თავის მეტოქეზე არანაკლებ გრძელი კბილები აქვს. გაბედულებით თანასწორები არიან.

ამასობაში კაროლინი ტყეში დახე-

ტიალებდა, ირგვლივ ურიცხვი ტყის მარწყვი იყო, მწიფეები და წყლიანები. დიდი სიმამაცე დასჭირდებოდა, ამ ცდუნებას რომ შეწინააღმდეგებოდა. ასე რომ, სადილის დროსაც გადაცდა და ერბოც ცოტათი დადნა, როდესაც კაროლინმა მოგზაურობა დაასრულა.

ბებია მშვიდად მიირთმევდა სადილს და თავის შვილიშვილს, როგორც ყოველთვის, გულთბილად შეხვდა.


„ცოტა დაგიგვიანდა, კაროლინ, იძულებული გავხდი, საჭმელი ბატის ქონით გამეკეთებინა, რაც მძიმეა ჩემი ბებერი კუჭისთვის, ხოლო ერბო ზედმინევნიტ კარგი იქნებოდა. აი, ფუნთუშას კი დესერტად მივირთმევ. ჩემთან ერთად ხომ არ ისადილებდი? ცვრიანი მწვადი მაქვს, რომელსაც მარტო ვერ მოვერევი“.

– ოჰ! არა, – მოუბოდიშა კაროლინმა, – უკვე ძალიან დავიგვიანე, დედა იწუხებს. მამამ კი შეიძლება, მომცხოს კიდევც.

– თუ ასეა, – თქვა მოხუცმა ქალბატონმა, – მალე მოუსვი, დედას კი, თავისი სიკეთისათვის და ერბოს ქილის სანაცვლოდ, ეს პაშტეტი წაუღე, რომელიც მისთვის მოვამზადე.

მალე პატარა გოგონა გზას გაუდგა, თან თავის თავს ეკითხებოდა, მომხდარის მერე რატომ ჰქონდა მის ბებიას, ყოველთვის მონესრიგებულსა და პენიანს, დაჭმუჭნილი კაბა და ჩაჩი.

გოგონა ჯავრობდა, არ დამსაჯონო, მაგრამ ტყეს რომ კვეთდა, არავინ შეხვედრია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ახლა თავისი პატარა ქილით პატარა მგლის ნაწილი მიჰქონდა.



ზღაპარი თქვენებურად

1. გნებავთ, გაიგოთ სამი ცქვიტი მუხუდოს თავდაგასავალი?

თუ დიახ, გადადით 4-ეზე

თუ არა, გადადით 2-ეზე.

2. გირჩევნიათ სამი დიდი, ნვრილი ჭიგოს თავგადასავალი?

თუ დიახ, გადადით 16-ეზე

თუ არა, გადადით 3-ეზე.

3. გირჩევნიათ სამი საშუალო ზომის ბუჩქის თავგადასავალი?

თუ დიახ, გადადით 17-ეზე

თუ არა, გადადით 21-ეზე.

4. იყო და არა იყო რა, იყო სამი მწვანედ შემოსილი მუხუდო, რომელთაც მშვიდად ეძინათ თავიანთ პარკში. მათი მრგვალი სახეები ნესტოების ნახვრეტებით სუნთქავდა და ნაზი, ჰარმონიული ხვრინვის ხმა ისმოდა.

თუ თქვენ სხვა აღწერილობა გირჩევნიათ, გადადით 9-ეზე

თუ ეს გიჯობთ, გადადით 5-ეზე.

5. ისინი სიზმრებს არ ნახულობდნენ. ეს პატარა არსებები მართლაც არასოდეს ნახულობენ სიზმრებს.

თუ თქვენ გირჩევნიათ, რომ სიზმრებს ნახულობდნენ, გადადით 6-ეზე

თუ არა, გადადით 7-ეზე.

6. ისინი სიზმრებს ნახულობდნენ. ეს პატარა არსებები მართლაც ყოველთვის ნახულობენ სიზმრებს და მათი ღამეები მომხიბვლელი ზმანებებით იხუნძლება.

თუ თქვენ გნებავთ, გაიგოთ ეს სიზმრები, გადადით 11-ეზე

თუ ეს არ გსურთ, გადადით 7-ეზე.

7. პანანა ფეხები ღუნღულა წინდებში ჩაეფლოთ და სანოლში შავი ხავერდის ხელთათმანები ეკეთათ.

თუ თქვენ სხვა ფერის ხელთათმანები გირჩევნიათ, გადადით 8-ეზე

თუ ეს ფერი მოგწონთ, გადადით 10-ეზე.

8. სანოლში ლურჯი ხავერდის ხელთათმანები ეკეთათ.

თუ თქვენ სხვა ფერის ხელთათმანები გირჩევნიათ, გადადით 7-ეზე

თუ ეს ფერი გაძლევთ ხელს, გადადით 10-ეზე.

9. იყო და არა იყო რა, იყო სამი მუხუდო, რომლებიც თავიანთ პარკს შარაგზაზე მიაგორებდნენ. როცა მოსალამოვდებოდა, დაღლილებსა და დაქანცულებს, მალე ჩაეძინებოდათ ხოლმე.

თუ გსურთ, გაიგოთ გაგრძელება, გადადით 5-ეზე

თუ არა, გადადით 21-ეზე.

10. სამივეს ერთი და იგივე სიზმარი ესიზმრებოდა, მათ მართლაც ნაზად უყვარდათ ერთმანეთი და ზვიადი სარკის სამი კარედის მსგავსად მუდამ ერთნაირად ფიქრობდნენ.

თუ თქვენ გნებავთ, გაიგოთ მათი სიზმარი, გადადით 11-ეზე

თუ არა, გადადით 12-ეზე.

11. მათ ესიზმრებოდათ, რომ სუპის საჭმელად სახალხო სასადილოში წავიდნენ და როცა ქვაბს თავი მოხადეს, აღმოაჩინეს, რომ ეს იყო ველური ოსპის წვნიანი, შიშისაგან გამოელვითათ.

თუ გსურთ იცოდეთ, რატომ გამოელვითათ შიშისაგან, მონახეთ „ლარუსის“ ლექსიკონში სიტყვა „ოსპი“ და მეტი აღარ ვილაპარაკოთ

თუ ამ საკითხში ჩაღრმავება უსარგებლოდ მოგაჩნიათ, გადადით 12-ეზე.

12. ოჰოჰო! წამოიყვირეს, როცა თვალი გაახილეს. ოჰოჰო! ეს რა სიზმარი გვიშვია! ცუდ ამბავს მოასწავებს! – თქვა პირველმა. ჰო, ჰო, – თქვა მეორემ, – მართალია, ამიტომაც დავლონდი. ასე ნუ შფოთავთ, – თქვა მესამემ, რომელიც ყველაზე ეშმაკი იყო, – ასაღელვებელი არაფერია, მაგრამ გაგება საჭიროა, მოკლედ, ავდგები და ყველაფერს გაგიანალიზებთ.

თუ თქვენ გსურთ, ახლავე ახსნათ ეს სიზმარი, გადადით 15-ეზე

თუ პირიქით, ორი დანარჩენის რეაქცია გაინტერესებთ, გადადით 13-ეზე.

13. თვალეში ნაცარს გვაყრი, – თქვა პირველმა, – როდის აქეთ იცი სიზმრების ახსნა? ჰო, როდის აქეთ? – დასძინა მეორემ.

თუ თქვენც გნებავთ, იცოდეთ, როდის აქეთ, გადადით 14-ეზე

თუ არა, მაინც გადადით 14-ეზე, რადგან მეტს მაინც ვერ გაიგებთ.

14. როდის აქეთ? – წამოიძახა მესამემ, – აბა, რა ვიცი! ფაქტია, რომ მეხერხება. აი, თუ არ ნახავთ!

თუ თქვენც გნებავთ, ნახოთ, გადადით 15-ეზე

თუ არა, გადადით ასევე 15-ეზე, რადგანაც ვერაფერს გაიგებთ.

15. მაშ, კარგი! ვნახოთ, – უთხრეს ძმებმა. თქვენი ირონია არ მომწონს, – შეეპასუხა მესამე, – ვერაფერსაც ვერ ნახავთ. ჯერ ერთი, ამ გაცხოველებული საუბრის განმავლობაში თქვენი შიშის გრძნობა განა არ მიყუჩდა? გაქ-

რა კიდევ? მაშ, რაღად გავამოძრავოთ თქვენი ფარვანისებრთა მსგავსი არაცნობიერის ჭანჭრობი? ჯობს, წავიდეთ, შადრევანზე დავიბანოთ და ამ მხიარულ დილას სალამი ვუთხრათ ჰიგიენასა და წმინდა ეიფორიაში! თქმა და შესრულება ერთი იყო: თავიანთი პარკიდან გამოსრილდნენ, ერთი-ორჯერ ნაზად გაგორდნენ მიწაზე და სირბილით მიამურეს თავიანთი განბანის ასპარეზს.

თუ გნებავთ, გაიგოთ, რა ხდება მათი განბანის ასპარეზზე, გადადით 16-ეზე

თუ ეს არ გნებავთ, გადადით 21-ეზე.

16. სამი დიდი ჭიგო თვალს ადევნებდა მუხუდოების საქციელს.

თუ სამი დიდი ჭიგო არ მოგწონთ, გადადით 21-ეზე

თუ მოგწონთ ისინი, გადადით 18-ეზე.

17. სამი საშუალო ზომის ბურქი თვალს ადევნებდა მუხუდოების საქციელს.

თუ სამი საშუალო ზომის ბურქი არ მოგწონთ, გადადით 21-ეზე

თუ ისინი ხელს გაძლევთ, გადადით 18-ეზე.

18. რომ დაინახეს, ასე გვთირავენო, სამმა მუხუდომ, რომლებიც ძალზე მორცხვები იყვნენ, იქიდან მოუსვა.

თუ გნებავთ გაიგოთ, რა ქნეს ამის შემდეგ, გადადით 19-ეზე

თუ ეს არ გსურთ, გადადით 21-ეზე.

19. სწრაფად მირბოდნენ, თავიანთ პარკთან რომ მისულიყვნენ, მერე ეს უკანასკნელი მიიხურეს და ხელახლა დაიძინეს.

თუ თქვენ გსურთ, გაიგოთ გაგრძელება, გადადით 20-ეზე

თუ ეს არ გსურთ, გადადით 21-ეზე.

20. გაგრძელება არ იქნება, ზღაპარი დასრულდა.

21. ამ შემთხვევაში ზღაპარი ასევე დასრულდა.

*ფრანგულიდან თარგმნა
ნინო ციმაკურიძემ*

ნიკო ლორთქიფანიძე

ტრაგედია უბშიროთ



შეუგნებლად დაერიდა ბავშების სივილს – გამოვიდა ქოხიდან... გადიარა ეზო... უგზო-უკვლოთ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოვჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი“... „ბავშები“... „ხარი“... ისევ ადგა, ჯერ შარავას გაყვა, მერე ორლობეში შეუხვია: დაუძახა ვილამაც. მობრუნდა.

– გუშინნინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწამე, არ მქონდა, აი დღეს ქე მაქ ცოტა, და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო - იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო.

– მომეცი! – მოკლეთ მოუჭრა და ლობეს მიადგა.

– ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი. მე თვითონ წამოვიღებ...

ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა.

– რა დაგემართა, კაცო?

– არაფერი!

– ნუ გეშინია, ღმერთი მონყალეა, ჩვენკენაც მოიხედავს...

ნელა შემობრუნდა, უხმოთ მოშორდა მოხუც დედაკაცს – თავის ნათლიას, რომელიც გულში ფიქრობდა: შენი მტერია, ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე... მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს... რას უშველის, სანყალს,

ნახევარი ჯამი?.. ეხ, ღმერთო, ღმერთო!

– მამა, ფქვილი მოიტანე? – ახრიალდენ ბავშები.

– გვაჭმევ?

– კი, შვილო, კი, ბიჭო, – ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს.

ბავშებს უთქმელათ მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდნენ ცეცხლს, აწყობდნენ და ასწორებდნენ კეცებს.

მამამ წუთში მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა. ბავშების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება.

– აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუმი გამოართვით – ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშები გაიქცენ.

ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიდვა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...

მეორე ლუკმა...

სწავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშები შემოვარდნენ.

– მომეცი, მამა!..

– მეც!..

– გადით, თქვე გასანყვეტლებო!

– მამა, მამა!..

– მამა, ერთი ლუკმა!

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა. იქედანაც თვალზე ცრემლშემხმარი ბავშვები ძალღებვიით კნოდენ და იძახდენ:

– მამა, გვაჭამე!

ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიმუჭა პირში ბავშვების მიერ მოტანილი ოხრახუში და წავიდა... გადავიდა ტვერში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემარი.

წამოინია, დაჯდა.

ბავშვების სივილი მოაგონდა...

მე შევჭამე....

ბავშვებს არაფერი ვაჭამე...

ღმერთო, რა მომივიდა?..

სირცხვილი!.. ხალხს რაღა უთხრა?!

ვაი თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშვებთან...

გადაბელილი ბჟოლის ძირში მიგდებულიყვენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა: არ გავაღვიძო მაინც!

რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!.

უმცროსს გამოელვიდა. გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

– მამა!.. – წყნარათ დაიწყო ბავშვა.

– რა, შვილო? – ნაზათ უპასუხა.

– მთლად შეჭამე?

– !!

– მამა, ცოტა იქნება დაგრჩა – მომეცი... მუცელი მტკივა, არ გაგამხელ... მამას ზღუქუნი წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაელვიდა „მშია“ – „მშიას“ ძახილით.

მამა წამოიჭრა, ეზო გადირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბანარი ტოტს მაგრათ მიაბა, მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გაშინჯა - კისერზე თუ მომიჭერსო და...

კეთილი ბებერი ნათლია იფოფრებოდა: *ჩае съел балхуыд* - ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა... ვინ მოუვლის დამშეულ ობლებს?!

– რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბანრით ჩამოიხჩო თავი ამ ოჯახქორმა!

– ბრაზობდა და ინყევლებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო, ვინ იცის, რა მოელოდა...

НИКО ЛОРДКИПАНИДЗЕ

ТРАГЕДИ АЕНАХЪАЙТАРАЙ

Сываеллаетгы хъалабайае йахи дард айста – рахызт хъадын хадзарай ... ахызти кертает ... абаераг фандагылцыд. Каемдәр хуымы аербат дурыл. Иу хъуыды дәр аеввахс нае цыд йае сармае... иугай дзырдта иу ферттывтой стъаelfaнau: «цади»... «сываеллаетга»... «гал»... фастаемае сыстад, нырма надвандагыл араст, стает амбонды хсаенты фандагыл азылд: чидәр аем фадзырдта. Фастаемае раздәхтис.

– Аендарабон мае ссад куы ракуырдайт, хуыцау ме вдисаен, нае маем уыдис, абон маем ис иу цъус, аемае дын дзы аердаг къус аваердзынаен... аермаест мае ма быбын каен – иннае майраамбонны мын аеи хъуамае аербахессай.

– Ратт мын аеи! – цаехгар загыта аемае амбондыл банцой кодта.

– Уыцы Тъопсикайы иу маем ма рарвит. Аез аеи маехадаг рахаесдзынаен...

Йае бынатает не змаелыд аемае ницы дәр дзургае кодта.

– Цы дыл аерцыд, маенае лаег?

– Ницы!

– Ма таерс, хуыцау аеххуысгаенаег у, махаердам дәр рахаесдзаен...

Сабыргай разылд аемае аенауынаераей ахызтис зеронд усы цурает – йае наглиайае, каецы йаехинымаер хъуыды кодта: де знаг у, ацы аердаг къус

ссады фесаефтон... аемае йае мае чындз уаддәр куынае базонит... цас ын баххуыс каендзаен, магуыраен, аердаг къус?... О, Хуыцау, Хуыцау!

– Баба, ссад аербахастай? – Сызмаелыдысты сываеллаетга.

– Бахаерын нын каендзынае?

– Ойы, хъабул, о, мае лаеппу, – дзырдта куы иуаен куы та иннаемаен.

Сываеллаетга аенаедзургаейае хастой къаецалтае, арт кодтой, аваердтой аемае раст кодтой чъецытае.

Фыд уайтагд хыссае ракодта аемае йае таевд чъецытыл бандаегъта. Сываеллаетгы аенаебыхстдзинад ын йае заердыл аерлаууын кодта, цаемаей цалынмае цадитае сфыхтаиккой, уадмае сае искуыдаем арвыстаит.

– Аба-гъе, лаеппутае, ацыт аемае Ефросинейае халсаертгае рахаессут – бирә йае ис, ратдзаен уын ...

Сываеллаетгае цаердаг алыгъдысты.

Цъадийы таефмае фыд йаеи нал баураедта. Чъецыйае цъадийы райста, асаста йае, ауазал каеныны тыххает йыл бафутае кодта аемае комдзаг йае дзыхы баппаерста. Дыккаг комдзагмае дәр йаеи нал баураедта аемае йае дзыхы баппаерста.

Сыгыта йын йае ком фалае йае уаддәр хордта.

Сываеллаетгае аербагаеппытае кодтой.

- Ёри-ма мын, баба!..
- Мәнән дәр!
- Афардәг ут, мәлинаәгтә!
- Баба, баба!..
- Баба, иу комдзаг!

Сывәләтә йә иу кьухәй рацәфтә кодта әмә сә кәртмә ратардта. Уырдыгәй сывәлләттә куыйтау хыс-хыс кодтой әмә дзырдтой:

- Баба, бахарын нын кәен!

Хьуыды дәр сә нә кодта. Стәй әмткәй йә дзыхы агыста сывәлләтты әрбахәсгә петрушкә әмә ацид... ахызти тыргьмә... әрхуыссыд... дзәвгар рәстәдҗы уләфьд сәлхәргондәй, ирдцәстәй, рәдзә-мәдзәгәнгәйә.

Йәхиуыл рахәцыдис, әрбадт.

Сывәләтә хыс- хыс йә зәрдыл әрбаләууыд...

Әз бахордтон...

Сывәлләттәән ницы бахарын кодтон...

Уә Хуыцау, цы мыл әрцыд?..

Худинаг!.. Адаәмән цы зәгьдзынән?!

Уәууа уәд та ныццагьды сты...

Сыстад, бацыд сывәлләтты цурмә...

Сабитә фынаей кодтой... фьд дәр сә фарсмә әрхуыссыд, йә цәссыг тыххәй урәдта афтәмәй. Йәхи урәдта, цәмәй сә ма райхьал кодтаид.

Ай цы бакодтон! Сә мад афтә нә бакодтаит!..

Кәстәр райхьал ис. Диссаг әм фәкаст, ныкомкоммә ис фьдмә.

Баба!.. – сабыргай байдыта сывәллон.

– Цы, хьәбул? Сабырәй йын дзуапн рагта.

– Иууылдәр сә бахордтай?

– !!

– Баба, кәд-ма дзы цьус аздад – әри мын әй... мә гуыбын риссы, нә йә схьәр кәндзынән...

Фьд йә кәуын нал баурәдта.

Гьщцыл сывәллон дәр райхьал «әххормаг мын у» – «әххормаг мын у» дзургәйә.

Фьд рагәпп кодта, кәртыл ралыгьдис әмә сәндонмә бахауд. Уым баст фыс кәрдәгыл хызт. Суагьта йә. Схызт бәласмә. Ёрбадт. Бәндәән кьалиуыл фидар бабаста, цәсм алхынц кодта иннә кәроны, әрбәрдҗытә йә кодта – мә бәрзәй дам мын әрбалхьивдзәән әви нә.


Хәларзәрдә натлиа йә урс дадалитә бындзыпгай тыдта: – Уә Хуыцау! Хуыцау! Цы мын бавзарын кодтай!.. Цәй тәригьәддзинад әрцыд... Чи фәкәсдзәән ныр әххормаг сидзәртәм?!

– Цәмән мә сәндоны, мә дуары фәстә, мә бәндәәнәй әрцауыгьта йәхи ацы хьәрщыгьа?!

– Мәсты кодта әмә әлгьыста сыхаг, кәцымә ацы хабары тыххәй, чи зоны цы әнхьәлмә каст.

Куымаеридтаты Разитаты тәлмац

ნონა კუპრეიშვილი



ვახტანგ კოტეტიშვილი – ღიალობი ბრძელდება

გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ ვახტანგ კოტეტიშვილის წერილების დიდ-ტანიანი წიგნის გამოცემა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. წიგნს დართული აქვს ლიტერატურათმცოდნე ნონა კუპრეიშვილის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც ამ მრავალმხრივი შემოქმედის მდიდარი მემკვიდრეობა ამომწურავად არის განხილული. გთავაზობთ ამ გამოკვლევას.

ვახტანგ კოტეტიშვილზე საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის რენესანსული ტიპის მოღვაწე იყო: ლიტერატურის ისტორიკოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ესეისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, მოქანდაკე, მხატვარი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. პრაქტიკულად, მართლაც, ეს იყო მრავალმხრივი მონაწილეობა ქართული კულტურის რეფორმირების იმ მნიშვნელოვან პროცესში, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო, გაგრძელდა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებამდე და დღეს პირობითად „ქართული რენესანსის“ სახელითაცაა ცნობილი.

შეიძლება ასეც ითქვას, ვახტანგ კოტეტიშვილი მოდერნისტული ეპოქის ახალი ტიპის „თერგდალეულია“. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ განათლება პეტერბურგისა და დორპატის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტებში მიიღო. ამასთან (და სწორედ ეს თვისებებია ფუნდამენტური), „თერგდა-

ლეულთა მსგავსად, მას ქვეყნის „მსახურების თანდაყოლილი სურვილი და ინტელექტუალური მოუსვენრობა“ (გ. ქიქოძე) გამოარჩევდა.

ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე საკუთარ თანათაობელთა კულტურულ კოდს ილიას მკვლევლობასთან დამოკიდებულებით საზღვრავდა. ამ მხრივ ვახტანგ კოტეტიშვილი, იმდროინდელ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად, ილიას სულიერ მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ამას არავითარი კავშირი არა აქვს სახელოვანი წინაპრის გაუაზრებელ, უპირობო მიღებასთან, მით უფრო, მის გაკერპებასთან. პირუკუ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროინდელი პირველცდებიდან, ვიდრე სიმნიფის ასაკში შექმნილ კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ ტექსტებამდე, მკითხველს საშუალება ეძლევა დაინახოს ილიას სწორად წაკითხვისა და ინტერპრეტირების, მისი ნააზრევის მომავლის კატალიზატორად გამოყენებისა და ყოველივე ამაზე

დაფუძნებული თვითმოქმედებისა და თვითშექმნის უპირატესობა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ვახტანგ კოტეტიშვილის არქივში შემონახული წერილი „შავი სიტყვა“, რომელიც სტუდენტმა ვ. კოტეტიშვილმა 1914 წელს ჟურნალ „განათლება“ გამოუგზავნა, სწორედ ილიასებური კრიტიციკული პათოსის გამო იქნა დაწუნებული. წერილის ავტორი კარგად გააზრებულ ლიტერატურულ პოზიციას ავლენს, რადგან რეფორმირების აუცილებლობის წინაშე მდგარ ქართულ მწერლობას ბრალს ეპიგონობასა და ინერტულობაში სდებს: „დღეს ჩვენში ინიციატივა სუსტია. ზანტი. თვით ინიციატორი ხშირად მოუმზადებელი, შუაზე გარინდებული, აზრგაურკვეველი და უეჭვო... კარგა ხანია მკაცრი სიტყვა დაგვეკარგა. გამუდმებულმა შიშმა მოგვიტეხა რაინდი სული... და ჩვენი მწერლობა გადაიქცა საჯირითოდ... სამწერლო დოლი ყველასათვისა...“ და იქვე: „... როლის უკეთესი შემსრულებელი გამოჩნდება. არც ისე ღარიბია საქართველო. თორემ გადახედე საკაცობრიო დოლს... სად მოფრენენ და სად მიფრანალებთ...“ „შავი სიტყვა“ არც შემდეგში დაბეჭდილა, თუმცა ახალგაზრდა ლიტერატორის ეს განწყობა არა თუ განელდა, არამედ გაღრმავდა და უფრო არგუმენტირებული გახდა.

ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თანასწორობის იდეებით გატაცებული ვ. კოტეტიშვილი (ამიტომაც იგი არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებული სოციალსტ-ფედერალისტური პარტიის წევრი ხდება) იმთავითვე მომეტებულ ყურადღებას იჩენს ე. წ. დემოკრატიული პოეზიის მიმართ. ამას ადასტურებს ი. იმედაშვილის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1914-16 წწ.) გამოქვეყნებული რეცენზიები კოტე მაყაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, ბეგლარ ახოსპირელის, იოსებ დავითაშვილის და განსაკუთრებით ირ. ევდოშვილის შესა-

ხებ (დაიბეჭდა გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1919, №26). მეტიც, ირ. ევდოშვილმა ვ. კოტეტიშვილის ყურადღება ჯერ კიდევ 10-იან წლებში მიიპყრო, როდესაც ცნობილი გახდა ამ ნიჭიერი პოეტის მშობლიური სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან განდგომის მიზეზი (ირ. ევდოშვილმა თანაპარტიელებს ბრალი დასდო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებაში). გადასახლებაში მყოფი ევდოშვილისთვის სტუდენტთა სახელით თანაგრძნობის გამოხატველი წერილის გაგზავნა, შესაძლოა, სულაც ვ. კოტეტიშვილის ინიციატივა იყო. ამას გვაფიქრებინებს მიმართვის ფორმა და წერილის სტილი. ეს ცნობა არა მარტო კერძო ბიოგრაფიის, არამედ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშანდობლივ ფაქტად მივიჩნიეთ, ამიტომაც წიგნში შევიტანეთ როგორც ირ. ევდოშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილი, ისე სტუდენტური ბარათიც.

1912 წელს „სახალხო გაზეთი“ აქვეყნებს ვახტანგ კოტეტიშვილის წერილს „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“. ეს მომავალი ლიტერატორისა და პუბლიცისტის პირველი სერიოზული განაცხადია. რაც შეეხება მის სადიპლომო ნამუშევარს „დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის Xე საუკუნიდან შეერთებამდე“, ისიც დამსახურებულად იწვევს ქართული პრესის ინტერესს, შესაბამისად ფრაგმენტულად იბეჭდება კიდევ გაზეთ „სახალხო საქმის“ №218-236-ში, რაც კვალიფიციური მეცნიერული კვლევისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

ირკვევა, რომ სტუდენტობის წლებში ვახტანგ კოტეტიშვილი სერიოზულად ემზადებოდა მომავალი ლიტერატურული მოღვაწეობისთვის. (სხვათა შორის, წიგნში შეგნებულად შევიტანეთ ადრეული წერილებიც, რათა ნათლად

წარმოგვეჩინა მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ზრდის პროცესი). ამაზე მეტყველებს სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მის მიერ წაკითხული ლექციები (მაგ. ილია, როგორც პოეტი და პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძის კრიტიკოსების საპასუხოდ; სიმანინჯე, როგორც XIX საუკუნის ქართველის სახე), რომელთა შესახებ ცნობებს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გვანდის. „ახალგაზრდა მწერალი-ლექტორი ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელიც გასულ კვირას რუსეთიდან დაბრუნდა, აპირებს ლექციის წაკითხვას „ილია, როგორც პოეტი და პუბლიცისტი (ი. ჭავჭავაძის კრიტიკოსთა საპასუხოდ)“. ვახტანგ კოტეტიშვილის არქივის შესწავლისას გაირკვა, რომ არსებობდა აგრეთვე სტუდენტობის წლებში შედგენილი სტატიების ორი ხელნაწერი კრებული, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია გადარჩენილი.

1914 წელს ვახტანგ კოტეტიშვილი მუშაობს პუშკინის პოემაზე „ტყვე კავკასიისა“. წერილი ამავე სათაურით მომდევნო 1915 წელს იბეჭდება ჟურნალ „განათლებაში“. იგი ყურადღებას იპყრობს არა იმდენად თემატური სიახლით, რამდენადაც მიუკერძოებელი და კარგად გააზრებული ინტერპრეტაციით. ავტორი არაორაზროვნად მიანიშნებს მცირე ერებისადმი პუშკინის, ამ დიდი რუსი პოეტის, იმპერიალისტურ დამოკიდებულებაზე, იმაზე, რამაც „ევგენი ონეგინის“ ავტორის ლიბერალიზმი მყარ კონსერვატიზმად აქცია და მას „ძრწოდე კავკასო! ერმოლოვი მოდის“ მსგავსი სტრიქონები დააწერიანა. საგულისხმოა, რომ ემიგრაციაში მყოფი რუსი ფილოსოფოსი გ. ფედოტოვი მოგვიანებით აქვეყნებს წერილს სათაურით „იმპერიისა და თავისუფლების მომღერალი“, რომელშიც პუშკინის ორსახოვნების მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

1915 წელს მშობლიურ მიწას მიაბარებენ ორ გამორჩეულ ქართველს, აკაკისა და ვაჟას, რითაც, ფაქტობრივად, სრულდება ახალი ქართული ლოგოსის შექმნისა და ნაციონალური იდენტობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ვაჟას დასაფლავებას ესწრება იმხანად თბილისში მყოფი ვ. კოტეტიშვილი. იგი უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტების სახელით ადგენს საგანგებო სიტყვის ტექსტს, რომელშიც პოეტის სამარესთან დადებული ფიცით ადასტურებს წინა თაობასთან სულიერი და ლიტერატურული მემკვიდრეობითობის არსებობას. ამ სიტყვის ხელნაწერს ლიტერატურის მუზეუმში მივაკვლიეთ. იგი სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის ცნობილია, თუმცა პირველადაა წარმოდგენილი ვ. კოტეტიშვილის სხვა წერილების რეპუბლიკაციის კონტექსტში.


XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ევროპული ლიტერატურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზრის ინტენსიური კვლევის შედეგად იქმნება პირველი სერიოზული გამოკვლევა შიო არაგვისპირელის შესახებ. ესაა „შავი წიგნი“ (1915). სათაურში, როგორც ვხედავთ, კვლავ შავი ფერი დომინირებს. ყურადღების ამ ფერზე ფოკუსირება განსხვავებული მსოფლმხედველობის, აზროვნების ახალი სისტემის, თვისობრივად ტრანსფორმირებული ხელოვნების, გნებავთ, სტილის ერთგვარი ემბლემა-ნიშანია. იგი ნაციონალური და სოციალური თემატიკიდან ინდივიდის რთულსა და წინააღმდეგობრივ სამყაროზე ყურადღების გადატანას გულისხმობს. ამიტომაც ნაშრომს ეპიგრაფად გალაკტიონის კონცეპტუალური დატვირთვის მქონე სტრიქონები აქვს წამძვარებული: „ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით,/ დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?...“ არაგვისპირელი თავისი უჩვეულო პერსონაჟებით ანგრევდა ჩვენს

ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებული, ამასთან, საგრძნობლად იდეალიზებული ქართველის სტერეოტიპულ ხატ-სახეს. მკითხველის ამაფორიაქებელ მის მოთხრობებში საკმაოზე მეტი სკეპსისი იგრძნობა, რაც იმ დროისთვის ეპოქალური გარდატეხის მიჯნასთან მდგარ სამყაროში დაგროვილი უამრავი პასუხგაუცემელი კითხვის გამოძახილი იყო. ვახტანგ კოტეტიშვილსაც, ბუნებრივია, ანუხებეს ეს კითხვები, რომელთა ახსნის შესაძლებლობა მისთვის უალტერნატივოდ უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმირებას, მოდერნისტულ კულტურას. ამით აიხსნება დაინტერესება არა მხოლოდ კანტით, ნიცშეთი თუ იუნგით, არამედ ტეილორით, შტირნერით, კონტით, ზიმელით თუ მარქსით.

ვახტანგ კოტეტიშვილი მოღვაწეობას იწყებდა ქვეყანაში, სადაც სტრუქტურული ცვლილებები, ცხოვრებისა და

აზროვნების გათანადროულების ნიშნით, კულტურის ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაშიც იყო განსახორციელებელი. სწორედ ამიტომ, იგი ვერ გაექცა ქართველი მწერლისთვის ლამის ბედისწერად ქცეულ ვალდებულებას, ყოფილიყო შემოქმედიც და საზოგადო მოღვაწეც, ანუ აქტიურად ყოფილიყო ჩართული როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ სივრცეში. ჩვენ მიერ მოძიებული ვახტანგ კოტეტიშვილის ნერილები ამ მიზეზის გამო ორ ჯგუფად დავყავით: 1) ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება და 2) საზოგადოება, პოლიტიკა. ყურადღებით ადევნებს რა თვალს იმდროინდელი ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციებს, ვახტანგ კოტეტიშვილი კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვალებადი პოლიტიკური მოვლენების ანალიზს და შესაბამისად, მათ პროგნოზირებასაც ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წელს ი. გრი-

შაშვილის ჟურნალ „ლეილას“ ფურცლებიდან ნერილში „აზიისაკენ!“ (მას დაემატა ლიტერატურის მუზეუმის არქივში მიკვლეული გამოუქვეყნებელი „ევროპის ტყვეობაში“), აზიური ფესვების გაძლიერებით გამარუხებელი ფსევდოევროპელობისგან თავდახსნას ვარაუდობს, თავისი არსით ანტიხალხურ, შეიძლება ასეც ითქვას, ანტისოციალისტურ რევოლუციას და რევოლუციონერებს სწორედ პოლიტიკური ევროპეიზმის ნიშნით უპირისპირდება. თავის დროზე (უფრო ზუსტად კი 1986 წელს) მკვლევარმა მ. ხელაიამ XX საუკუნის ქართული ესეისტიკის კვლევისადმი მიძღვნილ წიგნში ახსნა ვ. კოტეტიშვილის „მდინარის სანინალმდეგოდ ამგვარი ცურვის“ ნამდვი-



ლი მიზეზი და თავის ნაშრომში ესეს მეცნიერული კვლევის კარგი საბაზით, პირველად, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, არაერთი ქართველი მწერლის, და მათ შორის ვ. კოტეტიშვილის, რამდენიმე წერილის ფრაგმენტაც გამოაქვეყნა. „... ამ ესეს პათოსს“ – წერდა მ. ხელაია ვ. კოტეტიშვილის „ლეილასული“ პუბლიკაციის შესახებ – „ევროპული კულტურისადმი გადამეტებული ლტოლვა, ქართული საზოგადოების მიერ საკუთარი მეობის დაკარგვის შიში განაპირობებს. მისი ნამდვილი აზრი... ეროვნული თვითდამკვიდრებისაკენ მოწოდებაა, ევროპის გახსნილ კართან მდგომი მოღვაწის გაფრთხილება“ (მ. ხელაია „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურული ესე“, 1986). კრიტიკოსი თ. ვასაძე, მაგალითისთვის, ნიკო ლორთქიფანიძესაც (ისევე როგორც მაშინდელი ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს) მსგავსი განწყობის გამზიარებლად მიიჩნევს და იმდროინდელ ველურ კაპიტალიზმთან, პირველ მსოფლიო ომთან, სულიერ კრიზისთან და „მასების ამბოხთან“ ერთად, ყოველივე ამის უპირველეს მიზეზად დასავლეთის მიერ ბოლშევიკური აგრესიის წინაშე საქართველოს მართოდ დატოვებას ასახელებს (თ. ვასაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში, 2010).

იმხანად საგრძნობლად სახელშეუბრალო ევროპის ნაცვლად აზიისადმი გამახვილებული ყურადღება და რუსული კულტურტრეგერობის მითის რღვევის მზაობა ჩანს ვ. კოტეტიშვილის ჩვენ მიერ რეპუბლიკურებულ წერილებშიც „ვასილ ბარნოვის პორტრეტი“ (1919) და „ქართულ კულტურის გამარჯვება“ (1921). ბარნოვთან მიმართებით აქცენტი კეთდება სენსუალიზმზე, რომელიც ხშირად ვლინდება ამ მწერლის თემატურად ორიგინალურ მოთხრობებში. ეს კი აზიური კულტურის წარმონაქ-

მნია. ავტორი გვარწმუნებს იმაში, რომ სწორედ ამგვარი დახვეწილი აზიურობა, თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით, არის კიდევ ჩვენი კულტურის დედა-წიალი. ამიტომაც მისთვის ბარნოვი, როგორც ხშირად უწოდებდნენ, არა „წარსულის წინასწარმეტყველი“, ან „საუკუნის მიერ უარყოფილ იდეათა მატარებელი“, არამედ ტექნიციზმით დეზორიენტირებული თანამედროვე ადამიანის დისჰარმონიიდან გამომხსნელი ქურუმი. კულტურული ეკლექტიზმის დაძლევა და მიმღები კულტურის დამლის მოშორებას ემსახურება უცხო გავლენებზე დამოკიდებულების გადახედვის სურვილი წერილიდან „ქართულ კულტურის გამარჯვება“ (1921). აქ პირდაპირაა მითითებული ჩვენი ხანგრძლივი შემოქმედებითი უნიციაციზობის მიზეზი და ეს მიზეზი, ავტორის აზრით, აგერ უკვე ორი საუკუნეა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაცაა საძიებელი.

1919 წლით დათარიღებული წერილი „გალაქტიონ ტაბიძე“, რომელსაც ავტორმა ერთგვარი მობოდიშებით ქვესათაურად „გაკვირით“ მიაწერა, მართლაც, ვრცელი და ამომწურავი არ არის, თუმცა იმდენად ზუსტ დაკვირვებებს შეიცავს, რომ XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის შემდგომი ინტერპრეტირების პროცესში დამატებითი ინფორმაციის შეტანა შეუძლია. ესაა ქართული მოდერნიზმის მთავარი ფიგურანტის, გალაკტიონის, შემოქმედების შეფასების ერთ-ერთი პირველი ცდა. თავისი ლიტერატურული ღირსებით იგი 1916 წელს გალაკტიონის პოეტური დებიუტისადმი მიძღვნილი ტიცინ ტაბიძის ცნობილი წერილის, „მარტოობის ორდენის კავალერის“, გვერდით უნდა დავაყენოთ, რაც ერთგვარად შეავსებს ჩვენს წარმოდგენას დიდი პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ.

ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც პუბლიცისტი, განსაკუთრებით რუსული რევოლუციისა (ჯერ თებერვლის, შემდეგ ოქტომბრის გადატრიალების) და დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) აქტიურდება და ეს სავსებით ლოგიკურია. მართალია, ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ქართული სახელმწიფოებრიობისადმი მტრულად განწყობილი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკების ფრთა), მიუხედავად ამისა, პოლიტიკური იდეალი, რომლისკენაც ეროვნული იდეების ერთგული სხვა პარტიები (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) ისწრაფოდნენ, ჯერ კიდევ ხელმისაწვდომი და განხორციელებადი ჩანდა. ჩვენი რეპუბლიკაციის ლოკალში მოქცეული წერილები „სოციალიზმ-ფედერალიზმი, როგორც აუცილებლობა სოციალ-დემოკრატიისთვის“, „კიდევ დავიცადოთ?“, „საქართველო და ამიერკავკასია“, „საქართველო და გერმანია“, „წრიმო ოცეუპანტი“, „საქართველო“, „რუსეთის კომუნიზმი დამარცხების გზაზე“ არა მარტო ვ. კოტეტიშვილის, არამედ მთელი მამინდელი საზოგადოების შემოქმედებითი და ინტელექტუალური სპექტრის პოლიტიკურ პრიორიტეტებს ავლენს. რწმენა იმისა, რომ „ძმობის, ერთობისა და თანასწორობის“ ლოზუნგით მოსული სახალხო ხელისუფლება რევოლუციის იდეებს არ უღალატებდა და „თეთრი“ იმპერია ნითელ შეფერილობას არ მიიღებდა, უდავოდ არსებობდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც 1921 წელს გასაბჭოების შემდეგ გამოქვეყნებული წერილი „კომუნისტების ფიცი“. მასში ვ. კოტეტიშვილი შეგნებულად ეყრდნობა დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ ბოლშევიკ ლიდერთა პირველ საჯარო დაპირებებს, რომლებიც მომავალში, ცხადია, არ შესრულდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოლოგიის სალექციო კურსის წარდგენის შემდეგ (1922) ვ. კოტეტიშვი-

ლი, არაერთი სხვა ქართველი მწერლის მსგავსად, ხელს ჰკიდებს სარედაქციო მუშაობას. აქტიური მონაწილეობა 1922 წლიდან მწერალთა კავშირის მიერ დაარსებული გაზეთ „პოეზიის დღის“ მომზადებაში, ჟურნალ „ხელოვნების“ გამოცემა, 1923 წელს ჯერ გაზეთ „ივერიის“, შემდეგ კი „ქართული სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიაში მუშაობა, 1924 წლიდან კი „ქართული სიტყვის“ რედაქტორობა. სწორედ „ქართული სიტყვისა“ და გაზეთ „რუბიკონის“ ისეთ პუბლიკაციებში, როგორიცაა „ესთეტიური კრიტიკა“, „ლიტერატურული აზროვნება“, „მუნჯი ინკვიზიტორი“, „სიტყვის დაპყრობა“, „ქართული კრიტიკა“, „ქართული კრიტიკა – წერილი მეორე“ იკვეთება ის წვლილი, რომელიც ვ. კოტეტიშვილს, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის, კ. კაპანელის, ს. დანელიას ფილოსოფიურ-ესთეტიკური ხასიათის ძიებებთან ერთად, დროის ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით ქართული კრიტიკულ-ესთეტიური აზრის ჩამოყალიბებაში შეჰქონდა. არსებობდა ყველა პირობა, რათა საბოლოოდ შემდგარიყო „მოდერნიზმის ქართული ვარიანტი, არა როგორც ერთი კონკრეტული მიმდინარეობის ანალოგია, არამედ უფრო სინთეტური, კრებითი სახე... მხატვრული აზროვნებისა და გემოვნების სტილი, ფორმალურ ძიებათა პარალელურად; იგი დაეფუძნებოდა ქართული ლიტერატურის ტრადიციულობას, ისტორიულ ქრონოლოგიას, ნაციონალური იდენტობის გამოვლინებას – ქართულ ხასიათსა და მის არტისტულ ბუნებას“, ანუ არჩილ ჯორჯაძის ფრაზა რომ გამოვიყენოთ, ამ რეფორმირების ეპიცენტრში მოექცეოდა ქართველი ხელოვანი, რომელიც „დგას ეროვნულ ნიადაგზე, თავი კი გაშუქებული აქვს ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით“. უთუოდ ამიტომ უწოდა ვ. კოტეტიშვილს XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული პროცესების ექსპერტმა მ. ქურდიანმა „ეროვ-

ნული ესთეტიკის შემქმნელი“. წერილში „სიტყვის დაპყრობა“, არჩ. ჯორჯაძის კვალდაკვალ სიტყვის ირაციონალური ბუნების აქცენტირებასთან ერთად, ხელოვნების განახლების აუცილებლობის მიზეზ-შედეგობრიობა ასეა რეზიუმირებული: „დღეს შემოქმედება ამღერება კი არ არის, არამედ შემეცნების პოეზიაა“. ვ. კოტეტიშვილი ამგვარად ადასტურებს იმ მოთხოვნათა ლოგიკურობას, რომელიც იმდროინდელი ქართული ხელოვნების წინაშე იდგა და რომელთა გამოც 1920 წელს გრ. რობაქიძე, გარდა ხელოვნებაში ანტიმიმეტურობის პრინციპთა დეკლარირებისა, მწერლებისათვის სწორედ ამ პრინციპთა სათანადო ათვისებისათვის სალიტერატური აკადემიის დაარსების აუცილებლობაზე საუბრობდა (გრ. რობაქიძე, სალიტერატურო აკადემია, გაზ. საქართველო, 1920).

ვახტანგ კოტეტიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების დიდი ნაწილი, მისი ისეთი სოლიდური მეცნიერული გამოკვლევები, როგორიცაა ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი (1925), ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული (1925-1927), აგრეთვე სოციოლოგიის შესავალი სწორედ 20-იან წლებში, ანუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. ამ ერთი შეხედვით პარადოქსულ მოვლენას თავისი ახსნა აქვს.

თავისუფალი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისთვის პრაქტიკულად უკვე მომზადებული XX საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედებითი ახალთაობა, რომელიც მოდერნისტულ-რეფორმატორულ სულიკვეთებას, როგორც აღმოჩნდა, მარადიულ ღირებულებებს უხამებდა და ამიტომაც გარკვეული ჰუმანისტური იდეების მიმდევრადაც დარჩა, ისტორიის ტრაგიკული, პარადიგმატური ცვლილების შედეგად საბჭოური რეჟიმის უცხო გარემოცვაში მოექცა. ამასთან, პირველ ხანებში ხელისუფლების მიერ კულტურის

მუშაკებისადმი გამჟღავნებული გარკვეული ლოიალობა სხვა არაფერი იყო თუ არა ორი ძირითადი მიზნის განხორციელებისკენ მიმართული დროის მოგების საშუალება. ეს მიზნები იყო: ა) ძალაუფლების განმტკიცება, ბ) საბჭოთა კულტურული პოლიტიკის მომზადება. ორივე მიმართულება წარმატებით დაწყებული განახლების პროექტის, მასთან ერთად კი როგორც სახელოვნებო, ისე პოლიტიკური ევროპული ორიენტაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა ვინაიდან ჯერჯერობით ყოველივე ამას ორგანიზებულად არსებითს ვერაფერს უპირისპირებდნენ, ამიტომაც გასაბჭოებამდე კარგა ხნით ადრე დაწყებულ პროცესს ინერციით განვითარების საშუალება ეძლეოდა. სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებების (მაგ. ვ. კოტეტიშვილი ე. წ. „აკადემიური ასოციაციის“ წევრი იყო), მრავალფეროვანი ლიტერატურული პრესის არსებობაც, ქართული პროზის სერიოზული მიღწევები ამით აიხსნება. სწორედ ამ კონტექსტში უნდა დავინახოთ ვ. კოტეტიშვილის პირველცდები (უპირველეს ყოვლისა, აქტიური მონაწილეობა 1921 წელს მწერალთა კავშირის ჟურნალ „ხელოვნების“ და 1923 წელს გაზეთ „ივერიის“ გამოცემაში), რომლებიც მიმართული იყო არა ახალ ხელისუფლებასთან უპირობო თანამშრომლობისკენ, არამედ ისტორიული დროის ახალ მონაკვეთში ქართული კულტურის გადარჩენისკენ. ჟ. „ხელოვნების“ სარედაქციო წერილი, შედგენილი ა. პაპავასა და ვ. კოტეტიშვილის მიერ, როგორც თავად ვ. კოტეტიშვილი 1926 წლის მწერალთა ყრილობაზე ვ. ბახტაძეს განუმარტავს (მოხსენების შემდეგ მას განმეორებით მოუხდა გამოსვლა), ფაქტობრივად, იმ კულტურპოლიტიკის დეკლარირებაა, რომელიც მოგვიანებით კ. გამსახურდიამ ასე ჩამოაყალიბა – „როცა ერი პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხდება, მან მთელი ენერგია კულტურული ფრონტისკენ უნდა მიმართოს“ –

ბოლშევიკებისთვის იმთავითვე მტრული და მიუღებელი იყო. თუ რატომ, ეს კარგად ჩანს ჟ. „ხელოვნების“ სარედაქციო წერილის ამ ამონაწერიდანაც: „...ჩვენი ქვეყნის აღორძინება ორი მიმართულებით ხდება; სოციალურისა და ეროვნულის. ერთი-მეორის განვითარებაა, პირველი უმეოროდ წარმოუდგენელი და უშინა-არსოა, და თუ მომავალ ცხოვრებისათვის ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ჩვენი დროის ეროვნულ კულტურის აღორძინების მთავარ ფაქტორად სწორედ ის რჩება. ქართული სტილი, კოლორიტი, ჰანგი... აი, რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ხელოვნება. და მშრომელი ხალხი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს მთელ ქვეყანას, არ შეიძლება ეხლავე არ ზრუნავდეს მის სიმდიდრეთა შენარჩუნება-გაფურჩქვნაზე. ამიტომ ხელოვნებას შემთხვევითი ჯგუფების ხელში ვერ დავტოვებთ (ხაზი ჩვენია – ნ. კ.). მარტო სახელმწიფო მასშტაბით შეიძლება დღეს მასზე ზრუნვა, მისი დაცვა, გამდიდრება...“ – ჟ. „ხელოვნება“, განახლებისათვის, პარი, 1921, №1). აქვეა დაბეჭდილი ვ. კოტეტიშვილის წერილი „შორელი“, რომელშიც ადრინდელი შემართება, თავისუფლებისა და სამართლიანობის მაძიებელი სულის ემოციურობით გაჯერებული მიზანდასახულობა სიფრთხილითა და გონიერებითაა შენელებული. მეტად საგულისხმოა ამავე კონტექსტში გასააზრებელი ორი წერილი („ახალი თარიღი“, „ნიადაგი ჩვენი ძიებისა“), რომლებიც 1923 წელს ასევე ხელისუფლებასთან დიალოგის მიღწევის მიზნით საგანგებოდ შექმნილ გაზეთ ივერიაში“ დაიბეჭდა (გამოვიდა სულ ორი ნომერი). ძნელია შექმნილი ვითარების არა მარტო შემოქმედებითად, არამედ რაციონალურად შეფასების უფრო დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენა. აქაც იგივე აზრი ტრიალებს. აქაც აქცენტირებაა „იდეისა, რომელიც ქართული კულტურის დაცვასა და ამაღლებას“

გულისხმობს. ამასთან ავტორის მიერ ზუსტადაა პროეცირებული მწერლობისა და ხელოვნების სამომავლო ამოცანები. ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „ეპოქის უპიროვნო სულის ასახვის წყურვილი აწვალებს ხელოვნების ეროსს“. საბოლოოდ გამოთქმულია რწმენა იმისა, რომ „უღელტეხილი დაიძლევა“, „ჩვენი ესთეტიური სულის საღმობანი“ კი ახალ ფორმებში გაცხადდება.

ვახტანგ კოტეტიშვილს, როგორც კრიტიკოსს, სახელი გაუთქვა ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის ავთენტურობის კვლევამ (წიგნში წარმოდგენილია კიდეც ამ საკითხის გარშემო გამართული პოლემიკის ნაკლებად ცნობილი მონაკვეთები, ნაწილი იქიდანაც, რაც შემდგომ დამუშავდა და საბოლოო ვარიანტად ჩამოყალიბდა). მისი ბრძოლა ყაზბეგის, როგორც ავტორის, უფლებების დაცვისთვის ძლიერ ნააგავდა იმ დაპირისპირებას კულტურასა და ცივილიზაციას შორის, რომელიც, ვ. კოტეტიშვილისავე დეფინიციით, პატრიარქალურ ხევსა და მისი სინმინდის ხელმყოფ გადამთიელებს შორის მიმდინარეობდა. ბოლშევიკებიც ხომ აქამდე არსებულის უპირობო ნაშლას და ნებისმიერ ფასად ახალი ცივილიზაციის, ანუ „სოციალისტური სამოთხის“ აშენებას აპირებდნენ. სამწუხაროდ, იმ ეტაპზე მათთან ბრძოლა დამარცხებისთვის იყო განწირული, მაგრამ ვ. კოტეტიშვილი, თავისი მხნეობისა და ოპტიმიზმის გამო, დანებებაზე, ე. ი. უმოქმედობაზე ნაკლებად ფიქრობდა. იმავე პერიოდში იგი აქვეყნებს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეულს (1925-27), რომელიც პროლეტარული მწერლობის ბანაკში უკმაყოფილებას იწვევს: ზედმეტად იდეალიზებული ჰყავს რეაქციონერი მწერლებიო. სინამდვილეში ამ ნაშრომს არა მარტო შემეცნებითი ღირებულება ჰქონდა, არამედ იგი კულტურული მეხსიერების გადამრჩენის

ფუნქციასაც ითავსებდა. სტალინიზმის უმძიმეს წლებში, და მოგვიანებითაც, ვ. კოტეტიშვილის სამტომეული დეზორიენტირებული საზოგადოებისთვის (განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისთვის) შეუცვლელი გზამკვლევი აღმოჩნდა.

ქართული მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკისა და თეატრისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებიც ჩვენი გამოცემის პირველ ნაწილში მოვათავსეთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელოვნებისადმი ვ. კოტეტიშვილის მაღალპროფესიულ დამოკიდებულებას. ვ. კოტეტიშვილი, წარმოდგენილი წერილების მიხედვით, მომავლის – ფორმით მოდერნისტული, შინაარსით კი სინთეტური – ხელოვნების პერსპექტივას განიხილავდა. სწორედ ისე, როგორც ეს მწერლობის მიმართ იყო ჩაფიქრებული. დამწყებ მხატვართა მომავლის ვ. კოტეტიშვილისეული პროგნოზირება ყოველთვის ზუსტია, რადგან მაღალი პროფესიონალიზმითა და ასეთ ვითარებაში შეუცვლელი ინტუიციითაა ინსპირირებული.

რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს პუბლიცისტურ წერილებს, ისინი ავტორის დიდი მოქალაქეობრივი პათოსის, გნებავთ, თამამი აზროვნებისა და კეთილსინდისიერების დეკლარირებაა. ეს თვისებები კი ყველა დროის პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი იმდროინდელი ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელ ტრაგიკულ გადაცდომებში, საუკეთესო მრჩეველბად ვერ გამოდგებოდა. ერთიც უნდა ითქვას, ქრონოლოგურად განლაგებული ეს მასალა კარგად ავლენს ვ. კოტეტიშვილისა და მისი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა პოლიტიკურ რომანტიზმს, რწმენას მოვლენათა ლოგიკური განვითარებისადმი, იმისადმი,

რომ ეგზალტირებული ლუმპენიზებული მასები ერთპიროვნულად ვერ გადანყვეტენ ქვეყნისა და მისი კულტურის ბედს. 10-20-იანი წლების პერიოდული პრესის ფურცლებზე გაბნეული პუბლიცისტური წერილები, სამწუხაროდ, სრულად არ არის წარმოდგენილი იმ მიზეზის გამო, რომ ხშირად ისინი ხელმიუწვდომელი, ან სიძველისაგან შელახული აღმოჩნდა. იმავეს ვიტყვით დანარჩენი პუბლიკაციების შესახებ. თუმცა იმის თავმოყრა, რაც შევძელით, ერთსა და იმავე დროს დავვიანებულიცაა და დროულიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქმის სამომავლოდ გადადება უკვე შეუძლებელი იყო.

ჩვენი მიზანია ვ. კოტეტიშვილის, როგორც პირველხარისხოვანი ფოლკლორისტის სახელს, მეტი არგუმენტაციით შეემატოს მისი როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის, ახალი ესთეტიკის შემქმნელის და პუბლიცისტის სახელი. ამასთან, ვფიქრობთ, რომ წერილები ხელოვნების შესახებ უფრო რეალისტურსა და არგუმენტირებულს გახდინან კულტურის ამ სფეროშიც მის მიერ შეტანილი წვლილის ხარისხსა და მნიშვნელობას. ყველა შემთხვევაში თქვენ წინაშეა ვ. კოტეტიშვილის წერილების რეპუბლიკაციის იმგვარი ცდა, რომელშიც განმსაზღვრელი ავტორის ნებაა და არა რაიმე სახის კონიუქტურა. იმედია, ეს წიგნი ხელს შეუწყობს საინტერესო და წინააღმდეგობრივი დროის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართველი მოღვაწის ნააზრევის ჩვენს ყოველდღიურ ლიტერატურულ მიმოქცევაში დაბრუნებას. ჩვენ მხოლოდ ბიძგს ვაძლევთ ამ ნაწერებს, გზას კი ისინი თავად გაიკვლევენ.



გუბაზ მეგრელიძე

წოთის თეატრალური ფესტივალი

უკვე მესამე წელია, რაც ზედიზედ ტარდება რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი. ოცდასამი სპექტაკლიდან ქართულმა თეატრმა თექვსმეტი დადგმა წარმოადგინა, რომელთა შორის შვიდი ქართული დრამატურგიის მიხედვით იყო შექმნილი. ეს მაჩვენებელი ცუდი არ არის, მაგრამ შარშან ეროვნული ნაწარმოებები (თვრამეტი სპექტაკლი) უცხოურს აჭარბებდა. ფესტივალი მნიშვნელოვანია იმით, რომ რეგიონულ თეატრებს საშუალება ეძლევათ, თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები წარუდგინონ როგორც მაყურებელს, ასევე თეატრმცოდნეებს, რომელთაც ყოველთვის არ ეძლევათ საშუალება, ასეთი რეტროსპექტივით ნახონ და შეაფასონ ქართული თეატრების ნამუშევრები, გაერკვნენ კოლექტივების შემოქმედებით მეთოდოლოგიაში. ეს ფორუმი ხელს უწყობს შემოქმედებითი კოლექტივების დაახლოებას, ზრდის უცხოელი სპეციალისტების მიერ შერჩეული საუკეთესო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალებზე გატანის შესაძლებლობას. მით უმეტეს, ამ ფორუმს ესწრებოდნენ სხვადასხვა ფესტივალის დირექტორები მოლდოვიდან, ბელორუსიდან, პოლონეთიდან და ირანიდან. გარდა ამისა, შეიქმნა სპექტაკლები სხვადასხვა

თეატრის მსახიობების მონაწილეობით, რაც ამ ფესტივალის დამსახურება და ნოვაციაა.

თეატრმცოდნეები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია სპექტაკლების წინასწარი შერჩევა, რაც აამაღლებს ფესტივალის მხატვრულ დონესა და მნიშვნელობას, ვინაიდან ზოგიერთმა თეატრმა საკმაოდ სუსტი ნამუშევარი წარმოადგინა. ეს გამოათავისუფლებს დატვირთულ გრაფიკს, ვინაიდან დღეში სამი სპექტაკლის ნახვა რთულია და ეს დრო შეიძლება უფრო სასარგებლო საქმეს მოხმარდეს, მაგალითად, ქართველ დრამატურგებთან სემინარებს, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული დრამატურგიის განვითარებას. შეიძლება ამ საუბრების დროს რეჟისორმა დრამატურგს პიესის დაწერა შესთავაზოს მისთვის საინტერესო თემაზე ანდა, ვთქვათ, დაინტერესებულმა კოლექტივმა მიიწვიოს ესა თუ ის მსახიობი ან რეჟისორი. აგრეთვე, დაისვა საკითხი, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ბოლო სეზონის სპექტაკლი, ვინაიდან ზოგიერთმა თეატრმა გასული სეზონების ნამუშევრები წარმოადგინა, რაც დასის დღევანდელი მდგომარეობის შეფასების საშუალებას არ იძლევა. ფესტივალზე ორი პრემიერა შედგა, რაც მისასალმებელია და სა-

სურველია, თეატრებმა ეს ტენდენცია გაითვალისწინონ.

ფესტივალში მონაწილეობდნენ უკრაინის, პოლონეთის, რუსეთისა და ირანის თეატრები. უნდა აღინიშნოს, რომ გაუმართლებელი აღმოჩნდა ირანიდან სამი კოლექტივის მონაწილეობა, რომელთა მხატვრული დონე არცთუ ისე მაღალი იყო და არც დიდად საინტერესო მოვლენასთან გვექონია საქმე. აჯობებდა, რომელიმე ორი სხვა ქვეყნის თეატრის მონაწილეობა, რაც უფრო გაამრავალფეროვნებდა ფესტივალს.

საინტერესო მოსაზრებები გამოთქვას სტუმრებმა. **ეკატერინე სოლოდუხა** (სტუდენტურ-ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი): „ხუთი წლის წინათ ჩვენ გვექონდა რეჟისორთა გაცვლის პროგრამა. ასე დაინიშნა ჩვენი ურთიერთობა ფოთის თეატრთან. მესამე წელია, ამ ფესტივალში უცვლელად ვმონაწილეობ. პირველი ფესტივალი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო, რადგან აქ ბევრი საინტერესო სპექტაკლი ვნახე. შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი ვითარდება, ჩნდება მეტი უცხოური სპექტაკლი. გარკვეული შეკითხვები სპექტაკლების შერჩევას უკავშირდება. ვფიქრობ, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უცხოურ თეატრებს. თოთხმეტი წელია, ფესტივალს ვხელმძღვანელობ მინსკში და შემიძლია ვთქვა, რომ ბელორუსში რეგიონული თეატრები ისე განვითარებული არ არის, როგორც თქვენთან. საქართველოში მეტი რეგიონული თეატრია. ასამაღლებელია მონაწილეობის სპექტაკლების მხატვრული დონე, გასათვალისწინებელი და დასახვეწია სუბტიტრები თარგმნის ტექნიკური მხარე. მით უმე-

ტეს, როდესაც აქ არიან სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალის, თეატრების დირექტორ-მენეჯერები. ორგანიზება უნდა გაეწიოს მაყურებელთა დასწრებას ახლომანოვან დასახლებებიდან. მინდა, წარმატება ვუსურვო ფესტივალს, სადაც მეგობრული და პროფესიული ატმოსფეროა“.

ვლადიმერ მაკარევიჩი (ბელორუსის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ბელორუსის უნივერსიტეტის კულტურის სამმართველოს უფროსი, თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორის თანამდებობაზე): „კარგია, რომ ფესტივალი რეგიონში ტარდება. თეატრები სპეციალურად ემზადებიან თავიანთი ხელოვნების საჩვენებლად. ყველამ იცის, რომ ფესტივალს ესწრებიან თეატრალური სამყაროს წარმომადგენლები და ცნობილი ქართველი კრიტიკოსები. საქართველო თეატრალური ქვეყანაა, სადაც ბევრი რეგიონული თეატრია. კარგია, რომ თეატრი ყოველ ქალაქში არსებობს, თუმცა მუშაობა რთულ პირობებში უნევთ და ეს ფესტივალი მათთვის დიდი ნახალისებაა. ორგანიზატორებმა წელს სამი ირანული თეატრი მოიწვიეს. საკითხავია, რა მიზანს ემსახურება ასეთი შერჩევა. უმჯობესია, აქცენტი გაკეთდეს ევროპის სხვა თეატრებზე. თუ ჩვენს თავს თავად არ მივხედავთ, სხვა არავინ დაგვხედავს. ასეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და



ევროპის ქვეყნებში, თუმცა იქ გრანტების მიღების მეტი შესაძლებლობებია“.

ფესტივალი გაიხსნა ოზურგეთის თეატრის სპექტაკლით „ბოშები“, რომელიც რეჟისორ გიზო ჟორდანიას ბოლო დადგმა აღმოჩნდა. ნ. დუმბაძის „ბოშები“, „ჰელადოსთან“ ერთად, არაერთ თეატრში დაიდგა. ინსცენირების ავტორმა და რეჟისორმა გ. ჟორდანიამ კი თავისებური ვერსია შესთავაზა მაყურებელს, სადაც მხოლოდ ერთი მოთხრობის გმირების ცხოვრებაა წარმოდგენილი. ბატონი გიზოს თქმით, „ოზურგეთი... ის ქალაქია და მისი დრამატული თეატრი ის განსაკუთრებული ერთეულია, სადაც შემოქმედებითი ცხოვრება მაღალი იდეალებით სუნთქავს“. სწორედ ამ აზრის გამოსახატავად მიმართა რეჟისორმა პროლოგსა და ეპილოგში გალაკტიონის „გურიის მთებს“. აქ ჩანს ის პოეტური გაქანება, იმ ადამიანთა სამყარო, რომელთაც რომანტიკისა და სიყვარულის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ (აუცილებლად აღსანიშნავია უხუცესი მსახიობის, გაბრიელ მდინარაძის მონაწილეობა, რომელიც თავისებურ ელფერს მატებს ამ სცენებს). ეს განწყობა გასდევს სპექტაკლს ლაიტმოტივად. შემდგომ სცენაში გმირები უკვე სამუშაო გარემოში არიან – ყანის თოხნისას მღერიან კოლორიტულ გურულ სიმღერებს, მოგვიანებით კი დიალოგებსა და ურთიერთობებში ვლინდება, როგორ ებრძვიან ეს ადამიანები ომის მძიმე გაჭირვებას ურთიერთთანადგომით, მორალური გამძლეობითა და ოპტიმიზმით, რასაც გურული იუმორი ამყარებს. ამ გარემოში იკვეთება ქალთა: ეფროსინეს (ბ. კიკვაძე), ქსენიას (შ. გვეტაძე), ნინას (თ. მდინარაძე), ელისაბედის (ზ. თოთიბაძე) და ანას (თ. კეჭაყმაძე) სახეები. მათ არც იუმორი აკლიათ და არც დრამატული განცდა. ამდენად, გმირთა სამყარო მრავალმხრივად და საინტერესოდ ნარმოდგენილი. რეჟისორმა ყურადღება გაამახვილა მილიციულ კიკიტასა (ზ. ჯინჭარაძე) და ნინას (თ.

მდინარაძე) პირად ურთიერთობებზე, რაც სხვა დადგმებში არ გვხვდება. მსახიობი ზ. ჯინჭარაძე გმირის სახეში (ის თანასოფლელებს თვალში არ მოსდით) გამოყოფს კიკიტას გრძნობებს ქვრივი ნინასადმი, რითაც აჩვენებს, რომ, თავისი მოვალეობის შესრულების გარდა, ისიც მგრძნობიარე მამაკაცია და გულმხურვალე სიყვარულიც შეუძლია. თ. მდინარაძის ნინას კი ტრადიციები, ერთგულების უნარი და თავმოყვარეობა აკავებს – მას ქმრის ომიდან დაბრუნების იმედი არ დაჰკარგვია და კიკიტას გრძნობებს არ იზიარებს.

სპექტაკლს კოლორიტულ ელფერს აძლევს მსახიობ ო. ურუშაძის მიერ განსახიერებული ლევარსისა და მისი მეგობრების (ნ. ბარამიძე, ჯ. კეჭაყმაძე, თ. კვირკველია) გურული სიმღერები და გულწრფელობით შექმნილი გლესთა სახეები. გმირთა განწყობას ასევე ზუსტად გამოხატავენ: გ. დოლიძე (ნოდარი), გ. ნიკოლაიშვილი (როლანდი), ლ. სალინაძე (კამო), ა. ლომიძე (დაზმირი). საკმაოდ რთულია ბოშათა სახეების განსახიერება, რადგან აქ ჩნდება ზომიერებისა და რეალობის შეგრძნების დაკარგვის საფრთხე. მსახიობებმა შეძლეს, გმირთა ლალ ბუნებაში შეენარჩუნებინათ ინდივიდუალური ხასიათები: მიშას (ი. ვადაჭკორია) ეჭვიანობა და თავმოყვარეობა, ოქსანას (ა. გოდერძიშვილი) უნარი, დააიმედოს შვილმკვდარი დედა. ბოშათა გუნდის ცეკვა-სიმღერებს ასრულებენ და შესაბამის განწყობას ქმნიან სხვადასხვა თაობის მსახიობები: მ. ავაქიანი, ნ. ბასილაშვილი, ლ. მარტიაშვილი, მ. ქვეთაია, ვ. ხუხუნაიშვილი, მ. ხანთაძე, ნ. ჯუღელი, ზ. ჯორბენაძე, ვ. ჩხარტიშვილი. ფინალური სცენაც ამაღელვებელია თავისი ემოციური განწყობით, როდესაც ქურდობით აღშფოთებული თანასოფლელები ბოშებს დაედევნებიან, შემდეგ კი მათ გადასარჩენად უარს ამბობენ თავიანთ უკანასკნელ სარჩოზე. აქ ჩანს ამ

ადამიანთა მაღალი ზნეობა, გულკეთილობა და კაცთმოყვარეობა. როდესაც გაგულისებული კიკიტია გადაწყვეტს (რომელსაც ნალდი საქმე ჩაუშალეს), სოფელში ფეხით დაბრუნდნენ, ისინი ამაზეც დაეთანხმებიან, ოღონდ პირადი ღირსება არ შეიბღალონ.

სპექტაკლში შეინიშნება გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, ყოველგვარ რეალობას მოკლებულია გურული ქალების მიერ ამერიკული „ბუგი-ბუგის“ ცეკვა, რომელიც მათ გაგონილიც არ ექნებოდათ და ნ. დუმბაძისეული სამყაროსთვის სრულიად უცხოა. გასაგებია, რეჟისორს სურდა გრძნობასთან მუდმივ ჭიდილში მყოფი ქალების ნუთიერი თავისუფლების შეგრძნების ჩვენება, მაგრამ სპექტაკლისთვის არაბუნებრივი აღმოჩნდა. გ. ტოვსტონოგოვის „ხოლსტომერის“ ასოციაციებს ინვეს ბოშათა ბანაკის ურმით სცენაზე შემოსვლისას ცხენის ფიგურა, რომელიც მოქმედებასთან დაუკავშირებლად გამოიყურება. თუმცა ეს მცირედი შენიშვნები სპექტაკლის მხატვრულობას ბევრს ვერაფერს აკლებს.

დმანისის ზ. კვერენჩილაძის სახ. სახელმწიფო თეატრმა ო. ბალათურიას ინსცენირებითა და დადგმით წარმოადგინა სპექტაკლი „ჭურში“. ამ თეატრს

არც მუდმივი დასი და არც სათანადო ბიუჯეტი არ გააჩნია. დასი ყოველ სპექტაკლზე მოწვეული მსახიობებით კომპლექტდება. ამ მხრივ იგი სახელმწიფო თეატრის სტატუსს ვერ აკმაყოფილებს და საჭიროა სათანადო ზრუნვა, თუ გვინდა, ამ რეგიონში ქართული სიტყვა მძლავრად ისმოდეს.

სპექტაკლი „ჭურში“ რეჟისორმა ოთარ ბალათურიამ ქართულ ფოლკლორზე დაყრდნობით შექმნა. ეს არის პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მიხედვით აგებული კომპოზიცია, სადაც სიუჟეტური განვითარებით ერთმანეთს ენაცვლება სიმღერა, ლექსი და ცეკვა. მოქმედება თანადროულობიდან ისტორიულ წარსულში გადადის და უკანვე ბრუნდება, რაც წარმოაჩენს ქართველი ერის გმირულ წარსულს, პატრიოტულ სულისკვეთებას და სადღეისოდ ამ ეროვნული სულის დაკნინებას. აქ ერთმანეთს ენაცვლება მშვიდობიანი ცხოვრების დროს სიყვარული, შრომა, სიმღერა, დროსტარება და საბრძოლო ეპიზოდები, სადაც ჩანს ქართველი კაცის ბუნება, ადათ-წესებისადმი პატივისცემა, დაღბინებისა თუ შეჭირვების ჟამს ქედუხრელობა და მომავლის რწმენა.

ეს სპექტაკლი რამდენიმე წლის წინ



ნათ ო. ბალათურამ ახმეტელის თეატრში დადგა. ამ ახალ დადგმაში თვალში საცემია სცენოგრაფ ა. ჭელიძის კონცეფცია. სცენაზე ვხედავთ ჭურს, მარჯვნივ – მრგვალ მაგიდასა და სკამს, ავანსცენაზე ტარამდე ჩაფლული ხმალი და მის მოპირდაპირედ ჯვარზე ჩამოცმული აბჯარი მოჩანს. არ არის მხოლოდ ციხის უკანა პანო. გაუგებარია, რატომ მიენერა ეს გადანყვეტა მაია სხირტლადეს?!
ჭურის ფორმის რესტორანში მოქეიფენი დროს ატარებენ. მათი ღრეობით გაბეზრებული ოფიციატები სულმოუთქმელად ელიან სუფრის დაშლას. ამ დროს თანამეინახეებს ხელსახოცები შემოაკლდებათ. მედუქნე ნიგნიდან ამოხეულ ფურცლებს მიანვდის. ამით შეურაცხყოფილი მთვრალი სუფრის ნევრები ოფიციატებს დავას დაუნყებენ. შეშინებული რესტორნის მედუქნე რ. ბალაშვილი მათ დაწყნარებას შეეცდება და ყურადღებას გაამახვილებს ფურცლებზე დანერილ „ბრძოლ აზრებზე“. მათ ხელში აღმოჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. საქართველოს აღწერილობის ზოგიერთი ფრაგმენტის ამოკითხვის შემდეგ თანამეინახენი ჯერ ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, მერე კი პატრიოტული განწყობა ეუფლებათ და აღმოხდებთ: „ეს რა მშვენიერი ქვეყანა გვექონია“ და იწყებენ სახელოვანი წარსულის გაცოცხლებას. ამ დროს დუქნის მომსახურე პერსონალი უნდა აფასებდეს ისტორიულ მოვლენებს და მაშინ ამ ეპიზოდებში მათი მონაწილეობა ბუნებრივი გამოჩნდებოდა.

იწყება წინაპართა ცხოვრების გათამაშება. ამ სასიყვარულო კაფიობაში მსახიობები ნ. სამანიშვილი და ბ. თურმანიძე ცდილობენ სასიყვარულო ურთიერთობის გამოხატვას, რასაც ნაწილობრივ ახერხებენ. ნ. სამანიშვილი უფრო გამომსახველად აღწევს გრძნობების ჩვენებას, ვიდრე ბ. თურმანიძე. ამ სცენას მოსდევს მათი მშობლების გაშაირება, რომლებიც შვილების ინტერესებს იცავენ. სწორედ ამ დროს იპარებიან მათი შვილები, რასაც ქორწილი მოსდევს – ნეფე-პატარძალი ცეკვავს. ამ შემთხვევაში მხოლოდ პატარძალია ხევსურულ კოსტიუმში, სხვებს თანამედროვედ აცვიათ, რაც სპეატაკლის გადანყვეტის პრინციპს განსაზღვრავს, სადაც წარსული და თანადროულობა ერთმანეთშია გადაჯაჭვული. სიძეს ორკაპს აძლევენ, პატარძალს – ცოცხს და იწყება მათი ყოველდღიური ცხოვრება, სადაც შრომა სიყვარულისკენ სწრაფვას ზღუდავს. ამიტომაც იპარებიან ამ საწყაულის ასავსებად. ამ ურთიერთობას აკლია ის ხალხური იუმორი, რაც დამახასიათებელია ასეთი ურთიერთობებისთვის. ისმის გრუხუნი – ომი დაიწყო. მსახიობები: კ. მჭავია, ნ. კვანტალიანი, ვ. მანძულაშვილი, რ. ნავაძე პატრიოტულ, ომის თემაზე შექმნილ ლექსებთან ერთად, წარმოადგენენ ბრძოლის სცენებს. უკან განლაგებული სტენდიდან ხმლებსა და აბჯრებს იღებენ და საომრად ემზადებიან. აღსანიშნავია, რომ მსახიობები პატრიოტულ ხალხურ ლექსებს მთლად გამართულად ვერ კითხულობენ. მათში არ ჩანს ექსპრესია, მამულისადმი სიყვარული და ბრძოლის ჟინი – უფრო „ნეიტრალურ პოზიციაზე“ დგანან. ბრძოლის დამთავრების სცენაც არ არის სათანადოდ მომზადებული, რადგან გმირებს ისეთი განწყობა აქვთ, თითქოს სანადიროდ ყოფილიყვნენ და კვლავ დუქანში სხდებიან. ამ დროს თოფის ხმას ბიჭის დაბადების ამბავი მოსდევს და დედას სცენაზე აკვანი გამოაქვს. ყველანი აკვანს შემოეხვევიან და იავნანას მღერიან, რაც მომავლის სიმბოლოდ უნდა აღიქმებოდეს, მაგრამ, უფერულობის გამო, რეჟისორული ჩანაფიქრი მიზანს ვერ აღწევს. ამასობაში მკათათვეც დამდგარა. ისმის სიმღერა „გლე-

ბების ჩვენებას, ვიდრე ბ. თურმანიძე. ამ სცენას მოსდევს მათი მშობლების გაშაირება, რომლებიც შვილების ინტერესებს იცავენ. სწორედ ამ დროს იპარებიან მათი შვილები, რასაც ქორწილი მოსდევს – ნეფე-პატარძალი ცეკვავს. ამ შემთხვევაში მხოლოდ პატარძალია ხევსურულ კოსტიუმში, სხვებს თანამედროვედ აცვიათ, რაც სპეატაკლის გადანყვეტის პრინციპს განსაზღვრავს, სადაც წარსული და თანადროულობა ერთმანეთშია გადაჯაჭვული. სიძეს ორკაპს აძლევენ, პატარძალს – ცოცხს და იწყება მათი ყოველდღიური ცხოვრება, სადაც შრომა სიყვარულისკენ სწრაფვას ზღუდავს. ამიტომაც იპარებიან ამ საწყაულის ასავსებად. ამ ურთიერთობას აკლია ის ხალხური იუმორი, რაც დამახასიათებელია ასეთი ურთიერთობებისთვის. ისმის გრუხუნი – ომი დაიწყო. მსახიობები: კ. მჭავია, ნ. კვანტალიანი, ვ. მანძულაშვილი, რ. ნავაძე პატრიოტულ, ომის თემაზე შექმნილ ლექსებთან ერთად, წარმოადგენენ ბრძოლის სცენებს. უკან განლაგებული სტენდიდან ხმლებსა და აბჯრებს იღებენ და საომრად ემზადებიან. აღსანიშნავია, რომ მსახიობები პატრიოტულ ხალხურ ლექსებს მთლად გამართულად ვერ კითხულობენ. მათში არ ჩანს ექსპრესია, მამულისადმი სიყვარული და ბრძოლის ჟინი – უფრო „ნეიტრალურ პოზიციაზე“ დგანან. ბრძოლის დამთავრების სცენაც არ არის სათანადოდ მომზადებული, რადგან გმირებს ისეთი განწყობა აქვთ, თითქოს სანადიროდ ყოფილიყვნენ და კვლავ დუქანში სხდებიან. ამ დროს თოფის ხმას ბიჭის დაბადების ამბავი მოსდევს და დედას სცენაზე აკვანი გამოაქვს. ყველანი აკვანს შემოეხვევიან და იავნანას მღერიან, რაც მომავლის სიმბოლოდ უნდა აღიქმებოდეს, მაგრამ, უფერულობის გამო, რეჟისორული ჩანაფიქრი მიზანს ვერ აღწევს. ამასობაში მკათათვეც დამდგარა. ისმის სიმღერა „გლე-

სავ და გლესავ, ნამგალო“. თუ აქამდე სიუჟეტი ლოგიკურად ვითარდება, შემდგომ სცენებში: „შამამეყარა ყიფჩალი“, ჯიხვებზე ნადირობა და „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ მოქმედებიდან ამოვარდნილია. გასაგებია, რომ ამით ო. ბალათურის უნდოდა ოჯახის პატივისცემის, ვაჟკაცობის ჩვენება, მაგრამ ისინი ლოგიკურად არ ებმიან არც წინა და არც შემდგომ სცენებს.

ამას მოსდევს სიმღერა „შემოდგომა შემოსულა გიორგობის თვეო“ – ყურძნის კრეფის, დანურვისა და დაღვევის დრო მოსულა. კვლავ გრგვინვა და ომის დაწყება... ირონიულ რეპლიკაში: „ამ შაჰ-აბასმა ხო შაჰამა ტვინი“ ჩანს ქართველთა დამოკიდებულება ომისადმი, რაც ყოველდღიურ მდგომარეობად აღიქმება. ხორუმის ცეკვაც, რომელიც გასროლის გამო ჩერდება, ბრძოლის განსახიერებაა, ერთი მოცეკვავე დაიჭრა და ამ ეპიზოდის ტრაგიკულობას ხაზს უსვამს ლექსი „დედავ, დედავ რაო“. მას ომში დაღუპულ გმირთა სადიდებელი ჰიმნის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ისმის სირენისა და დაბომბვის ხმები. სიმღერა „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია“ ქართველთა ბოლო, 2008 წლის რუსეთთან ომის ირონიული წარმოსახვაა და გაკვირვება: „ასე მალე დამთავრდა?“ „მოვიგეთ თუ წავაგეთ?“ „ახლა რა ვქნათ?“ კონტრასტულად გვიჩვენებს პატრიოტული სულის დაკნინებას, მტერთან ვერგამკლავებას. მართლაც, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მთავრდება ეს გაურკვეველი ომი. ამიტომაც გმირები დაბნეულნი და გაკვირვებულნი არიან, არ იციან, რა ქნან და გამოსავალს ჭურში საქეიფოდ ჩახხდომაში ხედავენ.

სპექტაკლს ეტყობა, რომ ნაჩქარევად არის დადგმული და მსახიობებისთვის აშკარად საკმარისი არ აღმოჩნდა ჩატარებული რეპეტიციები.

ზესტაფონის თეატრმა მ. ბულგა-

კოვის „ძალის გული“ წარმოადგინა. ინსცენირების ავტორისა და რეჟისორის, მამუკა ცერცვაძის ჩანაფიქრით, სპექტაკლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს დაანახოს, რაოდენ პასუხისმგებელია იგი საკუთარ ქმედებებზე, იქნება ეს პირად თუ საზოგადოებრივ მოვლენებთან დაკავშირებული. მ. ბულგაკოვმა პოლიტიკური სატირა დაწერა თავისი დროის მოვლენებზე, პროტოტიპებად პოლიტიკური მოღვაწეები ჰყავდა და აქედან გამომდინარე, სპექტაკლის ირონიული დამოკიდებულება ნამყვან ლაიტმოტივად უნდა ქცეულიყო. ქართულ ნიადაგზე გადმოტანილ ამ ნაწარმოებს დღევანდელი საქართველოს ყოფა უნდა წარმოეჩინა. ავტორმა ხომ ის მოუნწესრიგებელი ვითარება, არეული პერიოდი აღწერა, როცა „ძალის პატრონს ვერ ცნობდა“ სოციალიზმის დროს, ხოლო ახლანდელი დემოკრატიის პირობებში რამდენად უკეთესი გახდა ცხოვრება? ალბათ, ამ კითხვაზე უნდა გაცემულიყო პასუხი.

სპექტაკლი ასეთ ასოციაციებს არ აღძრავს და უფრო ნაწარმოებისეულ სიუჟეტს მიჰყვება. პირველი მოქმედება წარმოადგენს ექსპოზიციას შემდგომი მოქმედებისთვის. აქ თავს იყრის პირველადი ინფორმაცია გმირთა შესახებ. ნაჩვენებია მანანწალა ძალლი-თოჯინას მშვიერი და გაუსაძლისი ცხოვრება, რომელსაც პროფესორი სახლში წაიყვანს. ხაზი ესმება მის თბილ, კაცთმოყვარე დამოკიდებულებას ცხოველისადმი. შემდგომ ვხედავთ პროფესორის ბინაში მოსულ პაციენტებს, რომლებიც ოპერაციისთვის ემზადებიან და ფულს ტოვებენ. მსახიობები ბადრი ტაბატაძე (პიოტრ ალექსანდროვიჩი) და მარეხ აბესაძე (პაციენტი ქალი) ეპიზოდურ პერსონაჟებს იუმორით წარმოგვიდგენენ. მათში ჩანს გაახალგაზრდავების სურვილი, მიზანსწრაფვა და მოუთმენლად ელიან ოპერაციას, რისთვისაც სახსრებს არ იშურებენ. პროფესორი

პრეობრაჟენსკი (გიორგი გლოველი) გატაცებულია ახალი იდეით. ემზადება ოპერაციისთვის, იწვევს კონსილიუმს, აკეთებს ოპერაციას და იღებს უჩვეულო შედეგს – ძალი ადამიანად გადაიქცევა, ლაპარაკობს და ცეკვავს. მსახიობი უფრო ამ პროცესითაა გატაცებული და არა გმირის ხასიათის განვითარებით, მისი ემოციებისა და შეფასებების ჩვენებით. პირველი მოქმედება დუნედ, ერთფეროვნად მიმდინარეობს. ზედმეტია მოახლისა და შვეიცარიის სასიყვარულო სცენა. აგრეთვე, ძველი რუსული ფილმიდან „ძაღლის გული“ კადრების ჩვენება, რაც მოქმედებას ბევრს არაფერს მატებს.

მეორე მოქმედება იწყება გაადამიანებული ძაღლის – შარიკოვის ყოველდღიური ცხოვრების ჩვენებით. მსახიობი ნიკოლოზ კობახიძე წარმოგვიდგენს ლოთ და სულელ ადამიანს, რომელიც ცხოველური ინსტინქტებით ცხოვრობს, შეურაცხყოფას აყენებს გარშემოყოფთ, ძაღლურად ლოკავს თეფშს და არაყს ეძალება. სწორედ ეს თვისებებია წამოწეული და არა მთავარი – მისი აზროვნების პოლიტიზება, როდესაც ენგელსისა და კაუცკის მიმონერის კრიტიკით საშიშროებას უქმნის

პროფესორს. აქაც, სიტუაციის შესაფასებლად, ირონიული დამოკიდებულების ჩვენებაა აუცილებელი ქვეტექსტის ამოსაკითხად – როცა რევოლუციური სიტუაცია ხელს უწყობს ცხოველთა გაადამიანებასა და საზოგადოებასთან მათ ინტეგრაციას. შექმნილი სიტუაციით დათრგუნვილი პროფესორი და მისი ასისტენტი ბორმენტალი (ზურაბ აბესაძე) არაყს სვამენ და გარკვეულწილად მათ პაციენტს ემსგავსებიან. ისინი შემოფოთებულები არიან, რომ ნაზი ძაღლისაგან არამზადა ადამიანი შექმნეს. გ. გლოველის პროფესორი ამ ამბავს განიცდის. ემოციურად საუბრობს ბორმენტალთან, შარიკოვივით ცეკვასაც იწყებს. ორივე აცნობიერებს, რომ საშინელი და სახიფათო არსება შექმნეს. შარიკოვი სამსახურში ეწყობა და ქვეგანყოფილების უფროსიც ხდება. აქაც ირონიული პასაჟებია საჭირო ავტორისეული ქვეტექსტების ამოსაკითხად – თუ რა „ადამიანები“ აღწევენ თანამდებობრივ წინსვლას. შარიკოვი ცოლსაც ირთავს და პროფესორის სახლიდან გადდებასაც ცდილობს. აღშფოთებული პრეობრაჟენსკი მას საოპერაციო მაგიდაზე აწვენს და ისევ ძაღლად აქცევს, რის შემდეგაც აუტანელი შარიკოვი კვ-



ლავ საყვარელ შარიკად გადაიქცევა და პროფესორიც ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება. რეჟისორული მეტაფორები, აქტიორული იმპროვიზაცია და ტრაგიკომიკურობის განცდა მაყურებელს ფიქრის საშუალებას უნდა უტოვებდეს, რის შესაძლებლობასაც ეს სპექტაკლი ნაკლებად გვიჩენს.

ფესტივალზე სენაკის თეატრმა დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორების“ პრემიერა გამართა. ინსცენირების ავტორმა და რეჟისორმა კახა გოგიძემ სპექტაკლს გამოკვეთილი პოლიტიკური ელფერი მისცა. სცენაზე ვხედავთ დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟებს, რომლებიც შემდგომ რუსი ჩინოვნიკის სუფრად გადაიქცევა (სცენოგრაფები: ლ. ფერაძე, ე. გეგენავა). აღსანიშნავია ისიც, რომ გმირებს თანამედროვე კოსტიუმები აცვიათ და ეს პრობლემის აქტუალობას ამძაფრებს. მხოლოდ რუსი ჩინოვნიკია სამხედრო ფორმაში, რაც ყოველთვის გამომხატველი იყო რუსეთის სამხედრო ინტერესებისა. სპექტაკლი დაუფარავად მიანიშნებს, სხვის ეზოში ღორების შემოჭრასა და მის გაჩანაგებას ვილაცა ამზადებს. დღეს რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების მცოცავი ოკუპაცია აჩანაგებს საქართველოს, განმკითხავი და მშველელი არავინაა. ღორების დასაშინებლად მოსული ჩინოვნიკები, რომელი ქვეყნიდანაც უნდა იყვნენ ისინი, პრობლემას ვერ გადაწყვეტენ – ეს მხოლოდ „ეზოს პატრონის“ ძალისხმევითაა შესაძლებელი.

გალაკტიონი (ე. ნოდარიძე) საწყალი, დამყოლი ხასიათის კაცია, რომელიც ცდილობს, არ აჰყვეს კაპას ცოლს, საფიქრალად ქცევია მეზობლის ღორების შემოტევა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს. კონკრეტული ქმედებისკენ მას ცოლი, ზენათი უბიძგებს თავისი აქტიურობით. მსახიობი ეკა კოლუა ქმნის სოფლელი ქალის კოლორიტულ ტიპაჟს, რომელიც ემოციური და ტემ-

პერამენტიანი, მეუღლეს აიძულებს თავის ნათესავ შაშასთან მისვლას. ე. ნოდარიძის პერსონაჟსაც სხვა გამოსავალი აღარ დარჩენია, ვინაიდან ზენათის ჩხუბმა გამოსავლის ძიებისკენ უბიძგა და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. იგი იმ ქართველ ჩინოვნიკთა პროტოტიპია, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით, ცრუმოსაქმეობით ხელს უწყობენ ბაკულას თუ პუტინის ღორების განუკითხავ, ამაოხრებელ თარეშს.

გალაკტიონი თავისებურად, გაკვირვებითა და მოწონებით აფასებს მაზრის სამმართველოს თარჯიმნის კაბინეტს. ზ. ზურაბაშვილის შაშა გაქნილი ავანტიურისტია, რომლის კომფორტული კაბინეტისა და კოჰნია ჩაცმულობის უკან პროფესიონალი თაღლითი იმალება. გალაკტიონი მას სანერ მაგიდასთან, მოჩვენებით სამუშაო პროცესში ხედავს. შაშას უპირველესი საქმიანობა კი ხალხის მოტყუება და თანხის გამოძალვაა. ამიტომაც უყურებს იგი შემოსულ სტუმარს ეჭვით. მისი ამპარტავნული ბუნებისთვის გალაკტიონთან სტუმრობა არაფრის მომცემია და სულ იმის ფიქრშია, თუ რატომ პატიჟებენ ასე დაჟინებით და გულმოდგინედ დიდი ხნის უნახავი ნათესავები. ამიტომაც თავიდანვე უარს ეუბნება სტუმრობასა და ქეიფზე, თუმცა უფროსი მიპატიჟებას მიიღებს და მის სურვილს შაშა წინ ვეღარ აღუდგება.

მაზრის სამმართველოს სეკრეტარის, ივან ვასილევინის სახეს მსახიობი თენგიზ თოფურაძე ირონიულ ელფერს სძენს. გროტესკულია მისი შეფასებები და დამოკიდებულება ქართველებისა და არყის მიმართ. გალაკტიონს იგი რუსულად სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს, თუმცა მასპინძელი მისი სიტყვების მნიშვნელობას ვერ ხვდება. სამაგიეროდ, არაყის ხსენება და... უმაღვე თანხმდება სტუმრობაზე.

გახარებული გალაკტიონი დაბრუნებისას თავის ეზოში, მეზობლების

დასანახად გაითამაშებს სტუმრების დახვედრისთვის მზადებას. ინყებასუფრის გასაწყობად მეზობლებში პროდუქტების სათხოვნელად სირბილი. ეს სცენაც უნებლიეთ გვახსენებს რუსეთის დასანახავად და „შესაშინებლად“ საქართველოსა და ნატოს ჯარების ფუჭ მანევრირებას, რომლის შემდეგაც საქართველოს მორიგი აოხრება ხდება, თუმცა განმკითხავი და მშველელი არავინაა. ამ აზრს უფრო სახიერს ხდის სცენა, სადაც საქართველოს პეიზაჟების ამსახველ სურათებს ხსნიან და მაგიდის გადასაფარებლად, სუფრად გადააქცევენ – ქვეყანა ყოველთვის ღვინისა და ღრეობის ასპარეზი იყო და არის, რომელსაც მტერიცა და მოყვარეც სიამოვნებით შემოუსხდება.

ვასილი ივანიჩის მოსვლას თან რუსის ჯარის ჩექმისა და მარშის ხმა ახლავს. აქვე გამოჩნდება კარგი გარეგნობის ქალი, როგორც სამკაული და პირადი მოხმარების საგანი. ამის დასტურია მისი ეკლესიაში ნაძალადევად ნასვლა და ლოცვის დროს ქალისთვის ნელს ქვემოთ ხელის მოხვევა, რაც მამაკაცის ბილნ ზრახვებზე მიუთითებს. თ. თოფურაძის გმირს ჭამა-სმის ცხოველური ინსტინქტები ამოძრავებს და გარშემო მყოფთათვის ყურადღების დათმობის ნაცვლად მთელი ძალისხმევა სუფრისკენა აქვს მიმართული. უფრო სიმბოლურ დატვირთვას იძენს მისი დიალოგი მღვდელთან. მერაბ ესებუას მოძღვარი ჩინოვნიკის სურვილების აღმსრულებლად გვევლინება. ამის დასტურია მისი სადღეგრძელო რუსეთთან ერთმორწმუნეობის შესახებ. ამის შემდეგ ვასილი ორდენსა და ჩექმებს აძლევს მღვდელს, რომელიც ჯვარს ჯიბეში ინახავს და ამბობს – ეს სტუმარი კი არა, მასპინძელია... სიმთვრალეში რუსმა ჩინოვნიკმა უკვე ღორების დაცვა დაიწყო, ჩვენინანები და ძმები არიანო, რითაც ხაზი ესმება ვასილი ივანიჩის პიროვნების ღორულ სანყისს. ბო-

ლოს სკამი მოეწონა, რომელიც დაშალა და თან წაიღო. ყოველივე ამის შემსწრე ჩინოვნიკის თანმხლებმა მომხიბვლელმა ქალმა შეკრებილთ მიახალა, მონები იყავით, მონები ხართ და იქნებითო. ეს ქალი ვერ აანალიზებს, რომ თავადაც რუსი ჩინოვნიკის ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია.

ვითარება დრამატულ ელფერს იღებს. ყველა დაბნეულია. მღვდელი ჩექმებს იხდის, ჯვარს ისევ გულზე იკიდებს და ჩაფიქრებული ტოვებს იქაურობას. გალაკტიონს მოთმინება ეკარგება. მეზობლებისგან ნასესხები პროდუქტებით გაშლილმა სუფრამ ღორების შემოსევისგან ვერ იხსნა, სამაგიეროდ, მორალურად და მატერიალურად მართლა გააჩანაგა. მისი იმედები უიმედობით იცვლება, რასაც მსახიობი კარგად წარმოსახავს. ჩინოვნიკების მისამართით სიმწრით ნათქვამი სიტყვები: „ოხრები, ქვეყნის მძარცველები“ ნათლად გამოსახავს მის შინაგან განწყობას, ვინაიდან ქვეყანაში სიცრუეა გამეფებული, რასაც ერთმორწმუნეობა ვერ შველის. ამ დროს რეჟისორი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის მოზარდი შვილის, კიკილოს (დ. გუნია) სიტყვებზე – ჩვენ თავს თვითონ უნდა მივხედოთ და ერთად შემოვლობოთ ეზოო, რაც მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს.

მესხეთის თეატრის სპექტაკლი „მშვიდი ღამე“ რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა განახორციელა. ჰაროლდ მიულერის ამ ფსიქოლოგიურ დრამაში დედა-შვილის ურთიერთობაა წარმოსახული. ხუთი შვილის დედა – მსახიობ ლია სულუაშვილის შესრულებით – ნლებს განმავლობაში მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს და გამუდმებით შვილებისა და შვილიშვილების მოლოდინშია. მისი სულიერი დრამა მარტოობაშია. თავშესაფრის მეგობარიც გარდაეცვალა და დამლაპარაკებელიც აღარავინ ჰყავს. ამ ვითარებაში საახალწლოდ შვილი საჩუქრით მოინახულებს. მართლაც, მარტოხელა ქალისთვის

ტელევიზორზე უფრო გასახარი რა უნდა იყოს, მაგრამ სიხარულის განცდამდე საქმე არ მიდის. ლ. სულუაშვილის გმირს გულწრფელად უხარია შვილის გამოჩენა და ფანჯრიდან მისი ახალი მანქანის დანახვა, მაგრამ დედისგან ნამოსული სითბო შვილის გულს არ ელამუნება. ანდრია ვაჭარაძის პერსონაჟს ყოველი სიტყვა და მოქმედება გათვლილი აქვს. იგი ზერელედ უსმენს დედის ემოციებს, რაღაც მნიშვნელოვანის თქმას აპირებს, მაგრამ მონატრებული დედა ამის საშუალებას არ აძლევს – თავშესაფრის ამბებს უყვება. ისიც ირკვევა, რომ შვილი დედის გამოგზავნილ წერილებსაც კი არ კითხულობდა, თუმცა თავს მზრუნველ შვილად აჩვენებს. ა. ვაჭარაძის ლეო ფსიქოლოგიურად ზუსტად გვიხატავს ეგოისტური ბუნების ადამიანს, რომლისთვისაც პირადი ინტერესები ყველაზე მაღლა დგას. ამიტომაც მისთვის დედის საუბარი მოსაბეზრებელია – მათი ცხოვრებისეული შეხედულებები ხომ რადიკალურად განსხვავებულია. დედას საახალწლოდ ლეოსთან მისვლა უნდა, მაგრამ ლეო სტუმრობაზე უარს ეუბნება. სამაგიეროდ, ცდილობს, თავისი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად სოფლის სახლის გაყიდვაზე დაიყოლიოს – სინამდვილეში სწორედ ამიტომ ჩამოვიდა. ლ. სულუაშვილის გმირი მტკივნეულად განიცდის შვილის მერკანტილურ დამოკიდებულებას, ძლივს მიდის მაგიდასთან საბუთებზე ხელის მოსაწერად.

აქამდე აღვლევებული ლეო უკვე კმაყოფილებით უდებს საჩუქარს დედას და საქმის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად სასმელს ხსნის, დედას ადლეგრძელებს და საჩქაროდ მიდის სტუმრების დასახვედრად. ლეოს დაუნდობელ ბუნებას მსახიობი საოცრად მშვიდი, აუღელვებელი ტონალობით წარმოსახავს. დედა კი ჩაფიქრებული და გაოგნებული რჩება. შვილისა და თავისი ჭიქებიდან კონიაკს სვამს და

შვილიშვილებზე, ოჯახის ერთად შეკრებაზე ოცნებობს.

ბეთლემში კაცთა ცოდვებისგან დამხსნელი მოევლინა დედამიწას – დედის უკანასკნელი ამოსუნთქვა ამის გაცნობიერებას უკავშირდება.

ცხადია, ამ საოცრად ინტიმური სპექტაკლით რომ არა რეჟისორის ზუსტი და გათვლილი სვლები, მსახიობებთან მუშაობა, ძნელი იქნებოდა სადა, მართალი ურთიერთობების წარმოსახვა, მაყურებლის დაინტერესება. ამის განხორციელებას ნიჭიერ მსახიობთა დუეტმაც შეუწყო ხელი.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა – „თეთრი ტალღა“ – ძმები გრიშების ცნობილი ზღაპარი „ბრემნელი მუსიკოსები“ წარმოადგინა. ინსცენირების ავტორი და რეჟისორია გოგა ქაჩიბაია. რეჟისორი შეეცადა, მუსიკალური, მხიარული და იუმორით აღსავსე სპექტაკლი დაედგა, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდევ. საინტერესოა ნინო ლეჟავას მასხარა, რომელიც თავისი პლასტიკით პერსონაჟს მრავალმხრივს ხდის. როდესაც მოქმედების წამყვანად გვევლინება, იგი მოვლენებს თავისებურად აფასებს და მოქმედებაშიც ხალისიანად ებმება, ისე რომ არ არღვევს სპექტაკლის განვითარების ძირითად ხაზს. მისი დიქცია, ჟესტიკულაცია და თხრობის მანერა ზღაპრისეული სამყაროს განუყოფელი ნაწილია.

დანარჩენი პერსონაჟები კი დიდად ვერაფრით გამოირჩევიან. ვირი ზ. ანთელავას, მამალი თ. ბელთაძის, ძაღლი გ. გულუას შესრულებით არც ცხოველთა და არც ადამიანთა წარმოსახვას არ აკმაყოფილებენ. მსახიობ ნ. ჯავახიშვილის კატა პლასტიკით, დამახასიათებელი მანერულობით უფრო ახლოსაა პერსონაჟთან, ო. ბელთაძის მეფე კი ყალბ ინტონაციებს ვერ ასცდა. მ. კალატოზიშვილის პრინცესასა და ი. მანაგაძის ტრუბადურს არც სიყვარულის ნიშანწყალი ეტყობათ და არც პერსო-

ნაწებისთვის დამახასიათებელი ხასიათებით გამოირჩევიან.

გაუგებარია, რაზე მიგვანიშნებს ტყეში ცხოველების მიერ შექსპირის სონეტის წაკითხვა, რომელიც მოქმედებიდან ამოვარდნილია. მუსიკალური სპექტაკლის დადგმისას სასურველია, სიმღერები მსახიობებმა ცოცხლად შეასრულონ, ვინაიდან ფონოგრამით „ნამღერი“ კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებს და სპექტაკლის ყალბ მანერულობას კიდევ უფრო ამძაფრებს. ასეთი „შესრულება“ ნამდვილად ვერ ავლენს მსახიობთა ვოკალურ მონაცემებს, როგორც ამას პრესრელიზი გვაუწყებს. აქვე ვკითხულობთ, რომ თურმე რეჟისორ გ. ქაჩიბაიას ეს პოპულარული ზღაპარი „ახალი გააზრებით“ დაუდგამს, ვინაიდან წარმოგვიდგენს თანამედროვე პრაგმატული ადამიანის მიერ უსარგებლოდ მიჩნეული ბებერი შინაური ცხოველების ორიგინალურ შურისძიებას. კარგი იქნებოდა განემარტათ, თუ რაზე დაწერეს მაშინ ძმებმა გრიმებმა ეს ზღაპარი? რა განსაკუთრებული ინტერპრეტაცია მოუძებნა რეჟისორმა სპექტაკლს, რომელიც ამავე სახელწოდების რუსული მულტფილმის ცუდ ვარიაციას წარმოადგენს? თეატრის ხელმძღვანელობამ მეტი პასუხისმგებლობით უნდა შეარჩიოს საფესტივალო სპექტაკლი.

იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე სხვა თეატრზეც. ხულოს თეატრმა შარშანდელ ფესტივალზეც სუსტი დადგმა შესთავაზა მაყურებელს, ნელსაც არანაკლები უპასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს. ამჯერად სპექტაკლი „ანტი-ანტიგონე“ ვიხილეთ, რომლის ავტორი და რეჟისორი ირენა გვიმრაძე ყოფილა, არადა, სინამდვილეში გადმომღერებულია ალექსანდრე ჩხაიძის გასული საუკუნის 70-იანი წლების პოპულარული პიესა „თავისუფალი თემა“, რომლის შინაარსი და დიალოგები შეცვლილი არ არის.

დამატებულია თანამედროვე ტერმინოლოგია, როგორებიცაა: „კომპიუტერი“, „თინეიჯერები“, „სკოლა მაგარ ტიშკშია“ და სხვა ამგვარი სიტყვები, რაც ირენა გვიმრაძეს უფლებას არ აძლევდა, პიესა თავისად გაესაღებინა და დაერღვია გარდაცვლილი დრამატურგის საავტორო უფლებები. საქმეს ვერ შველის პრესრელიზის განმარტებაც, რომ ეს არის ალ. ჩხაიძის პიესის თანამედროვე, ადაპტირებული ვარიანტი. პიესა, რომლის მოქმედება თურმე რეალურ დროსა და სივრცეში ვითარდება, მოიცავს სიმბოლიზმს, რეალიზმს, ეპიკურ ელემენტებს, გვიხატავს და გვიჩვენებს კომფორმისტი საზოგადოების ფსევდოფასეულობებსა და ამ საზოგადოებაში ინდივიდის არსებობის სირთულეს. ასახავს ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებს, როგორებიცაა: ოჯახი, განათლება და სოციალიზმი. განა ალ. ჩხაიძის პიესა შუა საკუნეების ცხოვრებას ასახავს? ავტორმა თავის დროზე შეამჩნია სკოლას, მოსწავლესა და ოჯახს შორის წარმოქმნილი პრობლემები და სიმართლითა და გულწრფელობით ასახა ეს წინააღმდეგობანი. ამიტომაც, პიესა საქართველოს ბევრ თეატრში წარმატებით განხორციელდა. ვფიქრობ, ირენა გვიმრაძის პრეტენზია სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან სპექტაკლი შინაარსობრივად ზუსტად მიჰყვება ალ. ჩხაიძისეულ ვარიანტს, თავად წარმოდგენა კი საკმაოდ სუსტადაა დადგმული. მასში არ ჩანს გმირთა ურთიერთობები, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. მსახიობები ტექსტს მონოტონურად კითხულობენ და მაყურებლამდე ვერ მოაქვთ ნათქვამის მნიშვნელობა. ამას ემატება მსახიობთა ყალბი პათოსი, ამასთან, აკლიათ სამსახიობო ოსტატობა. ამას გარდა, სპექტაკლის სიყალბეს ისიც მიანიშნებს, რომ დღეს სკოლებში არავინ უშლის მოსწავლეს განსხვავებული აზრის გამოხატვას. ამიტომაც გაურკვეველია რეჟისორის

მიზანი, რომელიც მის მიერ ზემომოყვანილ დეკლამაციას არ სცილდება. რეჟისორი იყენებს კინოეკრანს, სადაც მამა (რ. ბოლქვაძე) და შვილი მარიამი (ნ. ქარცივაძე) სოფოკლეს „ანტიგონედან“ კითხულობენ ნაწყვეტებს, რაც ამოვარდნილია მოქმედების ძირითადი ხაზიდან. ასევე გაუგებარია სცენოგრაფიაც (ნ. ხართიშვილი). გაუგებარია, რატომ არის სცენა ჩასმული რკინის ჩარჩოში და თავზეც სამი ცარიელი ჩარჩოა (თითქოს საზოგადოება რკინის ზღუდეებშია მოქცეული?!) რა ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან მათი სიმბოლური დანიშნულება არ იკითხება. ამიტომაც „ანტი-ანტიგონე“ ანტისპექტაკლად იქცა.

ირანულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა სპექტაკლი „ხმა, ღუმილი, მოძრაობა“. სპექტაკლიც და რეჟისორიც შორს დგანან პროფესიული თეატრისგან. მსახიობთა ცუდი მეტყველება, გამირთა ურთიერთობები და პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს ჩვენება არავითარ კავშირში არ არის თეატრალურ ხელოვნებასთან. არ ჩანდა რეჟისორული ნამუშევარი – არ არსებობს მიზანსცენები, გამირთა ხასიათების განვითარება და, რაც მთავარია, ძირითადი სათქმელი, აზრი.

მოსკოვის საავტორო თეატრალურმა კომპანიამ „Эскизы в пространстве“ წარმოადგინა ფ. დოსტოევსკის „იდიოტის“ განსხვავებული ვერსია. რეჟისორმა დიმიტრი მიშკინმა უარი თქვა სპექტაკლის ტრადიციულ გადანწყვეტაზე. სცენაზე ვხედავთ მხოლოდ ოთხ მთავარ გმირს, რომლებსაც თანამედროვე კოსტიუმები აცვიათ და მსახიობები (ი. მიხეიშინა, ა. პერევერჩევი, მ. გოლოშუმოვა, ე. ბელოვი) საათ-ნახევარში რომანის ძირითად პასაჟებს უფრო კითხულობენ, ვიდრე გაითამაშებენ. სცენის უკანა პანო პერიოდულად იცვლება აბსტრაქტული ნახატებით, რომლებიც გამირთა განწყობას, შინაგან

მდგომარეობას გამოხატავენ. შეიძლება გადანწყვეტის ფორმა საკამათო იყოს, მაგრამ რეჟისორული ნამუშევარი კარგად ჩანს და თანამედროვე სივრცეში დოსტოევსკის გამირთა ესკიზური ჩვენება თეატრის ექსპერიმენტულ ძიებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თელავის თეატრმა ფესტივალზე უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგის, სანდრო კაკულიას პიესა „სახურავი“. ასეთი ტრადიციების თეატრი, სადაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი დადგმულა, საეჭვო ექსპერიმენტებს უნდა ერიდებოდეს. თავად პიესა საკმაოდ სუსტია და ხარკს უხდის მოდაში შემოსულ ნარკომანიის თემას. მთავარი მიზანი ნარკომანთა ცხოვრების ჩვენებაა და არა ამ პრობლემის მხატვრული გააზრება.

სპექტაკლში რეჟისორმა ნანუკა ხუსკივაძემ მთავარი ყურადღება სწორედ ნარკომანთა ტიპაჟების ჩვენებაზე გადაიტანა და არა მათი ხასიათებისა და ურთიერთობების გახსნაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა პიესიდან გამომდინარე. აქ პერსონაჟები ცალ-ცალკე არსებობენ, გარე სამყაროს მოწყვეტილნი, თავიანთ თავში ჩაკეტილები არიან. მათ დიალოგებსა და მოქმედებაში არ ჩანს ხასიათების განვითარება.

სპექტაკლი იწყება სამი ნარკომანი მეგობრის შემოსვლით, რომლებიც მაღალ კიბეზე ადიან და „კაიფის“ დროს უაზრო სიტყვებს ამბობენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი სახლის სახურავზე არიან. გარემოც ამაზე მიუთითებს: მანქანის საბურავები, სკამები და დაშლილი კორპუსი სხვადასხვა მხარეს მიმოხეულა (სცენოგრაფი მ. შველიძე), თუმცა გაურკვევლია, სახურავზე რატომ აიტანეს მანქანის ნაწილები? შემდგომში ამ გარემოში თამაშდება გიგის სახლის სცენები, რაც სრულიად შეუფერებელია ოჯახური გარემოსთვის. მთავარი კონფლიქტი გიგისა (ბ. სონ-

ლულაშვილი) და მისი ცოლის მარის (მ. აბრამიშვილი) ურთიერთობაშია. მარი განიცდის ქმრის ასეთ მდგომარეობას, გამოსავალს ეძებს, მაგრამ პერსპექტივას ვერ ხედავს. მუცლის მოშლით გაღიზიანებული უმომავლობის შიშს შეუპყრია. გაურკვეველია გიგის ეჭვიანობა, რითაც მარი შეურაცხყოფილია, თავის ნივთებს ალაგებს და სახლიდან მიდის.

ბ. სონლულაშვილის შესრულებული გიგი ტიპური ნარკომანია, რომელსაც არც ცოლის მოფერების თავი აქვს და არც მიზნების მიუღწევლობა აწუხებს. აბა, რა ამოდრავებს გმირს? ამას მხოლოდ სპექტაკლის პრესრელიზიდან ვიგებთ: „ადამიანები სიკვდილის წინ იწყებენ ფიქრს, მერე ვერ ასწრებენ, მერე ნანობენ... ჩვენ სხვანი ვართ!“ – ეს პიესის მთავარი გმირის, გიგის სიტყვებია, ადამიანის რომლისთვისაც ნარკოტიკი არა მხოლოდ სიამოვნების, ასევე რეალობიდან გაქცევის საშუალებაა“. სამწუხაროდ, ბ. სონლულაშვილის გმირი ამდენ ფიქრს ვერ ახერხებს. რატომ არიან მსავსი ადამიანები „სხვანი?“ ან რაზე ფიქრობს, ან რა მისწრაფებები აქვს? ნაწილობრივ ხომ მაინც უნდა ჩანდეს? შემდეგ იქვე ვკითხულობთ: „მისთვის სწორედ არაფხიზლად ყოფნაა ის მდგომარეობა, როდესაც შეუძლია საკუთარი თავი სამყაროსგან გამიჯნოს და თითქოს გვერდიდან, სულაც ზემოდან უყუროს მას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფიქრიც ზუსტად ამ დროს მოდის“. სამწუხაროა, რომ ფიქრისთვის, საკუთარი თავის გვერდიდან ან ზემოდან დანახვისთვის გმირს აუცილებლად ნარკოტიკი სჭირდება. ალბათ, სწორედ ამიტომაც ჰქვია პიესას „სახურავი“, მაგრამ ეს ბრეხტისეული მეთოდი ამ შემთხვევაში გაუმართლებელია, ვინაიდან მსგავს მოვლენას სპექტაკლში ვერ ვხედავთ. გიგის სიტყვები: „რალაც დალპა“, რომელსაც ავტორი შექსპირს დაესესხა, კლასიკოსისგან განსხვავებით, ცარიელ სიტყვებად რჩება. ბოლოს გიგი

ირონიულად ამბობს: „ყველამ ნაკურთხი ჯვრები გავიკეთოთ და გვეშველება“. რა არის ეს? სარწმუნოების უარყოფა, მისდამი ცინიკური დამოკიდებულება თუ საყოველთაოდ ქცეული მოდა, როდესაც ყველას ჯვარი აქვს ჩამოკიდებული გულზე, ეკლესიის წინ პირჯვარს იწერს, მაგრამ სულიერ კათარზისს ვერ ახერხებს და კვლავ ცოდვილის ცხოვრებით განაგრძობს არსებობას.

ეკა (ს. მაისურაძე) თანაუგრძნობს, მაგრამ არ ეთანხმება ნარკომანი მეგობრების ცხოვრების წესს. იგი გულბრყვილო გოგოა, რომელიც ფოტოგრაფიითაა გატაცებული და შოთი (ლ. ნიფლაშვილი) უყვარს, მაგრამ კატეგორიულად არ თანხმდება მოწვევაზე, თუმცა ბოლოს მაინც „ხათრს ვერ გაუტეხს“ და ეს მისი დაღუპვის მიზეზი ხდება, თუმცა ეს ტრაგედია მეგობრებზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს.

კოკი ე. პაპუნაშვილის შესრულებით განსხვავებული საუბრისა და სიარულის მანერით გამოირჩევა. ხაზგასმულად ინფანტილურია. შოთის მიზანი ეკას ნარკოტიკზე „დასმა“ და ნაძღვეზე მისი გაუპატიურებაა, ხოლო ოთო (ლ. ცინკვერაშვილი) ცდილობს რეალობიდან გაქცევას – ხან კომპიუტერული თამაშებით ერთობა, ხან რალაც საქმის კეთებაზეც ფიქრობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. იარაღითაც ემუქრება გოგის, ოღონდ ამ საქციელის მოტივი გაურკვეველია. სპექტაკლში სრულიად ზედმეტია გიგის მამისა (გ. გელაშვილი) და ოთოს მშობლების (ნ. კურტანიძე, ზ. ლომიძე) სცენები, რაც ძირითადი სიუჟეტიდან ამოვარდნილია. სპექტაკლი მთავრდება გამოკვეთილი ფინალის გარეშე. არ ჩანს არც სათქმელი აზრი, თუ რაზე ჩაფიქრდეს მაყურებელი, კარგია თუ ცუდი ის, რაც სცენაზე ნახა.

ფოთის ფესტივალის დასკვნით სალამოზე იტალიელმა რეჟისორმა კლაუდიო დი მოლიომ წარმოადგინა ახალ-

გაზრდა ქართველ მსახიობებთან ხუთი დღის განმავლობაში დადგმული პერფორმანსი კომედია დელ არტეს ნიღბების გამოყენებით, რაც გათვლილი იყო მსახიობთა პლასტიკურობაზე.

გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა ჟიურიმ საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობის პრიზი გადასცა ცხინვალის თეატრის მსახიობს ცოტნე ხუბუტიას კვაჭის როლის შესრულებისთვის. პრიზი თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და დედის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მშვიდი ღამე“ გადაეცა მესხეთის თეატრის მსახიობსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ლია სულუაშვილს. თელავის თეატრის მსახიობმა ვანო იანტბელიძემ თავისი პრიზი „ალალე“ გადასცა თელავის თეატრის მსახიობს ბექა სონღულაშვილს (სპექტაკლში „სახურავი“ გიგის როლის შესრულებისთვის) და

ფოთის თეატრის მსახიობს ჯანო იზორიას (სპექტაკლში “diqtatura” მონაწილეობისთვის). მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა მანანა ანთაძემ ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლის პრიზი გადასცა რეჟისორ დავით მღებრიშვილს სპექტაკლის „დიქტატურა“ განხორციელებისთვის. კრიტიკოსთა საბჭომ საუკეთესო მსახიობად დაასახელა დავით როინიშვილი ქუთაისის თეატრის სპექტაკლში “DUCKET” ნიკოლასის როლის შესრულებისთვის. “Black sea arena”-ს წარმომადგენელმა კლაუდიო დი მარიოს ვორქშოპის მონაწილე მსახიობები კონცერტის ბილეთებით დააჯილდოვა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული ფესტივალის მთავარი პრიზი – 5000 ლარი გადაეცა სოხუმის თეატრის სპექტაკლს „იაკიში და პუპჩე“.